


ელექსენდრე
ესეცნელი



ჩვენი
დატარება

პლემენჯემ
ანაქნელო

**ჩვენი
ისტორია**

თავისი
2016

ხედაქსოვი:

კობა ბედოიძე

მსოფლიოში არსებული ეთნოსები (ერები), სხვა ნიშნებთან ერთად, ასაკითაც განსხვავდებიან. არიან ახალგაზრდა, საშუალო ასაკის და უძველესი წარსულის მქონენი. ქართველობა უკანასკნელს მიეკუთვნება. მისი ისტორიული გზის დახასიათებას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.



ნიგნი აენყო და დაქაბადონდა

<http://bedoidze.site.ge>

კომპიუტერული უზენვეცყოფა:
მანია ბოლქვაძე



©ალექსანდრე ახატნელი

წინასიტყვაობა

ყველაფერ არსებულს აქვს ისტორია. ამიტომაც ისტორია მრავალნაირი, რთული და საინტერესო.

ერის (ეთნოსის) ისტორია უფრო მრავალმხრივია. დიდმა ივანემ (ჯავახიშვილმა), ხუთ წიგნში ძლივს ჩაატია „ქართველი ერის ისტორია“. მეცნიერთა კოლექტივმა რვა ტომი მიუძღვნა იგივე საკითხს. ისტორია კი მაინც შეკვეცილი და ნაკლული გამოვიდა.

გასაგებია, რომ წინამდებარე პატარა ნაშრომი ერის (ეთნოსის) ისტორიას მხოლოდ შეეხება. მიზანიც მოკრძალებულია: მკითხველში აღძრას წარსულის უკეთ გაცნობის სურვილი.

გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომი მოზარდებისათვისაც განკუთვნილი. შესაბამისად, გვერდი აქვს ავლილი რთულად გასაგებ მახასიათებლებს: ძველი ქვის ხანა, პალეოლითი, მეზოლითი და სხვა. ის, რაც სპეციალისტთა სფეროს განეკუთვნება, ფართოდაა გაშუქებული აკადემიურ სამეცნიერო გამოცემებში. ასევე, მიზანმიმართულადაა გვერდავლილი, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ყოფა-ცხოვრების თავისებურებები. მცირე მოცულობის მონათხრობში ყოველივეს გადმოცემა შეუძლებელია. მით უფრო, რომ არსებობს სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა.

ნაშრომი უძველესი პერიოდის იმ საკითხებს ეხება, რომელთა განხილვა სამეცნიერო გამოცემებში ნაკლულადაა მოცემული. ასევე ნამოყენებულია პრობლემები, რომელთა ობიექტური გაშუქება მომავლის საქმეა. ბევრი რამ საჭიროებს მართებულ გაგებას.



გრაველიის მანქანის
ფრესტოლად X-IX
ძე-ლდ მ.წ
ბ.წ

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
ჩვენ	7
თუბალ-მეშეხი	11
ჩვენთან	12
იმათთან	12
ჩვენ	15
ისინი	15
კავკონები	17
შორეული წარსული	18
თუბალ-მეშეხები	20
თუბალები	21
მეშეხები	25
ათასწლეულები	27
ძვ.წ. ა. III ათასწლეული	29
ძვ.წ.ა. II ათასწლეული	31
ქართლოსის სამეფო	35
ეგროსის სამეფო	41
დარდანიდები	43
ზღვის ხალხები	53
ურარტუ, დიაოხი, კულხა	57
ქართთა ახალი სამეფო – იბერია	63
კოლხეთის დიდი სამეფო	91
უმეფობა	102

აფხაზ-ქართველთა დიდი სამეფო	118
ქართველთა სამეფოები	168
ძალა იდეისა	201
იდები მოქმედებაში	207
დღეს	245
გუშინ	247
დღეს	250
ხვალ	252



ჩვენი

ვინ ვართ ჩვენ?

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები...

მანამდე, ორასი წლის მანძილზე, 1921-1991 წწ, ვითვლებოდით საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად... 1918-1921 წწ ვიყავით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები... 1801-1918 წწ განმავლობაში რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები...

უფრო ადრე, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს წარმოვადგენდით...

კიდევ უფრო ადრე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა ერთიანი სამეფოს შვილები.

ერთიანობის დამკვიდრებამდე კოლხებად და იბერებად ვიყოფოდით, რადგან ეგროსისა და ქართლოსის ტომთა შემადგენლობაში შევდიოდით. ვიყავით ორად გაყოფილნი, მაგრამ საერთო წინაპრის ჩამომავლები.

„ბიბლია“ შეგვახსენებს, რომ ის საერთო წინაპარი წარღვნამდე ცხოვრობდა და მას თუბალ-კაენი (მინათმოქმედი და მჭედელი) ეწოდებოდა.

უფრო ადრე მყოფ მინათმოქმედს ისტორია, მითოლოგია ვერ ასახელებს.

„ბიბლია“ წარღვნის შემდგომიპერიოდის აღწერისას თუბალთან ერთად მეშეხსაც ახსენებს.



თუბალები და მეშეხები ბევრ ტომებს მოიცავდნენ და ძალზე დიდ ტერიტორიას იკავებდნენ. მათი სამოსახლო ვანისა და ურმიის ტბების დასავლეთით ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩათვლით ვრცელდებოდა.

„ბალკანეთის ნახევარკუნძულის მაცხოვრებლები ჩვენ წინაპრებს გეორგიანებს ანუ მიწის შვილებს, მიწის მუშაკებს ეძახდნენ.

რატომ?

უძველეს დროში ადამიანი იმით საზრდოობდა, რასაც ბუნება უბოძებდა. ტყის, მინდვრის ნაყოფი ან ნადირობით მოპოვებული. უფრო გვიან დაიწყო გარეული ცხოველების მოშინაურება. ძველ საბერძნეთში,¹ როცა ცხენზე ამხედრებული ადამიანები ნახეს, ეს ერთი არსება – ცხენკაცი ეგონათ და კენტავრი უწოდეს.² მიწის დამუშავება, მოსავლის მოყვანა, დიდი მიღწევა და ადამიანური ცხოვრების დასაწყისი გახდა.


ჩვენი წინაპრები იყვნენ ადრეული მიწათმოქმედნი, ამიტომ დაარქვეს მათ გეორგიანები.

რატომ გეორგიანები?..

ადამიანებს ბუნებით დაჰყვა, სხვა რამესთან ერთად, რწმენისა და ცრურწმენის გრძნობა. ამ გზით აღმოცენდა რელიგიური წარმოდგენები. მათი გაგებით, ყველაფერს თავისი მოამაგე, მფარველი, ღმერთი ჰყავდა. უმთავრესი მიწის ღმერთი იყო, ჩვენნაირ არსებას არქვეს კაც, აქედან, დედა-კაც, მამა-კაც. მასაზრდოებელი მიწა იყო დედა-მიწა. შემოკლებით დეო. დედას ხშირად ახლაც ეძახიან დე.

1. ძველი ბერძნები იყვნენ, უფრო ძველი მოსახლეობის – პელაზგების კულტურის გამგრძელებელი. ბაკლანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე უძველესი დროიდან მოყოლებული პელაზგების ტომები სახლობდნენ. 3200 წლის წინ ისინი ბერძნულ წარმოშობის დორიელთა ტომებმა დაიმორჩილეს. აქედან იწყება ბერძნული კულტურა.

2. კენტავრების მოდგმა, ძველ ბერძნებს, ცხენკაცებად წარმოედგინათ, თუმცა იცოდნენ მათი სიბრძნის შესახებ. კენტავრები: ამიკოსი ხირონი, მისი ცოლი ხარიკლო, სიბრძნის მოყვარეულები და ბრძენთა აღმზრდელები იყვნენ.



კავკასიური მოდგმის განსახლების არეალი, ძვ.წ. VI ათასწლეული.
წყარო: <http://saunje.ge/index.php?id=1555&lang=ru>



JAPHETH

GOMER

MAGOG

LUD

MESHESH
TUBAL

DANIM

ELISHAH

KITTIM

HTORIM

HATH

Lake Van

Taurus

Hamath

Arvad

Aegean Sea



ჩვენი უძველესი წინაპრები ძალზე დიდი ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტულები. 6-7 ათასი წლის წინათ მათ შექმნეს წარმატებული ცხოვრება, რომელსაც მეცნიერები „მტკვარ-არაქსის კულტურას“ უწოდებენ. მათ სამხრეთით არსებობდა შუმერების სახელით ცნობილი კულტურა. დასავლეთით კი პელაზგური „კრეტა-მიკენის“. შუმერებისათვის მიწა და მისი ღმერთი იყო გი. პელაზგელებისათვის¹ – გე (გეო).

გამოვიდა რაღაც საერთო: გი, დე (დეო) და გე (გეო).

ძველი ბერძნები მიწის ქალღმერთის გეო-ს მიხედვით, ჩვენ წინაპრებს, უძველეს მიწათმოქმედებს, გეორგიანებს უწოდებდნენ.

თუბალ-მეშხი

ჩვენ წინაპრებს მართალია გეორგიანებს უწოდებდნენ, მაგრამ ამავე დროს იმ ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ, რომლებსაც თუბალები ერქვათ.

ჩვენ დღესაც ხშირად ვამბობთ: ქართლელი, სვანი, აჭარელი და ა.შ. ძველ დროს, როდესაც გვარების, ტომების მიხედვით ცხოვრობდნენ, ასეთი დაყოფა უფრო მტკიცე იყო.

ჩვენი უშუალო წინაპრები, ქართველები და ეგრები თუბალთა შემადგენლობაში შედიოდნენ. მათ გარდა იყვნენ ჰაოსიანებად, ჰერებად, ლეკო-სელებად, მოვაკნელებად, ბარდოსელებად, კავკასიანებად წოდებული ტომები. ყველა ერთად თუბალებს შეადგენდნენ და დიდ ტერიტორიას იკავებდნენ.

თუბალების დასავლეთით უახლესი მონათესავე მეშხთა ტომები სახლობდნენ. მათ ეკავათ მცირე აზიის დასავლეთი ნაწილი, ეგეოსის ზღვის კუნძულები და ბალკანეთის ნახევარკუნძული... მეშხებშიც მრავალი ტომი ერთიანდებოდა და ბევრსაც მიაოლნიეს.

თუმცა თუბალები ცალკე იყვნენ და მეშხებიც ცალკე, მაგრამ ბევრი ჰქონდათ საერთოც.

მაგალითისთვის.

1. აქედან შემდეგ ძველი ბერძნებისათვის.



ჩვენთან

ღამე რომ იღევა, მთავრდება დასვენებისა და სიზმრების დრო. ჰაერი ირხევა, ცას სითეთრე ეპარება. ღამისა და დღის გასაყარს აისი ჰქვია. აისი რომ ძლიერდება, დგება ალი-ონი. ცის კაბადონზე ცეცხლის ალის დიდი ბურთი გამოჩნდება. ჰაერი თბება. აისი და ალი-ონი ათენებენ და ათბობენ დეომინას. მიძინებული სამყარო იღვიძებს და მოქმედებას იწყებს.

ღამის სიბნელის, ნისლის გაფანტვას, აისთან ერთად რიყრა-ყს და განთიადსაც ეძახიან. ღამის ნისლის გაფანტვა, სინათლისა და სითბოს დადგომა მზის ამოსვლასთანაა დაკავშირებული. მზეს, ცეცხლის ალის ბურთს, ძველად, სვანები თურმე ჰელიოს უწოდებდნენ. ქართველი – ჰალის, ეგროსელები – ჰელიოს.

დღეს ამ გამოთქმებს ყურადღებას ნაკლებად აქცევენ.

იმათთან

როგორც თუბალები, მეშეხებიც მრავალი ტომისაგან შედგებოდნენ. ჩვენამდე მოაღწია პე-ლაზგების შესახებ ცნობებმა.

ძველი ბერძნებისაგან ვიცით, რომ ერთ დროს მსგავსი მეტყველება, ბევრი საერთო და ზოგი განმასხვავებელი ჰქონიათ ქართ-ეგრებსა და პე-ლაზ-გებს.

ღამე რომ იღევა, სიბნელის ნისლი ქრება. ღამის ნისლს, სიბნელეს იმათთან ნიქსტი რქმევია. ნიქსტი მათ სიბნელის ქალღმერთად წარმოედგინათ.

ნისლის გაფანტვა, ნიქსტის წასვლა, ჰაერის შერხევას იწვევს. ჰაერის ქალღმერთს იმათთან ჰერა ეწოდებოდა. ჰერა-ჰერა.¹

ნისლი იფანტება, ჰაერი ირხევა და აისი დგება. აისს ისინი ქალღმერთ ეოსს უკავშირებდნენ. სწამდათ, რომ ქალღმერთი ეოსი შემოფრინდება ცის კაბადონზე, რათა ქვეყნიერებას უფროსი ძმის, ტიტან ჰელიოსის მობრძანება აუწყოს.

1. ჰერას, ძველი მითოლოგია პელაზგიურ ქალღმერთს უწოდებს.



ჩვენებურად აისს, იმათთან ეოსს ალიო-ნის დადგომა მოს-დევეს. ალიო-ნია, როცა ცეცხლის ალის ბურთი ამოსვლას იწყებს. ძველად სვანები ცეცხლის ალს თუ ჰელიოს უწოდებდნენ, გასაკ-ვირი არაფერია. ალიო, ჰალიო, აქედან ალიონი, ელიო, ჰელიო, არაა ძნელად დასაჯერებელი გარდაქმნა.

მათი წარმოდგენით ტიტანი¹ ჰელიოსი, ცეცხლოვან ეტლში ბრძანდება. ამ ეტლით დილით ამოქროლებს კავკასიონის მთების მხრიდან, გადასერავს ზეცას და საღამოთი (დაისზე) დასავლეთით ზღვას მიეფარება. ღამე ისვენებს. მეორე დილით უმცროსი და ეოსი მოდის, რათა დააყენოს აისი და ქვეყნიერებას აუწყოს ძმის, ჰელიოსის მობრძანების შესახებ. ეს მეორდება ყოველ დღე, ასე აქვს გადაწყვეტილი ღმერთების მეფე ზევსს, რომელიც ოლიმპოს (ულუმბოს) მთაზე ბრძანდება და საიდანაც „განაგებს“ ქვეყნიერებას.

იმათი წარმოდგენით, უძველესი, სიცოცხლის შემქმნელი წყვილი იყო მიწის ქალღმერთი, გეო (გე-ა) და უკიდეგანო, ულ-რანი ცის ღმერთი ურანი.

ურანის (ულრანის) ბატონობას ცვლის დრონის ღმერთი კრონი.

ზევსი მესამე თაობის ღმერთების მეფეა. მან ძველი თაობის წარმომადგენლები ჰელიოსი და პრომეთე, ოლიმპოს (ულუმ-ბოს) მთაზე არ მიიწვია. მისთვის ისინი უცხო და საშიშ ძალას წარმოადგენდნენ.

პირველი თაობის ღმერთებმა, გეო (დე-ო) – ურანმა (ულ-რანმა), შექმნეს ქვეყნიერება და დააფუძნეს სიცოცხლე.

მეორე თაობის ღმერთებმა დააფუძნეს ადამიანური ცხოვრე-ბა. შვეს შუღლი, მტერობა, მატყუარობა, ბოროტება, სიკვდილი. ის რაც დრონის თანამხლებელია.

მესამე თაობის ღმერთებმა მოაწესრიგეს ბუნებისა და ადა-მიანთა ურთიერთობა.

ბევრი რამ იყო საერთო თუბალებსა და მეშხებს შორის.

1. პე-ლაზ-გები და მათი მიბაძვით ძველი ბერძნები, (მზეს) ჰელიოსს და პრომ-ეთეს ძველი თაობის ღმერთებად თვლიდნენ და ტიტანებს უწოდებდნენ.



თქმა რა საჭიროა. მთელი დღის განმავლობაში, შრომით, ბრძოლით დაღლილებს დასვენება, ავადმყოფებს წამალი და მკურნალობა ეამებათ. იმათ სჯეროდათ, რომ ღმერთ აპოლონს თან ახლავს მკურნალი, რომელსაც ჰქვია იამოსი. იგი ღმერთი არაა, მაგრამ მასთან დაახლოებული, გამორჩეული არსებაა, ჩვენთან იამა, ეამა. იმათთან იამოსი.¹

ადამიანის ცხოვრება ათასი ხიფათის შემცველია. ჩვენთან ერთი მეორეს აფრთხილებენ: ამას და ამას ერიდე... საინტერესოა, რომ იქ ერიდა შურის, წყენის, შფოთის ჩამომგდებ ქალღმერთად მაიჩნდათ. იმდენად სახიფათოდ, რომ თვით ღმერთების მეფე ზევსიც ერიდებოდა ქალღმერთ ერიდას.


ბევრი რაიმეს გახსენება და დასახელება შეიძლება. ვთქვათ, ტყუილების, სიცრუის ქალღმერთს, ატას უწოდებდნენ. სჯეროდათ, ატამ თვით ზევსიც მოატყუა. განრისხებულმა ღმერთების მეფემ ატას ყურში ხელი სტაცა და ოლიმპოს მთიდან დაბალა ისროლა. ჩვენთან იტყვიან მატყურაა, მატყურაა. ატას, ტყუილს ყურთან აკავშირებენ.

იქ, მოსავლის აღების ერთ დღესასწაულს ალოისობას ეძახდნენ. ჩვენთან დღესაც იტყვიან ალოობას.

იქ, კურნძულ დელოსზე დამკვიდრებული იყო დელიას კულტი. პერიოდულად იმართებოდა დელიას დღესასწაული. აქ, იშვიათი იქნება, ვისაც არ წაუძღვრია: აბა დელო, ო დელია, დელია; სიყვარული ტკბილია და მწველია; მის გარეშე სიცოცხლეც კი ძნელია, მასზე ფიქრში ღამე შემომელია; აბა დელი, ო, დელია დელია და ა.შ.

ასეთი საერთოს შემცველი გამოთქმები და მოვლენები ბევრია. ამას კი დაფიქრება და ახსნა საჭიროდება: ვინ იყვნენ ისინი, რა გვექონდა საერთო, საიდან საით არი წასული ყოველივე?

1. გასაგებია, რომ არც თუბალ-მეშხური და არც შემდეგ სახეშეცვლილი იბერიულ-კოლხური-პელაზგური-ლაზურ-ხალიბური და ა.შ. ვერ იქნება ათასწლეულების მანძილზე სახეშეუცვლელი. ამიტომ, წამკითხავი ზუსტ ანალოგიას კი არ უნდა ეფუძნებოდეს, არამედ, საერთო დასკვნას.





კავკონები

ახლობლების ძიება და გაჩენა ნორმალური მოვლენაა. ჩვენ, კავკასიონის მაცხოვრებლები და ისინი, ბალკანეთის ნახევარკუნძულის მაცხოვრებლები, როდის და როგორ შეიძლება ყოფილიყვნენ ახლობლები?

ცნობილია, რომ 3700 წლის წინ (მიახლოებით) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მაცხოვრებელ პელაზგებს, აქაველები დაესხნენ და ბოლოს მოხდა მათი შერევა. აქაველები (ახეელები) ასევე ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. შეეძლოთ მათ ცნობების გადაცემა? ამოცანა ამოუხსნელია. ჩვენ მაშინ ეგროსელები გვერქვა.

ცნობილია ისიც, რომ გვარები, ტომები, ტომთა გაერთიანებები მოსახლეობის სიჭარბის გამო იყოფოდნენ. ნაწილი რჩებოდა, ნაწილი სხვა საცხოვრებელს ეძებდა. ამ გზით გაჩნდა კავკონთა (კავკასიანთა) ტომობრივი დასახლება. ისტორიულ პაფლაგონიაში და ბალკანეთში, ოლიმპოს (ულუმბოს) მთის კალთებზე. საინტერესოა. კავკონები, კავკასიანები ოდითგან კავკასიონის მიდამოებს იკავებდნენ. გადმოცემის თანახმად მათ ეკუთვნოდათ მთაგრეხილის შუა ნაწილი. ხუთი ათასი წლის წინ, მათ ასევე დაიკავეს ჩრდილოეთი კავკასია მდინარე თერგიდან დასავლეთით ზღვამდე...

როგორ უნდა მოხვედრილიყო მათი ნაწილი დღევანდელი თურქეთის და დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიებზე თუ არა გადასახლების (მიგრაციის) გზით?

მათ უნდა უკავშირდებოდეს ის საერთო, რაც შეინიშნება ჩვენსა და იმათ შორის? მხოლოდ მათ?



ჩვენ

უძველესია თქმულება ამირანის შესახებ. შემონახულთა მრავალი ვარიანტი.

ერთი მათგანის თანახმად, კეთილმა დევგმირმა ამირანმა (ამირ-ანი?) ჭექა-ქუხილის ღმერთ ტაროსს ქალიშვილი კამარი მოსტაცა, უკვდავ ცეცხლთან ერთად. ცეცხლის ხმარება მოკვდავ ადამიანებს ასწავლა. კამარი განრისხებულმა მამამ უკან დაიბრუნა, ამირანი კი კავკასიონის მაღალ კლდეს მიაჯაჭვა.

ისინი

ძველმა ბერძნებმა შემოინახეს პელაზგიური თქმულება პრომეთეს შესახებ. პრომეთე მათი ამირ-ანია, უფრო სრულყოფილი, განვრცობილი გადმოცემით.

მან მოიტაცა ჭექა-ქუხილის ღმერთის ზევსის ასული ათენა. ეგეოსის ზღვის კუნძულ ლემნოსზე არის მოსხოს მთა (მესხების მთა?). ამ მთის წვერზე იყო ღმერთების სამჭედლო, სადაც მუდმივი ცეცხლი ენთო. პრომეთემ ეს ცეცხლიც მოიტაცა და ადამიანებს მისი ხმარება ასწავლა.

ამ ორი „დანაშაულისათვის“ პრომეთე დასაჯეს და კავკასიონის მთებში მაღალ კლდეს მიაჯაჭვეს. პერიოდულად მოფრინდებოდა ფრინველი და მიჯაჭვულ ტიტანს გულ-მკერდს უკორტნიდა.

ჩვენ და ისინი. რა შეიძლებოდა საერთო ყოფილიყო? და თუ არ იყო, საიდანაა უამრავი საერთო?

რომ არ ყოფილიყვნენ ჩვენები. კავკასიონის შესახებ იმათ რა იცოდნენ, ან ჰელიოსი (ჰელიო) ტიტანი რაღა კავკასიონის მხრიდან ამოდიოდა? ან პრომეთე რატომ კავკასიონის კლდეზე მიაჯაჭვეს? რა, იქ არაა კლდოვანი მთები?



შორეული წარსული

ადამიანთა შორეული წარსულის შესახებ ცოტა რამ ითვლება დადგენილად. უფრო მეტია საკამათო და შესასწავლი.

დადგენილად ითვლება, რომ ადამიანები მილიონობით წლების წინ სახლობდნენ. აფრიკაში, კენიის ზეგანზე აღმოაჩინეს ადამიანის ნაშთი 5,5 (ხუთნახევარი) მილიონი წლის წინანდელი. აქ იყო ადამიანის ცხოვრებისათვის ყველაზე მეტად მისაღები გეოგრაფიულ-კლიმატური გარემო.

ცნობილია, რომ აფრიკაში, კენიის ზეგანზე და სამხრეთ ამერიკაში კვიტოს ზეგანზე წლიური ტემპერატურა დაახლოებით 25 გრადუსი სითბოა. ნიშნავს, რომ ზამთარ-ზაფხულს იქ თბილა და საცხოვრებელი პირობები საუკეთესოა.

აღიარებულია, რომ ადამიანები თავდაპირველად კენიაში უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ და შემდეგ გავრცელებულიყვნენ დედამიწის ზურგზე.

ჩვენთან, დმანისის რაიონში, აღმოაჩინეს ადამიანთა ნაშთები მილიონ შვიდასი ათასი წლის წინანდელი. გამოდის, ორი მილიონი წლის წინ ჩვენთან ადამიანები ცხოვრობდნენ.

როგორ გამოიყურებოდნენ ისინი?

ჩვენთან ალადგინეს იმ ძველი ადამიანების გამოსახულებანი. ისინი ჩვენ გვგვანან და არც ძალიან.

რატომ?

ადამიანი სამყაროს, ბუნების ნაწილია და იცვლება გარემო პირობების შეცვლის მიხედვით. გარემო კი მუდმივად იცვლება, რაც დედამიწაზე პერიოდულად აციებასა (გამყინვარებასა) და დათბობებს იწვევს.

ზუსტად არავინ იცის, როდის დაიწყო ბოლო გამყინვარება. ისიც კი ვერ დაუდგენიათ, რა იწვევს გამყინვარება-დათბობის ცვლილებას და რამდენჯერ მოხდებოდა ეს მოვლენა.

ვარაუდით ამტკიცებენ, რომ ჩვენნაირი გარეგნობის ადამიანები დაახლოებით 50 ათასი წლის წინ ჩამოყალიბდებოდნენ. იმავე დროს ამტკიცებენ, რომ 25 ათასი წლის წინ იყო დედამი-



წაზე ყველაზე მაღალი ყინვები. დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილს, ალპების, კავკასიონის, პამირ-ჰიმალაის მთების იქით, ყინული ფარავდა.

რა იქნებოდა ჩვენთან?

მეცნიერები ამბობენ, რომ ზღვის დონიდან 700-800 მეტრის სიმაღლეზე ჩამოდიოდა მყინვარები მთებიდან. ჩვენი ქვეყნის უმეტესი ტერიტორია უფრო მაღალ ადგილებს უკავია. ეს ნიშნავს, რომ აქ ადამიანის მუდმივი ცხოვრება ძნელად ასატანი იქნებოდა.

დაახლოებით 12 ათასი წლის წინ დათბა დედამიწაზე და ადამიანებს საშუალება მიეცათ აეთვისებინათ დიდი ტერიტორიები.

მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ თავდაპირველად თანამედროვე ტიპის (გარეგნობის) ადამიანის ორი სახეობა ჩამოყალიბდა: აღმოსავლეთის და დასავლეთის. აღმოსავლეთის ტიპს განეკუთვნებიან მონღოლები იაპონელები, ჩინელები და მათი მსგავსი ადამიანები. დასავლეთის ტიპს განეკუთვნებიან ინდოეთის დასავლეთით მაცხოვრებელი აზიელები, აფრიკელები და ევროპელები.

ჩვენ დასავლეთელებში შევდივართ. მხოლოდ ეგაა, დასავლეთელებიც იყოფიან და ჯგუფებიან გარკვეული ნიშნების მიხედვით. არიან შავკანიანები, თეთრკანიანები და მათი ნარევი. არიან აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის, აფრიკის ჯგუფები.

მიღებულია, რომ ხმელთაშუა ზღვის გარშემო ცხოვრობდა „ხმელთაშუა ზღვის პირის რასა“. ამ „რასას“ ეკავა აფრიკის ჩრდილოეთი მხარე, წინა აზია, მცირე აზია კავკასიის ჩათვლით, ბალკანეთის, აპენინების, პირინეის ნახევარკუნძულები, კუნძულები და დღევანდელ ირლანდიას აღწევდა.

ამ დიდ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ადამიანებიდან ბევრი ტომი, ეთნიკური ჯგუფი ჩამოყალიბდა. მათგან ბევრი მოისპო, ბევრი სხვას შეუერთდა. ზოგმა შეინარჩუნა ძველი ნიშან-თვისებები, ბევრმა დაკარგა. ვინც შეინარჩუნა, მათ შორის დღეს ასახელებენ ირლანდიელებს, ბასკებს და გასკონელებს



(დღევანდელ ესპანეთ-საფრანგეთს შორის), ძველ სარდინელ-კორსიკელებს (ამ კუნძულებზე), კავკასიონელებს (მათ შორის ჩვენ).

ჩვენ მაშინ თუბალ-მეშეხების ტომებს მივეკუთვნებოდით.

თუბალ-მეშეხები

მეცნიერებამ ადამიანთა შორეული წარსულის კვლევის ხერხები და მეთოდები შეიმუშავა. წარსულს სწავლობენ არქეოლოგები, პალეონტოლოგები, გლოტოგრაფები, გენოგრაფები. არქეოლოგები შრომის იარაღებისა და ცხოვრების ნაშთების მიხედვით. პალეონტოლოგები აგებულებისა და გარეგნობის მიხედვით, გლოტოგრაფები ენობრივი და მეტყველებითი თავისებურებების მიხედვით, გენოგრაფები გენური მონაცემების მიხედვით.

შესწავლა ათასწილიად შეიძლება, მაგრამ წინაპრების მიერ დანატოვარ წერილობით ცნობებს ვერაფერი შეცვლის, ამ მხრივ კი დროთა ვითარებაში უამრავი რამაა დაკარგული.

ჩვენი შორეული წარსულის შესახებ ცნობას „ბიბლია“ გვანდის, ბევრი უტრიალეს ძველმა და ახალმა მკვლევარებმა და დაასკვნეს: ბიბლიის ისტორიულ ნაწილში მსჯელობაა უძველესი ტომების შესახებ. ჩამოთვლილთა შორის ერთადაა ნახსენები თუბალი და მეშეხი.

ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ, ცნობილი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი (ფლავიუსი) აღნიშნავდა: დროთა ვითარებაში თუბალებს ეძახდნენ თობალებს, ტაბალებს, ახლა კი იბერები ჰქვიათ. ასევე, მეშეხებს ეძახდნენ მუსკებს, მუშქებს, ახლა ისინი კაპადოკიელთა წინაპრებად იწოდებიანო.

ამ სახელების გარდა თუბალებს, ისტორიის მამამთავარი ჰეროდოტე სასპერებადაც მოიხსენიებდა. რაც შეეხება მეშეხებს, ძველი ბერძენი მკვლევარები მათ მოსხებს, მასხებსაც ეძახდნენ, რაც დღევანდელი გაგებით მესხებს ნიშნავს.

თუბალ-ტაბალ-სასპერ-იბერი და მეშეხ-მუსკ-მუშქ-მოსხ-მესხი, რომ მჭიდრო ნათესაური კავშირის მქონე ტომები იყვნენ,



იქიდანაც ჩანს, რომ დღესაც ლეკები (დაღესტნელები) თუშებს მოსოხს ეძახიან. ეს იგივეა, როგორც ჩვენ დაღესტნელებს ლეკებს ვუწოდებთ, თუმცა იქ რამდენიმე ათეულ ენაზე მოსაუბრე ტომებია თავმოყრილი.

ჩვენი ძველი 5-7 ათასი წლის წინანდელი წინაპრების ზუსტი ისტორიას ლეონტი მროველი გადმოსცემს. მისი თქმით, თუბალების ტომთა გაერთიანებას ეკავა ვრცელი ტერიტორია: აღმოსავლეთით ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებიდან მოყოლებული, დასავლეთით შავი და ხმელთაშუა ზღვებამდე. სამხრეთით მდინარეების, ტიგრისა და ევფრატის ზემო წელის მიდამოებიდან მოყოლებული, კავკასიონის ჩრდილოეთის ჩათვლით. მისივე თქმით, თუბალების დასავლეთით „ვინმე ნათესავნი“ სახლობდნენ. რამდენადაც თუბალების რაობას აღწერდა, ლეონტი მროველს, „ვინმე ნათესავნი“ ანუ მეშეხების ტომები არ დაუკონკრეტებია.

მეშეხების რაობის, განფენის არეალის, მოღვაწეობის ხასიათის შესახებ ცნობებს ძველი ასურული, ბერძნული და რომაული წყაროები გვანვდიან. ისინი მეშეხების არსებობას, სხვადასხვა სახელით, მოიხსენიებენ. სირიის ჩრდილო-დასავლეთში, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთში, მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე. ბევრი ტომი სახლობდა, სხვადასხვა სახელის მატარებელი და მრავალი ეთნოსის ფუძემდებელი.

თუბალები

თუბალთა საკითხს „ბიბლია“ იხილავს. ნათქვამია, რომ თუბალი კანია ანუ მინათმოქმედია და მჭედელი. ამით აღიარებული იყო ჩვენი წინაპრების პირველობა მომთაბარე, მოხეტიალე, მონადირეთა მდგომარეობიდან მინათმოქმედებაზე გადასვლაში.

თუბალებმა არა მხოლოდ დიდი სივრცე დაიკავეს, არამედ ორგანიზაციულადაც მტკიცე ერთობა შექმნეს. უძველესი პერი-



ოდის ამსახველი „ბიბლია“, სომეხთა ისტორიის შემქმნელი მოსე ხორენაცი და ჩვენი ლეონტი მროველი, ერთხმად აღნიშნავენ, რომ თუბალებს ხელმძღვანელობდა თარგამოსის (თოგარმას, თორგომის) სახლეულობა. მონათესავე ტომების მამრთველობას იაფეტიდი თარგამოსის დინასტია ახორციელებდა.

წყაროების შესწავლა ცხადყოფს, რომ ხუთი ათასი წლის წინ, თუბალთა ტომების სიმრავლის, მათ შორის ტომთა რვა გაერთიანების წარმოქმნის გამო, დარღვეულა ერთობა და აუცილებელი გამხდარა ტერიტორიების გადანაწილება ნათესავეებს შორის.

ლეონტი მროველი, თუბალ ტომთა რვა გაერთიანებას, რვა ძმის სახით წარმოადგენს. ნათესავნი იყვნენ ეს გაერთიანებანი, ერთი სახლობის წევრები იყვნენ, მაგრამ მაინც სხვადასხვა და საჭირო იყო მათ შორის ტერიტორიული საზღვრის დადგენა, რათა გამოერიცხათ სხვისი მამულების მისაკუთრების მცდელობა.

მოსე ხორენაცს, მხოლოდ სომეხების თუბალი წინაპრის, ჰაოსის (ჰაიკის სომეხურად) სახელით არსებული გაერთიანების ტერიტორიული სივრცე აინტერესებს და დანარჩენებს არ ეხება. დანარჩენები, მისი მტკიცებით, ჰაიკს უნდა დამორჩილებოდნენ. ამიტომ მათ მხოლოდ ჩრდილოელების და ჰაიკისადმი დაქვემდებარებულად მოიხსენიებს. მისი მტკიცებით სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ჰაიკიანები ისეთი ძლიერები იყვნენ, რომ საბერძნეთი და ეგვიპტეც კი დაუმორჩილებიათ.

მოსე ხორენაცის აგრესიულ მიდგომას ლეონტი მროველის მოზომილი და რეალობაზე დაფუძნებული თვალსაზრისი უპირისპირდება.

როგორი იყო რეალობა 5 ათასი წლის წინ?

თუბალთა სასიცოცხლო არეალში ერთიანი ცივილიზაცია, სხვანაირად, მტკვარ-არაქსის კულტურა უკვე დაშლას განიცდიდა. ასევე, რღვევას განიცდიდა შუმერული ცივილიზაცია. მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა და გაძლიერდა ბაბილონის სამეფო. თუბალებს საფრთხე ძირითადად ბაბილონელებისაგან მოელოდათ. აქედან გამომდინარე მოხდა, რომ როცა თუბალთა ერთობა დაიშალა და რვა დამოუკიდებელი სამეფო შეიქმნა, ტომთა და ტერიტორიათა




დიდი ნაწილი თუბალ ჰაიკიანებს ერგოთ. მროველი აღნიშნავდა, რომ ობიექტური აუცილებლობით, თარგამოსიანელთა (თუბალთა) ქვეყნის თითქმის ნახევარი ჰაიკის სამეფოში გაერთიანდა. ესაც არ აღმოჩნდა საკმარისი და ბაბილონელთა წინააღმდეგ თავდაცვითი ომების დროს, ყველა თუბალი ტომები ერთიანდებოდნენ. საჭიროების შემთხვევაში კი მათ მეშეხებიც ეხმარებოდნენ.

ჰაოსიანების გარდა, კიდევ ტომთა ხუთი გაერთიანების სამეფო ჩამოყალიბდა თუბალთა სასიცოცხლო არეალში. ქართლოსის სახელით ცნობილმა ქართვებმა დიდი სამეფო შექმნეს, ისტორიული ჰერეთიდან და მდინარე ბერდუჯიდან, (ახლა, აზერბაიჯანში, ქ. განჯის დასავლეთით, მას ძეგამ ჩაი ეწოდება. ზოგის აზრით კი კასიმი), შავ ზღვამდე. ახალი სამეფოს საზღვარი სამხრეთით მიჰყვებოდა მდინარეების მტკვირსა და არაქსის წყალგამოყოფ მთათა სისტემას, მოიცავდა კლარჯეთს, იმიერ და ამიერ ტაოს და მიდიოდა შავ ზღვამდე. ქართვების დასავლეთით, ლიხის მთიდან შავ ზღვამდე და ჩრდილოეთით ანაპის ცნობილი კონცხის ჩათვლით, მდინარე ყუბანის მარცხენა ტოტის ზღვასთან შესართავამდე, შეხვდათ ეგრების ტომთა გაერთიანებას და შეიქმნა ეგროსის სამეფო. ქართვების ქვეყნის აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა შედარებით მცირე ზომის სამეფოები ჰერების, ბარდოსელებისა და მოვაკნელების. არავინ იძლევა ამ ქვეყნების ტერიტორიული შედარებითი სიმცირის მიზეზს. არის ისტორიული ცნობა, რომ ვანისა და ურმიის ტბებს შორის ტერიტორიაზე ჰერები მოსახლეობდნენ. შეიძლება ჰერ ტომთა გაერთიანების გაყოფის დროს, მხოლოდ მცირე ნაწილი დაეფუძნა ქართვების აღმოსავლეთით? სხვა ახსნა არ ჩანს.

თუბალ ტომთა ორი გაერთიანება, მიგრაციული პროცესების დროს, იძულებული იყო ახალი მიწების დაუფლების მიზნით კავკასიის ჩრდილოეთში დასახლებულიყო. მროველი აღნიშნავს, იმ დროს, კავკასიონიდან მდ. ვოლგამდე ტერიტორიები დაუსახლებელი იყო. ამიტომ ორ გაერთიანებას ლეკოსულ თუბალებს და კავკასიან თუბალებს შეეძლოთ ის მხარე შესაძლებლობის მიხედვით აეთვისებინათ.

მარგალიტის მირს საზღვრებში განაწილდა: 1) შვირსი; 2) ტატილუსი; 3) ბარდუსი; 4) შოვახანი; 5) ჰირსი; 6) აგვასი; 7) ლეხანი; 8) კაისი



აქვე თარგამს ჰყვან და ნაოქრო თქონი რეთია მთი გრიო... მსცა ქართლში და უჩან საზღვრი. აღმოსავლი ჰყოფი და მდინარე ზურაფუხი, დასავლი ზედა პირენი, სამხრით მთა რომელი მსგავსი ზურაფუხს მდინარის თვისა და მთა, რომელი მსგავსის დასავლით ვრთი, რომელსა წყალი გარდაიქმნის ჩრდილოთ ვრთი და მუქიფის მსგავსსა, რომელი მსგავსის მთათა შირის კლარეულისა და ტარს ვიდრე ზეცამდის და ჩრდილოთ საზღვარი ღირსი სოლო ბარდის მსცა მტკვარს სამხრით ზურაფუხის მდინარიოგან ვიდრე სავა შურაგუბან მტკვარი და რახსი... სოლო შოვაკანს მსცა მტკვარს ჩრდილოთ მცირისა აღაზნისა შესართავიოგან ვიდრე ზეცამდე... სოლო ჰირსის მსცა ჰყვანს მტკვარსა ჩრდილოთ, მცირისა აღაზნისა შესართავიოგან ვიდრე ტყე ტბამდე, რომელსა აქ ჰყვან ვულკული... სოლო ცერამს მსცა ჰყვანს ზურაფუხისა და უჩან საზღვარი: აღმოსავლით ღობი, დასავლით ზედა-ჩრდილოთ მდინარე მცირისა საზაფხოსი... მსცა ლეკანს ზეცაოგან დარეხანდის ვიდრე მდინარემდე ლიხეკისა... მსცა კავკასის ლიხეკის მდინარიოგან ვიდრე დასმარულამდე კავკასისა, დასავლით მსცა ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ 5).

მასშ: 1:3 900 000
 © მატრიკალიზაცია ანანი ჯაფარიძე, 2012



პეუნეპი

თუბალების დასავლეთით მეშეხები მოსახლეობდნენ. ივარაუდება, რომ ადრეულ ხანაში ერთნიც და მეორენიც მცირერიცხოვანნი იქნებოდნენ. შეიძლება ისინი ვანის ტბის მიდამოებშიც ერთად ბინადრობდნენ. კლიმატის დათბობისა და რაოდენობრივი გამრავლების კვალობაზე დაიწყეს ტერიტორიების ათვისება. შეიძლება კავკასიის მიდამოებში ადრე მეშეხები სახლობდნენ, შემდეგ კი დასავლეთით გადაინაცვლეს. ყოველ შემთხვევაში, იმის უარყოფა, რომ მცირე აზია, ეგეოსის ზღვის კუნძულები, ბალკანეთის ნახევარკუნძული მეშეხური წარმომავლობის ტომებს (პელაზ-გებს) ეკავათ, არავის მოუხდენია.

დროთა ვითარებაში მეშეხებს შორის ბევრი ტომთა გაერთიანება შეიქმნა და დაიშალა, ბევრ ეთნოსს ჩაეყარა საფუძველი. ტომთა შორის იყო ერთობაც და წინააღმდეგობაც, მშვიდობაც და ომებიც. გარემო ვითარება, ცხოვრების მოთხოვნები განსაზღვრავდა ყოველი ერთეულის მოქმედებას.

ესაც ბუნებრივია, რადგან ყოველ არსებაში და ადამიანებშიც დევს სიცოცხლის შენარჩუნებისა და გადაცემის კანონი. შეიძლება მას მესაკუთრული ინსტიქტი ეწოდოს. ადამიანი ბუნებით მესაკუთრეა. ხშირად უზომო მისწარაფების, ამავე დროს, რეალური ცხოვრება, ზრდის მასში ერთობის, მეგობრობის და სხვა დადებითი გრძნობა-ქცევის გაგებას, ამის გარეშე ადამიანური არსებობა შეუძლებელია.

მეშეხ ტომთა არეალში, მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, არქეოლოგებმა მიაკვლიეს ათი ათასი წლის წინანდელ ქალაქური დასახლების ნაშთებს. ეს მინიშნებაა ცივილიზაციის ხანგრძლივობაზე. სხვა მხრივ, ვის ეკუთვნოდა დასახლება, რომელ ტომს თუ უკვე ეთნოსს, უცნობია.

ცნობილი ისაა, რომ ხუთი ათასი წლის წინ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უკვე არსებობდა ეგრეთ წოდებული კრეტა – მიკენის კულტურა. მცირე აზიაში ყალიბდებოდა ხეთების სამეფოდ წოდებული ტომთა გაერთიანება. მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, მეონიის სამეფო.



გამორიცხული არაა, რომ იქმნებოდნენ და ქრებოდნენ ტომთა გაერთიანებანი, მცირე თუ მსხვილი სამეფოები, რომელთა შესახებ ცნობები არ დარჩენილა.

ათასწლეულები

დედამიწაზე ადამიანის მოდგმის არსებობა მილიონობით წელს ითვლის. ასევე ხანგრძლივია გამყინვარება – დათბობის პერიოდების მონაცვლეობა.

ადამიანებმა არ იციან დანამდვილებით რა ინვეს დედამიწაზე კლიმატურ ცვლილებებს. არც ის იციან რა პერიოდულობით და რამდენჯერ მოხდა ცვლილება. მხოლოდ ბოლო სამი გამყინვარების ნაშთებს პოულობენ და ასკვნიან: ახლა მეოთხეულ პერიოდში ვიმყოფებით...

მილიონობით წლების მანძილზე განვითარების რა გზა განვლო ადამიანმა? როგორ იცვლებოდა იგი ერთ პერიოდიდან მეორემდე? რას ჰკარგავდა და რას იძენდა დროთა ვითარებაში? რის მიხედვით შეიძლება შეფასდეს მის მიერ განვლილი გზა? კითხვები მრავალია.

არ იციან რა ზუსტი პასუხები, ადამიანები მრავალ თვალსაზრისს აყალიბებენ. ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ლმერთის მიერ მისი შექმნა. ერთი პერიოდი, გავრცელება დაიწყო დარვინის ევოლუციური განვითარების თეორიამ. მოხდა უცნაური შეცდომა... დარვინის თეორია გაიგეს, როგორც უშუალოდ მაიმუნიდან ადამიანის წარმოშობა. შესაბამისად გაჩნდა კითხვა: რატომ ახლა არა ხდება მაიმუნის გაადამიანება? თეორია ამბობდა მაიმუნის მსგავს არსებაზე. ადამიანებმა კი თეორია გაამაიმუნეს და არარაობამდე დაიყვანეს. ამან წარმოშვა ახალი შეხედულების შესაძლებლობა. ძიებისას მივიდნენ ადამინების სხვა პლანეტიდან გადმოსახლების იდეამდე.

მომავალში სხვა ვარიანტის შემუშავებაც არაა გამორიცხული.

რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ისაა რომ ადამიანი, დროთა განმავლობაში და ვითარებით განპირობებული, იცვ-



ლებოდა ფიზიკურად და ვითარდებოდა გონებრივად. ამ გზით, ბოლო გამყინვარების დროს, იგი გარეგნულად ჩამოყალიბდა ისეთად, როგორც დღეს არის. გარდაქმნის დროს, მან შეინარჩუნა ძველი ადამიანის განვითარებული გონება და შექმნილი ცოდნა-ჩვევები. ამიტომ შეძლო, შედარებით მოკლე დროში მიეღწია არსებული წარმატებებისათვის.

დიდი წინსვლის მიუხედავად, ადამიანმა ვერ შეინარჩუნა წარსულის ნამდვილი ცოდნა. ამიტომ წვალობენ და ცდილობენ წარმოადგინონ, როგორი იქნებოდა წარსული, როდის რა მიღწევები იქნებოდა, დედამიწის რომელ კუთხეში, როდის და რა მოხდებოდა და სხვა. სიძნელეს ქმნის ისტორიული წარსულის ქრონოლოგიური შეუთანხმებლობა. აბსურდამდე მიდის მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის დაჭინებული მცდელობა, რაც შეიძლება დააძველონ და განადიდონ საკუთარი წარსული.

ორი ათასი წლის წინ დაიწყო და საყოველთაო აღიარება მოიპოვა, წელთა აღრიცხვის ახლად დაწყების დადგენამ: ზოგი ამას რომის იმპერატორ ოქტავიანეს უკავშირებს, ზოგიც ქრისტეს. მთავარია, რომ ახლად დაიწყო მოვლენების ქრონოლოგიური ათვლა: 1, 2, 3 მარცხნიდან მარჯვნივ და ასე ორი ათას წელს გადავცდით. სანაცვლოდ, რაც იყო ადრე, ის მოვლენები აისახა, როგორც ძველი წელთა აღრიცხვის კუთვნილება, მხოლოდ ათვლა დაიწყო პირუკუ ძველი წელთა აღრიცხვის 3, 2, 1 და ასე შეიძლება მსჯელობა ათასებზე. რაც უფრო შორეულია მოვლენა, მით დიდი წლებითაა დაშორებული დღევანდლობას.

მიჩნეულია, რომ ძველი წელთა აღრიცხვის 25-ე ათასწლეულში იყო ბოლო გამყინვარების აპოგეა (ყველაზე მკაცრი ყინვები). შემდეგ დაიწყო სწრაფი დათბობა და ძველი წელთა აღრიცხვის მე-10 ათასწლეულში, დედამიწაზე სიტბომ დაისადგურა. ეს ნიშნავს, რომ ამ დროისათვის, ადამიანს უკვე შეეძლო დასახლებულიყო ჩრდილოეთ მხარეებში. ამან ხელი შეუწყო ადამიანთა რაოდენობრივ ზრდას, მათ გაფანტვას დედამიწის ზურგზე, მრავალი ტომის და შემდეგ ეთნოსის ჩამოყალიბებას.



ასევე მიჩნეულია, რომ პირველი ცივილიზაციები (შუმერული, ეგვიპტური, კრეტა-მიკენური, მტკვარ-არაქსის, ინდური, ჩინური, თავის აღმავლობას ძველი წელთა აღრიცხვის (ძვ.წ.ა.) IV ათასწლეულში აღწევენ. ეს ცივილიზაციები დედამიწის სხვადასხვა მხარეებში არსებობდა, მაგრამ მათ შორის კავშირები არ გამოირიცხება. ეგვიპტის, შუამდინარეთის, მტკვარ-არაქსის, კრეტა-მიკენის კულტურები ტერიტორიულადაც ისე ახლოს იყო, რომ მათ შორის კავშირების არ არსებობა, წარმოუდგენელია. მით უფრო, რომ ტიგრ-ევფრატის, მტკვარ-არაქსის, მცირე აზიის, ბალკანეთის ნახევარკუნძულის მიდამოები მონათესავე თუბალ-მეშეხებით იყო დასახლებული. მატერიალური კულტურის შემორჩენილ ნიმუშთა გარდა, ამაზე ძველი წერილობითი წყაროები მიუთითებენ.

ქვ.წ. ა. III ათასწლეული

ძველი პერიოდის შესახებ წერილობითი ცნობები ძალზე მწირია. მათი მიხედვით რალობის წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია. ამას ემატება ძველი ენების და დამწერლობის უცოდინარობა. ზოგი ენის ან დამწერლობის მცდარად გაშიფრა კი შეიძლება იმ დრონის რეალობას უკუღმა ასახავდეს.

მკვლევარები ხშირად ახასიათებენ ამა თუ იმ ეთნოსს, მის ენას ისე, რომ არ იციან როგორი იყო იგი... იოლად ამბობენ, რომ ეთნოსის ენა ხათურიც იყო, ხეთურიც და ხურიტულიც. შეიძლება ხურიტების შთამომავლები კიდეც არსებობენ, მაგრამ როცა ენა მკვდარია, არაფერი იციან მის ბუნებაზე, მკითხაობას მიაგავს სურვილი, ამტკიცონ ხურიტულისა და ვთქვათ ჩვენი ენის შორეული ნათესაობა.

ის, რაც არაა დანამდვილებით მიჩნეული, მკვლევართა საკამათოა. აქ კი ის ითქმება, რაც დადგენილია.

მწირია წერილობითი ცნობები ძვ.წ.ა. III ათასწლეულში თუბალ-მეშეხების ცხოვრების შესახებ. ითქვა, რომ ამ პერიოდში მოხდა თუბალთა დაყოფა ტომთა გაერთიანებად და შედეგად



რვა ახალი სამეფო ჩამოყალიბდა.¹

სომხების ისტორიის მამამთავარი მოვსეს ხორენაცი ეხება მხოლოდ თუბალთა ჰაო-სიან (ჰაიკ-იან) ნაწილს და გაყრასაც თავისებურად ანგარიშობს. ლეონტი მროველი თუბალთა გაყრის თავის, უფრო დაზუსტებულ ვარიანტს გადმოსცემს. გარდა იმისა, რომ ახასიათებს რვავე სამეფოს საზღვრებს, იმასაც ამბობს, რა გზით განვითარდა ქართ-ების (ქართლოსის) ქვეყანა.

შემონახული წყაროები ასევე მიუთითებენ ბაბილონელთა და ასურელთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შესახებ. დაახლოებით ძვ.წ.ა. 2300წ. განეკუთვნება ცნობა ასურეთის მრისხანე მეფის სარგონ I ბრძოლებზე ჩრდილოეთის მაცხოვრებლებთან, ასურეთის ჩრდილოეთით კი, იმ დროს მხოლოდ თუბალთა ტომები მოსახლეობდნენ.

საინტერესოა ის ინფორმაციაც, რომელიც თუბალი ლეკოსელებისა და თუბალი კავკასიანებს მიერ კავკასიონის ჩრდილოეთით ტერიტორიების ათვისებას ეხება.

მუშეხები, თავის მხრივ ასევე იყოფიან ტომთა გაერთიანებებად და ბოლოს ქმნიან ქალაქ-სახელმწიფოებს. თუ არა ტომთა პერიოდული გაერთიანება, ხეთების ქვეყანა ძნელად წარმოიდგინება: სხვანაირად გაუგებარია, მასთან მებრძოლი დიდი სამეფოები, რატომ გაურბიან მის ხსენებას. თავად ხეთა-სახელმწიფოს სახელი სხვათა მიერაა შერქმეული. ისე კი მიჩნეულია, რომ ხეთის გაერთიანება, სწორედ ძვ.წ.ა. III ათასწლეულში იღებს სათავეს.

ამავე პერიოდს განეკუთვნება პელაზგიური ტომების ცივილიზაციის აყვავება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის აუზის კუნძულებზე და კუნძულ კრეტაზე.

1. ამ საკითხს ეხება ავტორის მცირე ნაშრომი „გაყრა“.



ქვ.წ.ა. II ათასწლეული

კაცობრიობამ შეინარჩუნა ძველი დამწერლობის ნიმუშები, რომელთა გაშიფრა – ნაკითხვა დღემდე ამოუხსნელ პრობლემას წარმოადგენს, ცდა მათ ახსნას არ აკლია, მაგრამ არც შეცდომით ნაკითხვა გამოირიცხება. კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილია დამწერლობის ნიმუში, რომელსაც ვერაფერი მოუხერხეს. გაშიფრულად მიაჩნიათ ხეთური დამწერლობა, მაგრამ რამდენად სწორია ახსნა? როცა არ იციან ენა და ამ ენაზე დამწერლობის ნიმუშებს „კითხულობენ“, რამდენად დამაჯერებელია ამოკითხულის შინაარსი? ამიტომ რთულია ქვ.წ.ა. II ათასწლეულის იქითა მოვლენებზე მსჯელობა.

შედარებით კარგადაა შესწავლილი და მომავლისათვის გადაცემული ინფორმაცია ქვ.წ.ა. II ათასწლეულის მოვლენების შესახებ. შეიძლება ინფორმაცია მინიშნების, მითებისა და ლეგენდების ფორმით იყოს, მაგრამ კრიტიკული გააზრების მეშვეობით აუცილებელი ცნობების მიღება შეიძლება. მით უფრო თუ ამ ცნობებს არქეოლოგიური მასალაც ამყარებს.

თუბალ-მეშახტა არეალში, ცნობას ერთიანობის დარღვევისა და დამოუკიდებელი ერთეულების ჩამოაყალიბების შესახებ, მტკიცე საფუძველს უქმნის არქეოლოგიური მონაცემები. ესაა დასკვნა ერთიანი მტკვარ-არაქსის კულტურის დაქვეითების შესახებ კავკასიონის სამხრეთში და მისი ელემენტების აღმოცენების შესახებ ჩრდილოეთში. ამასთან, კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღნიშნავენ სამხრეთ-აღმოსავლური ელემენტების გავრცელებას, ხოლო ჩრდილო-დასავლეთში კოლხურის სახელით ცნობილი კულტურის გაგრძელებას. ასე რომ ლეონტი მროველის მიერ აღწერილი სურათი თუბალთა ერთობის რღვევასა და კავკასიონის ჩრდილოეთში რიგი ტომების გადასვლის შესახებ, თავის მატერიალურ დადასტურებას პოულობს.

კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეებს თუბალთა ტომების სამი გაერთიანება ფლობდა: ლეკოსელები, კავკასიანები და ეგროსელები. დღემდე დაუდგენელია, რა სივრცეს იკავებდნენ



ლევოსელები და კავკასიანები (კავკონები). რამდენადაც მდ. ვოლგამდე მუდმივად მაცხოვრებელი არავინ იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ საკმაოდ დიდი ფართობი აითვისეს. ერთი ინფორმაცია, რაც ცნობილია, ეხება ძვ.წ.ა. XIII საუკუნემდე გადახდილ ომს. ცნობაში აღნიშნულია, რომ ძალზე ძლიერი მომთაბარე ძალა დაესხა თავს თუბალებს. იმდენად ძლიერი, რომ საჭირო გახდა სამხრეთელი თუბალების მიხმარება. საერთო ძალით თუბალებმა დაამარცხეს და განდევნეს მომხდურები და გაამაგრეს საზღვრები. როდის მოხდა ეს ბრძოლები, უცნობია. ინფორმაცია გვეუბნება, რომ ეს იყო ბევრად ადრე, ვიდრე ეგვიპტიდან ამოსული ებრაელები ზღვას გაივლიდნენ.

კიდევ ერთი საინტერესო ვარაუდი. ვინ იყვენ ეს მომხდურები ან მარცხის შემდეგ საით წავიდნენ უცნობია. საინტერესოა, რომ იმავე პერიოდში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მოხდა თანამედროვე ბერძნების წინაპრების, დორიელების შესევა. შეიძლებოდა თუ არა კავკასიონის ჩრდილოეთიდან განდევნილი ტომები უკან გაბრუნებულიყვნენ და მდ. დუნაის გადალახვის შემდეგ ბალკანეთში შეჭრილიყვნენ? ვარაუდი შეიძლება, მტკიცება კი მკითხაობას დაემგვანება.

თუბალები ტომების მესამე გაერთიანება, რომელიც კავკასიონის ჩრდილოეთს ფლობდა, იყვნენ ეგროსელები, არავინ სხვა, გარდა ეგროსელებისა, სადაც დაწყებული იყო სვანური ენის გამოყოფა დანარჩენი მასისაგან.

ინფორმაციის თანახმად, ეგროსელები ფლობდნენ შავი ზღვის პირეთს დღევანდელი ტრაპიზონიდან, ჩრდილოეთით ანაპის კონცხის ჩათვლით. ინფორმაცია ამბობს, რომ ეგროსელების ტერიტორია ვრცელდებოდა კავკასიონის „წუერის წარწურთები“-ს ადგილამდე და მდ. ყუბანამდე (მდინარე მცირისა ხაზარეთისა). ამ მხარეში არსებული ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ადასტურებენ ინფორმაციის სანდოობას.

ასეთ დიდ ტერიტორიას ერთი ტომი ვერ დაიკავებდა. ისტორია ცხადყოფს ტომთა სიმრავლეს, რომელთა საერთო სახელწოდებაა ეგროსელობა.



იმავე ათასწლეულში ეგროსელთა სივრცეში მოხდა მოვლენები, რომელთა შესახებ ცალკე უნდა იქნეს მოთხრობილი. აქ კი ის ითქმება, რომ რაკი ინფორმაცია არაფერს ამბობს ლეკოსელთა, კავკასიანთა, ეგრისელთა დანაწევრების შესახებ, იგულისხმება, რომ ისინი კვლავ ინარჩუნებდნენ შინაგან ერთიანობას.

რა გზით და რა პროცესებით წარიმართა ჰერების, მოვაკნელებისა და ბარდოსელების ტომთა გაერთიანებების განვითარება, უცნობია. არის ინფორმაცია, რომ მოვაკნელ-ბარდოსელები (მომავალი ალბანელები), ბევრად გვიან, მიიჩნევდნენ თავს ბალკანეთის ნახევარკუნძულის, თესალიის მხარედან წამოსულებად. არ არის გამორიცხული, ძვ.წ.ა. XII-X სს., ბალკანეთიდან წამოსული ლტოლვილები ამ მხარეებშიც ჩასახლებულიყვნენ.

სამხრეთში არსებობდა თუბალ-ჰაოსელთა ვრცელი სივრცე. მდ. არაქსის მარჯვენა მხარიდან ასურეთამდე და ვან-ურმიის ტბებიდან ხმელთაშუა ზღვამდე იყო გაჭიმული მათი სამფლობელო. ბუნებრივია ამ ტერიტორიაზე მრავალი ტომი იცხოვრებდა. ამ ტომთაგან იქმნებოდა და იშლებოდა ცალკეული გაერთიანებანი, მცირე და საშუალო სიდიდის სამეფოები. მათ შესახებ ცალკეული ცნობები არსებობს, მაგრამ მთლიანი ისტორიის აღდგენა შეუძლებელი ხდება. არის საუბარი მითანის, ჰაიასა-აცის სამეფოების არსებობის შესახებ, მაგრამ დანამდვილებით თქმა რთულია. ასევე არის ცნობა ამ მხარეში და დასავლეთი კავკასიაში ეგვიპტის ფარაონ სესოტრისის ლაშქრობის შესახებ. უფრო მეტი. ჰეროდოტე წერს ფარაონის მიერ ჯარის ნაწილის კოლხეთში ჩასახლების თაობაზე. თან დაურთავს ინფორმაციას, კოლხებსა და ეგვიპტელებს შორის, არსებულ საერთო გარეგნულ-ფიზიკური და ადათ-ჩვეულების შესახებ.¹

1. სწორედ ამ ინფორმაციას ეფუძნებოდა თანამედროვე აფხაზთა დიდი კორიფე დიმიტრი გულია, როცა ამტკიცებდა აფხაზთა აბისინური წარმოშობის შესაძლებლობას. ჰეროდოტე არ იყო ისეთი მემატიანე, რომელიც ინფორმაციის უქონლად დაიწყებდა წარსულის სურათების გადმოცემას.



ყველაფერთან ერთად, საგულისხმოა ასურელ მეფეთა წარწერებში მითითებული ცნობა ტაბალთა (თუბალებს ისინი ტაბალებს უწოდებდნენ) 24 მეფისაგან საჩუქრების (ხარკის) მიღების შესახებ. სულაც არაა არარეალური ჰაოსიან თუბალთა (ტაბალთა) შორის ორი ათეული წვრილი სამეფოს არსებობა. შეიძლება ყოფილიყო ცალკეულ ტომთა ან რამდენიმე ტომის გაერთიანების გზით შექმნილი სამეფო. ჰაოსიან ტომთა ერთობის რღვევა და მცირე ზომის სამეფოების ან სულაც ქალაქ-სახელმწიფოების აღმოცენება – მოსპობა ბუნებრივი განვითარების შედეგი იქნებოდა.

ამ მხარეში ძვ.წ.ა. XIV საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას ტომთა დიდი გაერთიანება, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ მძლავრ იმპერიად გვევლინება. იქ მაცხოვრებელთა თვითსახელია ბიანილი, მსოფლიო მას ურარტუს სახელით იცნობს.

ურარტუელებისაგან დასავლეთით, დაახლოებით იმავე პერიოდში იქმნება დიაუხად (ტაოხად) წოდებული ტომთა გაერთიანება. მის შემადგენლობაში უნდა იგულისხმებოდნენ თუბალებთან ერთად მეშხებიც. მათი შერეული მოსახლეობა.

არც დიმიტრი გულია იყო ისეთი მიაბიტი, რომ გარკვეული საფუძველის უქონლად განევიტარებინა თვალსაზრისი.



ქართლოსის სამეფო

პირველი ქართული სამეფოს დაფუძნება ძვ. წ. ა. III ათასწლეულში მოხდა. ამასთან, იმის მიხედვით, როგორ იანგარიშება წყაროებში გადმოცემული ფაქტები, შეიძლება დაფუძნების ვადა ძვ.წ.ა. III ათასწლეულის დასაწყისით ან ბოლო პერიოდით განისაზღვროს. ყოველივე დაკავშირებულია არითმეტიკულ გაანგარიშებასთან.

უძველესი პერიოდის შესახებ სამი წყარო მოგვითხრობს: „ბიბლია“, სომეხი მოვსეს ხორენაცი და ქართველი ლეონტი მროველი. სხვა ინფორმაცია, რაც „უნმინდურ“ წიგნებში (კირბებში) მოიპოვებოდა, ქრისტიანულმა მღვდელთმსახურებამ „იმსხვერპლა“.

წყარო მიუთითებს, წინა აზიაში ადამიანთა სამი ჯგუფის ჩამოყალიბებაზე: იაფეტები, ქამიტები და სემიტები. „ბიბლიაში“ მოცემული სამივე ჯგუფის ეთნარქთა ჩამონათვალი. ამასთან, სრული სია მხოლოდ სემიტებისაა. ეს სია სემიდან მოყოლებული აბარამამდე ყველა ეთნარქის სახელს და ასაკს ასახელებს.

ისტორიულად დადგენილად ითვლება, რომ აბრამი (შემდეგ, როცა ებრაულთა მამამთავარი გახდა – აბრაამი) დაიბადა ძვ.წ. ა. 1813 წ.

აბრაამიდან სემამდე რამდენი თაობა იყო და რომელ ეთნარქს რა ასაკში ეყოლა მემკვიდრე, დანვრილებითაა მიცემული. სემის ხაზი ქრონოლოგიურად დადგენილია.. შესაბამისად, თუ ვიცით სემიდან მეოთხე ეთნარქი რომელ პერიოდში ცხოვრობდა. პარალელურად იაფეტიდან ეთნარქთა მეოთხე თაობის ცხოვრების პერიოდის დადგენაც შეიძლება, ასევე შეიძლება დადგინდეს თარგამოსის სამფლობელოს რვა ნაწილად გაყოფის მიახლოებითი თარიღი.

მტკიცება, რომ თარგამოსის (თოგარმას) ასაკით და დამსახურებით (სიძლიერით) მეორე მემკვიდრე ქართლოსი იყო, მოცემულია ლეონტი მროველის მიერ დანატოვარ ქართლის ცხოვრებაში.



ობიექტურმა აუცილებლობამ განაპირობა თუბალთა მოდგმის შიგნით ტომთა რვა გაერთიანების ჩამოყალიბება, რომელთა ურთიერთობის დარეგულირება, მროველის მტკიცებით, თარგამოსს მიეწერება.

სიძლიერით და დამსახურებით ქართთა ტომთა გაერთიანება თუბალთა შორის ცენტრალურ ადგილს იკავებდა. შესაბამისად, მათი ტერიტორია ასე განისაზღვრა: „... აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისა¹, დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ლადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასიანსაგან და მოჰკიდავს წუერთ დასასრულსა ლადოსა, რომელსა ან ჰქვან ლიხი“. (ქართლის ცხოვრება, ტ.,თბ., 1955, გვ.4-5).

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართ-ქარდუხები თუბალთა სამოსახლოს სამხრეთში ცხოვრობდნენ. მოსახლეობის მატებისა და ტომთა გაყოფის გზით, ქართველს ჩრდილოეთით დიდი ტერიტორიის დაკავება მოუხერხებიათ.

თუბალთა შორის ტომობრივი დაყოფა ყოველთვის იყო, მაგრამ ტერიტორიული გამიჯვნა ძვ.წ. ა. III ათასწლეულში მოხდა. ერთიანი მმართველობა ირღვევა ქართველი ცალკე სამეფოს ქმნიან. ისევე, როგორც ცალკე სამეფოებად ყალიბდებიან დანარჩენი შვიდი გაერთიანების ტომები.

არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, რომ ერთიანი მტკვარ-არაქსის ცივილიზაცია სწორედ ამ პერიოდში განიცდის დაკნინებას და მისი გაგრძელება ჩრდილოეთ კავკასიაში ჩნდება.

ქართველის ტომთა გაერთიანების გამოყოფა და ცალკე ერთეულად ჩამოყალიბება არ იქნებოდა ხანმოკლე და უმტკივნეულო პროცესი. იქნებოდა ნებაყოფლობითი თუ იძულებითი მიგრაცია, შერეული მოსახლეობის ჩამოყალიბება. წინააღმდე-

1. მდინარე ბერდუჯისა – ამჟამად ეწოდება ძეგამ ჩაი და მდებარეობს აზერბაიჯანში, ქალაქ განჯის დასავლეთით.



გობების გადალახვის გარეშე საქმე ვერ მოგვარდებოდა. ამას ადასტურებს ისტორიული ცნობა, რომლის თანახმად, მოსულ ქართველს (იბერებს), აქ მთის იბერები დახვდნენო, რამდენადაც იბერები მთლიან კავკასიელ თუბალებს ეწოდათ, შეიძლება მთის იბერებში კავკასიანები იგულისხმებოდნენ.

ქართველმა დიდი ტერიტორია დაიკავეს მდ. ბერდუჯიდან და ჰერეთიდან მოყოლებული შავ ზღვამდე. ცხადია, ყოველ ტომს თავისი ბელადი (მეფე) ეყოლებოდა, მაგრამ საერთო ხელმძღვანელობაც, სამხედრო-პოლიტიკური მმართველობაც აუცილებელი იქნებოდა.

მტკიცებულება არ არსებობს, მაგრამ სავარაუდოდ ქართველის ადმინისტრაციული ცენტრის დაფუძნება ჩრდილოეთით, მტკვრისა და არაგვის შესართავთან უსაფრთხოების საკითხთან იქნებოდა დაკავშირებული. თუბალთა მოდგმა სამხრეთიდან ბაბილონისა და ასურეთის მუდმივი საფრთხის პირობებში ცხოვრობდა. ჩრდილოეთით კი (კავკასიონის ჩრდილოეთით) მუდმივი მაცხოვრებელი მდ. ვოლგამდე არ ჩანდა. შესაბამისად თუბალებმა ჩრდილოეთს მიმართეს. ლეკოსიანები და კავკასიანები მთაგრეხილის იქით დაბლობების ათვისებას შეუდგნენ. ქართველთა თუ იქით აიღეს გეზი, ცენტრალური მმართველობაც რომ გადაეტანათ საკვირველი არაა.

მროველის მონუმობით ქართთა დაფუძნებასა და ადმინისტრაციულ მონყობას ეთნარქი ქართლოსი ედგა სათავეში. „და ესე ქართლოს მივიდა პირველად ადგილსა მას, სადა შერთვის არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა... და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თვისი“...(გვ.8.).

ქართველმა სამეფოს მხარეების მონყობა და გამაგრება დაიწყო. ააშენეს ციხე-სიმაგრეები და ქალაქები. ქართლოსს მიენერება სამშვილდისა (ორბისა) და ხუნანის (მტუერის ციხის)¹ მშენებლობა. ხუნანის ციხე-ქალაქი აღმოსავლეთიან კეტავდა საზღვარს და განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა.

1. ხუნანი დღევანდელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა.



ქართლოსის მეფობის პერიოდში ქვეყანა ერთიანობას ინარჩუნებდა, რაც მისი მემკვიდრეების დროს დაირღვა. ქართთა ქვეყანა ხუთ ნაწილად გაიყო. მემკვიდრეები ამ პროცესს ასე გადმოსცემს: აშენდა ბოსტან-ქალაქი (რუსთავი) და დედაციხე, რითაც ქვეყნის ცენტრი იქნა გამაგრებული. ამასთან ერთად მთელი ტერიტორია ამგვარად დანაწილდა. ქართლოსის მემკვიდრე გარდაბოსს მიეკუთვნა ხუნანი და მდ. ბერდუჯის მარცხენა მხარე ქ. გაჩინამდე. გაჩინოსს მიეკუთვნა სამშვილდე და ტერიტორიები აბოცის მთამდე. თავად გაჩინოსმა კი თავისი სახელობის ქალაქი ალაშენა. კუხოსს მიუზომეს ქ. რუსთავი მიმდებარე ტერიტორიებით ჰერეთამდე. კახოსს დაუმტკიცეს დიდი მხარე კავკასიონის მთასა და გარდაბოსის მამულს შორის და აღმოსავლეთით ტყეებამდე (შემდგომი პერიოდის ხილხალა, ფილფალა). ეს ადგილი ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მინგეჩაურის წყალსაცავს უკავია. რაც შეეხება ქართლოსის უფროს მემკვიდრე მცხეთოს, იგი განაგებდა ტერიტორიას არაგვიდან შავ ზღვამდე. ამავე დროს წარმოადგენდა „უფალს“ დანარჩენი ძმებისა.

მეისტორიის ეს მონათხრობი ასახავს ძვ.წ.ა. III ათასწლეულის პირველი ნახევრის მდგომარეობას ქართთა მხარეში. იგი ცხადყოფს, რომ დაფუძნებული იქნა ქართლის სამეფო, რომელიც მალე დაიყო ცალკეულ მხარეებად. თვითეულ მხარეს ჰყავდა გამგებელი, მაგრამ მთლიანობაში სამეფო ინარჩუნებდა ერთობას. ქვეყნის მმართველს გამგებელი და უფალი ეწოდებოდა. არსებითი სახელი კი არა, მისი უფლებამოსილება იყო. ქართველებისათვის უფალი უმაღლესი პატივისცემის გამომხატველია.

მემკვიდრის მიერ დახატული ეს სურათი, სხვა არაფერია თუ არა ერთიანი სამეფოს დანაწევრება.

მემკვიდრე არ ამბობს სამოქალაქო ომის, შიდა ჭიდილის შესახებ. მაგრამ სხვანაირად როგორ გავიგოთ „ძმათა“ შორის ქვეყნის დანაწევრების გრძელი პროცესი, თუ არა ბრძოლა პირველობისათვის?



აბა ჩავუკვირდეთ ასეთ ცნობას: „ხოლო ვითარ მიკუდა მცხეთოს, ძე ქართლოსისა, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და კვდომად ურთიერთას“. (გვ.10.)

ეს მინიშნებაა ერთიანი სახელმწიფოს (სამეფო) დაშლისა და ცალკეული სამფლობელოების დამკვიდრებისათვის ბრძოლაზე.

მემატიანე ყურადღებას ამახვილებს მცხეთის, როგორც ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობაზე. მცხეთოსს ჰყავდა საკუთარი ძენი: უფლოსი, ოძროხოსი და ჯავახოსი. ამის და მიუხედავად, პირველობისათვის, სხვანაირად მეფობისათვის, ბრძოლაში ჩაებნენ დანარჩენი ქართლოსიანებიც. სამოქალაქო ომი ხანგრძლივი გამოდგა. ბოლოს მშვიდობამ იმ პირობით დაისადგურა, რომ მცხეთას მყოფი მმართველი, სხვებისა არც მეფე იქნებოდა და არც ერისთავი. დაწესდა მამასახლისის თანამდებობა. იგი მომარიგებელ-მოსამართლის ფუნქციას ითავსებდა და „იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა“ (ქართლის ცხოვრება, გვ.11.)

ცენტრალური მმართველობის გაუქმება, მამასახლისის თანამდებობის შემოღება, სამოქალაქო დემოკრატიული მმართველობისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. იგი არ ატარებდა ერისთავის ან მეფის ფუნქციებს ანუ არ იყო სამხედრო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. ამავე დროს, შეესატყვისებოდა ეპოქის მოთხოვნებს და შეძლო დიდი დროის მანძილზე შეენარჩუნებინა არსებობა.

პოლიტიკური ცხოვრების მონესრიგება სულიერ (რელიგიურ) ურთიერთობებზეც აისახა. მროველის თქმით გადაიდგა ნაბიჯი, რომელიც ღმერთთა რთულ სისტემას მოაწესრიგებდა. უზუნაეს ღვთაებად მიჩნეული იქნა მზის და მთვარის კულტი და მასთან ერთად ვარსკვლავთა ხუთეული (ქ.ც. გვ.11).

ერთიანი ენა (ქართთა დიალექტი), და რწმენა, ხელს უწყობდა ქალაქ-სახელმწიფოებად დაყოფილ ტომთა ერთობას. ქალაქები კი მრავლად იყო: მცხეთა, უფლისციხე, რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, კასპი, ურბნისი, თუხარისი, ხელთვისი, ოძრხე, წუნდა. დაქსაქსულობის ასაცილებლად მიჩნეული იყო, რომ კოორდინაციას მცხეთის უფალი მამასახლისი განეევდა.



ეგროსის სამეფო

ქართვების ქვეყნის უშუალო მეზობელი ეგროსის კუთვნილი მხარე იყო. ერთადერთი წყარო, რომელიც სამეფოს წარმოშობას შეეხება, ლეონტი მროველის მიერ შედგენილი ისტორიაა.

მროველის მიხედვით, ეგროსის სამეფო, სამი მხრიდან მთებით იყო შემოსაზღვრული. სამხრეთიდან მას მესხეთის მთები საზღვრავდა, აღმოსავლეთიდან ლიხის მთა, ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედი და მდინარე ყუბანი (მდინარე „მცირისა ხაზარეთისა“), დასავლეთით შავი ზღვა (სპერის, პონტოს ზღვა).

სამეფოს ჩრდილოეთითა დასაზუსტებელი. მროველი ასე ბრძანებს: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურსა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვიან ლიხივ, დასავლეთით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ (ქ.ც. გვ.5.).

არაა აზრთა ერთობა სად „წარსწუთების წუერი“ კავკასიისა. ასევე სადაა, „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“. მდინარე ყუბანია თუ ნოგოფსუხო. კავკასიის მთაგრეხილს მრავალი „წუერი“ აქვს. იალბუზი – განა „წუერი“ არაა? აზრი ბევრნაირად გამოითქმება, მაგრამ ვინც ანაპის კონცხს იხილავს, დარწმუნდება, რომ მროველს ეს „წუერი“ აქვს მხედველობაში. მის მახლობლად კი მდინარე ყუბანის მარცხენა ტოტი ჩამოდის. ამას ემატება ცნობილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიერ ამ მხარის აღწერილობა და ეჭვი იფანტება, რომელ „წუერზე“ და მდინარეზე მიუთითებდა მროველი.

სამხრეთით მესხეთის მთებიდან და ტრაპიზონის მიდამოებიდან ანაპის კონცხამდე და მდ. ყუბანამდე დიდი ტერიტორია გამოდის.

იმავე მროველის მტკიცებით, ეგროსის სამეფო იმავე პერიოდში, ძვ.წ.ა. III ათასწლეულში, დაფუძნდა, რომელშიც შეიქმნა ქართვების, ჰერების, კავკასიანების და სხვა სამეფოები.

ამავე დროს, ხაზგასასმელია ის რეალობა, რომ რვავე სამეფო თუბალური წარმომავლობის ტომებმა შექმნეს. ეგროსელები ისეთივე თუბალები იყვნენ, როგორც ლეკოსელები, კავკასიანები, ბარდოსელები და სხვ. არის თვალსაზრისი, რომ



ეგროსელებამდე ამ ტერიტორიაზე შეიძლება მეშეხები სახლობდნენ და დასავლეთით გადაადგილების დროს მათი რაღაცა ნაწილი დარჩა.

კიდევ ერთი მოსაზრება. ეგროსელები თუბალური წარმოშობის ტომები იყვნენ, ისევე, როგორც ქართველები, ჰაოსიანები, კავკასიანები, მაგრამ ერთობის გარდა მათ შორის სხვაობაც იყო, მიღებულია აზრი, რომ სვანები (სანიგები) უკვე განსხვავდებოდნენ დანარჩენი ეგროსელებისაგან.

ამ მახასიათებლების გარეშე ეგროსელთა სამეფოზე მსჯელობა არასრული იქნებოდა.

სამწუხაროდ, მრაველი მხოლოდ ქართლოსსა და მის შთამომავლობას ასახელებს. ვინ იყვნენ ეგროსის მემკვიდრეები, ისტორიისათვის უცნობია.

სანაცვლოდ ფართედაა მიმოხილული ეგროსის მხარე ანტიკური პერიოდის მწერალ-ისტორიკოსებისაგან. ამასთან ეგროსის მხარეს ისინი კოლხიდის სამეფოს უწოდებდნენ.

კოლხეთის მხარე, კოლხიდის სამეფო, საყოველთაოდ ცნობილი და მძაფრი ინტერესის მატარებელია. რატომ უწოდებდნენ ასე ეგროსის კუთვნილ მხარეს და სამეფოს, ესაც დასაზუსტებელია. აქ მცხოვრებელ ტომებს შორის ანტიკური პერიოდის ავტორები კოლხებს, კოლებს, კორაქსებს ასახელებენ. იყო ასევე კოლის მთები. შეიძლება კოლხები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებულ კორინთოს ქალაქ-სამეფოსაც უკავშირდებოდეს: კორინთელები, კორინხელები, კოლხები... შეიძლება კორინთოდან გადმოსახლებულების მიხედვით უწოდეს კოლხები? შეიძლება პირიქითაც. მეშეხებს შორის, რომელნიც დასავლეთით გადასახლდნენ, იყვნენ კოლხური ტომის წარმომადგენლებიც. თუ კავკასიანებმა შექმნეს დასახლება პაფლაგონიაში და ბალკანეთში, სხვა ტომებსაც შეეძლოთ იგივე.

ეგროსელთა წარსული ანტიკურმა მწერლობამ შემოგვიანახა, მითებისა და ლეგენდების საყურადღებო ნაწილად აქცია. დაკვირვებით შესწავლის გზით, შესაძლებელია ზღაპრული ჩენჩოს ჩამოცილება, და რეალური სურათის წარმოდგენა.



დარღანიღები

მკვლევარებისათვის დადგენილად ითვლება იაფეტიდების მოდგმის არსებობა წინა და მცირე აზიის, კავკასიისა და ბალკანეთის მიდამოებში. ერთი ეგაა, რომ იაფეტს დასავლეთში იაპეტს უწოდებდნენ. მიაჩნდათ, რომ იაპეტის ძე იყო ტიტანი პრომეთე. პრომეთეს ჰყავდა ძე დევკალიონი. როდესაც ზევსის ბრძანებით პრომეთე კავკასიონის მთებში კლდეს მიაჯაჭვეს, დევკალიონი ყოველ წელს ჩამოდოდა მამის სანახავად და სამკურნალოდ.

დევკალიონი პელაზგების მამამთავარია. მას პირველი ცოლისაგან ჰყავდა ვაჟები დარდანი და იასიონი. მეორე ცოლი რომ მოიყვანა, ქალს ორი ვაჟი (გერები) მოჰყვნენ. ისტორია ამ ფაქტს იმიტომ ასახავს, რომ აღნიშნოს, გერები უცხო ტომის წარმომადგენლები იყვნენ.

დარდანი დევკალიონის ძე მიჩეულია კორინთოს პირველ მეფედ. კორინთოს ცენტრალური ადგილი ეკავა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებს შორის და პრაქტიკულად აკონტროლებდა ორივეს. ამავე დროს მის მამულში იყო მთელ მხარეში (სა-პე ლაზ-გოში) განთავსებული დელფოს სამისნო. იქვე იყო ომფალოს ქვა.¹

ამრიგად, დარდანს, ქვეყნის განაწილების დროს, უაღრესად მდიდარი და მნიშვნელოვანი მხარე ერგო, ასევე მდიდარ მხარეს დაეუფლა მისი ძმა იასიონი. რაც შეეხებათ დევკალიონის მეორე ცოლს მოყოლილ გერებს, ელინს ერგო მაგნესიის მეფობა, ამფიქტიონს კი თერმოპილესი.

ლარიზმა გერებმა მდიდარი ძმების ქონებისა და სამფლობელოების მიტაცება მოინდომეს და ბრძოლა-ძარცვის გზით, მიზანსაც მიაღწიეს. გერებმა იასიონი (ქალაქ ორქომენის მეფე) მოკლეს. მისმა ვაჟმა კუნძულ მაკრისს (ევბეას) შეაფარა თავი და აბანტთა მოდგმის მოთავე გახდა.

1. გადმოცემის თანახმად, ლმერთების მეფე ზევსმა, მოისურვა მსოფლიოს ცენტრის დადგენა. ორ არწივს უბრძანა ეფრინათ ქვეყნიერების დასასრულამდე. ერთს აღმოსავლეთით, მეორეს დასავლეთით. უკან მობრუნებული არწივები ომფალოს ქვასთან შეხვდნენ. ამით „დამტკიცდა“, რომ ეს ქვა არის ქვეყნიერების ცენტრი. გასაგებია?



ბოლოს ელინი და ამფიქტიონი დარდანს მიუხტნენ და აიძულეს მომხრეთა თანხლებით გაქცეულიყო. ლტოლვილები დარდანელის სრუტით (სახელი მის საპატივსაცემოდ ეწოდა) მცირე აზიაში გადავიდნენ. იქ დარდანი ადგილობრივი ტომის, თევკრების მეფეს ჩაესიდა. ქალაქი დარდანი დაარსა (შემდეგ მას ტროა ეწოდა) და ახალ სამეფოს დაუდო სათავე, მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთით, იდის მთებში.


დარდანს, ახალი ცოლი ბატეა-საგან ეყოლა ვაჟი ერისთონი, რომელიც მამის შემდეგ მეფობდა... მეფე ერისთონს ცოლმა ასტიოქემ ორი ვაჟი გაუჩინა: ილი და ტროსი.

დრონმა მოიტანა და ერისთონის შემდეგ გამეფდა ილი. ბედის ტრიალს მეფეც ემორჩილება. მოხდა გაუთვალისწინებელი, ილი უშვილო გამოდგა, მაშინ, როცა ძმას ტროსს ორი ვაჟი ეყოლა. ილი (ძმის სახელი) დაარქვა უფროსს.

მეფე ილიმ, ბრძნული გადანყვეტილება მიიღო. უშვილო, ქვეყანას დიდხანს ვერ ემსახურებოდა. ამიტომ გადადგა და მეფობა ძმას დაუთმო. თავად მომხრეებთან ერთად აღმოსავლეთით გაემგზავრა.

ილი აღმოსავლეთში ეგროსელთა ქვეყანაში მოხვდა. ეგროსელი ქალები განთქმულნი იყვნენ თავისი მკურნალობის ხელოვნებით. გადმოცემის თანახმად ილი ეგროსელთა მეფეს ჩაესიდა. ცოლმა პერიმედემ იგი განკურნა და მათ ეყოლათ ვაჟი მერმერო. ილი უკან ვერ დაბრუნდებოდა, ძმას მეფობას ვერ წაართმევდა. ამიტომ გადანყვიტა კორინთოში მეფობა დაემკვიდრებინა. ისარგებლა იმით, რომ კორინთოს მეფე სიზიფი (ცნობილი სიზიფი) გარდაცვლილი იყო და ილიმ საპელაზგოს მიაშურა. გადმოცემის თანახმად, შეძლო კორინთოს მეფობა მიეღო და კოლხეთთან ერთად ემართა.¹

1. ანტიკური დროის ავტორთა მოწმობით, მხოლოდ კუნძულ კრეტის და კოლხეთის მაცხოვრებლებს შეეძლოთ ისეთი გრძელი გემების აგება, რომელიც სრუტეთა დინების წინააღმდეგობას გადალახავდა. კოლხები იმ დროში განთქმული მეზღვაურები ყოფილან, შეიძლება ამიტომაც შემორჩათ მათ ზღვაოსნობის ქალღმერთ აფროდიტას სახელის მიხედვით – აფრა?



Вклад: <http://historicaldis.ru/blog/43697018202/Pervaya-tsivilizatsiya-Evropyi>



დარდანიდი ილის¹ შემდეგ კორინთოში მისი მემკვიდრე მერმერო გამეფდა. შემდეგ კი მერმეროს ძე აიეტი.

ძვ.წ.ა. III-II ათასწლეულებში ქალაქ – სახელმწიფოების არსებობა პროგრესული მოვლენა ყოფილა. ასე იყო შუმერებში, ასე იყო ქართთა შორის, ასე იყო საპელაზგოში. პელაზგისში ბევრი ქალაქი არსებობდა: კორინთო, აქტე (ათენა), ორქომენი, ტირინფი, თებე, მიკენი, სპარტა და ა.შ. ყოველ ქალაქ-სახელმწიფოს თავისი მეფე ჰყავდა.

აიეტი კორინთოსთან ერთად კოლხიდის მეფეც იყო. მამით მეშეხი (პელაზგი), დედით თუბალი – ეგროსელი, ორივე მხარეს წარმატებით განაგებდა, სანამ შემოსეულ მტრებთან არ დამარცხდა და დედულეთის სამეფოში არ გადაინაცვლა. მისი ერთი და, პასიფაე, კრეტის მრისხანე მეფის მინოსის მეუღლე იყო, მეორე დამ კირკეამ (კირცეამ) რომაელების აღმასვლას დაუდო საფუძველი. აიეტის ძმა პერსი ტავრის (დღევანდელი ყირიმის) მხარეში მეფობდა.

საპელაზგოში „უცხო ტომელებად“ წოდებული ადამიანები ეოლელების სახით გამოჩნდნენ. პირველად მათ მოახერხეს დარდანის კორინთოდან გაქცევა. აიეტის დროს მოვიდა ახალი წყება უცხოელებისა. სავარაუდოდ აქაველთა (ახეველების) სახით.

გარკვეული არაა ეოლელებისა და იონელების წარმომავლობა. ისიც კი დაუდგენელია, იყვნენ ისინი ინდოევროპელები თუ არა. ცნობა მათი უცხო ტომელობის შესახებ, არ ნიშნავს არც ინდოევროპელობას და არც ბერძნობას.

არსებითია, რომ აიეტი იძულებული გახდა საბოლოოდ ეგროსის ქვეყანაში (კოლხეთში) ჩასახლებულიყო და აქ გაეძლიერებინა ხელისუფლება.

ძვ.წ.ა. II ათასწლეულში, საპელაზგოში მომხდურთა ძლიერ ტალღას აქაველები (ახელები) შეადგენდნენ. დადასტურებულად ითვლება, რომ ძვ.წ.ა. XV საუკუნეში, ისინი ჯერ კიდევ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობდნენ. პელოპონესსა და

1. ილიდარდანიდს კორინთოს მეფობა დაახლოებით ძვ.წ.ა. 1575 წლისათვის უნდა დაებრუნებინა. ამის შესახებაა ავტორის ნაშრომი „ილი“.



კუნძულ კრეტაზე ისინი ბევრად გვიან გამოჩნდნენ. ისტორიას არ შემორჩა ბალკანეთში მათი შეჭრის ზუსტი თარიღი. ისაც საკამათოა, იყვნენ ისინი ბერძნული წარმომავლობის თუ არა.

პელაზგები ქალაქ-სახელმწიფოებად იყოფოდნენ. ყოველ ქალაქ-სახელმწიფოს თავისი მეფე ჰყავდა, თავისი ცხოვრების წესებით. ჰქონდათ ბევრი საერთოც. ისინი აღიარებდნენ მეხთამტყორცნელ ზევსს ღმერთების მეფედ და ჰერას დედოფლად.¹ მიაჩნდათ, რომ სხვა ღმერთებთან ერთად, ისინი ოლიმპოს (უღლუმბოს) მაღალ მთაზე ბინადრობენ და იქიდან განაგებენ ადამიანთა ავ-კარგს. დაბლა მიწაზე, ადამიანების მთავარი სალოცავი იყო დელფოს სამისნო, რომლის ქურუმები, რიტუალური ექსტაზის დროს ადამიანებს „ამცნობდნენ“ ღმერთების გადანყვეტილებას.

ინფორმაციის თანახმად, მშვიდობიანი ურთიერთობის კავშირში მყოფი მეფეები, მორიგეობით ზრდიდნენ ვერძს, რომელსაც ტანზე ოქროს საწმისი ეფარა. საწმისი იყო ძალაუფლების სიმბოლო და რელიგიური დანიშნულების ნივთი. საწმისიანი ვერძის ერთობლივი შეწირვით, მეფეები გარდაცვლილთა სულებს საიქიოში კეთილად მოსახვედრ გზას უხსნიდნენ.

აიეტის გამოდევნის შემდეგ, საპელაზგოში ქალაქ-სახელმწიფოთა და მეფეების ცხოვრება ჩვეულებრივ ქიშპობისა და ურთიერთობის ვითარებაში წარიმართა.

ვინ იცის, რა გზით წავიდოდა ისტორია, რომ არა ქალაქ ორქომენაში დატრიალებული მოვლენები. იქ ათამანტი მეფობდა. ჰყავდა ორი შვილი, ფრიქსე (ვაჟი) და ჰელე (გოგო), როცა ცოლმა მიატოვა მეორე ცოლად უცხოტომელი ინო მოიყვანა. ქალმა გერები ვერ იგუა და მათი დაღუპვა მოინდომა. ერთგულ მსახურებს საიდუმლოდ სათესლე ხორბალი მოახარშინა. როცა დათესეს, ცხადია ხორბალმა ვერ ივარგა. სამეფოში შიმშილობა დაიწყო. მიზეზის გასაგებად ცნობილ სამისნოში

1. უფრო ძველ დროში ჰერა ჰაერის ქალღმერთად ითვლებოდა. ღმერთების მესამე თაობის ბატონობისას მიაკუთვნეს მას ზევსის (მეხთა-მტყორცნი ღმერთის) მეუღლის პატივი. ბუნებაშიც ხომ ჰაერი და ჭექა-ქუხილი დაკავშირებული არიან?



მსახური გაგზავნეს. ეს იყო ინოს ერთგული მსახური. მან უკან ის პასუხი მოიტანა, რაც ინომ ისურვა: შიმშილობისა და ქვეყნის დაღუპვის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მეფის შვილების მსხვერპლად შეწირვა. ბრიყვი ათამანტი დაყაბულდა, მაგრამ ერთგულმა მსახურებმა ბავშვები გააპარეს და თან სანმისიანი ვერძი გაატანეს. მოხდა ისე, რომ ჰელე ზღვაში დაიხრჩო (ამიტომ ეწოდა მას ჰელესპონტი), ფრიქსემ კი კოლხეთს (ევრისს) მიაღწია და აიეტს მიეკედლა. აიეტმა, როგორც კორინთოს ყოფილმა მეფემ და დელფოს მრევლმა, უფლებამოსილების ფარგლებში, ვერძი ღმერთებს შესწირა (კოლხეთში და საპელაზგოში ღმერთების ერთი პანთეონი „ბატონობდა“), სანმისი კი დაიტოვა.

აიეტის სამეფო კარზე ფრიქსე დავაჟკაცდა, მეფის ასული ქლკიოპე ცოლად მოიყვანა და ოთხი ვაჟიც ეყოლათ: არგო, ფრონტისი, მელასი და კიტისორე.

გავიდა დრო. ფრიქსე დაიღუპა, შვილები დაიზარდნენ და მოინდომეს მამის კუთვნილი ორქომენის სამეფო ტახტის დაბრუნება.

შემორჩენილი ცნობების თანახმად, მათ ორქომენში ჩააღწიეს. იქ, პაპა ათამანტმა, პირობა წაუყენა: მეფობას დაუთმობდა იმ ბადიშს, რომელიც ოქროს სანმისს დააბრუნებდა. (სანმისის დაკარგვის შემდეგ, გარდაცვლილთა სულელები საიქიოში იტანჯებოდნენ და საჭირო იყო მათი დამშვიდება). სანმისის დაბრუნების საკითხი აქტუალური გახდა სხვებისთვისაც. ამ ნიადაგზე შეიკრიბა 50 რჩეული ვაჟკაცი, მაგრამ კოლხეთისაკენ (ევრისისაკენ) გზა არ იცოდნენ და არც ისეთი გრძელი გემის აგება შეეძლოთ, რომელიც ბოსფორის სრუტის დინებას (4-6 კმ.საათში) გადალახავდა. (ცნობილია, ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში მლაშე წყალი შემოედინება, პირიქით კი ნაკლებ მარილიანი ანუ უფრო მსუბუქი. შესაბამისად შავი ზღვის წყალი მაღალ ფენებშია მოქცეული. დინების სანჩინაღმდეგოდ ცურვა კი ძნელია). ცნობის თანახმად, მხოლოდ კოლხები (ევრისელები) და კრეტელები აგებდნენ ისეთ გრძელ და სწრაფ გემებს, რომელთაც დინების გადალახვა შეეძლოთ.



ბედად, საპელაზგოში იმყოფებოდნენ აიეტის ბადიშები, კოლხეთში (ეგრისში) გაზრდილ-ნასწავლებლები. უფროსმა, არგომ, ითავა გემის აგება და თავისი სახელიც უწოდა.

არგოს გემით პელაზგმა ვაჟკაცებმა იაზონის მეთაურობით ჩააღწიეს კოლხეთში და აიეტს ჩასვლის მიზანი გაუმხილეს. აიეტს ისეთივე უფლება ჰქონდა ოქროს საწმისის მფლობელობისა, როგორც სხვა მეფეებს. ამიტომ საწმისს იოლად ვერ დათმობდა.

გადმოცემის თანახმად, არგონავტებს საწმისის დაუფლებაში, აიეტის უმცროსი ქალიშვილი გრძნეულ-მკურნალი მედეა დაეხმარა. კოლხეთის (ეგრისის) სამეფო ოჯახის ქალები დახელოვნებული ყოფილან მკურნალობის რთულ საქმეში. აიეტის ბებიაც, ცოლიც და ქალიშვილიც ერთგულად მისდევდნენ ამ ხელობას.

ანტიკურმა ავტორებმა ბევრი ვარიანტი გაახმოვანეს თუ რატომ გადადგა მედეამ ეს ნაბიჯი. ბევრი ჯადოქრული და ტრაგიკული ამბავი მოიგონეს. სინამდვილე კი ის იყო, რომ აიეტი და მისი შვილები განიცდიდნენ კორინთოში მეფობის დაკარგვას და სურდათ დაბრუნება. არგონავტების ჩასვლა მედეასათვის იყო შესაძლებლობა, ემოქმედა ამ მიმართულებით. იგი დაეხმარა არგონავტებს საწმისის დაუფლებაში, მათი დახმარებით კი უნდა მოხვედრილიყო საპელაზგოში და ებრძოლა კორინთოს სამეფო ტახტისათვის. მედეამ მიზანს ნაწილობრივ მიაღწია. მამას კორინთო ვერ დაუბრუნა, მაგრამ აქ მისი შვილები გამეფდნენ.

არგონავტების, აიეტის, მედეას თავგადასავალი თავიდანვე დიდი ინტერესისა და განსჯის საგანი გახდა. თანამედროვე მკვლევარებიც არ არიან ერთსულოვანნი. ზოგს ძველი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოსა და არგონავტების ისტორია ფანტაზიის ნაყოფი ჰგონია, ზოგი იმეორებს საყოველთაოდ გავრცელებულ ზღაპარს ცხვრის ტყავის დანიშნულებაზე, თითქოს, მხოლოდ აქაური ცხვრის ტყავით იყო ოქროს შეგროვება შესაძლებელი. რაც შეეხება მედეას, საერთოდ არავინ ცდილა სინამდვილეში გარკვევას და დღემდე ვნებააშლილ ქალადაა წარმოდგენილი.



ყველა თავისი გაგების დონეზე იქცევა, მაგრამ რატომ არ უნდა აღდგეს შესაძლო სინამდვილე?¹

მას შემდეგ, რაც დადასტურდა ქალაქ ტროას არსებობა, ომის რეალობა, იქმოტიანილი ამბების ისტორიულობა, საჭიროა ძველი ეგრისის სამეფოსადმი დამოკიდებულებაც შეიცვალოს. მით უფრო, რომ ძვ.წ.ა. II ათასწლეულის ისტორიული მოვლენები ისედაც ძალზე მწირედ მოიპოვება.

არგონავტების ლაშქრობა თანაბრად ეხებოდა მეშეხების (პელაზგებისა) და თუბალების წარსულს და გაუცხოების გარდა მათ ახლობლობასაც აღნიშნავდა.

მისგან სხვაობით, ერთი თაობის შემდეგ გაჩაღებული ცნობილი ტროას ომი, უკვე მეშეხური წარმომავლობის ტომების ურთიერთობაზე მითითებაა. ძვ.წ.ა. XVI საუკუნისათვის გამქრალი იყო ნათესაობის შეგრძნება და წინა პლანზე სხვა მოტივები გამოდიოდა. არსებული, იმ პერიოდის ინფორმაცია, თუმცა აღნიშნავს ნათესაური კავშირების არსებობას ტროელებს, კრეტელებსა და კოლხებს (ეგრისელებს) შორის, წინააღმდეგობასაც ბუნებრივად მიიჩნევს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეგროსელები მართალია თუბალები იყვნენ, მაგრამ მეშეხთა ნაწილის იმ მხარეში დარჩენაც ვერ გამოირიცხება. ამას გარდა, ძნელია იმის უარყოფა, რომ ჯერ ილის, შემდეგ აიეტს კორინთოდან ბევრი გამოჰყოლოდა და დარჩენილიყო. ამ აზრს ამაგრებს გადმოცემებში შემორჩენილი ცნობები კუნძულ კრეტაზე აიეტის დის პასიფაეს დედოფლობის, ზევსის აღზრდაში კრეტელებთან ერთად კოლხების მონაწილეობის, ტროას მხარეზე მებრძოლთა შორის ჰალიძინების (ხალიბების) მონაწილეობის შესახებ და სხვა.

ჰომეროსი, როდესაც ომში ტროელების მოკავშირეებს ჩამოთვლის, ხაზს უსვამს პალიძინების, ლიკიელების, კარიელების ღვაწლს. ამ ტომებმა წილი მსხვერპლი გაიღეს არა

1. არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში, სავარაუდოდ ძვ.წ.ა. 1460 წ. ადრე მოხდებოდა. ამასთან დაკავშირებითაა ავტორის „აიეტი“, „მედია“ და „ტროა“.



საშოვარის, ნადავლის მიღების, არამედ მონათესავე ტომის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით.

ძველ ბერძნული წყაროები ბევრ და მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ მეშახური წარმომავლობის ტომების არსებობისა და ურთიერთობის შესახებ. ერთადერთი რაზეც ისინი სდუმან, არის ხეთის სახელმწიფოს არსებობა. ხეთა, როგორც დიდი იმპერია, როგორც სახელმწიფო, არსებობდა თუ არა? თავად ხეთური დამწერლობა, რამდენად სწორადაა გაგებული? ძვ.წ.ა. II ათასწლეულის მოვლენები, განხილულად ვერ ჩაითვლება თუ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარი ცვლილებები და მისგან წამოწყებული, ცნობილი „ზღვის ხალხების“ მცირე აზიაში შესევა არ იქნა მოხენიებული.



ზღვის ხალხები

ფრთხილი მოსაზრება გამოითქვა, რომ ჩრდილოეთკავკასიელ თუბალებს ძვ.წ.ა. XIII ს. დიდი ომები ჰქონდათ მომთაბარე ტომებთან. იმდენად ძლიერ მომხდურებთან, რომ სამხრეთელებიც მიეშველნენ და მოიგერიეს მტერი. ამასთან კავშირში ითქვა, ხომ არ იქნებოდნენ ეს ტომები ბერძენთა წინაპრები, დორიელები?


რეალურად კი ისაა ცნობილი, რომ დორიელები ძვ.წ.ა. XII საუკუნიდან იწყებენ საპელაზგოში შეჭრას და ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაკავებას. ისეთი ძლიერი და დაუნდობელი იყო შესევა, რომ საპელაზგიოს ქალაქ-სახელმწიფოებმა ვერ გაუძლეს. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა მცირე აზიაში გადასულიყო და ახალი სამშობლო ეძია.

ლტოლვილთა ტალღამ ააფორიაქა მცირე აზია და შეცვალა არსებულ ძალთა თანაფარდობა. მკვლევართა მტკიცებით ძვ.წ.ა. XII ს. „ზღვის ხალხმა“ დაასამარა ხეთის დიდი იმპერია. რა დაემართებოდათ მცირე სიძლიერის ტომებს და ტომთა გაერთიანებებს, რა წინააღმდეგობას გაუწევდნენ სიკვდილის შიშით ლტოლვილ, გამწარებულ მომხდურებს?

„ზღვის ხალხებმა“ მცირე აზია დაიკავეს და სავარაუდოდ ქართვებისა და ეგრების სამეფოებიც ტერიტორიულად შეავიწოვეს. არცაა გასაკვირი, რადგან ისინი შედარებით შორეულ მხარეებსაც მიწვდნენ. არსებული ცნობების თანახმად, ზღვით ეგვიპტეს უწიეს. ქანაანში, (დღევანდელი პალესტინა – იზრაელის ტერიტორიაზე), ზაქარებისა და დანუნების ტომები დასახლდნენ. ისტორია მათ ფილისტიმელების სახელით იცნობს.

უფრო ჩრდილოეთით მუშქების გაერთიანებამ შეძლო თუბალების აღმოსავლეთით წაწევა და გაუმეზობლდა სირიას.

ძვ. წ. ა. 1100წ. ასურეთის მეფე ტივლად-პილესარის ცნობით, თავისი სიძლიერით განთქმულმა მუშქებმა, ხუთი მეფის სარდლობით კუმუხის მხარე 1115 წ. დაიკავეს. მანამდე, 1165 წ. მესოპოტამიის ალზის და ფურულუმბის ტერიტორიები და-




ახსიან და მისი მუშობელი ხალხები რე. V. ად-მდე
XII-VII საუკუნეებში



ლაშქრეს. ანტიკური მწერლობის თანახმად, მუშეებს ულაშრიათ ფინიკიის მხარეს. ფინიკიელებს უკვე ჰქონდათ ასოთი დამწერლობა. მუშეებს მათგან დამწერლობის სისტემა გადაუღიათ და ძველი ბერძნებისათვის უსწავლებიათ. გასაკვირი არ იქნებოდა, თუ მუშეები თავისთვისაც შექმნიდნენ დამწერლობას, მათგან კი თუბალები (ქართველები და ეგროსელები) გადაიღებდნენ. სხვანაირად ძნელი ასახსნელია, ბერძნებისაგან მსოფლიომ ისესხა და შექმნა მსგავსი დამწერლობა, თუბალებმა კი არა. იმიტომ ხომ არა, რომ მათ უფრო ადრე შექმნეს საკუთარი?

მეშეხ-მუშეებმა ასურეთის იმპერია ვერ დაამარცხეს და სირიის დაკავება ვერ შეძლეს. სანაცვლოდ მათ მცირე აზიაში, ორი სახელმწიფო, დიდი და მცირე ფრიგია დაარსეს. არაა გამორიცხული მუშეების რომელიმე ტომი ეგროსელებსაც ჩასახლებოდა და ქართველსაც.



უბობტუ ნგ. V. ატ-დჳ VII სუტუბუბუბ



ურარტუ, ღიაოხი, კულხა

ჯერ კიდევ „ზღვის ხალხების“ შემოსევამდე, ქართთა სახელმწიფოს სამხრეთით, ყალიბდება თუბალ ტომთა დიდი გაერთიანება, რომელიც მოგვიანებით ურარტუს იმპერიის სახელით ხდება ცნობილი.

ურარტუელებ¹ დიდი ტერიტორია ეკავათ. მათი ცენტრი ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში იყო და დასავლეთით ქართებისა და ეგროსელების სამეფოებს აღწევდა. ჩრდილოეთ საზღვრად, ადრეულ პერიოდში მდ. არაქსი მიიჩნეოდა, სამხრეთით კი მდ. ტიგრისა და ევფრატის ზემო წელი და ასურეთის მძლავრ იმპერიას ემიჯნებოდა.

ძვ.წ.ა. XI ს. ურარტუს სამეფო ძლიერდება და მალე მეზობელი ქვეყნების დაპყრობას იწყებს. მეფე სარდურ I (835-825 წწ.) უკვე მეფეთ-მეფის ტიტულით იხსენიება. იგი ასურეთის იმპერიას ამარცხებს და უძლიერესის უფლებით ატერორებს მეზობლებს. კიდევ უფრო დიდ წარმატებას აღწევს მეფე მენუა. იგი იპყრობს სირიის ნაწილს, დასავლეთით თავს ესხმის დიაუხის (ტაოხის) მხარეს, ამარცხებს და მის ნაწილს თავის სამეფოს უერთებს. მეორე ნაწილი კი დიაოხის დასავლეთელი მეზობლის კულხად წოდებული ეგროსის სამეფოს სამხრეთი ტომების საბრძანებელს უერთდება.

ურარტუს შემდგომი მეფეები არგიშტი I და არგიშტი II, მდ. არაქსის ჩრდილოეთ მიწებს იპყრობენ. სევანის ტბის მიდამოებში უტიების (უდინების) ტომის საცხოვრებელი არეალი იყო. ურარტუელებმა ეს ტერიტორიაც დაიპყრეს და უკვე კულხას ტომთა გაერთიანებას დაემუქრნენ. აღმოსავლეთით, უფრო ადრე, მიებჯინა მათი საზღვარი კასპიის ზღვას.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეფე მენუამ დაჰყო იმპერია მსხვილ პროვინციებად, სათავეში ჩაუყენა ერთგული მოხელეები და მათი მეშვეობით მართავდა ქვეყანას.

1. ქვეყნის თვითსახელი ბიანილი იყო. ურარტუს, მტერ-მეზობელი ასურელები ეძახდნენ. აქედან შემორჩა ისტორიას. სპარსელები ასევე ეძახდნენ არიანას, არმენუას.



ურარტელთა დაპყრობითი პოლიტიკა ქართთა ქვეყანას უშუალოდ შეეხო. შედეგად, ქვეყნის სამხრეთი პროვინცია ურარტელთა მფლობელობაში გადავიდა. რომ არა ჩრდილოეთიდან დაპყრობთა ახალი ძალის გამოჩენა, იგივე ბედი ეგროსელებსაც არ აცდებოდათ.

ძალზე მწირია ცნობები დიაუხის (ტაოხის) და კულხას (კოლხას) ქვეყნების შესახებ. ასურეთის მეფის შემორჩენილი ცნობა მუშქების (მესხების) ოცი ათასიანი ჯარის სირიაში შეჭრაზე და თუბალთა (ტაბალთა) 24 მეფისაგან ძღვნის მიღებაზე, ძალზე ბევრის მთქმელია, მაგრამ არა საკმარისი ამ ორი ერთეულის ისტორიის გასარკვევად.

ლოგიკურია დავუშვათ, რომ „ზღვის ხალხების“ შესევა მცირე აზიაში თუბალთა ტომებს უშუალოდ შეეხებოდა.. თუ ადრე თუბალ-ტაბალთა ტომები დასავლეთით შავ (სპერის, პონტოს) და ხმელთაშუა (ორეთის) ზღვებს აღწევდნენ, ახლა უკვე ეს მხარე მუშქებს (მუსკებს, მესხებს) უკავიათ. სხვანაირად ისინი სირიას ვერ გაუმიზობლდებოდნენ და დაპყრობას ვერ შეეცდებოდნენ.

სტრაბონი არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ კაპადოკიის მაცხოვრებლები პონტოს ზღვამდე და მდ. ჰალისამდე ერთ ენაზე მეტყველებდნენ. ხოლო იმავე პერიოდის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი მიუთითებდა, რომ მეშხები, (მუსკ-მუშქები) ახლა კაპადოკიელთა წინაპრები არიანო. ამას ემატება აპოლონ როდოსელის ცნობა-მიუთითებდა ხალიბთა მიწის უსაზღვრო სიდიდის შესახებ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მუშქებს (მესხებს) აღმოსავლეთით წაუნევიანთ, ქართთა და ეგროსელთა სამხრეთი მხარე გაუთავისებიათ. დასაშვებია, რომ იქაც შერეული მოსახლეობა გაჩნდა, ისევე, როგორც მოხდა სამხრეთში, სადაც მდებარეობდა ჰვლისა და მისი მემკვიდრე ამრის (ამბარისის) სამეფო, დედაქალაქით ტულ-გარიმი.¹

დიაოხის საუკუნეების მანძილზე იგერიებდა ასურეთისა და ურარტუს შემოტევებს და გადმოცემით, ხშირად წარმატებით-

1. გეოგრაფიის მამად მიჩნეული სტრაბონი პონტოს დედაქალაქ ამასიაში დაიბადა, მეფესთან დაახლოებული არისტოკრატის ოჯახში (ძვ.წ.ა. 63 წ.) და ახლოდან იცოდა იქ მაცხოვრებელთა წარმომავლობა – ისტორია. ამ საკითხებს ეხმაურება ავტორის მცირე ნაშრომი „ამრი“.




აც. ბოლოს ურარტუმ იმძლავრა და ეს პოლიტიკურ-სამხედრო გაერთიანება ძვ.წ.ა. VIIIს. საბოლოოდ გაანადგურა.

ისტორიულ წყაროში მოხსენიებულ „კულხას“ (კოლხეთის, ეგროსის) სამეფოსაც არ გაუშართლა. მართალია მან უფრო დიდხანს გაძლო, დიაოხის ნაწილის მიერთებაც შეძლო, მაგრამ ჩრდილოეთიდან კიმერიელთა შემოსევამ მის ძლიერებას წერტილი დაუსვა. ისიც მართალია კიმერიელებმა ეგროსის (კოლხიდის კულხას) ქვეყანა რბევით გაიარეს, მაგრამ ეს მარცხი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სამეფო წელში ველარ გამართულიყო.

ძვ.წ.ა. VIIIს. ჩრდილოკავკასიელ თუბალებს, კავკასიანებს და ლეკოსელებს, შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთით მომთაბარე კიმერელები და სკვითები დაესხნენ თავს. თავად კიმერიელებმა ვერ გაუძლეს სკვითების შემოტევას და სამხრეთისაკენ დაიძრნენ. დაამარცხეს და გაფანტეს კავკასიანური ტომები. სინდები და ტორეტები ტამანის ნახევარკუნძულსა და აზოვის ზღვის ჭაობიან მხარეში შერეკეს, მდ. ყუბანი გადალახეს, ეგროსელთა მხარე იავარყვეს და კავკასიონის დასავლეთი გადასასვლელებით მცირე აზიაში შეიჭრნენ. მადევარმა სკვითებმა კავკასიონთან გეზი იცვალეს, აღმოსავლეთით წავიდნენ, კავკასიანთა და ლეკოსიანთა სამფლობელოები გადაქელეს და დარუბანდის კარის გავლით სამხრეთ კავკასია დალაშქრეს. ურარტუს მტერი ერთბაშად აღმოსავლეთიდანაც დაემუქრა და დასავლეთიდანაც. სამხრეთით ასურეთის იმპერია და სამხრეთ აღმოსავლეთით მიდია, ისედაც მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ ურარტუსთან. კიმერიულ-სკვითებამდე ცოტა ხანით ადრე, ძვ.წ.ა. 714 წ. ასურეთის მეფე სარგონ II-მ ცალ-ცალკე, სასტიკად დაამარცხა ბიტ-ბირუტას მეფე და სიძე ამრი, მისი მომხრე ფრიგიის მეფე მითა (მიდასი) და ურარტუს მეფე ურსა (რუსა). ამით სარგონმა ჩრდილოეთიდან საფრთხე მოიშორა.

ასურეთის მომდევნო მეფემ და ამრის ცოლის ძმა სინაქერიბმა მელიდუსა და ტილ-გარიმის (თოგარმას) მიდამოები პროვინციად აქცია. ამას დაერთო კიმერიელების ლაშქრობა კაპადოკიაში და ურარტუსთან დაპირისპირება. კიმერიელები ასურეთსაც შეეჯახნენ და ყოველივე იმით დაამთავრეს, რომ გაიფანტნენ და ამრის ყოფილ





სამეფოში თუბალ-მუშქების მოსახლეობას შეერივნენ. ამ შერევის შედეგად, საუკუნეთა მანძილზე სომეხი ეთნოსი ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება ურარტუს, იგი ძვ.წ.ა. 609 წ. გაანადგურა, გაძლიერებულმა მიდიის სამეფომ მიდიამ სკვითებიც დაამარცხა და აიძულა უკან ჩრდილოეთში დაბრუნებულიყვნენ.

ჩვენი ისტორიისათვის უაღრესად საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა შედეგით დამთავრდა ურარტუს არსებობა.

ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე ტომთა მრავალ გაერთიანებებს შორის სპარსელებს ასახელებდა. კიროსმა (ძვ.წ.ა. 558-529წწ.) გააერთიანა სპარსული ტომები და მძლავრი სამეფო შექმნა. მან დაიმორჩილა მიდია, ბაბილონი, სირია და რაც მთავარია ურარტუს ტერიტორია. მეორე დიდმა დამპყრობელმა დარიოს I (ძვ.წ.ა. 522-486წწ.) დაპყრობილი ტომები და მხარე სატრაპოებად (ოლქებად) დაყო. სპარსელები ურარტუს არმინას ეძახდნენ. (ელ-ამურად კი ითქმოდა არმინუა). აქედან ბერძნული არმენია. ისევე, როგორც მუშქების მხარეს კაპადოკია (ცხენების ქვეყანა) უწოდეს, ასევე ურარტუს მხარეს ეწოდა არიანას, არმენუას ზეგანი ელამურული სახელწოდებიდან ბერძნული არმენია ერქვა ურარტუს მიერ დაკავებულ და სპარსელების მიერ დაპყრობილ მხარეს და არა რომელიმე ტომს. თავად ქართვები (ქართი) და ეგრისელები (კოლხები) სპარსელებს არ დაუპყრიათ. ეს არ შეეხებოდა ურარტუს მიერ მიტაცებულ ქართთა მიწებს. როდესაც დარიოსმა იმპერია სატრაპოებად დაყო, ქართის სამხრეთი ნაწილი სპარსელების გამგებლობაში მოხვდა. შესაბამისად, არმინას (არმენიის) ზეგანი დაყოფის დროს სამ ნაწილად გაიყო: არიან ქართი, სპარსეთის უშუალო გამგებლობაში შემავალი არმინა (არმენია) და მედიდუ – ტულ-გარიმის მიდამოებში არსებული არმენია. ამ მესამე ნაწილში შერეული მოსახლეობა იყო: ჰაოსიანი თუბალები, მათთან ჩასახლებული მუშქები და კიმერიელები. რამდენადაც თავის დროზე კიმერიელებმა ადგილობრივები დაიპყრეს, გაბატონებულთა ნებით ენა თავს მოახვიეს დამხდურებს. ეს არეული მოსახლეობა არმენიის ზეგანზე ცხოვრობდა და ბოლოს მათ არმიანები ეწოდათ.¹

1. არმიანების თვითსახელი ეთნარქ ჰაიკს (ჰაოსს-ქართულად) უკავშირდება. ქართვები მათ ყოველთვის სომხებს უწოდებდნენ. ამ საკითხზე ავტორის



ანტიკური ავტორების მოწმობით ქართთა და ეგროსელთა ქვეყნები სპარსელების ბატონობას გადაურჩნენ დამოუკიდებლად განაგრძეს არსებობა. თავის მხრივ ასეთი მდგომარეობა არ ნიშნავდა სამხრეთიდან საფრთხის არ არსებობას, ცნობილი ისტორიკოსისა და მხედართმთავრის ქსენოფონტეს ცნობით, (მან თუბალ-ტაბალ-იბერებით და მეშეხ-მუშქ-მესხებით დასახლებული მხარე ჯართან ერთად გაიარა და აღწერა რაც ნახა ან მოისმინა), კოლხეთში (ეგროსის მხარეში) მეფობდა ლეგენდარული აიეტის ჩამომავალი.¹

ქართთა ქვეყანაში შემოღებული იყო მამასახლისთა სისტემა, რომელსაც სათავეში მცხეთის უფალ-მამასახლისი ედგა. რაც შეეხება ურარტელების მიერ დამორჩილებულ დიაოხის (ტაოხის) ტერიტორიას, იქ, იმპერიის დაცემის შემდეგ ჩამოყალიბდა ხალხების სახელით ცნობილი ტომთა გაერთიანება. მალე ამ გაერთიანებაში, სპერ-ოლთისის მიდამოებში მოზინადრე, სასპერების ტომი დანიშნულა. ერთი პერიოდი იმ არეალში მცხოვრებელ თუბალ-მეშეხ ტომებს სასპერიების სახელით იცნობდნენ. ჰეროდოტე აღნიშნავდა: სპარსელები ცხოვრობენ მენამული ზღვიდან ჩრდილოეთით. მათ ჩრდილოეთით მიდიელებია. მიდიელების ზემოთ სასპერიები. სასპერიების ზემოთ კოლხები, რომლებიც ჩრდილოეთის ზღვას აღწევენ და სადაც დის მდინარე ფაზისი, ეს ოთხი ტომი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე.

სასპერიები ისევე, როგორც კოლხები კრებსითი სახელია და მრავალ ტომს აერთიანებდა.

მზისქვეშეთში უცვლელი მხოლოდ ცვლილებაა. არ არსებულა მუდმივი იმპერია და ვერც იარსებებს. ერთ დროს უძვეველ სპარსეთის სამეფოსაც, რომელიც ფლობდა ინდოეთიდან მოყოლებული საბერძნეთამდე და კავკასიიდან ეგვიპტის ჩათვლით, დაუდგა დამარცხების პერიოდი, რაც აისახა კიდევ კავკასიელი ქვეყნების ქართლისა და ეგრისის (კოლხეთის) მდგომარეობაზე.

„თუბალ-მეშეხი.“ (სომეხთა ეთნოგენეზის სკიტხები).თბ.2013.

1. ეგრისში დარდანი ეტყობა პირად სახელად გავრცელდა. ცნობილია მონღოლებთან მეზობლი სარდალი დარდინ (დარდან) აფხაზი.



ქართთა ახალი სამეფო – იბერია

ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ცივილიზებული ეთნოსები დეცენტრალიზაციას ესწრაფოდნენ, ქალაქ-სახელმწიფოებად იყოფოდნენ. დემოკრატიის შესაძლებელ ფორმას ქმნიდნენ. ასე იყო საპელაზგოში და შემდეგ ძველ საბერძნეთში, ასე იყო მცირე აზიაში, ასე იყო ქართთა ქვეყანაში.

ქართთა შორის დაყოფა მოხდა არა შემავალი ტომების, არამედ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, ტერიტორიული ერთეული კი იქმნებოდა რომელიმე ქალაქის ირგვლივ.


ქალაქს და მის გამგებლობაში არსებულ ტერიტორიას, იქ მოსახლეებს, სათავეში მამასახლისი ედგა. მამასახლისს ჰყავდა თავისი ადმინისტრაცია (მოხელეების ჯგუფი), რომლის მეშვეობითაც აგვარებდა საშინაო სამეურნეო-სამართლებლივ საკითხებს. ამავე დროს, ქალაქი მცხეთა, მიჩნეულ იყო ქართთა ძველი სამეფოს ცენტრად და ტრადიციულად, შეიძლება სამხედრო და სამეურნეო სიძლიერის მიხედვითაც, ითვლებოდა მონინავედ სამამასახლისოებს შორის. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ მცხეთის მამასახლისი ითვლებოდა „უფალ-მამასახლისად“, ნიშნავს, იყო ქალაქ-სახელმწიფოთა გარკვეული ერთობა და ცენტრალიზებული მმართველობა.

სხვანაირად ძნელი ასახსნელია, რატომ ვერ დაიპყრო მთლიანად ქართთა მხარე ურარტუმ და როგორ გადაურჩა სპარსეთის ბატონობას.

დრონი იცვალნენ და ცვალებადობა ქალაქ-სახელმწიფოთა მდგომარეობაზე აისახა. სპარსეთის მსოფლიო იმპერიის შექმნამ, მისი მხრივ სამხედრო აგრესიის მუქარამ, აიძულა პატარა ერთეულები გაერთიანებაზე ეზრუნათ.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სპარსეთის შეჭრამ დღის წესრიგში ქალაქ-სახელმწიფოთა გაერთიანება დააყენა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპყრობა არ აცდებოდათ.

გაერთიანებას, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას თავად ბერძნები ქიშპობის გამო თავს ვერ აბავდნენ. გამაერ-



საქართველო ფანჯგუხის მუცობის მუცობა

- პირდაპირი მონაცემი
- ფანჯგუხი
- საქართველოს ცენტრი
- — ფანჯგუხის მუცობა
- ფანჯგუხის მუცობის მუცობა
- ფანჯგუხის მუცობის მუცობა
- ფანჯგუხის მუცობის მუცობა
- ფანჯგუხის მუცობის მუცობა



თიანებელი გახდა მაკედონიის სამეფო. მეფე ფილიპემ იარაღის, იდეოლოგიის, ოქროს, ძალით, მოახერხა უმეტესი ქალაქ-სახელმწიფოების დამორჩილება. ამ პროცესის მამოძრავებელი იდეა იყო სპარსეთის საფრთხის აღკვეთა და ბერძნული კოლონიების გათავისუფლება. მცირე აზიაში მრავლად იყო ბერძნული დასახლებები, საიდანაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მატერიალური სიკეთე მიედინებოდა. მცირე აზია კი მტკიცედ ეპყრათ სპარსელებს.

მეფე ფილიპემ შეძლო ქალაქ-სახელმწიფოების დაქვემდებარება, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის დროშით გაერთიანება და მაკედონელ-ბერძენთა 30 ათასიანი ჯარის მცირე აზიის ტერიტორიაზე გამზადება. იყო ძვ.წ.ა. 336წ.

ბედის ირონიაა. ფილიპე მაკედონელს ყველა სამზადისი, ომის დასაწყებად, დამთავრებული ჰქონდა, როცა ლაღატი მოკლეს. გამეფდა მისი 20 წლის, ენერგიული აგრესიული ბუნების, ვაჟი ალექსანდრე. იმავე წელს სპარსეთში მეფე გახდა დარიოს II კოდომანი. მათ შორის შეჯახება გარდაუვალი იყო და მოხდა კიდევ.

ალექსანდრე მაკედონელის ბრწყინვალე გამარჯვებებზე ბევრია ცნობილი. ჩვენთვის საინტერესოა, რომ სპარსეთის იმპერია დაემხო და მცირე აზიაში ძალთა გადაჯგუფება დაიწყო. ცვლილება ქართთა სამფლობელოსაც შეეხო.

ჯერ კიდევ ურარტუს მეფე მენუამ ჩამოაჭრა ქართველ სამხრეთი მხარე და მას არიან-ქართი (ურარტუს ანუ არიანას ქართი) ეწოდა. როცა ურარტუს იმპერია დაეცა, მეფემ და არისტოკრატებმა, არიან-ქართს შეაფარეს თავი და აქედან განაგრძეს ბრძოლა დაკარგული დიდების დაბრუნების მიზნით. როცა ალექსანდრე მაკედონელმა სპარსელები დაამარცხა, არიან-ქართში ურარტუს მეფეთა შთამომავალი იარედოსი მეფობდა. არ იცოდნენ რა, საით განვითარდებოდა მაკედონელ-ბერძენთა შეტევა, იარედოსის ძე აზონ-მა თავდახსნის ზომებს მიმართა. გასაქანი და თავშესაფარი მას ქართთა მხარეს ესახებოდა.

სავარაუდოდ, ძვ.წ.ა. 332წ. აზონმა ჩრდილოეთს შეუტია.



შედარებით იოლად დაიმორჩილა ქალაქი მცხეთა. მისი მამასახლისის სამარა, ოჯახის შვილებით ამოწყვიტა და ქართთა ქვეყანას დაეუფლა. მეისტორიე აღნიშნავს, რომ აზონის რისხვას გადაურჩა სამი წლის ფარნავაზი, რომელიც დედამ მთებში გადამალა.

აზონ იარედოსის ძე ჭკვიანი და მკაცრი მმართველი აღმოჩნდა. მან დაიმორჩილა ქართთა სივრცე და ძლიერი სამეფოს შექმნას შეუდგა. ეგროსის ქვეყნის (კოხლეთის) სამხრეთ ნახევარი, ახალი, ქართთა (იბერიის) სამეფოს ქვეშევრდომი გახდა. ჩრდილოეთით, ასევე დამარცხებულ-დახარკული იქნა აორსების (მომავალი ოსების) მხარე. საფრთხე კავკასიანთა ტომებს (დურძუკებს) დაემუქრა. აზონის წარმატებას ხელი შეუწყო ალექსანდრე მაკედონელის გადანწყვეტილებამ, ბრძოლები ენარმოებინა აღმოსავლეთით, ინდოეთის მიმართულებით. ყოფილი ურარტუს (არმინას) ტერიტორიაზე მაცხოვრებელმა სპარსთუბალთა ტომებმა კი შედარებით დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება მიიღეს, აზონი გახდა იბერიის (ქართლის) ახალი სამეფოს შემქმნელი, სადაც ეგროსის მხარის სამხრეთი ნაწილიც გაერთიანდა. სამეფო პოზიციის გამყარების მიზნით აზონმა მცხეთის მიდამოებში ჩამოასახლა ერთგული არისტოკრატისა და მსახურეული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამავე დროს, ადგილობრივებს თავს მოახვია არიან-ქართიდან გადმობრძანებული ღმერთების გა-ცისა და გა-ემის კერპები.

ურარტუს მეფეთა შთამომავალ აზონ იარედოსის ძის გაბატონება ქართთა შორის უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. უმეფობას მიჩვეულები, უცხო და მკაცრ მმართველს ადვილად არ დაემორჩილებოდნენ. წინააღმდეგობა უბატონო ქართველსა და მტკიცე ცენტრალიზაციის გამტარებელ ურარტულ არისტოკრატის შორის უეჭველად შეჯახებაში უნდა გადაზრდილიყო. მით უფრო, რომ არიან ქართიდან გადმოსახლებულები პრვილეგიებით სარგებლობდნენ. აუცილებლობით გაჩნდა და თანდათან მომწიფდა სოციალ-პოლიტიკური კონფლიქტი. წინააღმდეგობის მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მცხეთის, ვერაგულად მოკლული, უფალი-მამასახლისის ძმის წული ფარნავაზი.



ესაც კანონზომიერებაა. მოძრაობის დროს, მასები, როგორც წესი ნებაყოფლობით ერთიანდებიან ავტორიტეტის გარშემო. ქართველთათვის ასეთი ავტორიტეტი იყო უფალ-მამასახლისთა სახლულობის წარმომადგენელი-ფარნავაზი. ასეთი არჩევანი მით უფრო ბუნებრივი იყო, რომ ახლობლების დახმარებით ფარნავაზმა, არა მხოლოდ თავი გადაირჩინა, არამედ იმ დროისათვის კარგი აღზრდა-განათლებაც მიიღო. ამის გარეშე ის ვერ შეძლებდა იმ ძირეული რეფორმების გატარებას, რაც მოგვიანებით განახორციელა.

ფარნავაზმა შეძლო აზონის მოწინააღმდეგეთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ორგანიზება. გააერთიანა არა მხოლოდ ქართთა, არამედ აზონის მიერ დამორჩილებული ეგროსელების, აორსების (ოსების) და დურძუკთა (კავკასიანთა) ძალები.

ისტორიული წყაროები მიუთითებენ გაერთიანებული ძალების, მოქმედების ხასიათზე. ფარნავაზმა მოკავშირეებს, მიღებული ტრადიციის მიხედვით, ფულადი ანაზღაურება შესთავაზა. მოკავშირეებმა მატერიალური სარგებლის მიღებას, პოლიტიკურ-ნათესაური კავშირი ამჯობინეს. აორსების (ოსების) ხელმძღვანელობამ ფარნავაზის ოჯახთან დამოყვრების პირობა მოითხოვა. რაც შეეხება ეგრისელთა მთავარ ქუჯის, მან მიიჩნია, რომ დესპოტი აზონის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა დამცირებულის მოვალეობა იყო და ყოველგვარი წინა პირობის გარეშე ჩადგა მებრძოლთა რიგებში.¹

აჯანყებულებმა საერთო ძალებით მეფე აზონის დამარცხება შეძლეს. ფარნავაზს თანადგომა გამოუცხადა ანტიოქოს სელევკიდმა. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ იგი წინა და მცირე აზიის დიდ ნაწილს დაეუფლა. კავკასიას

1. ქუჯის ეროვნულობის საკითხი მხოლოდ „დიდმა ოსმა მეცნიერმა“ იური გაგლოევმა გახადა საცნობარო. მისი მტკიცებით ეგრისელთა მთავარი წარმომოშობით სარმატი იყო. აქედან ეგრისელებიც ალბათ სარმატები იქნებოდნენ. (იხილე მისი „Аланы и воирсы этногега осетии“, Тб. 1966стр 183). სხვანაირად არ ესმოდა საკითხი „მეცნიერს“ რომელიც ცხინვალში ცხოვრობდა, სანამ სჭირდებოდა ქართველებს ძმობას ეფიცებოდა. ამავე დროს იყო ეთნოსის ის იდეოლოგი, რომელიც საქართველოში ქართველებს ვერ ხედავდა.



თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა და ფარნავაზს, ალიარების ნიშნად მეფის გვირგვინი გამოუგზავნა.

ფარნავაზმა აზონს ბოლომდე სდია. გზადაგზა გაიარა ანძიანისა და აკილისენის, მდინარე ევფრატის მიდამოები. იბერიის სამეფოს შემოუტყიცა არიან-ქართი, საზღვარი დადო მდინარე არაქსის ზემო წელზე. განამტკიცა მოკავშირეობა ანტიოქოს სლევკიდთან, კაპადოკიის მმართველ მითრიდატესთან. მოაგვკარა რა სამეფოს სამხრეთი საზღვრების საქმე, კავკასიის, მაცხოვრებელ ტომებთან ურთიერთობის დარეგულირება დაიწყო.

გეოგრაფიის მამამთავარი სტრაბონი, კავკასიონის მთებში მაცხოვრებელ ტომებს, მთის იბერების სახელით მოიხსენიებს. ამ ტომებმა არა მხოლოდ შეიფარეს და აღზარდეს ფარნავაზი, არამედ წილიც დაიდეს მის გამარჯვებაში. მეფის მეუღლე დურძუკების (დღევანდელი ქისტების ან ჩეჩენ-ინგუშების) მთავრის ასული იყო. ეს მთიელებთან ურთიერთობას აადვილებდა.

ფარნავაზი ოჯახით დაუნათესავდა მთავარ მოკავშირეებს. ერთი და ოვსთა უფლისწულს მიათხოვა, მეორე კი ეგროსელების მთავარ ქუჯის.

იბერიის (ქართთა) სამეფოს ტერიტორია დიდ სივრცეს მოიცავდა. საჭირო გახდა მართვის რეორგანიზაცია. მემპტიანის ცნობით დაარსდა რვა საერისთაო. ერისთავები მეფის მიერ დანიშნული ადმინისტრატორები იყვნენ. ისინი უშუალოდ ექვემდებარებოდნენ სპასპეტს (სამხედრო მინისტრს). სპასპეტს სამართავად ცალკე ტერიტორია გამოეყო მდ. არაგვიდან ფარავნის ტბამდე და ტაშისკარამდე. იგი არეგულირებდა ერისთავთა საქმიანობას და უზრუნველყოფდა მეფის ბრძანების განუხრელ შესრულებას. სამეფოს საჯარო-პოლიტიკური სისტემა იმ დროის მოთხოვნათა საფუძველზე იქნა აგებული.

ფარნავაზის სამეფოში გაერთიანდა ყოფილი ქართლოსის კუთვნილი მხარე და დაემატა ეგროსის სამეფოს სამხრეთი ნაწილი. ის, რაც აზონ მეფემ დაიქვემდებარა. რაც შეეხება ეგროსის ჩრდილოეთ ნაწილს, იგი ცალკე გამოიყო, რადგან მემპტიანის თქმით, მოსახლეობამ არ ისურვა „განდგომა ბერძენთა“.



ეგროსის კუთვნილი მხარე ჯერკიდევ ძვ.წ.ა. III ათასწლეულში გაიყო სვანურ ენოვან და ეგრის ენოვან ნაწილებად. ფარნავაზის დროს, ეგრისი ბერძენთა და იბერთა სამართავ სფეროებად იწყებს ჩამოყალიბებას. მათ შორის იგება გამყოფი კედელი (მდ. კელასურის გასწვრივ.). ეგრები ხდებიან გაღმელ-გამოდმელები, ეგრებ-მეგრები.

ეს სისტემა მოქმედებდა ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის მთელი ისტორიის მანძილზე ანუ მეფე მირიან განმანათლებლამდე (ახ.წ.ა. IVს.) და შეიცვალა მხოლოდ VIIIს. არჩილ II მეფის დროს.

ფარნავაზმა, ქვეყნის რელიგიურ-კულტურულ ცხოვრებაშიც გაატარა რეფორმები. მოსახლეობა არ იყო რელიგიურად ერთფეროვანი. ჰყავდათ ცენტრალიზებული, ტომობრივი, ადგილობრივი ღმერთები. ფართედ იყო გავრცელებული პელაზგიურ-ძველბერძნული ღმერთების თაყვანისცემაც. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ გვიან პერიოდამდე სალოცავებს აგებდნენ ომის ღმერთ არესის სახელზე. იყო ჰერას, დიონისეს და სხვათა კულტი. საინტერესოა, რომ დღესაც ხევსურები და ქისტები (ჩეჩენ-ინგუშები) აღნიშნავენ ზევსის მეომარი ქალიშვილის ათენას (ათინას) სახელობის დღესასწაულს. ხევსურების ათენგენობა (ათინაგენობა) და ჩეჩენ-ინგუშების ათინაგი სხვანაირად ვერავინ ახსნა. აღარაა საუბარი, რომ ეგროსელების დიდი მეფე აიეტი მზის ტიტანის (ღმერთის) ჰელიოსის შვილად ითვლებოდა და ა.შ.

როცა აზონმა იბერიის სამეფო შექმნა, მცხეთაში (დედაქალაქში) ურარტული ღმერთების გა-ცისა და გაე-მის კერპები აღმართა. ქართლის მთაზე ამ ახალ ეკრპებს ფარნავაზმა კუთვნილი პატივი მიაგო. აზონის ძალაუფლების დამხობას არიან-ქართიდან მობრძანებული კერპები (ღმერთები) არ მიაყოლა. მხოლოდ მათ შორის საკუთარი სახელის, არმაზის კერპი აღმართა. ქართლის მთასაც მაშინ ეწოდა – არმაზი.

ფასდაუდებელია მემატინის ცნობა, რომ ფარნავაზმა ხელახლა გამართა „მნიგნობრობა“ ქართული. აღსანიშნავია,



მიდგომა: კი არ შექმნა, არ გამოიგონა, არამედ გამართა, რაც ნიშნავს დამწერლობის რეფორმირებას.¹

მემატიანე ამბობს, რომ ფარნავაზს სამეფო რეფორმები და რელიგიურ-კულტურული ღნისძიებები გაუტარებია 26-28 წ. ასაკში და ამის შემდეგ კიდევ 58 წ. უმეფია. თუ ვერწმუნებით ცნობას, რომ იგი სამი წლის იყო, როცა აზონმა მცხეთა დაიკავა, მაშინ ადვილად იანგარიშება დაბადებისა და ზეობის თარიღები.

ჩვენი ისტორიისათვის კი უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ აზონმა შემოუერთა ეგროსის მიწა-წყლის სამხრეთი ნაწილი იბერიის (ქართლის) სამეფოს და მოახდინა ამ მხარის ქართიზაცია. ფარნავაზის დროს ეს პროცესი გაგრძელდა.

მეორე ფაქტი ნიშანდობლივია იმით, რომ ფარნავაზმა ძვ.წ.ა. IV ს. არა მხოლოდ ილაშქრა აზონის წინააღმდეგ, არამედ მოარბია მდ. ეფრატის ზემო წელის მიდამოები, იყო ანძიადორისა და აკილისენაში, მოიარა ხორძენე და გოგარნე, საზღვარი განამტკიცა სელევკიდ ანტიოქოს I სამფლობელოსთან და იქ სომხები ვერ ნახა. მას შეხება ჰქონდა ქართის-არიანასთან, არიანას (არმინის) ზეგანის დიდი ნაწილი დალაშქრა, მაგრამ იქ სომეხი (არმიანი) ეთნოსი არ ყოფილა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სტრაბონის ნათქვამის ჭეშმარიტებას, რომ თავდაპირველად არმენია (სომხეთი) პატარა ქვეყანა ყოფილა და მხოლოდ ძვ.წ.ა. II ს. გაფართოვდა აგრესიული ომების წყალობით.

სამწუხაროდ, ძუნწი ცნობებია შემორჩენილი თუ როგორ

1. ცნობა ძვ.წ.ა. IV საუკუნეში ქართული დამწერლობის გამართვის და არა გამოგონების შესახებ, აშკარას ხდის სომხური ვერსიის სიყალბეს, მათი სანაქებო მესროპ მაშტოცის მიერ, ჯერ სომხური და შემდეგ ალბანური და ქართული დამწერლობის შექმნაზე. თანაც ისე, რომ მან ქართულიც არ იცოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშტოცს არც ერთი დამწერლობა არ შეუქმნია. უკეთეს შემთხვევაში მან სომხური დამწერლობის რეფორმირება მოახდინა ისევე, როგორც ფარნავაზმა საუკუნეებით ადრე. ამიტომ არ სჭირდებოდათ ქართველებს და სომხებს ბერძნულის მსგავსის შექმნა. მათ უფრო ადრე ჰქონდათ საკუთარი.



ვითარდებოდა იბერიის სამეფო ფარნავაზის მემკვიდრეების დროს.

სახელმწიფოში სიძნელეები ფარნავაზის მემკვიდრე საურმაგის მეფობისას დაიწყო. ერისთავთა და გავლენიან პირთა ნაწილმა აიძულა მეფე თავი დედუღეთისათვის შეეფარებინა. შემდეგ დურძუკთა დახმარებით მეფობა დაიბრუნა. მაღლიერების და სხვა პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, საურმაგმა დურძუკთა გარკვეული ნაწილი თან იახლა, ხოლო უმეტესნი ჩლდილოეთ მთიანეთში, დვალეებს შორის ჩაასახლა. დვალეები ისედაც კავკასიან ტომებში შედიოდნენ და დურძუკების მონათესავე ტომის ჩასახლება უმტკივნეულოდ განხორციელდა.¹

იბერიის სამეფო ფარნავაზიანთა დინასტიის მმართველობის დროს წარმატებით ვითარდებოდა. ამ მხარეთა კარგი მცოდნე სტრაბონი, აღნიშნავდა ქვეყნის განვითარების მაღალ დონეს. მისი თქმით, იბერია მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო, განვითარებული ინფრასტრუქტურით და საზოგადოებრივი დაწესებულებებით.

ქვეყანა დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც მის სამხრეთში ორი სომხური სამეფო დაარსდა. ძვ.წ.ა. 190 წ. სელევკიდების სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრემ უღალატეს მმართველს, მცირე აზიაში შემოჭრილ რომაელებს გააურთიერდნენ, გაძლიერდნენ, სამეფოები შექმნეს და დაიწყეს მეზობლების ტერიტორიების მიტაცება.

სტრაბონისავე ცნობის თანახმად, იბერიას მოსტაცეს პარიადრის მთის კალთები, ხორძენე და ვოგარენე. ხოლო ტიგრან დიდის მეფობის დროს (ძვ.წ.ა. 95-55წწ), სასომხეთმა იბერია მნიშვნელოვნად შეავიწროვა. გარკვეული დროის მანძილზე იბერიის სამეფომ დაკარგა ქვემო ქართლისა და მესხეთის დიდი ტერიტორიები.

1. დვალეები და დურძუკები კავკასოსის მოდგმისანი იყვნენ და XVIII საუკუნემდე შენარჩუნებული ჰქონდათ დვალური მეტყველება. პარალელურად მათში ოსური მეტყველებაც ვრცელდებოდა. რუსული მმართველობის პირობებში კი მოსახლეობა გაიფანტა ან გაოსდა. მცდარადაა გავრცელებული აზრი დვალეების ოსურ წარმომავლობაზე.



ძვ.წ.ა. I საუკუნეში იბერიის სამეფოს, მითრიდატე VI ევპატორმა (კეთილშობილმა) ასევე ჩამოაჭრა ლიხის მთის დასავლეთით შავ (პონტოს, სპერის) ზღვამდე ტერიტორიები, მარგვეთის, წუნდის, ოძროხის, ეგრისის საერისთაოები. დანაკარგი გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ რომ მითრიდატეს მიერ დაარსებული ახალციხე იქცა სასაზღვრო ციხე-სიმაგრედ.

მართალია იბერია არც ერთ მტაცებელ მეზობელს არ დაუპყრია, ითვლებოდა მოკავშირედ და კავკასიონის გადმოსასვლელების ჩაკეტვა ევალებოდა, მაგრამ სამეფოს ნახევარი მაინც ჩამოცილებული იქნა.

მოხდა ისე, რომ რომის იმპერია დიდების ზენიტში მყოფი, ცდილობდა წინა და მცირე აზიის დაპყრობას. სომეხთა მეფე ტიგრან II და კოლხ-ხალიბთა მეფე მითრიდატე VI, ორმოცწლიან ომში დამარცხდნენ, მითრიდატეს დევნის დროს რომაელებმა პომპეუსის სარდლობით იბერიაში ილაშქრეს. მეფე არტაგი მცხეთასთან დაამარცხეს და ბოლოს მოკავშირედ გაიხადეს.

პომპეუსის მიერ მითრიდატე კეთილშობილისა (ღმერთ დიონისესა) და ტიგრან II იმპერიების ნგრევამ ახალი ვითარება შექმნა მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. იბერიისათვის მოიხსნა საფრთხე სამხრეთიდან და დასავლეთიდან. მართალია პომპეუსმა იბერებიც დაამარცხა, მაგრამ ამას სამეფოს დაპყრობა არ მოჰყოლია.

რომაელებმა კიდევ ერთხელ ძვ.წ.ა. 36 წ. კრასუსის სარდლობით ილაშქრეს იბერიაში. შედეგად, მეფე ფარნავაზ II იკისრა რომაელთა მოკავშირეობა. მოკავშირეობა გარკვეულ ვალდებულებებს გულისხმობდა. იბერები უნდა დახმარებოდნენ რომაელებს მეზობლების წინააღმდეგ ომში და რაც მთავარია, ჩაეკეტათ კავკასიონზე გადმოსასვლელები. ეს კი იბერთა ინტერესებში მუდამ იგულისხმებოდა... იმ პერიოდში რომში გართულებული იყო ვითარება ტრიუმვირატის წევრებს შორის. იბერიისთვის არ ეცალათ, ამიტომ მოკავშირეობის შეთანხმება სრულიად აკმაყოფილებდა რომაელებს. თავის მხრივ იბერებიც შესაძლებლობას ლეზულობდნენ, რომის მოკავშირის უფლებით ჩარეულიყვნენ



სხვათა საქმეებში. ამ მხრივ კი იბერიას ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი. ჯერ ერთი, მითრიდატემ ზღვისპირა ტერიტორიები ჩამოაჭრა მათ სამეფოს და საზღვარი ახალციხესთან იყო გავლებული. მეორე, ტიგრან II მართალია სამეფოს თავს არ დასხმია, მაგრამ სამხრეთიდან მაინც შეავინროვა მათი ქვეყანა.

ახალ წელთა აღრიცხვას ახალი ვითარება და ძალთა თანაფარდობა დაემთხვა. სომხეთის იმპერიის დანგრევით პართიამ ისარგებლა და შეტევაზე გადავიდა. ახლა უკვე სომხეთის დაუფლებისათვის იბრძოდნენ პართიელები და რომაელები. რომის მოკავშირე იბერიას თავისი ადგილი და მიზნები ჰქონდა ამ ომში.

რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა კარგად შეაფასა ძალთა თანაფარდობა და იბერების მეფე მითრიდატეს შეჰპირდა სასომხეთში სამეფო ტახტს, მისი ერთი ვაჟისათვის, თუ პართიას დაამარცხებდნენ. მითრიდატემ რომაელთა პირობა მიიღო. მისი ჯარი, მემკვიდრე ფარსმანის სარდლობით, შეიჭრა სასომხეთში დაეუფლა ქვეყანას, განდევნა პართიელები და შედეგად მისი ძმა მითრიდატე (მითრიდატე მეფის ძე) სომხების მეფედ დასვა.

პართიელები მარცხს ადვილად არ შერიგებიან. ასეც მოხდა. პართიელთა დიდი ჯარი შეიყარა. ჟამთა ამწერლის ცნობით, ბრძოლის დროს, ფარსმანი (მეფისწული) თავს დაესხა პართიელ უფლისწულს და სარდალ ოროდს და მძიმედ დაჭრა. პართიელები დამარცხდნენ. სამეფო ტახტი ფარსმანის ძმა მითრიდატე მითრიდატეს ძემ დაიკავა.

მითრიდატეს მეფობა სომხეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. რომში გარდაიცვალა ტიბერიუსი და იმპერატორი გახდა გარყვნილებით ცნობილი კალიგულა (37-41წწ.)¹ არაა გასაკვირი, რომ მის ჟინიანობას მითრიდატე სომეხთა მეფე ემსხვერპლა, იმ გაგებით, რომ დაიბარეს და ციხეში გამოამწყვდიეს.

1. მეკალმეთა მტკიცებით მან არც დები დაინდო და შეიძლება არც დედა. არის ასეთი წიგნი: „რომაელი ქალები“, სადაც დანამდვილებითაა გადმოცემული საიმპერატორო კარის „საქმენი საგმირონი“. რაც შეეხება იბერიის სამეფოში მიმდინარე პროცესებს, იხილე ავტორის შრომები „რადამისტი“ და „სერაფიტი“.



კალიგულა 41 წ. ზომიერმა პიროვნებამ, კლავდიუსმა შეცვალა. ახალმა იმპერატორმა მითრიდატე სამეფო ტახტს დაუბრუნა.

ფარსმან I ძლევამოსილი მეფე იყო. მან მოინდომა სომხეთის უშუალო დამორჩილება. 52 წ. მითრიდატეს რომისადმი ლალატში დასდეს ბრალი და სამეფო ტახტი ნაჰკლიჯეს, რადამისტ ფარსმანის ძის სასარგებლოდ. არც რადამისტის მეფობა გამოდგა ხანგრძლივი. საბოლოოდ სომხეთი პართიელ ტირიდატს დარჩა. ახალი 63 წ. შეთანხმებით კი სომხეთში პართიელი იმეფებდა, მაგრამ იგი რომაელებს უნდა დაემტკიცებინათ.

იბერთა მეფე იოლად ვერ შეურიგდებოდა სომხეთის დაკარგვას. ისტორიულად ცნობილია, რომ მითრიდატე ფარსმანის ძე, არაერთგზის ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიიდან მარბეველი ძალები გადმოეყვანა და პართიელებისათვის სომხეთი წაეგლიჯა.

იბერიის სამეფომ დიდ სიძლიერეს ფარსმან II დროს მიაღწია. ისტორიას იგი „ქველის“ სახელწოდებით შემორჩა. იმდენად მყარად გრძნობდა იგი თავს, რომ აშკარად უპირისპირდებოდა როგორც პართიას, ასევე რომს. ცნობილია, რომ მის დროს დაუბრუნდა სამეფოს ადრე მიტაცებული მხარეები. იბერიის დასავლეთი საზღვარი შავ ზღვას მიეზღინა და რომის იმპერიის კუთვნილი პროვინცია შუა გაიყო. რომის იმპერატორი ადრიანე შეეცადა აღედგინა მოკავშირეობა იბერიასთან. ეს შემდეგმა იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა მოახერხა. მისი მოწვევით ფარსმან ქველი რომს სტუმრობდა. მიიღეს, როგორც მეგობარი და ცხენზე ამხედრებულის ძეგლიც დაუდგეს. რომმა ცნო ფარსმანის უფლებები დაკავებულ მხარეში და ამით გაუფართოვა „სამეფო.“

ფარსმან ქველის შემდეგაც იბერია დიდ და ძლიერ სამეფოდ რჩებოდა. ამაში ხელს პართია – რომის იმპერიების დასუსტებაც უწყობდა. არც ერთ მათგანს აღარ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ აქტიური შეტევითი ომები ეწარმოებინა.

იბერიის სამეფოსაც არ შესწევდა უნარი საბოლოო დარტყმა მიეყენებინა მტაცებელი მეზობლებისათვის. მიმდინარეობდა



გარდამავალი ხასიათის ბრძოლები. ასე გაგრძელდა ვახტანგ გორგასლამდე.

ქართველი მკვლევარები ამტკიცებენ: ისტორიულ ცნობათა სიმწიფის მიუხედავად, ჩანს იბერიის სამეფოს ძირითადად შენარჩუნებული ჰქონდა ტერიტორიული და პოლიტიკური მონაპოვარი. ამის საფუძველს იძლევა ქართლის ცხოვრებაში მოთხრობილი ცნობა მეფე ამაზასპის ძლევამოსილების შესახებ. ამაზასპის შედარება ფარსმან ქველთან, მაუნყებელია მეფის მაღალი ავტორიტეტისა და სახელმწიფოს სიძლიერისა.

იბერიის სამეფო შედარებით დასუსტებული ჩანს IV საუკუნეში. პართიის ნაცვლად სასანიანთა ირანის შექმნა, გაძლიერება და ბრძოლები სომხეთის, შუამდინარეთის დაუფლებისათვის, რომის იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთში გადანაცვლება, და მუდმივი ქიშპი ორ მტაცებელს შორის, მძიმე მდგომარეობაში აყენებდა რეგიონის შედარებით სუსტ სახელმწიფოებს. ამასთან, სასანიანთა ირანში დამკვიდრებული იყო ძველი რელიგია ზოროასტრიზმი. საინტერესოა, რომ სომხეთის იმპერიის შემქმნელი ტიგრან II, ამ რელიგიის ერთ-ერთი მიმდინარეობის მომხრე იყო და გარშემო ყველას მის აღიარებას აიძულებდა. შეიცვალა ვითარება და სომხეთი ზოროასტრიზმს გარიდებული, ცდილობს თავი ქრისტიანობის მიღებით გადაირჩინოს.

დაახლოებით იგივე ვითარებაა იბერიაში. აქაც დგას საკითხი: ვინ უფრო სახიფათოა, ზოროასტრიზმის მიმდევარი ირანი თუ ქრისტიანობის გზაზე დამდგარი აღმოსავლეთ რომის იმპერია. IV ს. დასაწყისში უპირატესობა ქრისტიანულ დასავლეთს მიენიჭა.

დღეს, ქრისტეს მოძღვრების მიმდევარ ეთნოსებს, კამათიც კი მოსდით, ვინ გაქრისტიანდა პირველი. საქმე იქამდე მიდის, რომ ლამის აღიარონ ქრისტეს მიმდევრობა ქრისტიმდე. ამავე დროს ყოველივეს უკავშირებენ ადამიანთა შინაგან რწმენას და ივიწყებენ ჭეშმარიტ მოტივებს, რამაც აიძულა ეთნოსები დამდგარიყვნენ ახალი რელიგიის მრევლთა რიგებში.

იმდენად დიდია სურვილი დააძველონ და გამოაბრწყინონ



ეთნოსის წარსული, რომ ზოგჯერ ყოველივე აბსურდის თეატრს ემგვანებ. სომეხი მკვლევარების მტკიცება, 301წ., ქრისტიანობის მიღების შესახებ უცოდველი ტყუილია სხვათა ფონზე.

ვთქვათ, ოს ექსტრემისტთა იდეოლოგი ამტკიცებს, რომ ქრისტე ცხინვალში იზრდებოდა, იქ მიიღო განათლება და ალბათ ოსურად დაიწყო ქადაგება. ასევე არასერიოზულია მტკიცება, რომ წმინდა ნინო გემით მივიდა სოხუმში და იქიდან დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება კოლხეთ (ეგრის), – იბერიაში.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ იმპერატორი დიოკლიტიანე ქრისტიანებს სდევნიდა. ის კი 305 წლამდე მეფობდა. სომხების მეფე ოთრდატი (გამეფდა 298წ.), ასევე სდევნიდა ქრისტიანებს. მან აწამა სომხების წმინდა განმანათლებლები რიფსიმე და გაიანე. ნინო, რომელიც მათთან ერთად იყო, გადარჩა და ფარავნის გზით რუის-ურბნისში ჩავიდა. შემდეგ 5 წელი მცხეთაში მოღვაწეობდა. ამის შემდეგ შეძლო მან მეფე მირიანის და მეფის ნებით, მოსახლეობის ახალ რელიგიაზე გადაყვანა.

იბერთა მოქცევა ახალ რელიგიაზე ძალზე გართულებულ საერთაშორისო ვითარების პირობებში მოხდა. მომძლავრებული ირანი (სპარსეთი) და ასევე აგრესიულად ძლიერი, აღმოსავლეთ რომის იმპერია (ამ პეროდიდან ეწოდა ბიზანტიის საკეისრო) ცდილობდნენ თავისი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ კავკასიელი ეთნოსები. უშუალო საფრთხე ჯერ სასომხეთს (არმენიას) ემუქრებოდა და არც ალბანეთ-იბერია იყვნენ დაცულები.

არის ცნობა, რომ მეფე ამაზასპი კასპიის ზღვის მხარეს ეომებოდა სპარსეთს (ირანს). მირიან მეფის დროსაც არ იყო ქვეყანა იოლად დასამორჩილებელი. ეგაა, რომ სრული დამოუკიდებლობის შემთხვევაში ბრძოლა მოსალოდნელი იყო ორ ფრონტზე. შედარებით გონივრული იყო ორი „ძალად მეგობრიდან“ ერთის მოკავშირეობა.

305 წ. რომის იმპერატორი გახდა კონსტანტინე, რომელმაც აღიარა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად. სახელმწიფოს ცენტრი გადატანილი იქნა ბოსფორის სრუტესთან, პატარა ქალქ



ბიზანტიონში. იმპერატორის პატივსაცემად მას კონსტანტინე-პოლი უწოდეს.

კონსტანტინე იმპერატორმა მოირგო ქრისტიანთა მფარველის სახელი და მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში რელიგიური მოტივი გამოიყენა. იბერიის სამხრეთ საზღვრებთან, – კაპადოკიაში იყო მძლავრი ქრისტიანული მოძრაობა. მისი გავლენით იბერია – ეგრისში ქრისტიანებს ისედაც ჰქონდათ გავლენა. ცნობილი არიან ანდრია პირველნოდებული, სიმონ კანანელი, მატათა, რომლებიც აქტიურად ავრცელებდნენ ახალ რელიგიას ამ მხარეში.

მირიან მეფის წინაშე იდგა დილემა: ძველ რელიგიას და მასთან დაკავშირებულ კერპებს ვერ შეინარჩუნებდა და მათზე დაყრდნობით სამეფოს ვერ გააძლიერებდა. უნდა გაეკეთებინა არჩევანი. მაზდეანური ირანი (სპარსეთი) დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. მაზდეანობის მიღება იბერთა გასპარსელებას გამოიწვევდა. მასთან შედარებით ქრისტიანული რომი (ბიზანტია) ნაკლები საფრთხის შემცველი ჩანდა. კონსტანტინე იმპერატორი, გაქრისტიანების შემთხვევაში დამოუკიდებლობის შენარჩუნებას პირდებოდა და მაზდეანური სპარსეთის (ირანის) მხრივ აგრესიისას დახმარებას აღუთქვამდა. იბერიას, შეთანხმებით, ევალებოდა კავკასიონის გადმოსასვლელების მტკიცედ ჩაკეტა.

იბერიის სამეფო კარი ქრისტიანობის სასარგებლოდ განეწყო. არის ცნობა, რომ თავად დედოფალი ფარულად ქრისტიანობას აღიარებდა. ეს არ იყო უმნიშვნელო ფაქტორი. საქმე იმაშია, რომ მირიანი არ იყო ფარნავაზიანი. დინასტიის ძირითადი ხაზის წარმომადგენელი იყო დედოფალი. დინასტიის გვერდითი ხაზის წარმომადგენელთ ასფაგური ექიშპებოდა ტახტს მირიანს. სამეფო კარი ძირითადი ხაზის გამგრძელებელ დედოფალს უჭერდა მხარს. დედოფლის პოზიცია მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იყო.

ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღო სამეფო კარმა ახალი რელიგიის აღიარების გადაწყვეტილება.



იბერიასა და სომხეთს შორის ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას ტერიტორიული საკითხების გამო, სომხეთი (არმენია) თავად სპარსეთ, – რომის იმპერიის ბრძოლის ასპარეზი ქვეყანა, ოსტატურად ახერხებდა ხან ერთი, ხან მეორე ბატონის ხელშეწყობით, მეზობლისათვის რამე წაეგლიჯა. რამდენადაც ერთ პერიოდში და ერთი იმპერატორის (კონსტანტინეს) დროს მოხდა ორი ქვეყნის (სასომხეთ-იბერიის) გაქრისტიანება, მათ შორის წინააღმდეგობა დრებით მოისპო. კონსტანტინე გამოვიდა თრადტ III და მირიანს შორის შემრიგებლად. ამ ნიადაგზე ითხოვა მირიანის ვაჟმა რევი მართალმა თრდატის ასული სალომე, სასომხეთისა და იბერიის, სამეფო ოჯახთა დანათესავება წაადგებოდა საერთო საქმეს.¹

იმის თქმა, რომ ქრისტიანებისათვის რელიგიური მრწამსი ტანჯვით იქნა მოპოვებული, ბევრი არაფრის მეტყველია. შემორჩენლია ცნობა ქრისტიანების მიერ „უნმინდური“ (წინაქრისტიანული) წიგნების განადგურებაზე. ქრისტიანობა ცეცხლით და მახვილით იქნა გავრცელებული. ამიტომ, სულაც არაა საკვირველი წინაქრისტიანული შემოქმედების სიმწირე.²

იბერიისა და სომხეთის (არმენიის) სამეფოების ქრისტეს მრწამსზე მოქცევა, სპარსეთის (ირანის) ინტერესების შელახვა იყო და ცხადია გაამწვავებდა მათ ურთიერთობას. შაჰ შაბურმა სცადა პრობლემის იარათით გადაჭრა. 338წ. შემოიჭრა სომხ-

1. ერთი უცნაური საკითხი. მომოვიხედოთ გარშემო. ჩვენ მეზობელ აზერბაიჯანელებში პანთურქიზმისა (აზერბაიჯანელები ადრე თურქებად იწერებოდნენ მხოლოდ 1935 წ. მ.კალინინის ხელმოწერით გამოქვეყნებული დეკრეტით უცებ იქცნენ აზერბაიჯანელებად) და პანისლამიზმის იდეები ფართოდაა გავრცელებული. ეს ჩვენთვის მიუღებელია. მასთან შედარებით სომხური იდეები კიდევ უფრო მიუღებელი ჩანს, ეთნოსის აგრესიული ბუნების გამო. სომხების აგრესიულობაზე ჯერ კიდევ სტრაბონი მიუთითებდა ორი ათასი წლის წინ. ვინც, თუნდაც გაკვირთ, იცნობს სომხების გადამეტებულ ნაციონალიზმს, მათ მიერ განეულ „სამეცნიერო-საგამომცემლო“ საქმიანობას მთელ მსოფლიოში, იციან, რომ ნახევარი საქართველო მათი „ისტორიული საკუთრებაა.“ სინამდვილე?

2. თვით წმინდა ნინოც იძულებული იყო იარაღის ძალით გაექრისტიანებინა მთის იბერები. ამ საკითხებზე ავტორის „ნინო“.



ეთ-ალბანეთში ომი დიდხანს გაგრძელდა და ალბანეთის ირანი-სადმი დაქვემდებარებით დასრულდა. შესაბამისად, ეს მძლავრი აგრესორი იბერიას გაუმეზობლდა. საფრთხე გაიზარდა.

მირიანის შემდეგ იბერიაში საურმაგი გამეფდა. შაჰ შაბურ II იასრგებლა შეცვლილი ვითარებით, შეიჭრა იბერიაში 368წ. მეფე საურმაგი გააძევა და ტახტზე ასაფაგური დასვა¹. საურმაგმა დახმარებისათვის რომის იმპერატორს მიმართა.

საურმაგი ახალი, მირიანის დინასტიის წარმომადგენელი გახლდათ, ქრისტიანი და რომის იმპერიის მომხრე. ასფაგური ფარნავაზიანთა წარმომადგენელი, ძველი რელიგიის (არმაზის კულტის) დამცველი. იგი სპარსეთის დახმარებით ჯერ კიდევ მირიანს ედავებოდა სამეფო ტახტს. 368 წ. კი მოახერხა იბერიაში გამეფება.

რომის იმპერატორმა ვალენტიმ მოკავშირე საურმაგს ტერენციუსის სარდლობით ლეგიონები დაახმარა, რათა იბერიაში „სამართლიანობა აღედგინა“. ომი სპარსეთ რომს შორის გარდაუვალი იყო და ქვეყანაც გაჩანაგებას ვერ აიცილებდა, რომ არა ასფაგურის გაუგონარი ნაბიჯი. როცა რომაელები მდინარე მტკვარს (კორის) მიუახლოვდნენ, ასფაგური შეეგება საურმაგს და შეთანხმება შესთავაზა. ასფაგურმა აღიარა საურმაგის უპირატესი უფლება. ამავე დროს შეახსენა, რომ მისი მემკვიდრე, მცირეწლოვანი ფარსმანი შაჰ შაბურ II კარზე იყო მძევლად. თუ ასფაგური ნებაყოფლობით დათმობდა მეფობას, მძევალ შვილს მოუკლავდნენ. გამოსავალის ძიებისას შეთანხმდნენ იბერიის სამეფო გავყოთ მტკვარის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. აღმოსავლეთი ნაწილი დარჩენილიყო სპარსეთის გავლენის ქვეშ, დასავლეთი კი რომის იმპერიისა. ასეთი გაყოფა იმპერატორმა ვალენტიმ მოიწონა, შაჰ შაბურ II კი დაიწუნა და ომისათვის სამზადისს შეუდგა.

სპარსეთ-რომის ომი იბერიის გულისათვის და მის ტერიტორიაზე აცილებული იქნა, რადგან რომის იმპერიას მდ. დუნაის მხრიდან გოთები დაემუქრნენ. რომაელებმა დიდი საფრთხის

1. ასფაგური – ცნობილია ვარაზ-ბაკურის სახელით. იგი იყო მირიანის ცოლის ბიძაშვილი.



გამო იბერიიდანაც გაიწვიეს ჯარი. ამით საპრსელებმა ისარგებლეს და მთლიან იბერიაზე გაავრცელეს გავლენა.

379 წელი დიდი ცვლილებებით აღინიშნა. სპარსეთში გარდაიცვალა ენერგიული შაჰი შაბურ II. საუკუნის ბოლომდე, სამეფო შინაურ მოვლენებში ჩაიძირა. მეორე მხრივ, რომის იმპერატორ ვალენტის შურიანობას ემსხვერპლა დიდი სარდალი და გავლენიანი ბუზმირ იბერი. შემორჩენილი ცნობის თანახმად იმპერატორის ბრძანებით იგი მიპარვით მოკლეს.

იმპერიაში ბევრი კარგი სარდალი იყო. მათ შორის თეოდოსი და ბაკურ იბერი. **379**წ. ერთი ბრძოლის დროს იმპერატორი ვალენტიც მოკლეს. დედაქალაქ კონსტანტინეპოლის დაცვა ბაკურ იბერმა ითავა. ფაქტიურად მის ხელში გადავიდა მოკლული იმპერატორის ძალაუფლება. ბაკურ იბერმა იმპერატორად თეოდოსი წამოაყენა და გაამარჯვებინა კიდეც.

თეოდოსი კარგი მმართველი გამოდგა. მან მალე აღადგინა იბერიაზე გავლენა. ასფაგურის ვაჟი ფარსმანი, სპარსეთში მძევლობიდან იხსნეს და ახლა კონსტანტინეპოლში გაამწესეს მძევლად.

იმპერატორის კარზე ბაკურ იბერის გავლენა დიდი იყო. მან ბევრ თანამემამულეს უპატრონა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ფარსმანი და სუბარმახიოსი (ნამდვილი კოლხი).¹ ორივენი სახელოვანი ვაჟკაცები და მამაცი მეომრები. ბაკურ იბერი არა მხოლოდ სამხედრო ხელოვნებაში წვრთინდა ახალგაზრდებს. თვითონ ითვლებოდა კარგ რიტორად და ლოგოსების მთხზველად. იმ პერიოდში გამორჩეული ფილოსოფოს – რიტორი ლიბანიოსი დიდად აფასებდა ბაკურის ნიჭსა და შემოქმედებას. დედაქალაქის პრეფექტი თემისტოსი ისეთი მაღალი აზრის იყო იბერებისა და კოლხების (ეგროსელების) განსწავლულობაზე, რომ შვილი ევგენიოსი კოლხეთში, ფაზისის აკადემიაში მიავლინა სასწავლებლად. ბაკურ იბერი პატრონობდა რა თანამემამულეთ, მათ ყოველ მხრივ განვითარებაზეც ზრუნავდა.

1. სასახელო სარდლის, სასახლეთა მცველი რაზმის უფროსის, დედოფლის აღმზრდელის, შესანიშნავი მოქეიფე მოჩხუბარის ნამდვილი სახელი უცნობია. ისტორიას იგი ნამდვილი კოლხის (სუბარმახიოსის) სახელით შემორჩა.



392 წ. რომის პრეფექტი ევგენიოსი აუჯანყდა თეოდოსს და იმპერატორობა მოინდომა. ამით დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის ერთიანობა ირღვეოდა. დამორჩილებული ტომები ისედაც საშიშროებას უქმნიდნენ დასუსტებულ იმპერიას. გაყოფის შემთხვევაში საფრთხე ორმაგდებოდა. 394 წ. როგორც იქნა იმპერატორმა თეოდოსიმ დაამარცხა ევგენიოსი და ერთობა განამტკიცა. აქვილევასთან ბრძოლისას განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სუბარმახიოსმა და ფარსმანმა. ამის შემდეგ ისინი იმპერიის პირველ სარდალთა შორის მოხვედრილან.

ერთი ბრძოლის დროს სუბარმახიოსმა ფრანკების რაზმი გაანადგურა, სღია მათ ბელადს, მოინელა, მისი ორი ქალიშვილი კი ტყვედ აიყვანა. იმპერატორმა ტყვე გოგონები სუბარმახიოსს მიანდო. არბოგასტ ბელადი ფრანკებისა სახელოვანი ვაჟკაცი ყოფილა და კოლხმა პატივი დასდომის ხსოვნას, გოგონებს უპატრონა.

იმპერატორი თეოდოსი, დიდის ზედწოდებითაა ცნობილი. დიდს დიდი გეგმები ჰქონდა და ბაკურ იბერიის ავტორიტეტს ხელი რომ არ შეეშალა აღსრულებაში, პალესტინის მხარეში მიავლინა სარდლად. ორი ვაჟი ჰყავდა თეოდოსს, ჰონორიუსი და არკადიუსი. შეიძლება იგრძნო აღსასრულის მოახლოება, შეჰყარა სარდლები და გამოუცხადა, რომ იმპერიის გაყოფა გადანყვიტა ვაჟებს შორის. წინააღმდეგი მხოლოდ ფარსმანი წავიდა. თეოდოსმა ფარსმანი აზიის მხარეში გაგზავნა სარდლად, თავიდან მოიშორა, იმპერია კი მაინც გაჰყო. დასავლეთი ერგო ჰონორიუსს აღმოსავლეთი არკადიუსს. იმავე 395წ. თეოდოსი გარდაიცვალა.

იმპერატორ არკადიუსს მთავარ მრჩეველად რუფინიუსი ჰყავდა მამისაგან დანიშნული. რუფინიუსმა მოინდომა ახალგაზრდა, უნებისყოფო არკადიუსისათვის და მიეთხოვებინა და ამ გზით ძალაუფლება განემტკიცებინა. არც მისი მოწინააღმდეგეები თვლემდნენ. მათ მოახერხეს მოკლული ფრანკთა ბელად არბოგასტის უმცროსი ქალიშვილი ევდოქსია, რომელიც სუბარმახიოსთან იზრდებოდა, არკადიუსს ანახეს. ქალის სილამაზემ იმპერატორი ისე დაატყვევა, რომ არაფერი შეისმინა, მრჩეველებიც მოიშორა და ბევრი სხვაც. ევდოქსია გახდა იმპერატორის იმპერატორი.



უცნაურია ბედის ტრიალი. იმავე ხანებში აღმოსავლეთ იმპერიის (უკვე ბიზანტიის იმპერიის) მთავარსადალი გარდაიცვალა. წესისამებრ, მოინვიეს ყველა მხარის სარდალთა კრება, რათა ახალი მთავარსარდალი აერჩიათ. ბაკურ იბერი, სიშორისა და ასაკის გამო არ ჩავიდა. ჩავიდა ფარსმან იბერი და მოხდა მოსახდენი. დელოფალმა ევდოქსიამ ვაჟკაცის სიმშვენიერე რომ იხილა... (უბადრუკ პოლიტიკოსებს უყვართ გამოთქმა: დაინყო ახალი ეტაპი). ფარსმანი წარდგენილი იქნა მთავარსარდალად, დატოვეს კონსტანტინეპოლში და სხვები გაუშვეს. ფარსმანს მოშურნე მონინააღმდეგენიც ჰყავდა. ბუნების კანონთა თანახმად დედოფალს მუცელი რომ დაეტყო, ამოქმედდნენ. გაცოფებულმა იმპერატორმა საყვარელ მეუღლეს ვერაფერი ჰკადრა და ფარსმანის მოკვლა ბრძანა. სუბარმახიოსმა მისი გადარჩენა შეძლო და რამდენიმე თვის შემდეგ ფარსმან IV იბერიაში მეფე გახდა.

შემორჩენილი ცნობების თანახმად ფარსმან IV 398 წ. უნდა გამეფებულიყო. მთელი 408 წლამდე არ შეუწყვეტია მას ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ. ჩრდილოეთიდან გადმოიყვანა ჰუნები და მიუსია იმპერიას. დაწყნარდა და დაზავდა მას შემდეგ, რაც არკადიუსი გარდაიცვალა და მისი ვაჟი თეოდოსი გამოაცხადეს იმპერატორად.¹

ისტორიისათვის ამოუცნობია, ფარსმან IV შეძლო თუ არა ბიზანტიის მიერ მიტაცებული მიწებისა და მოსახლეობის იბერიის სამეფოსათვის დაბრუნება. ცნობილია, რომ სამეფოს აღ-

1. რატომ ასე წვრილად ფარსმან IV შესახებ? პირველი, საქართველოს ისტორია ბევრ სადაოს შეიცავს და ხშირად მცდარი დასკვნის საფუძველი ხდება. ცნობილია ფარსმან I და ფარსმან II შესახებ. იშვიათად თუ ვინმე შეხებია ამაზასპის მამის, ფარსმან III ცხოვრებას. ფარსმან IV, ისტორია ზოგჯერ გვერდს უვლის. რატომ? ამ საკითხს ეხება ავტორის „სუბარმახი ოსი“ მეორე, თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტში (მაშინ ივ. ჯავახიშვილის სახელობისა არ იყო) მოღვაწეობდნენ შესანიშნავი სომეხი პედაგოგები. ისინი დაულალავად შრომობდნენ, რომ ყველაფერ შესანიშნავში სომხური კვალი აღმოეჩინათ. მათ შორის დასამახსოვრებელია ხნიერი ქალბატონი ბაისოგოლოვას და ბატონი გიგოლოვის ნათქვამი: არ მოკვდებით, სანამ სომხურ კვალს (სისხლს) არ აღმოვაჩენთ – ნაპოლეონშიო. აღარაა საუბარი რომ ყველა გამორჩეული ქართველიც უეჭველად სომხური წარმოშობისა გამოდიოდა. როგორია?



მოსავლეთ ნაწილში Vს. დასაწყისში ბაკური ზეობს. იგი, დიდი ბაკურის ზედწოდებითაა შემორჩენილი. დიდი კი იმით იყო, რომ თუმცა საპრსეთის შაჰის ერთ სარდლად ითვლებოდა და ექვემდებარებოდა კიდევ, პირად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და არც რელიგიობას მალავდა. ბაკური, დაახლოებით 422 წ. მეფობდა. მკვლევარები უტყუარად მიიჩნევენ, რომ ამ წლიდან იბერიაში უკვე მისი ძმა არჩილი უნდა ასულიყო ტახტზე. მისი ზეობა ქვეყანას ქრისტიანობის გაძლიერებით დაამახსოვრდა.

მეფე არჩილ I ფრთხილი პოლიტიკოსი უნდა ყოფილიყო. სხვანაირად ვერ შეძლებდა იგი სპარსელთა გავლენის შესუსტებასა და ცეცხლთაყვანისმცემელ ქურუმთა სამეფოდან განდევნას. ეს მაშინ, როცა იბერიის სამხრეთ მეზობელ სომხეთში (არმენიაში) სპარსელებმა მეფობა გააუქმეს. თან ეს ისე მოაწყეს, რომ სომეხ ნახარართა (ფეოდალთა) დიდ ნაწილს ათხოვნინეს. მეფე არტაშესის გადაყენება და საპრსი მოხელეების მეშვეობით ქვეყნის მართვა. ცხადია შაჰ ბარამ V სომეხთა თხოვნა უმაღლესად შეასრულა. ამით შაჰმა ოსტატურად გაიმეორა ბიზანტიელთა მიღწევა. 391 წ. ბიზანტიამ (აღმოსავლეთმა რომის იმპერიამ) მის „კუთვნილ“ სასომხეთში მეფობა მოსპო. სასომხეთი მოძალადეთა რიგით პროვინციად გამოცხადდა.

არჩილ I სპარსეთის უშუალო საფრთხე გადაავადა, მაგრამ ვერ მოსპო. ბრძოლა პოლიტიკური და რელიგიური თვითმყოფადობისათვის მწვავედებოდა და გადაწყვეტას ელოდა.

პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ჩაცხრობა-გადავადებას ხელი შეუწყო არჩილ მეფის წულის მირდატის გადაწყვეტილებამ, ცოლად რანისა და მოვაკანის სპარსელი მარზპანის ბარზაბოდის ქალიშვილის საგდუხტის მოყვანის შესახებ. გადმოცემის თანახმად საგდუხტის სილამაზემ ისე მოხიბლა მირდატი, რომ ბრძოლა სპარსელებთან შეწყვიტა და მამის ნებართვით, მტრობა მოყვრობით შეცვალა. არაფერია ნათქვამი პოლიტიკურ მოტივებზე, მაგრამ არც მათი უარყოფა შეიძლება.

მირდატს საგდუხტთან ეყოლა საამაყო ვახტანგ გორგა-



სალი. ამით, ბევრი რამაა თქმული. მეფე მირდატი მალე გარდაიცვალა. სამეფოს დედოფალი საგდუხტი მართავდა, სპარსეთისა და ერისთავთა თანადგომით. ამავე დროს, სამეფოში სპარსელების მიერ პიტიახშის თანამდებობა დაანესეს. იმ პერიოდში პიტიახშობას არშუშა ასრულებდა.

ისტორიული ცნობით, 10 წლის იყო ვახტანგი როდესაც დარიალის ხეობით, ჩრდილოეთიდან ჰუნები შემოიჭრნენ. მათ თან მოსდევდა ოვსთა დიდი ლაშქარი.¹ სწორედ ოვსებს დაურბევიათ ქალაქი კასპი, ტყვედ აუყვანიათ ვახტანგის და მირანდუხტი. თავდამსხმელებს მოუოხრებიათ აღმოსავლეთ იბერია და რათა მდევრებს არ გადაყროდნენ, დარუბანდის გზით დაბრუნებულან სამშობლოში.

გავიდა წლები. ვახტანგი სრულწლოვანი გამეფდა და მოქმედების დროც დაუდგა. მოსაზრებათა სხვადასხვაობაა. ერთნი ფიქრობენ, რომ ვახტანგი ჯარით მონაწილეობდა შაჰ პეროზის ლაშქრობებში შუა აზიის დამორჩილების მიზნით. იქიდან დაბრუნებულმა მოაწყო ლაშქრობა ჩრდილოეთის ტომების (ოვსები და ჰუნების) წინააღმდეგ. მეორეთა აზრით ვახტანგმა ჯერ ჩრდილოეთი დამორჩილა, ქვეყანა უსაფრთხო გახადა და ამის მერე მიიღო მონაწილეობა აღმოსავლეთის ლაშქრობაში. ამ შემთხვევაში არსებითია, რომ ვახტანგ მეფეს ულაშქრია შუა აზიაშიც და კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეშიც. ლოგიკურია, რომ იგი ვერ მიატოვებდა ხიფათის მატარებელ ქვეყანას, ჯერ მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა და მერე შეუერთდებოდა სპარსეთის შაჰს, რომელიც მფარველად და დამხმარედ ითვლებოდა.

ვახტანგ მეფემ, ჩრდილოეთით სალაშქროდ იწვია დედის ძმა რანის ერისთავი, მთის მეფენი (ბელადები), შეკრიბა იბერიის მხედრობა და დარიალის გზით გადავიდა ჩრდილოეთში. მდ. თერგის (დერგის, ლომეკის) მიდამოებში მოხდა დიდი ბრძოლა,

1. ოვსთა (ოს-ალანთა) ძლიერ დამპყრობთა მხარეს დადგომა და ამ გზით სამხრეთელი მეზობლების მიწა-წყლის მიტაცება ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე იყო მონღოლების, ასეა რუსების ბატონობისას.



რომელიც ვახტანგის გამარჯვებით დასრულდა. მისი ლაშქარი თერგს გადავიდა და ეგრისამდე ტერიტორიები მოარბია. ვახტანგის და მირანდუხტი ტყვეობიდან დაიხსნეს და სამშობლოში გამოამგზავრეს. ხეობა საიმედოდ ჩაკეტეს და ადგილობრივი „მთეულნი“ დაუყენეს დარაჯად. ვახტანგმა მოკავშირენი დასაჩუქრებულები გაისტუმრა, თავად კი იბერიელთა ჯარით „აფხაზეთის გზით“ დაბრუნდა სამეფოში. ამ ლაშქრობის დროს ჩრდილოეთის ტომები დამორჩილებულ იქნენ, სამეფოს მონყვეტილი ეგრისის ნაწილი შემოერთებული და ძლიერება აღდგენილი. საფიქრალია, რომ იმ ლაშქრობის დროს უნდა დაეღაშქრა ვახტანგს იალბუზი. მაშინ უნდა დაბადებულიყო: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“... იმ მხარეში მეორედ ლაშქრობა არა ყოფილა.

იბერიის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის საზღვარი მდ. კელასურზე დაიდო. ასე ითვლებოდა ქუჯის მიერ ეგრისის სამხრეთი ნაწილის ფარნავაზისადმი დაქვემდებარების შემდეგ. არც ის საკითხია ბოლომდე ნათელი ისტორიული კორახის (კელასურის) სასაზღვრო კედელი ფარნავაზის დროს აიგო თუ გორგასალის. იქნებ უფრო გვიან? ამ პრობლემის გაშუქება აუცილებელია.¹

ბიზანტიის იმპერიას დაქვემდებარებულ ეგრისთან საზღვრის დაფიქსირებით იბერია – ბიზანტიის ურთიერთპრეტენზიები ვერ მოგვარდებოდა. გორგასალს ზურგს სპარსეთი უმაგრებდა. მას შეეძლო წარმატებით ებრძოლა ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ჟამთა ამწერი დეტალურად აღწერს იბერთა ლაშქრობას იმპერიის სიღრმეში. წყაროები აღნიშნავენ იბერთა მიერ ჩადენილ სისასტიკესაც და განსაკუთრებით მიუთითებენ გაუპატიურების მასობრივ ხასიათზე.

1. კელასურის 60კ. სიგრძის სასაზღვრო კედელი იმსახურებს ყურადღებას. ლევან II დადიანმა კედელი ააგო თუ გაამაგრა? და რატომ ამბობს, თურქი მოგზაური ევლიაჩელები, რომ ფაშის წყლის იქით მხოლოდ მეგრელები სახლობენო?



ყოველი ომი ზავით მთავრდება. გორგასალიც დაუზავდა ბიზანტიელებს, როცა კეისრის ასული შეირთო ცოლად და მზითებში ეგრისის სამეფოს ნაწილი მიიღო. აღარაა საუბარი, რომ დედა სამშობლოს დაუბრუნდა სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. იბერიის სახელმწიფო აღდგენილი იქნა ძველ საზღვრებში.¹

იბერიის სამეფომ ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრივ საფრთხე გაანეიტრალა, გაძლიერდა და სპარსეთის გავლენისაგან განთავისუფლება მოინდომა. უფრო მეტი. იბერიამ თავისი გავლენა მთის იბერებზე (დვალეები, დურძუკები, ლეკები) გაავრცელა. ოვსეთი იძულებული იყო ანგარიში გაენია ძლიერი მეზობლისათვის და მისი ტერიტორიების რბევაზე ხელი აეღო, მტრობა მეგობრობით შეეცვალა. ამ პროცესებში დიდი იყო რელიგიის როლი, იბერიის სამეფო ქრისტიანულ საეპისკოპოსოებად დაიყო. ცხადია სასაზღვრო საეპისკოპოსოები კავკასიონის მთიელებზეც გაავრცელებდნენ გავლენას. ქვეყანაში რელიგიური რეფორმა იქნა განხორციელებული, რომელიც მთავარეპისკოპოს მიქაელის გადაყენებით და კათოლიკოს პეტრეს მღვდელთმთავრის ტახტზე დასმით დაგვირგვინდა. იბერიის პოლიტიკური სიძლიერე მოითხოვდა რელიგიურ დამოუკიდებლობას და სავარაუდოდ 483-5 წლებს შორის უნდა მიეღწია ავტოკეფალიისათვის.

ყოველგვარი წარმატების მიუხედავად იბერიის სამეფო სპარსეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა. არა და, სპარსეთი ველარ აკონტროლებდა დაპყრობილ ქვეყნებსაც კი. ცნობილია, რომ V ს. ბოლოსათვის ალბანეთში აღსდგა მეფობა, ქვეყანამ, ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს იერი შეიძინა. მეზობელ სომხეთში, მეფობა არა, მაგრამ გარკვეული პოლიტი-

1. მართალია ჟამთა ამწერელი ამ ლაშქრობის დროს ახსენებს აფხაზეთის გზას და აფხაზეთს, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ ეგრისი, ეგროსელები, ლაზები ეწოდებოდათ და არა აფხაზები. გასათვალისწინებელია, რომ აფხაზეთი ლიხის მთიდან ზღვამდე გაჭიმულ სამეფოს VIII ს. ეწოდა. იქიდან მოყოლებული, დღევანდელ დასავლეთ საქართველოს აფხაზეთი ეწოდებოდა საუკუნეების მანძილზე. ამაზე შემდეგ.



კური თვითმყობადი მმართველობა ჩამოყალიბდა.

ბუნებრივია იბერიაც შეეცდებოდა სპარსეთის გავლენისაგან გათავისუფლებას. ვახტანგ მეფეს გამოვლილი ჰქონდა შუა აზიაში სპარსელებისათვის ბრძოლის ეტაპი. ბიზანტიასთან კავშირში შეეძლო სრული დამოუკიდებლობისათვის მიეღწია. სპარსეთთან კონფლიქტი მომნიშვნელოვან იქნებოდა. ცხადია არც ერთი მხარე არ ფიქრობდა დათმობას. სავარაუდოდ, საუკუნის მიწურულს შაჰ კავადი შეიჭრა სომხეთში, დაიმორჩილა და იქიდან იბერიაში გადავიდა. მდ. იორთან ბრძოლაში სპარსეთმა სძლია იბერიელებს. თავად მეფე ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი.

ერმა დიდი მეფის წვლილი დააფასა და სახელმწიფო დროშას გორგასლიანი უწოდა. მართალია ვერ დაასრულა დედაქალაქის თბილისში გადმოტანის პროცესი, მაგრამ იგი იყო მოთავე და სამართლიანად დაუდგეს ამხედრებულის ქანდაკება,¹ ისევე, როგორც ფარსმან ქველს რომში.

სპარსეთი (შაჰ კავადი 488-531წწ.) იბერიის დამარცხებით არ დაკმაყოფილებულა. საჭირო იყო გორგასალის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ მხარის შემომტკიცება. აქ სპარსეთის ინტერესები ბიზანტიისას დაუპირისპირდა. ისტორიული ცნობის თანახმად 523წ. ლაზთა მეფე ნათე ბიზანტიის მხარეს დადგა. ბიზანტიამ ასევე დაიკავა იბერიის დასავლეთი, ორ იმპერიას, სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ომი გარდაუვალი გახდა.

იბერიაში ვახტანგ გორგასლის შემდეგ მისი ვაჟი დაჩი გამეფდა. მან თავი ვერაფრით გამოიჩინა. მთავარია, რომ ხელი მიჰყო თბილის-ციხის (ძველი დროიდან არსებული ციხის) ქალაქად გადაქცევას და მამის სურვილის მიხედვით დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. სხვაფრივ, ეტყობა მოქმედებდა ლოგიკით: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს,

1. დიდი იყო გორგასალი ფიზიკურადაც და მოღვაწეობითაც. გადმოცემის თანახმად „12 ბრჭყალის“ სიმაღლის (2მ.და40სმ), ძლიერი. როცა საყვარელი ცხენი გზაში დაუვარდა, მხრებზე შეისვა და რამდენიმე კილომეტრი ატარა. ცოტაა? გორგასალის შესახება ავტორის „უჯარმა“.



კარგისა ვაჟკაცისაგან“. გაძლიერებულ სპარსეთს იგი ვერ დაუპირისპირდებოდა.

სპარსელთა შეგონებით ერისთავებმა დაიწყეს განდგომა. ერისთაობა იყო თანამდებობა, რომელიც შეიძლება მემკვიდრეობით შვილზე არ გადასულიყო. სპარსელები ერისთავებს ჰპირდებოდნენ საერისთაოების საკუთრებაში, სამემკვიდრეოდ გადაცემას. ეს მხსვილ ფეოდალებს სასიცოცხლოდ აინტერესებდათ. მეფისაგან განდგომის მაგალითი მეფე დაჩის ნახევარძმებმა, (ბიზანტიელი დედოფლის ნაშობმა ლეონმა და მირდატმა) მისცეს.

სპარსეთს, ბუნებრივია, თავისი მიზნები ამოქმედებდა. მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ რომის იმპერიამ (ბიზანტიამ) თავის წილ დასავლეთ სომხეთში მეფობა გააუქმა, სომხეთის აღმოსავლეთში (თავის წილ სომხეთში) სპარსეთმა იგივე მოიმოქმედა. შემდეგ დადგა ალბანეთის ჯერი, 461წ. ალბანეთში მეფობა მოისპო. საუკუნის ბოლოს ალბანელებმა მოახერხეს დროებითი ძველი ხელისუფლების აღდგენა. საბოლოოდ 510წ. სპარსეთმა მიზანს მიაღწია. დადგა ჯერი იბერიისა. დაჩის მეფობა უფერული გამოდგა. ნახევარძმებმა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ფაქტობრივად ცალკე გამოჰყვეს და ბიზანტიას დაუკავშირეს.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ დაჩის შემდეგ მისი ვაჟი ფარსმანი უნდა გამეფებულიყო. მის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ფაქტია, რომ სპარსელებმა იბერიაში შემოიღეს მარზპანის თანამდებობა. იგი გახდა ქვეყნის ფაქტიური მმართველი. შეიძლება ამიტომ ითვლება 523 წ. იბერიაში მეფობის გაუქმების თარიღად. ფარსმანი კიდევ რომ ყოფილიყო, რეალურად ვერაფერს შეცვლიდა.

ქართთა დიდი სამეფო-იბერია დაიშალა და მის არსებობას წერტილი დასვა. ისტორიულად ეთნოსსაც და შუა საუკუნეების სამეფოსაც, ისევე, როგორც თანამედროვენი ხშირად იბერიის (ივერიის) სახელით მოიხსენიებენ, მაგრამ აზონისა და ფარნავაზის მიერ შექმნილმა იბერიის სამეფომ მხოლოდ VII ს. პირველ ნახევრამდე იარსება.



კოლხეთის დიდი სამეფო

ისტორია მრავლად იცნობს საკითხებს, რომელთა ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი ასეთია კოლხიდის დიდი სამეფოს პრობლემა.

ძვ.წ.ა. VIII საუკუნეში სკვით-კიმერიელების შემოსევას თუბალ-მეშხური ტომების სამეფოთა განადგურება მოჰყვა. არსებობა შეწყვიტა ურარტუს მძლავრმა იმპერიამ. მცირე აზიაში მოისპო მუშქების ორივე სამეფო, დიდი და მცირე ფრიგია. აღარსად ჩანდა ამრის სამეფო. თუ ადრე მას ეკუთვნოდა კილიკია, ახლა თავად გახდა კილიკიაზე დამოკიდებული.

იმავე საუკუნეში შეიქმნა ხალდების (ხალიბების) დიდი გაერთიანება ყოფილი დიაუხის (ტაოხის) ტერიტორიაზე. ხალიბები დიდ სივრცეს იკავებდნენ მდ. ჰალისიდან აღმოსავლეთით ვანის ტბამდე. ტომთა ეს გაერთიანება ჰეროდოტეს დროს სასპერების სახელითაა ცნობილი. ცხადია, ტომები რჩებოდნენ, მაგრამ ლიდერი ტომის სახელის მიხედვით სახელწოდება იცვლებოდა.

ძვ.წ. ა. IV საუკუნეში აზონ-ფარნავაზის მიერ იბერიის (ქართლის) სამეფოს აღდგენამ, ამ ტომთა ნაწილის ახალ სამეფოში გაერთიანება გამოიწვია. ფარნავაზმა, შექმნა რა საერისთაოები; მარგვეთის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისის მიწები, ეგროსის კუთვნილ მხარეს ჩამოაჭრა. ეგროსის კუთვნილ მხარეში ამან ახალი რეალობა შექმნა. მხარე გაყოფილი აღმოჩნდა სამ ნაწილად. ჩრდილოეთი ეგრისი, კვლავ ანაპის კონცხის ჩათვლით სივრცეს იკავებდა. იბერიის სამეფოს კუთვნილი, ეგროსელთა ცენტრალური ნაწილი და სამხრეთი, სადაც კოლხური ტომები განაგრძნობდნენ არსებობას.

სწორედ კოლხთა ამ სამხრეთ ნაწილში განვითარდა მოვლენები, რომელიც დიდი სამეფოს შექმნით დაგვირგვინდა. „ზღვის ხალხების“ შემოსევის დროს მეშხური წარმომავლობის ტომებმა თუბალები შეავინროეს და იქ შერეული მოსახლეობა გაჩნდა.



ამ ტომებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით იცნობდნენ, მაგრამ არსებითი ისაა, რომ მონათესავენი იყვნენ და ერთ ენაზე მეტყველებდნენ. ჰომეროსი მათ ჰალიძინების საერთო სახელით მოიხსენიებს. გვიან მათ ხალიბებიც (ხალდეები) ეწოდათ, კოლხებიც და ლაზებიც ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ფასიანები, დრილები და სხვ. ერთი მოდგმის ტომებია. როცა სპარსეთმა ეს მხარე დაიპყრო, მას კაპადოკია დაარქვა, რაც ბევრი ცხენების ქვეყანას ნიშნავდა. იგი სპერის (პონტოს, შავ) ზღვამდე ვრცელდებოდა. კაპადოკია გაჰყვეს ორ ნაწილად, დიდი და ზღვისპირა მხარის. ზღვისპირა მხარის კაპადოკიას შემდეგ პონტოს ქვეყანა ეწოდა, თუმცა იქ კვლავ კოლხურ-ლაზურ-ხალიბური მოსახლეობა ცხოვრობდა. მათ დაარსეს მრავალი სახელოვანი ქალაქი: ამასია, სინოპი (სინუპე-ლაზურად სინ წყალი, უპე-უბე), გაძიურა, ამისოსი, კოტიურა, კერასუნტი, ცელა, თემისკირა, ფარნაკია და ა.შ. ბევრგან ადგილობრივებთან ერთად საბერძნეთიდან გადმოსული კოლონისტები ცხოვრობდნენ. დიდი კოლხეთის დედაქალაქ ამასიაში, მეფის ახლობელ არისტოკრატიულ ოჯახში ძვ.წ.ა. 63წ. დაიბადა გეოგრაფიის მამად წოდებული სტრაბონი. ცხადია ეს მხარეები მან კარგად იცოდა და ამიტომ მის ცნობებსაც მეტი ნდობა აქვს.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის იმპერიის დასამარებას, ბევრი ადგილობრივი ტომის გათავისუფლება მოჰყვა. მათ შორის დამოუკიდებლობა მიიღო ზღვისპირა კაპადოკიამ. იგი პონტოს სამეფოს სახელით შემორჩა ისტორიას. ამავე დროს, ვერავინ უარყო, რომ ძირითად მოსახლეობას ლაზ-კოლხები შეადგენდნენ.

სამხრეთ კოლხეთის მეფე მითრიდატემ (ძვ.წ.ა. 337-302წწ); სხვა კუთხის ტომების მსგავსად, ალიარა ალექსანდრე მაკედონელის-ჰეგემონობა და მორჩილება გამოუცხადა. 323 წ. ალექსანდრე გარდაიცვალა და ეს მხარე გაყოფის დროს ევმენს ერგო. მაკედონელის სარდლებს შორის დაინყო ბრძოლები პირველობისათვის. ევმენი დაუპირისპირდა სელევკიდ ანტიგონეს და მასთან ბრძოლას შეეწირა, მითრიდატემ ალიარა ანტიგონეს უპირატესობა და დამორჩილდა.



მითრიდატეს დარჩა მემკვიდრე მითრიდატე, რომელმაც შეძლო და ძვ.წ.ა. 296 წ. თავი მეფედ გამოაცხადა. მითრიდატე არიობარზანმა შეცვალა, შემდეგ ახალი მითრიდატე და ასე ძვ.წ.ა. 132 წლამდე, როდესაც ლაზთა ქვეყანას მოუვლინა რიგით მეექვსე მითრიდატე ევპატორად (კეთილშობილად) წოდებული და ღმერთ დიონისედ აღიარებული.

ძვ.წ.ა. II საუკუნეში იწყება რომის იმპერიის აღზევება და მცირე აზიის დაპყრობა. ეს მხარე იმ დროს დაყოფილი იყო მცირე შესაძლებლობის სამეფოებად: პაფლაგონია, კაპადოკია, პერგამოსი, გალატია, ბითინია. მათ შორის არმენიას უკვე ჰქონდა განაცხადი სხვისი ტერიტორიების დაპყრობაზე. ფეხზე დგებოდა კოლხთა პონტოს სამეფო და უშუალო მეზობლების მიერთებას ლამობდა.

თორმეტი წლის იყო მითრიდატე ევპატორი, როცა ღალატით მოუკლეს მამა. თავად დედოფალი ლაოდისე უნდა ყოფილიყო შეთქმულებაში გარეული. ცნობილია, რომ მან შვილისა და მემკვიდრის თავიდან მოცილებაც რამდენჯერმე სცადა. ერთგულმა ადამიანებმა მთებში გადამალეს უფლისწული.

არაჩვეულებრივი მონაცემებისა იყო ყმანვილი და ძალზე ბევრიც შეიძლო. ტანმაღალი, სწრაფი, გადმოცემით ირემს გაქცეულს იჭერდა. ორგანიზმს სანამლავს აჩვევდა. იზრდებოდა და სწავლობდა. იცოდა 22 ენა, თარჯიმანს არასოდეს მიმართავდა.

20 წლის იყო მითრიდატე, როცა მოაწყეს გადატრიალება და გამეფდა. ახალგაზრდამ ქვეყანა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა. ძლიერი ჯარის შექმნის შემდეგ, მოქმედების დრო დაუდგა.

პირველი მნიშვნელოვანი ლაშქრობა და გამარჯვებები ყირიმის ნახევარკუნძულს უკავშირდება. კავკასიის სამხრეთიდან მიდიელების მიერ გაძევებული სკვითები, აზოვისა და შავი ზღვების ჩრდილოეთ მხარეში საშიშ ძალად იქნცნენ. ძვ.წ.ა. 110 წლისთვის ისინი ოლბიის, ხერსონესისა და ბოსფორის მხარეს დაემუქრნენ. უკანასკნელებმა დახმარებისათვის მითრიდატეს მიმართეს. შედეგად სკვითები დამარცხებული იქნენ. ასევე დაამარცხეს სავმაკის ხელმძღვანელობით წარმოებული მონათა



აჯანყება ძვ.წ.ა. 107 წელს. საბოლოო ანგარიშით ეს მხარე მითრიდატეს დაუქვემდებარეს, მისი სამეფოს ნაწილი გახდა.

ამ წარმატებას მოჰყვა აზოვის ზღვის აღმოსავლეთი მიწების დაპყრობა. მდ. დონსა და მდ. ყუბანს შორის მიწები მითრიდატეს სამეფოს კუთვნილება გახდა.

ჟამთა ამწერნი ამბობენ, რომ ახალგაზრდა მითრიდატემ, გადანყვიტა იმ ქვეყნების შესწავლა, რომელთა დაპყრობასაც აპირებდა. გადაცმული (რომ არ ეცნოთ) წავიდა დასაზვერად. მმართველად დატოვა შვილი მახარე¹ და მეურვედ ცოლი ლაოდოკე.

ეშმაკი შეუჩნდა დედოფალს და დროსტარებას მიჰყო ხელი. როცა მეფეს ერთგულებმა აცნობეს სასახლის კარზე დატრალეული ცოდვის შესახებ, უცებ დაბრუნდა სასახლეში. დედოფალმა და მისმა თანამეინახეებმა ღვინით სავსე თასი მიართვეს. მითრიდატემ მოსვა ღვინო და საწამლავი იგრძნო. იმავე თასიდან შეასვა მისი დაბრუნებით გაოგნებულ დამხდურებს, ყველა ადგილზე დაიხოცა. მითრიდატეს გაკაჟებულმა ორგანიზმმა კი გაუძლო.

მეფეს უქმად ყოფნა არა სჩვეოდა. მალე მან სამეფოს ეგროსის მხარე შეუერთა და კოლხეთის დიდი სახელმწიფო შექმნა. მას, სომხების (არმენიელების) მიერ იბერიის სამეფოსაგან მიტაცებული ტერიტორიები მიაყოლა. ისტორია დუმს, მაგრამ იგულისხმება, რომ კოლხეთის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ერთ სახელმწიფოში გაერთიანება, ადრე აზონ-ფარნავაზის მიერ დაკავებული ტერიტორიების მიერთებასაც გულისხმობდა. უფრო მეტი, მითრიდატემ ეტყობა იბერიის სამეფო მნიშვნელოვნად შეავიწროვა, რადგან აღმოსავლეთის საზღვარი კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადასწია. ცნობილია, რომ მან

1. ვინც ეჭვს შეიტანს მითრიდატეს კოლხობაში, მან ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ სახელი მახარე, ისევე, როგორც მეორე ვაჟის სახელი ფარნაკი (ფარნა) არაა კოლხური, ლაზური, მესხური, არამედ რომაულია, სომხურია, რუსულია და ა.შ. აღარაფერი ითქმის სახელ მითრიდატეზე. თუ ჰყოლიათ სხვა ეთნოსებს მეფე მითრიდატე?



ააგებინა აღმოსავლეთის სასაზღვრო ციხე, ჩვენი ცნობილი ახალციხე. სწორედ ამ ციხეში მალავდა იგი სამეფო განძეულობას, რომელსაც ჯარის დასაქირავებლად იყენებდა.¹

მითრიდატემ მართალია, იბერია შეავინროვა, მაგრამ შორს აღარ წასულა. ცნობილია, რომ იბერიის სამეფო მისი მოკავშირე იყო და არა მტერი.

შექმნა რა დიდი კოლხეთის სამეფო, მითრიდატე კეთილშობილმა, აუცილებლობით განპირობებულმა ქვეყანა სამმართველო ნაწილებად დაჰყო, ყირიმის ნახევარკუნძულის მმართველად დაამტკიცა უფორსი ვაჟიშვილი მახარე. კოლხეთის ჩრდილოეთი ნაწილის მმართველად უმცროსი ძმა მითრიდატე. მათგან ზურგმოცემული უკვე სამხრეთით ლაშქრობებს გეგმავდა.

თქა არ უნდა, ისტორიის ყველა მონაცემს ერთბაშად ვერავინ მოყვება. მაინც საინტერესოა, რომ მითრიდატემ სიძედ გაიხადა არმენების (სომხების) მეფე ტიგრან II და ხელი შეუწყო დიდი სომხეთის სახელმწიფოს შექმნას. ისტორიულმა ვითარებამ და მითრიდატეს მხარდაჭერამ განაპირობა ტიგრანის წარმატებები. არა და წარმატება მართლაც დიდი იყო. ტიგრან მეორემ სიმამრის დახმარებით შეძლო დიდი სამეფოს შექმნა. იბერიიდან სამხრეთით ეგვიპტემდე, ვან-ურმიის ტბებიდან კაპადოკიამდე უზარმაზარი ტერიტორიებია.

საკითხი ის კი არაა რა მისცა ერთმა მეორეს, საკითხი ისაა რამდენად ისარგებლეს მითრიდატემ და მისმა სიძე ტიგრანმა შექმნილი მეგომარეობით.

საინტერესო მითრიდატეს მიღწევებია. პირველ რიგში ის, რომ ჩრდილოეთ კოლხეთი, მან საგამგებლოდ ძმას ჩააბარა. მასაც ტრადიციული სახელი მითრიდატე ერქვა. ცნობილია, უმცროსმა ძმამ მოინდომა საგამგებლო ტერტორიაზე ცალკე სამეფოს შექმნა. უფროსმა გაუგო ღალატი, ძმას ოქროს ბორკილები დაადო და ამით მისი სიხარბე მოთოკა.

1. დღეს სომეხი მეზობლები ცდილობენ ახალციხე, ჯავახეთი და ა.შ. გაასომხონ. ვინც ახალციხეს ახალცხას არქმევს და გაგრძელება საჭირო არაა, თავის ეთნოსს ავნებს. სხვას რომ შეედავო, ჯერ საკუთარი უნდა იცოდე.



ისიც ცნობილია, რომ მითრიდატე ზოგჯერ შემოვლითი გზებით ცდილობდა მიზნის მიღწევას. რათა უშუალოდ არ შეს-ჯახებოდა რომის იმპერიას, ორჯერ, ძვ.წ.ა. 94 და 74 წლებში კაპადოკია გააძარცვინა არმენების მეფე ტიგრანს. ქონებასთან ერთად დაახლოებით ნახევარი მილიონი ტიბარენელი იძულებით იქნა სასომხეთში (არმენიაში) გადასახლებული.

უაღრესად საინტერესოა დიდი კოლხეთის სამეფოს ბრძოლების ისტორია. მითრიდატემ ერთი პერიოდი საბერძნეთიც დაიაკვა და ეგეოსის ზღვის კუნძულებიც. რამდენიმე ათწლიანი ჭიდილი საბოლოოდ აღმავლობის გზაზე მყოფი რომის იმპერიის გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენ შემთხვევაში არსებითი ბრძოლების ისტორია კი არაა, არამედ იმის გაგება და დამახსოვრება, რომ ეს სამეფო კოლხური იყო და ისტორიაც კოლხეთის ისტორიის ნაწილია. არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეთ იმ მკვლევარებს, რომლებიც მსჯელობენ მითრიდატე პონტოელზე, პონტოს სამეფოზე და აჩუმათებენ კოლხობის ფაქტს. იმედია მომავალში მაინც ყოველივე ჩვენი ისტორიის განუყრელი ნაწილი გახდება.

კოლხეთის დიდი სამეფო რომის იმპერიასთან თითქმის ორმოცი წელი ომობდა. იყო წარმატებები და წარუმატებლობა. საბოლოოდ საკითხი ლალატმა გადაჭრა. ჯერ იყო და სიძემ და მოკავშირე ტიგრან II უგანა, შემდეგ, ცოლმა გაუმხილა რომის ჯარების სარდალ პომპეუსს, განძის სამალავი. დამარცხებული, განძარცული და მიტოვებული მითრიდატე, რომაელებს გაერიდა, კოლხეთის ჩრდილოეთში გადაიხვეწა, იქიდან ყირიმში გადავიდა და ძვ.წ.ა. 63 წ. მცველს თავი მოაკვლევინა.¹

პომპეუსმა მითრიდატეს დევნის დროს, ძვ.წ.ა. 65 წ. ილაშქრა იბერიაში. მეფე არტაგი დაამარცხა, მოკავშირედ გაიხადა და აქედან ლიხის გზით დასავლეთში გადავიდა. შემონახული ცნობის თანახმად პომპეუსმა ლაზიკასთან დევნა შეწყვიტა, ქალაქი გაამაგრა, ნიკეფსი უწოდა და უკან გამობრუნდა.

ეგროსის კუთვნილი მხარე იმ დროს სამამასახლისობადაც ყო-

1. ამ მოვლენებთან დაკავშირებითაა ავტორის ნაშრომი „მითრიდატე“.



ფილა დაყოფილი. ეგრეთ წოდებული სკუპტუხიები განაგებდნენ ამა თუ იმ ტერიტორიას. მითრიდატეს გარდაცვალებისა და რომაელთა წასვლის გამო მხარე დეცენტრალიზებული აღმოჩნდა. ცნობილი გახდნენ ტომები, რომლებიც ადრე მორჩილებდნენ მეფეს. ზოგიერთმა ტომმა საკუთარი მეფე აირჩია.

არაა საჭირო თეორიების შექმნა უცხოტომელების შემოსვლის, მთის ტომების ბარში ჩამონოლის და სხვ. იმ პერიოდის ჟამთა ამწერნი არაფერს ამბობენ ამ მიმართებით. მხოლოდ ერთია სავარაუდებელი. როცა მითრიდატემ ჩრდილოეთი კოლხეთი (ეგროსის მხარე) სამხრეთთან აერთიანა, შესაძლებელი იყო ლაზების გადმოსვლა და იმ ადგილებში ჩასახლება, სადაც იყო უმცროსი მითრიდატეს რეზიდენცია. ლოგიკურია ფიქრი, რომ ახალი ადმინისტრატორი მომხრეების გარეშე არ დარჩებოდა. ეს დასკვნა უნდა იყოს ახსნა იმ ისტორიული ფაქტისა, რომ გვიანი პერიოდის კოლხურ (ძველი ეგროსის, აიეტის) სამეფოს ლაზიკასაც უწოდებდნენ.

მითრიდატე ევპატორის (კეთილშობილის) შექმნილი იმპერია მისი გარდაცვალების შემდეგ დაიშალა. ბევრი დაპყრობილი თუ მიერთებული მხარე ჩამოცილდა, თუ რომაელებმა ჩამოაცილეს სამეფოს. მარცხით დამთავრდა მითრიდატეს განდგომილი უმცროსი ვაჟის ფარნაკის მცდელობაც იმპერიის აღდგენისა. რომაელებმა იგრძნეს ახალი მმართველის მხრივ ხიფათი. ფარნაკს ჯარი შეყრილი და განვთნილი არა ჰყავდა, რომ იულიუს ცეზარის სარდლობით შეძლეს მისი განადგურება.

მითრიდატეს ყოფილი სამეფო რომის შორეულ პროვინციად გამოცხადდა ნიშანდობლივია. რომ ამ პროვინციის შემადგენლობაში ეგროსის (კოლხეთის ჩრდილოეთი) მხარეც მოიაზრებოდა. სხვანაირად ძნელი ასახსნელია რატომ მართავდა ამ ტერიტორიებს მეფე პოლემონ I ან მისი ქვრივი პითოლორიდა. გამოირიცხება სტრაბონის ამ ცნობის სხვანაირი გაგება.¹

მითრიდატეს სამეფო მრავალი მხარისა და უფრო მეტი

1. ბატონი გიორგი მელიქიშვილი მიიჩნევდა, რომ პოლომონის „ძალაუფლება“ მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავ ზღვისპირეთზე ვრცელდებოდა.



ტომისაგან შედგებოდა. როცა მსჯელობაა აიეტი კოლხიდაზე, კულხაზე, ეგროსის მხარეზე, ეგროსელეზე, ლაზიკაზე, იგულისხმება რომ ეს კრებისითი სახელწოდებაა. მითრიდატეს შემდეგ სამეფო იშლება და ისტორიის ასპარეზზე მრავალი ტომი ჩნდება. ყოველი მათგანი ცდილობს შეძლების კვალობაზე მიაღწიოს დამოუკიდებლობას, შექმნას სამეფო, შეუკავშირდეს მონათესავე ტომებს და უზრუნველყოს მომავალი.

იყო ნათქვამი, რომ ძლიერების პერიოდში, მითრიდატემ იბერიის სამეფო შეავიწროვა, ეგროსის სამხრეთი ნაწილი ჩამოაჭრა და კოლხეთის დიდ სამეფოს მიუერთა. ახალი წელთა აღრიცხვის I-II საუკუნეებში მოხდა პირიქით. იბერიის სამეფო გაძლიერდა, რომის იმპერიის მოკავშირის უფლებით ისარგებლა და შეტევაზე გადავიდა. ფარსმან I მეფობის დროს, ერთი პერიოდი სომხეთსაც დაეუფლა და სამხრეთ-დასავლეთითაც მოიპოვა ტერიტორიები. ფარსმან II ქველის დროს იბერიის საზღვრები შავ (პონტოს, სპერის) ზღვას მიეზღინა. ნიშნავს, რომ ეგროსის მხარე კვლავ გაიყო სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად. ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს იბერიის კუთვნილ ეგროსსა და „ბერძენთ მიმხრობილ“ ეგროსს შორის საზღვარი მდ. კელასურზე (კლისურა, კორახი) დაიდო. იგივე განმეორდა ვახტანგ გორგასლის დროს.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ გრძელი დროის განმავლობაში (ძვ.წ.ა. IVს-ან ახ.წ.ა. VIს-დე), გარკვეული ცვლილებები მოხდებოდა ორი მიმართულებით: 1. ეგროსის სამხრეთი მხარის მოსახლეობა განიცდიდა იბერიზაციას (ქართიზაციას) და პირიქით იბერებში მოახდენდა ცვლილებას; 2. მოხდებოდა გარკვეული გაუცხოება სამხრეთელ და ჩრდილოელ ეგროსელებს შორის. ამერსა და იმერს, გაღმელ-გამოღმელ, ეგრებ-მეგრებს შორის.¹

ეგროსელთა შორის საცნაურნი ხდებიან სანები (ჭანები),

1. კოლხეთის დიდი სამეფოს ტომობრივი შემადგენლობის განხილვა ცალკე პრობლემაა. ამის შესახებ ზღვა ლიტერატურა არსებობს. მათ შორის ავტორის „ქართველთა ეთნოგენეზი“, და „კავკასიონთა ეთნოგენეზი“.



ლაზები, აბაზგები, აფშილები, მისიმიანები, სანიგები და ა.შ. ძველი ავტორები მიიჩნევენ, რომ პიტიუნტსა (ბიჭვინთა) და დიოსკურიაში (ცხუმი, სოხუმი) 70 ტომის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. აღარაა საუბარი ფოთზე (ფაზისი), რომელიც ძირითად სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა.

ეგორსელთა შორის ბევრი ძლიერი გაერთიანება იყო. საკმარისია მიეთითოს, რომ სვანებს (ძველ სანიგებს) შეეძლოთ 200 000 მეომრის გამოყვანა, რომ ჰენიოხები ცხოვრობდნენ ახლანდელი აფხაზეთისა და აჭარის ტერიტორიებზე. ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყეს ლაზთა გაერთიანების დაწინაურებას და ცალკე სამეფოს შექმნას.

ლაზებს ეგროსის მხარის სამხერთი ნაწილი ეკავათ მათ ჩრდილოეთით იყვნენ აფშილები, მისიმიანები, აბაზგები და უფრო ჩრდილოეთით სანიგები. აფშილები უმთავრესად ლაზებს მორჩილებდნენ, მისიმიანები ერთგულობდნენ, აბაზგები ძირითადად იმის სანინაალმდეგოს აკეთებდნენ, რასაც ლაზები. სანიგები, შორს მყოფნი, მეტად დამოუკიდებელი იყვნენ. მათ უფრო აბაზგებთან ურთიერთობის მოგვარება უწევდათ.

ლაზთა სამეფო, გარკვეული დრო დაცული იყო სპარსეთის აგრესიისაგან და შეეძლო თავისუფლად ემოქმედა. ბიზანტიასთან მისი დაქვემდებარება ნომინალური ხასიათისა, მაინც აწუხებდათ და გუბაზ მეფემ მისი მოსპობაც მოინდომა. 456 წ. იგი დაუკავშირდა სპარსელებს და მოკავშირეობა შესთავაზა ბიზანტიის წინააღმდეგ. ბიზანტიელებმა გუბაზის განდგომა გაიგეს, მაგრამ საერთო ვითარების გამო საქმე საომარ დაპირისპირებამდე არ მისულა.

ვახტანგ გორგასლის შემდეგ, სპარსეთის გავლენა იბერიანზე, გაიზარდა. ლაზთა მეფე წათემ იგრძნო უშუალო საფრთხე და ზურგის გამყარების მიზნით კონსტანტინეპოლს მიმართა. ქრისტიანობა მიიღო, იქვე პატრიკიოს ნომის ქალიშვილი ცოლად მოიყვანა და იმედმიცემული დაუბრუნდა სამეფოს.

წათეს პოლიტიკურმა ტაქტიკამ გაამართლა. სპარსეთმა, სომხეთის დაუფლების და იქ 428 წ., მეფობის გაუქმების შემეგ,



იგივე 510 წ. გააკეთა ალბანეთში. მიჩნეულია, რომ 523 წ. მეფობა იბერიაშიც გაუქმდა.¹ რამდენადაც ფორმალურად იბერია სპარსეთის გავლენის ქვემდებარე იყო და თავის მხრივ ეგრისის სამხრეთს აკონტროლებდა, ლოგიკურია, რომ სპარსეთი ამ მხარესაც თავის საგამგებლოდ მიიჩნევდა... სპარსელებისათვის სრულიად გასაგები იყო, რომ ეგრისის ეს მხარე მათია და საჭიროებდა შემომტკიცებას. 528 წ. შაჰ კავადიმ ლაზიკის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბიზანტიის კეისარმა ლაზებს ჯარი მიახმარა სახელოვანი სარდლის ველიზარის ხელმძღვანელობით. ბრძოლაში სპარსეთი დამარცხდა, მაგრამ საფრთხე არ მოხსნილა.

531 წ. შაჰ კავადი ხოსრო I შეცვალა. შაჰ ხოსრო ცნობილია, ანოშარვანის (სამართლიანის) ზედწოდებით. უცნაურია ბედის ირონია. იმ დროს სპარსეთში ფართედ იყო გავრცელებული მაზდეკიძების (თანასწორუფლებიანობის) მიმდევრების მოძრაობა. შაჰმა მალევე მოიწვია მაზდეკიძები (სამართლიანობის ერთგულმა, თანასწორუფლებიანობის ერთგულები) და ქეიფის დროს ამოახოცინა. მათ მიაყოლა ძმები ოჯახებით და ვისაც კი შაჰ-ობაზე შეიძლება პრეტენზია გასჩენოდა... ასეთი იყო სპარსული სამართლიანობა...

ბიზანტიის კეისარი არა ნაკლები სამართლიანობით გამოირჩეოდა. ამ ომის შემდეგ, ლაზთა სამეფოში, კეისარმა ჯარი ჩააყენა.

მეფე წათე მემკვიდრე გუბაზმა შეცვალა. მან ვერ გაუძლო ბიზანტიელთა „სამართლიანობას“ და დახმარება ახლა სპარსელებს სთხოვა... შაჰ ხოსროს დიდი ხვეწნა არ სჭირდებოდა. იგი ისედაც თავის ქვემდებარედ მიიჩნევდა კავკასიონის სამხრეთის ეთნოსებს.

542 წ. ხოსრო I, იბერიის გავლით ლაზთა სამეფოში გადავიდა. სპარსელებმა ბიზანტიელები გააძევეს და ქვეყანას დაეპატრონენ. ლაზიკის დაუფლებით სპარსელების წინაშე ფართე

1. მკვლევართა ნაწილის მტკიცებით ეს ცოტა უფრო გვიან 540 წლისთვის უნდა მომხდარიყო.



პერსპექტივა ისახებოდა. ზღვით ყოველთვის შეიძლებოდა კონსტანტინეპოლზე თავდახმა. მთავარია ლაზებს ამ საქმეში ხელი ვერ შეეშალათ. მაგრამ თუ ამ ხელშემშლელ ფაქტორს მოხსნიდნენ?

შაჰ ხოსრო I (სამართლიანისათვის) სამართლიანი „იქნებოდა“ ლაზთა ჭირვეული მეფე გუბაზის თავიდან მოცილება. თან ისე, რომ სპარსელებს არაფერი დაბრალებოდათ. გეგმა უნაკლო იყო: შაჰის ერთგული ფარვიზისათვის შეირჩა 300 გამოცდილი, პოტენციური მკვლელი. თავად ფარვიზი ახლო მეგობრობდა მეფე გუბაზისაგან განდგომილ ვინმე ფარსმან ლაზს. მკვლელობის გეგმა მათ ერთად შეიმუშავეს. მოხდა ისე, რომ ფარსმანში რაღაცამ გაიღვიძა და (მოლაღატემ), მეფე გუბაზი საიდუმლოდ გააფრთხილა. სპარსელების გეგმა ჩაიშალა.¹

მეფე გუბაზი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და იძულებული გახდა კეისარ იუსტინიანესათვის მიემართა დახმარების თხოვნით. სპარსელების ნაცვლად ბიზანტიელები ჩადგნენ ქვეყანაში. როგორც კი გუბაზი ბიზანტიელებისაკენ გადაიხარა, აბაზგთა მთავრებმა ოფსიტემ და სკეპარნამ დახმარება სპარსელებს სთხოვეს.

ბიზანტია – სპარსეთის ომი ლაზთა სამეფოს დასაკუთრებისათვის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაშინ ბიზანტიელმა სარდლებმა მეფე გუბაზი ლაღატით მოკლეს, იყო 554 წელი. გუბაზის ნაცვლად გამეფდა ძმა წათე. გუბაზის ოჯახი მთებში ჰყავდა გადამალული.

563 წ. დაიდო სპარსეთ-ბიზანტიის ზავი. კეისარმა იუსტინიანემ მოახერხა და ლაზებთან ერთად ჭანებიც დაიმორჩილა. ლაზებში კი მეფობა გააუქმა და პატრიკიოსის თანამდებობა დაუნესა ქვეყნის მმართველს. ამიერიდან ლაზ-ეგროსელებს პატრიკიოსის ხელმძღვანელობით უნდა ეცხოვრათ და ეომათ თავისუფლებისათვის.

დასრულდა კოლხეთის დიდი სამეფოს ისტორია.

1. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ავტორის „გუბაზი“.



უქმობა

ზეცის განგებით თუ ხელისუფალთა უბედობით, ისე მოხდა, რომ VI შუა ხანებში, მეფობა გაუქმდა იბერიის ქვეყანაში და შემდეგ იგივე გამეორდა ლაზიკის (სამხრეთ ეგრისის) მხარეში. მეფობა დიდი ტვირთი იყო, უმეფობა დიდი განსაცდელი.

სპარსეთთან დაპირისპირება ძვირად დაუჯდათ იბერებსა და ეგროსელებს. იმპერია აღმავლობის გზაზე იდგა და მალე დაამტკიცა თავისი უპირატესობა. VII საუკუნის პირველი ოცი წლის განმავლობაში სპარსეთმა წინა აზიის ქვეყნები დაიკავა და ბოლოს ეგვიპტეც მიაყოლა. ბიზანტიის იმპერიამ დროებით უკან დაიხია და შინა აშლილობაში ჩაერთო. გააქტიურდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე შესული ტომები.

იბერიაში მეფობის მოსპობის შემდეგ სპარსეთი აქ თავის დიდმოხელეს, მარზპანს ნიშნავს და მისი მეშვეობით განაგებს ქვეყანას. მარზპანი თავის მხრივ ადგილობრივ დიდებულებს უნდა დაყრდნობოდა. მათი მხარდაჭერის გარეშე ქვეყნის მართვას ვერ შეძლებდა. დიდი იყო სპარსული დაპირებები და არა ნაკლებ დიდებულთა მოლოდინი. ერისთავთა მხარდაჭერით გაუქმდა მეფობა და მათი შემწეობით უნდა განხორციელებულიყო ქვეყნის მართვა.

საზოგადოებაში ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია მოქმედებს: დეცენტრალიზაციის (გათიშულობის, განცალკევების) და ცენტრალიზაციის (გაერთიანების, ერთიანი მმართველობის შემოღების).

პირველი ტენდენცია განხორციელდა, როცა მეფობა მოისპო და ერისთავებმა ცალკე გაიწიეს, სამართავ მამულებში თავი პატარა მეფეებად იგრძნეს. ასეთი მდგომარეობა ყველაზე მეტად სპარსელებს აწყობდათ. ამიტომ ჰპირდებოდნენ ერისთავებს საგამგეო მამულებზე კერძო საკუთრების დამკვიდრებას, ერისთავობის მემკვიდრეობით დაუფლებას. ამ სატყუარათი დაიყენეს გვერდით დიდებულები, როგორც საერო, ასევე საეკლესიო. განცალკევებული, დაქსაქსული ერისთავების მართვა შედარებით იოლი იყო.



თავის მხრივ, მოიშორეს რა მეფე, თითქოს შვება უნდა ეგრძნოთ დიდებულებს, სინამდვილეში კი უარეს დღეში ჩაცვივდნენ ყოველი მათგანი, სხვებისაგან გაუცხოებული, მარზპანის (სპარსელი მოხელის) უსიტყვო მორჩილი ხდებოდა. ვერც ეკონომიკურად და ვერც პოლიტიკურად მათი მდგომარეობა ვერ უმჯობესდებოდა.


მაღევე მიხვდნენ დიდებულები გაერთიანების უპირატესობას. მეფობის აღდგენას სპარსეთი არ დაუშვებდა. მოიძებნა გამოსავალი. ჟამთა ამწერლის გადმოცემით, იბერთა დიდებულებმა, საერთო ნებით, აირჩიეს ერისმთავარი. პირველი ერისმთავარი გახდა გუარამი. მკვლევართა დასკვნით ეს მეექვსე საუკუნის შუა ხანებში მოხდა, მეფობის გაუქმებიდან ორი ათეული წლის თავზე.

ერისმთავარს მეფე არ ერქვა, მაგრამ ქვეყნის წინაშე მდგარი საკითხები უმისოდ ვერ გადაწყდებოდა და არც სპარსელებს შეეძლოთ მის გარეშე ქვეყნის მართვა.

ერისმთავრის რეზიდენცია თბილისში იყო და აქედან წარმართავდა საქვეყნო პროცესებს. ცნობილია, რომ მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში ერისმთავრის ტახტი ჯერ გუარამ I ეკავა, შემდეგ გურგენს და ბოლოს გუარამ II.

მთელი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა სპარსეთ-ბიზანტიის პერიოდული ომები წინა და მცირე აზიის საბოლოოდ დასაუფლებლად. ერისმთავრები, აგრძელებდნენ რა მეფეთა პოლიტიკას, ცდილობდნენ იმპერიათა ჭიდილიდან საკუთარი სარგებელი ენახათ. შესაბამისად, ისინი იმ მხარეს იხრებოდნენ, საიდანაც ნაკლები საფრთხე მოელოდათ. ასე, რომ თუმცა იბერია სპარსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნეოდა, ერისმთავრები გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არც აჯანყებას ერიდებოდნენ და არც ბიზანტიის მხარის დაჭერას. ამიტომ იყო, რომ გუარამ II ამავე დროს კურაპალატის ტიტულსაც ატარებდა.

საუკუნის ბოლოს, სპარსეთ-ბიზანტიის ჭიდილში იბერია-ალბანეთის დაუფლებისათვის, აქტიურად ჩაერთო კავკასიონის ჩრდილოეთში დამკვიდრებული თურქული წარმომავლობის



საქართველო და არაბთა სხვაობენ VII საუკუნეში



ხაზართა სახაკანო (კავანატი). დასაწყისში ხაზარები ბიზანტიელთა მოკავშირის სახით მონაწილეობდნენ სამხრეთ კავკასიის რბევა-ძარცვაში. მალე ისე მოძლიერდნენ, რომ ბიზანტიის გარეშეც არაერთხელ ცდილან სამხრეთელთა დალაშქვრას.

კიდევ ერთი საფრთხის კერა ყალიბდებოდა ხალხმრავალი არაბული ტომების სახით. უზარმაზარ ტერიტორიაზე გაფანტული ბედუინები ბედის ამარა არსებობდნენ. ყოველ ტომს თავისი უმაღლესი ღმერთი ჰყავდა და თავისთვის ცდილობდა უკეთესი მომავალს შექმნას. უაღრესად საინტერესოა მექელი მუჰამედის ისტორია. მისი ახალგაზრდობა, მისი მოგზაურობანი ებრაელთა და ქრისტიანთა მხარეში, კომერციულთან ერთად დიდ შეცნობით ხასიათსაც ატარებდა. ათას წარმოსახვით რომანს და თავგადასავალს აჭარბებს რეალური მუჰამედის ცხოვრება, გამოცდილება, ცოდნა. ზღაპრულობას მოკლებული მისი ფიქრების არეალი დაედო საფუძვლად ახალ, მუსულმანურ რელიგიას. ამასთან, იცოდა რა სხვისი, საკუთარი მან არაბთა აწყმოს და მომავალს ისე შეუწონასწორა, რომ დღესაც მილიონების ცხოვრების არსს წარმოადგენს.

ჭკვიანი ის კი არაა, ვინც სხვისას ხელალებით აძაგებს, ჭკვიანი ისაა ვინც სხვისას გაიგებს და ისე შეაფასებს. არაბებს შორის დაწყებული რელიგიური მოძრაობა, სულაც არ იყო უხიფათო და უკამათო. თავად მუჰამედმა ბევრი გადაიტანა ვიდრე ახალი რელიგიური მოძღვრების დამკვიდრებას შეძლებდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სწორედ იმ დროს იწყებოდა ახალი რელიგიური აღქმის მიღება, დაქსაქსული ბედუინების გაერთიანება და მზადდებოდა საფუძველი დიდი მსოფლიო გარდაქმნებისათვის, რომლის გავლენას იბერიად ყოფილი ქვეყანა ვერ აცდებოდა.

იბერიაში უმეფობის ხანს კიდევ ერთი ხიფათი დაემუქრა ეთნოსს. ეს იყო გასომხების საფრთხე. ყოველი ეთნოსი პოულობს შინაგან ძალას, რათა შეძლებისდაგვარად აირიდოს საფრთხე. სომხები (არმიანები, ჰაიკიანები) ადრე დარჩნენ უმეფოდ და შეკავშირების საშუალებად რელიგიური მრწამსი მიიღეს. ქრის-



ტიანობის მონოფიზიტური გაგება მართალია გავრცელებული იყო სირია-ეგვიპტის მხარეს, მაგრამ არა კავკასიასა და მცირე აზიაში. იქ დიოფიზიტური გაგება სჭარბობდა. სპარსეთმა ოსტატურად ისარგებლა დაპყრობილი სომხეთის ამ თავისებურებით და გამოაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ქრიტიანობის ყოველი სახეობა, გარდა სომხურისა. ქტეზიფონში, სპარსელ სასულიეროთა დიდ ყრილობაზე, შაჰმა, 614 წ., მხოლოდ სომხური მონოფიზიტური ქრიტიანობა მიიჩნია დასაშვებად. ამდენად, თუ იბერიულ ქრიტიანებს არ სურდათ სხვა რელიგიის აღიარება, სომხური ეკლესიის მრევლს უნდა მიმატებოდნენ. საკითხის ასეთმა გაგებამ ბევრი არა სომეხი აიძულა სომხური ეკლესიის მრევლი გაემრავლებინა და საბოლოო ანგარიშით გასომხებულიყო. იბერიაში სომხური მონოფიზიტური ქრიტიანობა ფართედ ვრცელდებოდა. ეს ნიშნავდა ლოცვა-წირვის სომხურად აღვლენას. სომხურ რელიგიურ აგრესიას იბერიული მღვდელმთმსახურები წინ აღუდგნენ და ამან საბოლოო ანგარიშით რელიგიურ განხეთქილებამდე მიიყვანა საქმე. იბერიაში სავალდებულო გახდა მღვდელმსახურება ეროვნულ ენაზე. იყო 609 წ. რომ არა ეს დაპირისპირება იბერიელთა გასომხება დრონის ამბავი იქნებოდა. ვახტანგ გორგასალის დროს დაწესებული კათოლიკოსობის მატარებელი კირიონი ქართული მღვდელმთმსახურების და შეიძლება ენის გადამრჩენადაც იქნეს მიჩნეული. ამ საქმეში მას ზურგს ერის მთავარი ადარნერსე უმაგრებდა.

უმეფობამ არა მხოლოდ იბერიას დაასვა დაღი. ლაზიკაში (ეგროსის მხარეში) გუბაზის მოლაღატური მკვლევლობისა და მისი ძმის წათეს მეფობის შემდეგ, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ბიზანტიის იმპერიამ მოინდომა მეფობის გაუქმება და ქვეყნის უშუალოდ მიერთება. მდინარე კელასურს ჩრდილოეთი ბიზანტიას, ფარნავაზიდან და გორგასლიდან მოყოლებულ, მტკიცედ ეკავა ეგროსის მხარე. ყოველგვარი წინააღმდეგობა სასტიკად ისჯებოდა. ისტორიული ცნობების თანახმად ბიზანტიელებმა ორჯერ განმინდეს აბაზგთა მხარე მოსახლეობისაგან. თავისუფალ ტერიტორიას ძირითადად აფსილები და სანიგები



იკავებდნენ. გადარჩენილი აბაზგებიც ფეხზე დგებოდნენ და კვლავ დამოუკიდებელ ცხოვრებას ესწრაფოდნენ, აბაზგთა დაუძღურების ფონზე ძლიერდებოდა სანიგ შავლიანთა საგვარეულო და ეგროსელთა მდ. კელასურს ზევით მხარეში მეფობისაკენ ილტვოდა... არც აბაზგთა ერისთავად დანიშნული იყო წინააღმდეგი მომავალში მეფობისათვის ებრძოლა.

საკუთრივ სამხრეთ ეგრისში (ლაზიკაში) მეფე გუბაზს სახლუელობა, ომის დროს, მთაში ჰყავდა გადამალული. ისიც არაა ცნობილი უკანასკნელ მეფე წათეს დარჩა თუ არა მემკვიდრეები. ამიტომ ბუნდოვანია და საკამათო: როცა ბიზანტიის კეისარმა მეფობა გააუქმა და პატრიკიოსობა დაანესა (მეფე ერისმთავრად ჩამოაქვეითა), ეს გუბაზ-წათეს მემკვიდრეებს შეეხებოდა თუ სხვა ვისმე. ვთქვათ აბაზგთა ან სანიგთა ერისთავს. ლოგიკურია დასკვნა, რომ პატრიკიოსობა მეფესთან შედარებით დაბალი წოდებაა, ერისთავისთვის პირიქით, ამალღებაა, როდესაც კეისარმა მეფობა პატრიკიოსობით შეცვალა, ამით ლაზიკის მეფეები დაამდაბლა. ეს კი უეჭველად გუბაზ-წათეს მემკვიდრეებს ეხებოდათ და სხვას არავის. ამ ფაქტის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრიდან მხარეს მართავს პატრიკიოსი და წინააღმდეგობის მოძრაობას სათავეში პატრიკიოსი უდგას.

ბიზანტიის კეისარი მტკიცედ ფლობდა მდინარე კელასურს ჩრდილოეთ მხარეს. ეს საშუალებას აძლევდა დაკავშირებოდა კავკასიონის ჩრდილოეთით აღმოცენებულ ხაზართა ხაკანს, შეთანხმებულიყო და საერთო ძალით ებრძოლათ სპარსეთის წინააღმდეგ. კეისარი ერეკლე და ჯიბლუ ხაკანი არაერთგზის ლაშქრობდნენ სამხრეთ კავკასიაში, რასაც ალბანელთა და იბერიელთა მხარის აოხრება ახლდა თან. მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევარი, ბიზანტია-ხაზართა და სპარსელებს შორის ბრძოლებში მიიღია. ყოველი მათგანი ცდილობდა თავისი გავლენა დაემკვიდრებინა დაკავებულ მხარეებში.

ამავე პერიოდში, დამპყრობ-მტაცებელთა გუნდს, ახალი, უფრო მძლავრი არაბთა სახალიფო (ხალიფატი) დაემატა.



ალაჰის (ღმერთის) მოციქულმა და წინასწარმეტყველმა მუჰამედმა, არაბთა ცალკეული ტომების წინააღმდეგობის მიუხედავად, შეძლო მათი გაერთიანება და მძლავრი სახელმწიფოს შექმნა. მისი მიმდევრები თავს მუჰამედის მოადგილეებად (ხალიფად) თვლიდნენ და მათ მიერ შექმნილ იმპერიასაც სახალიფო ეწოდებოდა... ისიც ცნობილია, რომ მუჰამედის უახლოეს გარემოცვაში იყო შიდა წინააღმდეგობა პირველობისათვის.

ხალიფებმა ძალაუფლების მიღებისთანავე დაიწყეს გარშემო მხარეების დაპყრობა და მათთვის ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიური მოძღვრების, ისლამის, ძალით გავრცელება. არაბებმა წარმატებით შეუტიეს სპარსეთს და ბიზანტიას, სწრაფად დაიკავეს შუამდინარეთი და უკვე 640 წელს სამხრეთ კავკასიას მიაღწენ. მათ ჯერ სასომხეთი დახარკეს და 655 წელს იბერიაში შეიჭრნენ. დასაწყისში ისინი შედარებით მისაღები პირობებით იმორჩილებდნენ სხვა ეთნოსებს. კმაყოფილდებოდნენ მცირე გადასახადის შეწერით და დაპყრობილთა მონაწილეობით დაპყრობით ომებში. მდგომარეობა მოგვიანებით მძიმდებოდა. არაბების სარდალი კავკასიის მხარეში ჰაბიბ იბნ მასლამა, პოლიტიკოსიც ჭკვიანი იქნებოდა. იგი „დაცვის სიგელებს“ აძლევდა დაპყრობილ ეთნოსებს და პრაქტიკულად უმცროს მეგობრებად ხდიდა. ამ გზით არაბებმა თითქოს წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ყოფილი იბერიის სამეფოს, ქართლის ნაწილი. რამდენადაც ქართლი (უკვე ქართულ) მხარეში ითვლებოდა აღმოსავლეთი ხუნანიდან (ქალაქი ხუნანი მდებარეობდა დღევანდელი აზერბაიჯანის ქალაქ განჯის დასავლეთით ძეგამ-ჩაის მტკვართან შერთვის ადგილას) მოყოლებული ტაო-კლარჯეთის და ასევე, სამხრეთის ბასიანიდან ჩრდილოეთის ბასიანის ჩავლით,¹ ამდენად არაბების მიერ დახარკული და დამოუკიდებლობის შემნარჩუნებელი მხარეები ჯერ კიდევ დაკონკრეტებას მოითხოვს.

კავკასიონის სამხრეთის დაუფლების შემდეგ არაბებმა

1. სამხრეთის ბასიანი, ისტორიულ მოვლენების გამო ფართედაა ცნობილი. სამწუხაროდ, თითქმის დაკარგულია კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს არსებული ბასიანის და იქ მაცხოვრებელი ტომის შესახებ ცნობა. ინფორმაციისათვის: ჩრდილოეთის ბასიანი ხომ არაა დღევანდელი ბესლანის მხარე?



ჩრდილოეთსაც შეუტყვის. ეს კი დაკავშირებული იყო ხაზართა სახაკანოს (კაგანატის) წინააღმდეგ ბრძოლებთან.

ხაზარები საკმაოდ უცნაური იდეოლოგიის ტომები იყვნენ. ძირითადი მასა თავს ქარის ქვეშ დაბადებულებად თვლიდა და ფართე სტეპებში ქარის თაყვანისმცემლები იყვნენ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია. ხაზართა შორის იყვნენ ბიზანტიის გავლენით გაქრისტიანებულები, იყვნენ წარმართები და რაც მთავარია იუდეველები (ებრაული რელიგიის მიმდევრები). დღემდე შეუსწავლელია, როგორ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო ან ერთობა შეენარჩუნებინათ ხაზარებს.

ხაზარებმა ბიზანტიასთან კავშირში და მის გარეშეც არაერთხელ ილაშქრეს სამხრეთში, რასაც ალბანეთთან ერთად იბერიის აოხრებაც მოჰყვა.

ისტორიული ცნობების თანახმად იბერია (უკვე ქართლი) საუკუნის ბოლოს სხვა კავკასიონელებთან ერთად აუჯანყდა არაბებს. კავკასიონელთა „თავხედობით“ შეწუხებული არაბები და ბიზანტიელები შეთანხმდნენ, ერთობლივი ძალით დაემორჩილებინათ ქედმოუდრეკელნი და მათგან მიღებული ხარკიც თანაბრად გაეყოთ. ისტორიული ცნობით ასეთი შეთანხმება **686წ.** შედგა. ბუნებრივია, მათ არ უკითხიათ დამორჩილებულებისათვის, როგორ უნდა მოეხდინათ გაყოფა.

ამავე დროს გრძელდებოდა დამპყრობთა (ყაჩაღთა) შორის დავა ვის მეტი უფლება ჰქონდა და მეტი ეკუთვნოდა. არავინ ეკითხებოდა დამპყრობლებს, მაგრამ არც ისინი ეგუებოდნენ ბედს. ცნობილია, რომ იმავე პერიოდში ნერსე იბერთა (ქართლელთა) ერისმთავარი, სომეხ-ქართველთა აჯანყებას უდგას სათავეში და ცდილობს, მომხდურთა ალაგმვას. შეიძლება ამიტომაც შემორჩა ისტორიას ნერსე „დიდის“ ეპითეტით.

ცხოვრების დაუწერელი კანონია: დამპყრობილი ეთნოსი მაშინ იწყებს გადაგვარებას, როცა წყვეტს წინააღმდეგობას. ეგროსის მხარეში ბიზანტიამ დიდი ხნით და მტკიცედ მხოლოდ მდ. კელასურის ჩრდილოეთი ნაწილი დაიკავა. ამ ნაწილშიც უცნობია, როგორი იყო დამპყრობ-დამპყრობილის ურთიერთობა. ცნობილი



ისაა, რომ აბაზგთა ტომის სამოსახლოს თავისი ერთგული მოხელე, ერისთავი ჩაუყენეს სათავეში და ამ კუთხესაც აფხაზეთი უწოდეს. რა ხდებოდა აფხაზეთ (აბაზგიის) სამფლობელოს იქით?

ძველი რომაელი და ბერძენი (ბიზანტიელი) ავტორები არაერთგზის აღწერდნენ ეგროსის მხარეს მაცხოვრებელ ტომებს. მათ მონაცემებში არის გარკვეული სხვაობა, რაც არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი. ზოგი რამ გამოიკვეთა, ზოგიც მომავალი კვლევის ობიექტად რჩება.¹

უაღრესად საინტერესოა ანაპის კონცხის სამხრეთით მაცხოვრებელი ტომების რაობა. იმის მიხედვით, როგორი იქნება დასკვნა, შეიძლება მსჯელობა კელასურს ჩრდილოეთით და სამხრეთით მცხოვრებ ეგროსელთა ურთიერთმიმართების შესახებ. ჩრდილოელ-სამხრეთელები უძველეს დროში ყველანი ეგროსელები იყვნენ და ერთ ენაზე მეტყველებდნენ. მოგვიანებით, სვანურის გამოყოფის შემდეგაც, ეგრული იყო საერთო ენა. ფარნავაზის დროიდან, მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთი ბერძნებს მიემხრო, შეიცვალა სამეტყველო ენა თუ კვლავ ეგრული დარჩა? რა გავლენა უნდა მოეხდინათ ეგრისულზე აქაველ (ახეელ), კერკეტ, ჯიქებს?

გეოგრაფიის მამად წოდებული სტრაბონი, ჩამოთვლის ტომებს, მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის სიდიდეს, მაგრამ არც ენას და არც წარმომავლობას არ ეხება. უბრალო ინტერესის საგანი როდია, ესა თუ ის ტომი რა ენაზე მეტყველებდა, რა იყო მათი გამაერთიანებელი და განმასხვავებელი. ვთქვათ კერკეტები, ჯიქები იყვნენ კავკასიანები თუ ეგროსელებს უნდა მიკუთვნებოდნენ. აქაველები საბერძნეთიდან გადმოსახლდნენ თუ ამ მხარედან წასულებმა აითვისეს ბალკანეთის ნახევარკუნძული და იქ მაცხოვრებელი პელაზგები? ბევრი კითხვაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის ცოდნა, საერთო ეგროსულ ენაზე რა გავლენა უნდა მოეხდინათ. როცა ეგროსული დაიყო ეგრულ-მეგრულად, მოხდა ეგრულში (აფხაზურად წოდებულში) მნიშვნელოვანი ცვლილება თუ არა. რა-

1. ამ საკითხზე იხილე ავტორის „კავკასიონთა ეთნოგენეზი“. თბ., 2013.



ტომბა, ათასი წლის შემდეგაც თურქი მოგზაური ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ აფხაზეთში მეგრული ყველამ იცის თუმცა არა მეგრულადაც მეტყველებენო.¹

როგორც ქართლში (უკვე არა იბერიაში), ასევე ეგროსელთა მხარეში სამი უძლიერესი სახელმწიფო დაუპირისპირდა ერთმანეთს: ბიზანტია, ხაზარები და არაბები. მას შემდეგ რაც არაბებმა სპარსეთი დაიმორჩილეს, მათი გავლენის სფეროზეც მოინდომეს გაბატონება. თუ მეშვიდე საუკუნეში ბიზანტია ახერხებდა, სხვებთან შედარებით, მეტი სარგებელი ენახა, საუკუნის ბოლოს უკვე არაბების უპირატესობა გამოიკვეთა. სიტუაციის შეცვლას ხელი შეუწყო ლაზიკის (ეგრისის სამხრეთი ნაწილის) პატრიკიოსის,² სერგი ბარნუკისძის აჯანყებამ ბიზანტიელთა წინააღმდეგ.

სერგი ბარნუკის ძე, პატრიკიოსი, ფლობდა დიდ ტერიტორიას მდ. კელასურის სამხრეთით. მის ქვემდებარებაში შედიოდა მთელი ეგრისის მხარე, სადაც ერთიანდებოდა აფშილეთი, სვანეთი (სვანეთს მიეკუთვნებოდა რაჭა-ლეჩხუმი) და სავარაუდოდ იბერიის სამეფოს ის დასავლეთი მხარე, რომელზეც არაბთა ძალაუფლება არა ვრცელდებოდა.

პატრიკიოსი აუჯანყდა ბიზანტიას და დამხმარედ არაბები მიიწვია. 697 წ. არაბები გადადიან ლაზიკის ტერიტორიაზე და 710 წლისათვის ისინი ეგრისის მხარეს, მთლიანად იმორჩილებენ. არაბებმა დაიკავეს როგორც ლაზიკა (სამხრეთი ეგრისი),

1. ცნობილია, რომ მეჩვიდმეტე საუკუნიდან შარვაშიძეთა რეზიდენციის გარშემო უკვე ჩრდილოეთიდან ჩასახლებულები იყრიან თავს და მათი მეტყველებაც იწყებს გავრცელებას. ადილეური, თანდათან მაგრამ მტკიცედ იკიდებს ფეხს ჯერ მთავართა რეზიდენიის, სოფ. ლიხნის, ხოლო შემდეგ გუდაუთის რაიონის მასშტაბით. გალის რაიონის დაპყრობის შემდეგ, ამ მხარეს დამპყრობის, მურზაყან შარვაშიძის მიხედვით, სამურზაყანო უწოდეს, რაც არა ნიშნავდა ამ მხარეში ენობრივი ცვლილების მოხდენას.

2. პატრიკიოსად ყოფილი ლაზთა სამეფოს მეთაური იწოდებოდა და არა მდ. კელასურის ჩრდილოეთი მაცხოვრებელ აფხაზთა ერისთავი. საფუძველს მოკლებულია მკვლევართა ნაწილის მცდელობა პატრიკიოსად აფხაზი (აბაზგი) წარმოიდგინონ და არა ლაზი.



ასევე აფხაზეთი (ჩრდილოეთი ეგრისი). ამიერიდან როგორც ქართლოსის, ეგროსის მხარის მოსახლეობის მისწრაფება თავისუფლებისათვის, არაბების წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს.

ბიზანტიამ დაკარგა არა მხოლოდ გავლენის სფერო სამხრეთ კავკასიაში, არამედ საუკუნოვანი დასაყრდენი უკვე აფხაზეთის საერისთაოს სახით... ეს იმავე დროს ნიშნავდა ხაზარებთან და სხვა ტომებთან დამაკავშირებელი გზის დაკარგვასაც. არაბებმა შეძლეს ბიზანტიის იმპერიის შევიწროება და ხაზარეთის დალაშქვრა მდ. ვოლგამდე. ცხადია, ბიზანტია იოლად ვერ დათმობდა გავლენის სფეროს, შეეცდებოდა უკან დაებრუნებინა აფხაზეთი, ლაზიკა და ყოფილი იბერიაც კი. თუ ვერ შეძლებდა, ხელი მაინც შეეწყობდა დაპყრობილ კავკასიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. ბიზანტიელთა და ხაზართა შორის 711 წ. დაიდო ხელშეკრულება კავკასიის სამხრეთის გავლენის სფეროებად გაყოფის შესახებ. ყოფილი ალბანეთი და იბერია ხაზარებს ერგოთ, მათ მიიღეს ბიზანტიის მხარდაჭერა არაბთა წინააღმდეგ ომებში. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა უფლებას, აეოხრებინათ ეს ორი ქვეყანა.

კავკასიელებს თავის მხრივ არც ერთი მოძალადე არ სურდათ, მაგრამ პირველ რიგში საჭირო იყო არაბებისაგან ქვეყანა გაეთავისუფლებინათ. ლაზიკაში და აფხაზეთშიც (იმ დროს არაბები ორივე მხარეს ფლობდნენ და აღარ იყო მდ. კელასურზე არსებული საზღვარი) წინააღმდეგობის მოძრაობას სათავეში ედგა პატრიკიოსი ლეონი. იბერიაში (ქართლში), ასევე, მოძრაობას ხელმძღვანელობდა ერისმთავარი სტეფანოზი. მას გვერდში ედგნენ ვაჟები მირი და არჩილი.

ერთი მხრივ იბერ და ეგროსელ ხელმძღვანელობას ჰქონდათ მჭიდრო კავშირი არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში, მეორე მხრივ ბიზანტია ხელს უწყობდა მათი წინააღმდეგობის გაძლიერებას. მას ისედაც დაკარგული ჰქონდა ეგროსის მხარე და ამიტომ დასაშვებად მიიჩნია, როგორც ლაზიკის პატრიკიოსის გადასვლა და მოქმედება მდ. კელასურის ჩრდილოეთით, ასევე ქართლის (იბერიის) ერისმთავრის ყოფნა იმავე მხარეში.



ბიზანტია იმასაც ცდილობდა, რომ ჩრდილოკავკასიელი ტომები მოესყიდა შეესია აფხაზეთისთვის, (აბაზგებისთვის) და მათი მეშვეობით კონტროლი აღედგინა. ისტორიულად ცნობილია, რომ ბიზანტიამ ეს მოახერხა კიდევ მერვე საუკუნის დასაწყისში, რამდენადაც აორსებისა და სირაკების ტომებს შორის ალანები წინაურდებიან და თავის სახელს დანარჩენებზე ავრცელებენ, მიჩნეულია, რომ სწორედ ალანებმა დაარბიეს აფხაზეთი.

არაბთა ხალიფატმა დაგეგმა ხაზართა სახაკანოს (კაგანატის) საბრძოლო განადგურება, რათა ჩრდილოეთიდან საფრთხე მოეხსნა, ამისათვის გამოჰყვეს ასოცი ათასიანი ჯარი მერვან იბნ მუჰამედის (ჩვენთან მურვან ყრუს სახელით ცნობილია) სარდლობით. მიჩნეულია, რომ არაბებმა იბერია, ლაზიკა, აფხაზეთის წინააღმდეგ ლაშქრობა 735წ. მოაწყვეს. ერისმთავარმა სტეფანოზმა და მისმა ვაჟებმა თავშესაფარი ჯერ ლაზიკაში, შემდეგ კი აფხაზეთში ჰპოვეს. სტეფანოზი გზაში დაიღუპა და იგი ქუთაისში დაკრძალეს. მისმა ვაჟებმა მირიმ და არჩილმა ანკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის) ციხე გაამაგრეს და თავდაცვისათვის მოემზადნენ, ლაზიკის პატრიკიოსი იმ დროს ლეონი გახლდათ. ძმებთან შეთანხმებით ლეონმა სობლისის ციხე გაამაგრა და ასე გადაწყვიტეს არაბებთან შებმა.

მურვან ყრუმ რბევით გაიარა იბერია, ლაზიკა და ბოლოს აფხაზეთში შევიდა. იბერთა ერისმთავრის ვაჟებმა და ლაზიკის პატრიკიოსმა შეთანხმებული მოქმედებით არაბები დაამარცხეს და ლიხის მთის იქით გადარეკეს. ეგროსის მხარე არაბებისაგან გაინმინდა.

ბიზანტიის კეისარმა ცნო მირის და არჩილის მეფობა მდ. კელასურის სამხრეთ ეგრისზე და სამეფო გვირგვინები გამოუგზავნა ძმებს. მან ასევე ცნო ლეონ პატრიკიოსის ერისმთავრობა მდ. კელასურის ჩრდილოეთ ეგრისზე (აფხაზეთზე). კეისარმა ამით შეინარჩუნა ფორმალური უფლება ამ მხარის ფლობაზე.

თავის მხრივ მირიმ, არჩილმა და ლეონმა აღიარეს კეისრის უფლებები და თავი ფორმალურ დაქვემდებარებულად გამოაცხადეს.



მეფე მირი ჭრილობებისაგან დამძიმდა და დაიღუპა. ისტორიული ცნობის თანახმად, მეფე არჩილსა და პატრიკიოს ლეონს შორის მოხდა შეთანხმება. მეფეს რეზიდენცია ექნებოდა ციხე-გოჯში და ქუთაისში. იგი იქნებოდა მდ. კელასურს (კლისურას) სამხრეთი ეგრისის მმართველი, მდინარის ჩრდილოეთ მხარეს კი ლეონი დაეუფლებოდა.


პატრიკიოსი ლეონი კარგი მებრძოლი და ჭკვიანი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მან ითხოვა მეფე მირის ასული გურანდუხტი და სამხედრო კავშირი ნათესაურით განამტკიცა. მეორე მხრივ, ძმას ცოლად მიუყვანა ხაზართა ხაკანის ბალათურის ასული და ნათესაობით ჩრდილოეთიდან საფრთხე მოხსნა.

მეფე არჩილ II არ დარჩა სხვათა იმედით, მოაგვარა რა სამეფო საქმეები ლიხს დასავლეთით, გადავიდა აღმოსავლეთში, შემოიმტკიცა ქართლის ნაწილი, კახეთი და ჰერეთი. გაატარა რეფორმები, ერისთავების თანამდებობა გახადა მემკვიდრეობითი (დიდებულები გაიერთგულა) და სამეფო ფეხზე დააყენა. მან იბერიის სამეფო აღადგინა თბილისის საამიროს გამოკლებით.

არჩილ II აქტიური პოლიტიკა არაბთა წინააღმდეგ იყო მიმართული და ცხადია, ბაღდადის სახალიფოს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. არც დარჩენილა. სწორედ, არაბთა მიერ იქნა ნაწამები მეფე.¹

არჩილ მეფეს დარჩა ორი ვაჟი იოანე და ჯუანშერი, და ქალიშვილი შუშანი. ვაჟები ნომინალურად მეფეებად ითვლებოდნენ, თუმცა ძალაურლება ვერ განიმტკიცეს. ვერ შეძლეს ორი დიდი აგრესორის ხაზართა სახაკანოს (კაგანატის) და არაბთა სახალიფოს (ხალიფატის) ნეიტრალიზება. ვერც იმან უშველა, რომ ბიზანტია კვლავ ცდილობდა აქტიურად ჩარეულიყო პროცესებში და ვერც იმან, რომ აფხაზთა (უკვე აფხაზთა) პატრიკიოს ლეონ

1. გადმოცემისა და ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობათა თანახმად, მოგვიანებით იგი დასვენებული იქნა ბოკონის (ბოკონის) ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში. აღწერილობის თანახმად ეს უნდა იყოს, დუშეთის რაიონის სოფ. დავათის თავზე არსებული ეკლესია. აქ იქნა აღმოჩენილი ე.წ. დავათის სტელა, III საუკუნის ქართული ანბანით. (ამაზე იხილეთ რამაზ პატარაიძის მონოგრაფია.).



ტაო-კლარჯეთის სამეფო



I ძმისშვილი ლეონ II, ერთგული რჩებოდა აფხაზ-იბერთა შორის დადებული შეთანხმებისა.

არჩილ მეფის ასულ შუშანთანაა დაკავშირებული საინტერესო და ტრაგიკული ამბავი. საერთო ცნობით, შუშანი განთქმული სილამაზის ასული ყოფილა.

აფხაზთა პატრიკოს (მთავარ) ლეონ I ქვრივ, (მეფე მირის ასულ) გურანდუხტს იგი, ქმრის და მახლის მემკვიდრე ლეონ II სდომნია. ამავე დროს, ლეონ II დედის ძმა თარხანს შეუტყვევია შუშანის სილამაზის ამბავი და 764 წ. პეხი (სარდალი) ბლუ ჩანი და პეხი ჯები ჯარით გამოუგზავნია ქვეყნის სარბევად და შუშანის გასატაცებლად. ხაზარებთან ბრძოლაში იოანე დაიჭრა და მალევე მიიცვალა. ხაზარებმა ჯუანშერი და შუშანი დაატყვევეს და დარიალის ხეობით ჩრდილოეთით გაემგზავრნენ. ხაკანი თარხანი მათ თერგის მახლობლად მდებარე დედაქალქ სემენდერში ელოდა. შუშანმა არ მოისურვა სამშობლოს მიტოვება და „ურჯულოს“ ცოლობა. გზაში მან სანამლავი მიიღო ძმის ნებართვით. ხაზარები ჯუანშერის ტყვეობით დაკმაყოფილდნენ.¹

იბერიაში დადგა უმეფობის დრო. იოანე გარდაიცვალა, ჯუანშერი ტყვედ იყო ხაზარეთში. დაუბრუნდნენ კვლავ ერისმთავრობას. ერისმთავრად არჩეული (დანიშნული) იქნა ადარნასე, შემდეგ ნერსე, შემდეგ აშოტი.

მოხდა ისე, რომ ხაზარებმა ბოლოს ჯუანშერი გაათავისუფლეს, მაგრამ დიდხანს არ უცოცხლია, 786 წ. იგი გარდაიცვალა. იმავე წელს აშოტი ერისმთავარი არაბებს გაერიდა და ტაო-კლარჯეთში დიდი სამთავრო დააარსა. უფრო სწორედ სამთავროს შექმნა ადარნასემ დაიწყო და აშოტმა დაასრულა.

რთული ვითარება შეიქმნა. სანამ ჯუანშერ არჩილის ძე ცოცხალი იყო, მოქმედებდა აფხაზთა პატრიკოს ლეონ I დადებული შეთანხმება. პატრიკოსი ლეონ II ერთგულობდა შეთანხმებას... ჯუანშერის (არჩილ მეფის უკანასკნელი მემკვიდრის) გარდაცვალების შემდეგ, შეთანხმებამ ძალა დაკარგა.

ამ დრონისათვის ასეთი იყო ვითარება: სტეფანოზის ვაჟები, მირი და არჩილი, ორივენი მეფეებად ითვლებოდნენ, აფხაზთა

1. შუშანის ტრაგიკული ბედის შესახებაა ავტორის „შუშანი“.



პატრიკოსი ლეონ I, მირის სიძე და ერთადერთი მემკვიდრე იყო. მას შეეძლო მემკვიდრეობის ძალით, მირის წილი სამეფოს მეფედ გამოეცხადებინა თავი. არ გააკეთა, არჩილი აღიარა მეფედ. ლეონ I მემკვიდრე, მისი ძმისწული ლეონ II გახდა. ახლა, როცა არჩილის ბოლო მემკვიდრე მიიცვალა, მის სამეფოზე პრეტენზია შეეძლო გამოეცხადებინა მხოლოდ ლეონ II. ბრძნულად განსაჯა, სამეფოს ლიხს დასავლეთი (ეგროსული) ნაწილი დაიკავა, დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანა, ეკლესია მცხეთას დაუქვემდებარა და 788 წ. (ან 787წ.) თავი მეფედ გამოაცხადა. აფხაზთა პატრიკოსმა სამეფოებლო გააფართოვა და ბუნებრივია აფხაზეთის მეფე გახდა.

სამსჯელო საკითხია. ერთი მხრივ, ლიხს დასავლეთით, მუდამ ეგროსის კუთვნილი მხარე იყო. ამ მხარეში შედიოდა ტერიტორია ანაპის კონცხამდე და მდ. ყუბანის მარცხენა ტოტის ზღვა-ასთან შესართავამდე. სწორედ აქამდე ვრცელდებოდა ეგრისის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც ბიზანტიელებმა აფხაზეთი უწოდეს. ეს ნაწილი ფარნავაზ-გორგასლის დროიდან მოყოლებული ბიზანტიას ექვემდებარებოდა. ეს არ გამორიცხავდა მოსახლეობის ეგროსელობას... გაბატონებული ენა ეგრული იყო სვანურთან ერთად. როდესაც ლეონ II მდ. კულასური გადალახა და სამთავროს საზღვარი ლიხის მთაზე დადო, ამით ჩრდილოეთ ეგრისი სამხრეთთან გააერთიანა. უფრო მეტი, სამხრეთი ეგრისი იბერიას ჰქონდა დაკავებული და მიერთებული. ლეონ II, ეგრისის სამხრეთი ნაწილი გაათავისუფლა და მათი გაერთიანებით დიდი სამეფო შექმნა. მეორე, ლეონ II, იკავებდა რა ტერიტორიას ლიხის მთამდე, აფართოებდა სამთავროს საზღვრებს და სულაც არა ფიქრობდა არა ეგრული, არა აფხაზური სამეფოს შექმნაზე. მან, თქმა არ უნდა, შესანიშნავად იცოდა ქართ-იბერიული ერთეულების არსებობის შესახებ, მაგრამ იღწვოდა არა მათთან გასაერთიანებლად, არამედ საკუთარი მამულის გაფართოებისათვის. სხვა თუ არაფერი მისი მემკვიდრე (ზოგი ცნობით უმცროსი ძმა, ზოგი ცნობით ძე თეოდოსი), ტაო-კლარჯეთის მთავრის აშოტ კურაპალატის სიძე გახლდათ. აქედან უკვე აფხაზეთის სამეფოსა და ტაო-კლარჯეთის ახლო მოკავშირეობა და ნათესაობა.¹

1. ამ საკითხთან დაკავშირებითაა ავტორის „თეოდოსი“.



ავხაზ-ქართველთა დიდი სამეფო

786-8 წლებში ავხაზეთის სამეფოს შექმნით იწყება დიდი ცვლილება ეგროსელთა მხარეში. ტრაპიზონიდან მდ. ყუბანამდე და ლიხის მთიდან შავ ზღვამდე ტერიტორია ყოველთვის იყო ეგროსელთა კუთვნილება, მაგრამ არა ერთი ტომისა.


თავიდანვე, როცა პირველად ისტორიაში ლეონტი მროველმა დაახასიათა ეს მხარე, მიუთითა იქ სვანთა არსებობაზე. სვანები კი იყვნენ ეგროსელები, მაგრამ უკვე გამოყოფისა და გაუცხოების გზაზე მყოფნი ამის შემდეგ ბევრი ბერძენი თუ რომაელი ავტორი აშუქებდა მხარეში მცხოვრები სხვა ტომების შესახებ ინფორმაციას. ტომები მრავლად იყვნენ. ისინი ერთიანდებოდნენ, იყოფოდნენ, სახელს იცვლიდნენ და მაინც ეგროსელებად რჩებოდნენ. მათ უძველეს დროში, ეგროსის სამეფოს ტრეიტორიაზე შექმნეს კოლხეთის (კოლხიდოს) სამეფო, კულხას ტომთა გაერთიანება, ეგროსის სამეფო, შევიდნენ დიდი კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, მას მოჰყვა ლაზიკის სამეფო და ამის შემდეგ ავხაზეთის სამეფო.

ისტორიის მანძილზე ეგროსელ ტომებს, ჰქონდათ წარმატების და წარუმატებლობის პერიოდები, ადგილი ჰქონდა თუბალ-მეშხურის წარმომავლობის მოსახლეობის შერევას, მაგრამ ეგროსელობა თავის მეობას ინარჩუნებდა. ამ მხარეს ახსოვდა კიმერიელების შემოსევა, რომაელთა, ბიზანტიელთა, სპარსელთა, ბოლოს არაბთა თარეში, რასაც არ შეიძლება თავისი კვალი არ დაემჩნია, მაგრამ მოსახლეობა (ტომები) არ კარგავდნენ თავის ენას, კულტურას, სულიერებას.

ყველაზე ხანგრძლივი იყო ეგროსელთა გაყოფა მდ. კელასურის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად. ეს გაყოფაც არ ჩაივლიდა უკვალოდ. თვალში საცემი იყო სვანთა გამოყოფა დანარჩენი ტომებისაგან. მით უმეტეს, რომ ისინი მტკიცედ იკავებდნენ კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებს. ოთხ ნაწილად იყოფოდნენ, 300 კაციანი უხუცესთა საბჭოს ქმნიდნენ და გადმოცემის თანახმად 200 ათასი მეომრის გამოყვანა

The Kingdom of Abkhazia and its surrounding states

- Important settlements and fortresses
- Territories of inner Kartli - part of the kingdom in c. 950-1000
- ▨ Laz territories controlled by the k. of Abkhazia before the 770s
- ▬ Border of possession of Bagrat IV in 1001-1008 years
- KLDEKARI - A duchy
- HERETI** - An independent state
- Sphere of influence





შეეძლო. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებების შემცველი იყო იბერიის სამეფოს გავლენა. იბერიამ შეძლო ეგროსის სამხრეთი მხარის დაკავება და მოსახლეობის ნაწილობრივი ქართ-იზაცია. ამის და მიუხედავად ეგრისელები (ეგროსელები) ინარჩუნებდნენ ენას, ტრადიციებს, სულიერ და ფიზიკურ ერთობას.

როდესაც არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში იბერი მირი და არჩილი, ბიზანტიის იმპერატორის თანხმობით, მდ. კელასურის ჩრდილოეთ ეგრისში გადავიდნენ, ამით პირობითი საზღვარი ეგროსელებს შორის წაიშალა. პატრიკოს ლეონმა, ეგრისის ჩრდილოეთი დაიკავა. ენობრივად, მეურნეობრივი თვალსაზრისით, ეგრისი მაინც ერთიანი რჩებოდა. როდესაც ლეონ II ეგრისის ორივე ნაწილი პოლიტიკურადაც გააერთიანა, ლოგიკურია დასკვნა, რომ ეს კიდევ უფრო განამტკიცებდა მათ ერთობას.

აფხაზეთის სამეფო შეიქმნა ეგროსის კუთვნილ მხარეში. თუ მხარის რომელიმე ნაწილის ქართიზაცია იყო განხორციელებული, ეს ხელს ვერ შეუშლიდა იმის გაცნობიერებას, რომ მხარე ეგროსელებისაა და არა ქართველის. როცა ლეონ მეფემ (უკვე მეფემ) აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანა, ამით ამ კუთხის, ქალაქის ეგროსულ კუთვნილებას გაუსვა ხაზი. შეიძლება ითქვას, ისტორიული სამართლიანობა აღადგინა.¹

1. დღეს, XXI საუკუნეში, ჯერაც მძლავრია ტომობრივ-კუთხური წარმომავლობის გავლენა. დასაფიქრებელია რა იქნებოდა იმ დროს. როცა მსჯელობაა მეობის შესახებ, გასათვალისწინებელია, რომ იგი იოლად არ მოიპოვება და არც ქრება. „ქართლის ცხოვრება“ მიუთითებს რა თარგამოსიანთა ერთობაზე, არც სხვაობას ივიწყებს. ამიტომ, დიდი დაფიქრებაა საჭირო, სანამ ითქმება, რომ ლეონ II, აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანით სხვა, უკვე არა ეგროსულ სამთავროებთან ერთად, ქართული ერთეულების გაერთიანებისა და საქართველოს შექმნისათვის იღწვოდა. რატომ არა პირიქით? ვთქვათ, დიდი კოლხიდის (კოლხეთის) სამეფოს აღდგენისათვის, ეგროსის სამეფოს აღდგენისათვის? გნებავთ, გუბაზის დროის ლაზიკის საზღვრების დაბრუნებისათვის? რა VI საუკუნეში საზღვარი ლიხის მთაზე არ გადიოდა? თუ უკვე დავინყებულნი ვართ ლაზებს ლაზობა, ეგროსელებს ეგრობა და ა.შ.? დამატებით. კიდევ კარგ შენსავლას საჭიროებს, რა უნდა მომხდარიყო, ვის მიეკუთვნა პატრიკოსობა გუბაზ-ნათეს



ისტორიას, ლეონ I პატრიკიოსის და ლეონ II მეფის მიხედვით, დინასტია ლეონიდების სახელწოდებით შემორჩა. დღემდე გრძელდება კამათი, ვინ იყვნენ ლეონიდები: ლაზები, აბაზგები, ბერძნები თუ სხვა. დავა ინტერესის შემცველია, თან უნაყოფო, რადგან ეგროსელების არეალს არ სცილდება.¹

სამეფოს შექმნა და დედაქალაქის ქუთაისში გადატანა ლიხს დასავლეთი მხარის ეგროსულ კუთვნილებას უსვამდა ხაზს და ეგროსელთა პოზიციებს განამტკიცებდა. სამეფოს დედაქალაქი, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ცენტრია, ძირითადი პროცესების წამმართველია. იგულისხმება, რომ სამეფო კარის გადასვლა, არისტოკრატიისა და მოსახლეობის ნაწილის გადაადგილებასაც გამოიწვევდა. აფხაზები არ იყვნენ არა ეგროსელები, ისინი მდ. კლისურას ჩრდილოელი ეგრები იყვნენ და ცხადია სამხრეთის მეგრების ხელოვნურად გამოყოფილი ნაწილი. სამეფოს შექმნით არა მხოლოდ გაყოფას მოელო ბოლო, არამედ ჩრდილოელთა, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, განფენასაც შეუწყო ხელი. აფხაზების სახელით მოხდა მათი დამკვიდრება ლიხს დასავლეთ მხარეში და სამეფოსაც ლოგიკურად აფხაზეთის სამეფო ეწოდა.

სამეფოს მმართველმა წრემ ისიც კარგად გააცნობიერა, რომ საჭირო იყო რიგი რეფორმების გატარება, რათა ძველად არსებული ხელოვნური ბარიერები მოსპობილიყო. კერძოდ,

შემდეგ. აორთქლდნენ მათი მემკვიდრეები? რატომ ამბობს ლეონი, რომ ბიზანტიის იმპერატორმა თქვენით (მირი-არჩილი) მომაკუთვნა კლისურას ჩრდილოეთი აფხაზეთიო. თუ ის თავიდანვე აფხაზთა მთავარი იყო, მაშინ მიკუთვნება რა საჭიროა?

კითხვა მრავალი დაისმის, ამიტომ აუცილებელი გახდება ამ, ჩრდილში მოქცეული, საკითხების ანალიზი, ისევე, როგორც სამეფო-სამთავროების გაერთიანების პროცესისა.

1. თანამედროვე რუსი და აფხაზი მკვლევარების სურვილი, ლეონიდები ადიღეელებად წარმოადგინონ, უსაფუძვლოა. თავად ადიღეელები იმ დროს კავკასიონის მიდამოებში არ ფიქსირდებიან. ეგროსელთა არეალში, არა ეგროსელი ელემენტი მხოლოდ ქართვების სახით ჩნდებიან და ისიც, მდ. კელასურს სამხრეთ მხარეში.



გაერთიანებამდე, ჩრდილოეთში იყო რა ბიზანტიის გავლენა, რელიგიურ-სულიერი პროცესები ბერძნული წესით და ბერძნულ ენაზე წარიმართებოდა. სამხრეთი ნაწილი აღმსრულებლობას ქართთა – ენაზე ახორციელებდა და მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა. ცხადია, მცხეთა არ დაუშვებდა თავისი გავლენის შემცირებას. ამავე დროს, სამეფოს ეს ნაწილი შეგუებულ იყო ქართთა ენაზე რელიგიური მსახურების ჩატარებას. იყო გარკვეული წინააღმდეგობა. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა: სამეფოში მღვდელთმსახურება მცხეთისათვის დაექვემდებარებინათ და ქართთა ენაზე გადაეყვანათ.

ამ ნაბიჯს კიდევ ერთი დადებითი მხარე ჰქონდა. აფხაზეთის სამთავრო ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა. რელიგიური რეფორმების შემდეგ სამეფო უკვე დამოუკიდებელი ხდებოდა.

ბიზანტია იოლად ვერ შეურიგდებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას. არც შერიგებია. ცნობილია, რომ სამჯერ მოაწყეს ლაშქრობა გამდგარი ვასალის დასჯის მიზნით და მარცხი განიცადეს. აფხაზთა სამეფო განთავისუფლდა ბიზანტიის ქვეშევრდომობისაგან. იგულისხმება, რომ ამ წარმატებაში გარკვეულ როლს ხაზართა სახაკანო (კაგანატი) შეასრულებდა და ტაო-კლარჯეთის სამთავროც.¹

აფხაზთა ჰეგემონობით სამეფოს შექმნა, ერთადერთი ცვლილება არ ყოფილა თუბალთა მხარეში. თუბალური წარმომავლობის ეთნოსებმა საუკუნეთა განმავლობაში დიდი ცვლილება განიცადეს და ბევრი სამეფო-სამთავრო შექმნეს. მათ შორის ყოფილი იბერიის სახელმწიფოს ფარგლებში. რამდენადაც აფხაზეთის დიდ სამეფოს შექმნა იმავე არეალში მოხდა, მოკლედ, დანარჩენთა შესახებაც უნდა ითქვას.

იბერია ერთ დროს მტკიცედ ეკავათ არაბებს. VIII ს. ბოლო-

1. ცნობილია, რომ ლეონ II მემკვიდრე თეოდოსი, აშოტ კურაპალატის სიძე იყო და მისი მხარდაჭერით სარგებლობდა.



დან მათი ბატონობა სუსტდება და რამდენადაც მეფე არჩილ II შემდეგ, ერთიანი მმართველი არა ჩანს, ცალკეულ კუთხეები იწყებენ დამოუკიდებლად მოქმედებას. მათ შორის ტაო-კლარჯეთი.

ისტორიული ცნობის მიხედვით, ერისმთავარმა ადარნასემ დაუდო საფუძველი, არაბების გავლენისაგან თავისუფალი ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნას. სამთავროს შემადგენლობაში ფართე ტერიტორია მოექცა. მდ. ჭოროხის, ოლთისის, კალმახის ხეობები, ამიერ-იმიერ ტაო, შავშეთი, კლარჯეთი და ჩრდილოეთით მტკვირის ხეობამდე. სპერი, ოლთისი, არტანუჯი, თორთომი და ა.შ.

სამთავრო-სამეფოს ჩამოყალიბება აშოტ ბაგრატიონის დროს და მისი მცდელობით დასრულდა. აშოტი იყო ქართლის ბოლო ერისმთავარი, არაბებთან განხეთქილების გამო, თბილისს განერიდა. სამხრეთში გადავიდა და მძლავრი ტაო-კლარჯეთის სამთავრო შექმნა. მან არაბთა გავლენა შეკვეცა სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით და რომ არა მუხანათური მკვლევლობა 826 წ. ეგება იბერიის სამეფოს აღდგენასაც შეძლებდა.

ტაო-კლარჯეთის გამოყოფის მიუხედავად, არაბები კვლავ თვლიდნენ თავს მთელი იბერიის ბატონ-პატრონებად და არც სხვა კუთხეების საქმეში ჩარევას ერიდებოდნენ. არა და, მათი გავლენა დროთა ვითარებაში სუსტდებოდა და ბოლოს თბილის-ბოლნისის მიდამოებით შემოიფარგლა. უკვე IX ს. არაბთა საამირო ჩამოყალიბდა, როგორც მსხვილი ფეოდალური ერთეული და ასეთი სახით ჩაერთო ქვეყნის შიდა დაპირისპირებაში. საამიროს, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, კახეთის სამთავრო ესაზღვრებოდა. ქართლსა და კახეთს შორის ისტორიული მიჯნას მდ. არაგვი წარმოადგენდა. დროთა ვითარებაში კახეთის მთავრები არაერთგზის ცდილან არაგვის დასავლეთი მხარის დაკავებასაც. ერთი დრო, მათ საზღვრის გადატანა სცადეს და უფლისციხის მიტაცებაც უნდოდათ. კახეთის მთავრებს ქორეპისკოპოსებს უწოდებდნენ. მათ მეტი წარმატება ჩრდილოეთ მიწების მისაკუთრებაში ჰქონდათ. სამთავროს ცენტრს ერწო-თიანეთის



არეალი წარმოადგენდა და აქედან მათ ხელი დურძუკების და ლილვების მხარემდე მიუწვდებოდათ (ანუ ჩეჩენ-ინგუშებამდე). შეიძლება ამიტომაც მიიჩნევა ვახუშტი ბატონიშვილი ქისტებს (ჩეჩენებს, დურძუკებს) კახელთა ნათესავად. სამხრეთით კახეთის სამთავრო ხუნანის მხარეს მოიცავდა მდ. ძეგამ ჩაიმდე.

იბერიის მხარის აღმოსავლეთი ჰერეთს ეკუთვნოდა. ჰერები და ჰერეთი, ლეონტი მროველის მიხედვით, მართალია თუბალური წარმომავლობის ტომი იყო, მაგრამ იგი არც იბერებს და არც ალბანელებს არ მიეკუთვნებოდა. ისტორიული ბედის უკუღმართობის გამო, მათ დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს, ნაწილი ალბანეთის სამეფომ მიიერთა, მეორე ნაწილი იბერიამ. VIII ს. ჰერეთი ქართლის საერისმთავროს შემადგენლობაშია. მეფე არჩილ II, ჰერეთის ერისთავებად დაადგინა სამხრეთიდან გადმოსული ძმები ბაგრატიუნები. მეფის ნებართვით ბაგრატიუნებმა ჯერ ერისთაობა დაიკანონეს, შემდეგ კი IX ს. ბოლოდან მეფედაც იწოდებოდნენ.¹

არაბთა თბილისის საამიროს სამხრეთიდან სომხითის ჯერ სამთავრო, ხოლო შემდეგ სამეფო საზღვრავდა. ბაგრატიუნმა მთავრებმა მეფობა 886წ. დაიმკვიდრეს. სომხითი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფლობდა მდ. ალგეთის მარჯვენა სანაპიროდან მოყოლებული ბამბაკის ხეობის ჩათვლით. შემდეგ სომხითი შირაკის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, რომლის დედაქალაქი ანისი, მუდმივი ქიშპის საგანი იყო რეგიონის დიდ სახელმწიფოთა შორის. ამ ქიშპში მოგვიანებით აფხაზ-ქართველთა სამეფოც ჩაერთო და ეს მხარე დაისაკუთრა.²

1. ჰერები ისტორიულად ორ ნაწილად იყოფოდნენ. ძირითადი რაოდენობა ვანისა და ურმიის ტბებს შორის ტერიტორიაზე სახლობდა. მეორე ნაწილი კი კახეთის აღმოსავლეთით ჰურეთში. ჰერთა ერთი ტომი, უტიები (უდინები), სევანის ტბის მიდამოებში მოსახლეობდა. ჰერეთს რან-საც ეძახდნენ. აქედან ჰერეთის მეფეები რანის (არანის) მეფეებადაცაა ცნობილი.

2. საინტერესო მოვლენაა. ბაგრატიონები, ბაგრატიუნები, ბაგრატიუნინები, იბერიის სამეფოს სპეროს მხარედან არიან. საგვარეულო გაიყო აფხაზებად, ქართველებად, სომხებად. რამდენადაც აფხაზი და ქართველი ბაგრატიონები ერთნი იყვნენ, მათ შორის ეთნიკური სხვაობა არ არსებობდა. სომეხი



ამრიგად, VIII ს. ბოლოსათვის, ლიხს დასავლეთით იყო აფხაზთა სამეფო, აღმოსავლეთი კი იყოფოდა არაბთა თბილისის საამიროდ, ტაო-კლარჯეთის სამთავროდ, სომხითად, ჰერეთად, კახეთად. მტკვარ-არაგვის შესართავიდან ჩრდილო-დასავლეთი. ამ სამეფო – სამთავროების ურთიერთ ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. შიდა ქართლი იყო ის ნიშანი, რომლის მეპატრონე სხვებზე უპირატესობას მოიპოვებდა. მათი მიზანი იყო არა თუბალ (უკვე ქართ) ტომების გაერთიანება და ერთიანი საქართველოს შექმნა, როგორც ამ პროცესს წარმოიდგენენ, არამედ მეტის მოპოვება და პირადი სიძლიერე.

ბუნებრივია, დროთა ვითარებაში თუბალური წარმომავლობის ტომები შორდებოდნენ ერთი-მეორეს, სხვა ეთნოსის ნიშნებს იძენდნენ, იბრძოდნენ და ამავე დროს ბევრ საერთოსაც იმუშავებდნენ. ამის და მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ ჰერები სხვანი იყვნენ, აფხაზები სხვანი და მათი იბერიელობა (ქართველობა) დიდ განსჯას საჭიროებს. იბერიამ დაიკავა ჰერეთის გარკვეული ნაწილი, ასევე ეგროსის მხარის მნიშვნელოვანი ნაწილი, იქ იბერიზაციის (ქართიზაციის) პროცესიც მიმდინარეობდა, მაგრამ მსჯელობა ჰერთა ან აფხაზთა (ეგროსელთა იმ ნაწილის, რომელიც არ შედიოდა იბერიის გავლენის სფეროში) ქართველობაზე არამართებულია.

სულ სხვა იყო სომხითართა მდგომარეობა. მოსახლეობის მონოფიზიტურ მრწამსზე გადაყვანა, გნებავს მასობრივი გადანათვლა, სომხური სახელებისა და გვარის მიცემა, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გასომხებას. სხვა ამბავია, რომ ეროვნულობისა და რელიგიურობის აღრევა-გათანაბრების ვითარებაში, მონოფიზიტური მრწამსის მიმდევლებს სომხებად იხსენიებენ და კათოლიკური მრწამსისას – ფრანგებად. ისევე, როგორც აფხაზეთში ჩასახლებულებს – აფხაზებად, ოსეთში ოსებად და ა.შ. ვინც გაცნობილია სომეხთა წარსულს, მისთვის არაა

ბაგრატიუნ-ბაგრატიუნინები თუმცა სომხობდნენ, მაგრამ თავს ქართველთა ბიძაშვილებად მიიჩნევდნენ და ამ მოტივით მათ საქმეებში ჩარევასაც არ ერიდებოდნენ.



საეჭვო, რომ სომხების დემოგრაფიული ზრდა რელიგიურ წარმატებებთანაა დაკავშირებული. ამიტომ სომხეთის სამთავროს, შემდეგ სამეფოს შექმნა, უნდა დაუკავშირდეს არა სომეხი ეროვნების, არამედ მონოფიზიტური მრწამსის გავრცელებას. ამის წინასწარი გაცნობიერება აუცილებელია, რათა ადამიანმა ობიექტურად გაიაზროს იბერიის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები. მათ შორის აფხაზეთის დიდი სამეფოს წარმოქმნასთან დაკავშირებული.

* * *

აფხაზეთის სამეფოს დაარსება და მისი შემდგომი ისტორია მოითხოვდა იმ პერიოდის ვითარების თუნდაც სქემატურ დახასიათებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი რამ გაურკვეველი იქნებოდა.

იბერიის ტერიტორიაზე ოთხი პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბება, ქვეყნის დანაწევრებასთან და დასუსტებასთან იყო დაკავშირებული. თითოეული მათგანის წინაშე იდგა გაძლიერების, ჰეგემონობის ამოცანა. ჰერეთის სამეფო, კახეთის საქორეპისკოპოსო, თბილისის საამირო თუ ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ქვეყნის და ეთნოსის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ. მცდელობის მიუხედავად, მათ არ შეეძლოთ იბერიის ყოფილ სამეფოზე კანონიერი პრეტენზია ჰქონოდათ. თვით აშოტ კურაპალატს, რომელიც ერისმთავარი იყო და ერთი პერიოდი თბილისში მოღვაწეობდა, არ შეეძლო არჩილ მეფის მემკვიდრედ ეგრძნო თავი. მეფეთა კანონიერი მემკვიდრე მხოლოდ ლეონ II აფხაზთა მეფე გახლდათ.

ლეონ I, პატრიკიოსი, როგორც მეფე მირის სოძე და მემკვიდრე, უფლებამოსილი იყო მეფობაზე პრეტენზია განეცხადებინა. არც მან და არც მისმა ძმისწულმა და მემკვიდრე ლეონ II, ეს არ გააკეთეს, სანამ არჩილ მეფის ბოლო მემკვიდრე, ჯუან-შერი არ მიიცვალა. **786** წლის შემდეგ, იბერიის სამეფოში, არ იყო პიროვნება, ვისაც ისეთივე კანონიერი უფლება ექნებოდა მეფობისა, როგორც ლეონ II. ამასთან, რამდენადაც არჩილ II



იყო მდ. კელასურის სამხრეთ მხარიდან მოყოლებული კახეთ-ჰერეთის ჩათვლით მფლობელი, ბუნებრივია, მის მემკვიდრეს, ამავე სივრცის ტერიტორიებზე ჰქონოდა პრეტენზია. ის, რომ ამ სივრცეზე (ყოფილი იბერიის სამეფოზე), პრეტენზია ჰქონდა აფხაზეთის მეფედ წოდებულ პიროვნებას, საკითხის არსს არა ცვლის. რამდენი ტერიტორიაც არ უდნა დაეკავებინა აფხაზთა მეფეს, იყო კანონიერი ისევე, როგორც დაკავებული მხარისათვის აფხაზეთის დარქმევა...

ლეონ II შემდეგ აფხაზეთის მეფე გახდა თეოდოსი (798-825 წწ.). არის აზრი, რომ იგი ლეონის უმცროსი ძმა იყო. ზოგი მკვლევარი მას ლეონის შვილად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში არსებითია, რომ მტკიცედ ფლობდა აფხაზეთის სამეფოს ლიხის მთის დასავლეთით და აქტიურად მონაწილეობდა შიდა ქართლის ე.ი. ლიხს აღმოსავლეთი ტერიტორიების განაწილების საომარ პროცესებში. იგი, როგორც აშოტ კურაპალატის სიძე და მოკავშირე, უპირისპირდებოდა კახეთის ქორეპისკოპოსისა და თბილისის ამირას მცდელობას დაეკავებინათ ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბრძოლა გრიგოლ ქორეპისკოპოსმა წამოიწყო. ქართლ-კახეთის საზღვარი არაგვზე, გადალახა და მდ. ქსნის ხეობის დაკავება მოინდომა. ეს აშოტ კურაპალატის გამონწვევის ტოლფასი იყო და შედეგმაც არ დააყოვნა. აშოტ-თეოდოსის ძალებმა კახელ-ამირას მცდელობა აღკვეთეს.

იმ პერიოდიდან მოყოლებული, არა წყდებოდა შიდა ქართლის დაკავების მცდელობა. ამ ომებში აქტიურად ჩაერთო სომხეთის, ე.წ. ტაშირის სამეფოც, ბაგრატიუნების მეთაურობით.

ბაგრატიუნები, ბაგრატიუნიანები, მონოფიზიტური მრწამსის მქონე და ამდენად გასომხებული ბაგრატიონები, თავგამოდებით ცდილობდნენ, ქართველთა ანუ დიოფიზიტური (მართლმადიდებელი) მრწამსის ბაგრატიონების საქმეებში ჩარევას. ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მომდინარეობდა.

აფხაზეთის მეფეები იოლად ვერ დათმობდნენ სამემკვიდრეო ტერიტორიებს. თეოდოსის შემდეგ გამეფდა დემეტრე II (825-861 წწ.). მას მოჰყვა გიორგი I (861-868 წწ.).



მეფე გიორგი I შემდეგ დროებით შეწყდა ლეონიდთა დინასტია. 868-881 წლებში აფხაზეთის მეფეები გახდნენ იოვანე და ადარნასე შავლიანები. შავლიანთა საგვარეულოს შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ერთი აზრით შავლიანები სვანები არიან, მეორე აზრით ადიღეველები და მესამე აზრით სანიგები.¹ რომელია მართებული, განსჯის საგანია. არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული, რომ იმ დროს, როდესაც მეფეები მირი და არჩილი მდ. კელასურის საზღვარს გადავიდნენ და ანაკოფიის ციხეში გამაგრდნენ, ლეონ I პატრიკიოსი ასევე გადავიდა ჩრდილოეთში და სობლისის ციხე გაამაგრა. ეს ფაქტი არ ნიშნავს რომ ჩრდილოეთით აბაზგებს, სანიგებს არა ჰყავდათ თავიანთი მთავრები. სწორედ შავლიანთა გვარი ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოეთი მხარის ლეონ პატრიკიოსისათვის მიკუთვნებას. თავად ლეონი აღიარებდა, რომ ჩრდილოეთი (აფხაზეთი) მას მეფეების დახმარებით მიეკუთვნა (დაუკანონდა).. იმ პერიოდიდან მოყოლებული შავლიანები არა წყვეტდნენ ბრძოლას აფხაზეთში მეფობისათვის და 868 წ. მიზანსაც მიაღწიეს.

ხანმოკლე გამოდგა შავლიანთა მეფობა. 881 წ. გამეფდა ლეონიდთა შტოს წარმომადგენელი ბაგრატ I და ზეობდა 893 წლამდე. იგი კონსტანტი III შეცვალა და იყო 922 წლამდე, 922-957 წწ. მეფობდა გიორგი II. იგი ჭეშმარიტად დიდი და ენერგიული მეფე გახლდათ. მისი ძე, ლეონ III 957-967 წლებში განაგებდა ახლა უკვე ლიხს აღმოსავლეთით მნიშვნელოვან სივრცესაც. იგი 967 წ. დემეტრე II შევალა, ხოლო 975 წ. უსინათლო თეოდოსი III.

იმ დროისათვის აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა შიდა ქართლის უდიდესი ნაწილი. შესაბამისად, შიდა ქართლიც აფხაზეთად იწოდებოდა და მაცხოვრებლებიც აფხაზეთის ქვეშევრდომებად, ფაქტობრივად აფხაზებად. გიორგი II კახეთიც დაიმორჩილა და ჰერეთსაც გადაწვდა. ლოგიკის ძალით ეს მხარეც აფხაზეთი ხდებოდა.

1. სანიგებისა და სვანების ურთიერთმიმართების საკითხიც საჭიროებს დაზუსტებას.



საკითხის არსი მხოლოდ სახელწოდებაში როდია. მთავარია, რომ ეგრული, უკვე აფხაზურად წოდებული, მეტყველებაც, კულტურაც გზას იკვალავდა იბერიულ (ქართულ) მხარეში და მოსახლეობაში. თუ ძვ.წ.ა. IV საუკუნიდან მოყოლებული და ვახტანგ გორგასლის ეპოქის ჩათვლით იბერიული (ქართული) ცდილობდა ეგროსული სივრცის ათვისებას, ახლა უკვე პირიქით, ეგრულ-მეგრული ეუფლება აღმოსავლეთს. შესაბამისად, თუ ძვ.წ.ა. III ათასწლეულისათვის ეგროსელები და ქართველი მონათესავე, მაგრამ ამინც გაუცხოების გზაზე დამდგარი ტომებია ან ტომთა გაერთიანებებია, ახალ ვითარებაში მათი დაახლოება და შერევა ხდება. პროცესი ხანგრძლივია და X ს. ბოლო მეოთხედი დამაგვირგვინებელი, ობიექტურმა ვითარებამ განაპირობა ეგროსელების (აფხაზების), იბერებთან (ქართველებთან) ერთ სამეფოში გაერთიანება, თუ ადრე იბერები იერთებდნენ ეგროსის მხარის ნაწილს, ახლა პირიქით, ეგროსელები (აფხაზები) იერთებენ იბერიის ნაწილს და დანარჩენსაც იგივე მომავალს უქადიან.

იმ დროს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰერეთს, კახეთს, ტაშირის სამეფოსა და თბილისის საამიროს, საკუთრივ ქართველს სამი სამეფო ჰქონდათ.

ტაო-კლარჯეთის სამეფო-სამთავროს დამაარსებელ აშოტ კურაპალატს, სამი ვაჟი ჰყავდა. უფროსი ძმის ადარნასეს შტო ადრე ჩამოციდლა მეფობისათვის ბრძოლის ასპარეზს. უმცროსი ძმის გუარამ მამფალის შტო, ასევე ტერიტორიულ დავას შეეწინა. დარჩა საშუალო ძმა ბაგრატი.¹

ბაგრატის შემდეგ იყო დავითი (876-881წწ.). დავითის ძე ადარნასე იღებს ქართველთა მეფის ტიტულს 888წ. ადარნასეს

1. ბაგრატი გავრცელებული სახელი იყო. ითვლებოდა, რომ ფარნავაზ მეფის ძე ბაგრატი იყო კლარჯეთის პირველი ერისთავი. მან დაუდო სათავე ბაგრატიონთა დინასტიას. საგვარეულოს VII ს. გამოეყო მონოფიზიტებად მონათლული ნაწილი. ისინი იქცნენ სომეხ ბაგრატუნებად.



ორი ძე ჰყავდა. ბაგრატი (937-945წწ.), სათავე მისცა ბაგრატიონთა ტაოს შტოს. მისი ძე ადარნასე ზეობდა 945-958 წწ. მისი მემკვიდრე დავით დიდი, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი მხარის კურაპალატი გახლდათ და დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთის დიდი სამეფოს შექმნაში. ადარნასეს მეორე ძე, სუმბატი ასევე ახალი საგვარეულო შტოს შემქმნელია. იგი კლარჯეთის მხარეს ფლობდა, ცენტრით არტანუჯი. სუმბატს ჰყავდა ძე ბაგრატი (937-994წწ.). რომელიც ნაკლები დიპლომატიურობის და მიმდობლობის გამო, ეტყობა ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა და ამიტომ ისტორიაში „რეგუენად“ მოიხსენიება.¹ ბაგრატს ჰყავდა ძე გურგენი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ იერთებს მის კუთვნილ სამეფოს და მეფეთა-მეფის ტიტულს იღებს.

ისტორიულად ისე მოხდა, რომ ტაო-კლარჯეთის სამეფოსამთავროს ინტერესები მჭიდროდ დაუკავშირდა ლიხის მთამდე გაერთიანებულ აფხაზეთის სამეფოს. ითქვა, რომ ლეონ II შემდეგ აფხაზეთში მეფობდა თეოდოსი (798-825წწ.). იგი აშოტ კურაპალატის სიძე იყო. ასევე ბაგრატი აფხაზთა მეფე (861-873წწ.) გუარამ მამფალის სიძე ბრძანდებოდა. აფხაზთა მეფე კონსტანტი (873-912წწ.) ნათესაურ კავშირს არ წყვეტდა. იგი ქართველთა მეფე ადარნასეს სიძე გახლდათ. თავის მხრივ, აფხაზთა დიდი მეფის გიორგი II (912-957წწ.) ქალიშვილი გურანდუხტი გათხოვილი იყო გურგენ მეფეთა-მეფეზე (ბაგრატი „რეგუენის“ ვაჟზე).

გურანდუხტი დედოფალსა და გურგენ მეფეთა-მეფეს ჰყავდათ ძე ბაგრატი, რომლის სახელსაც უკავშირდება აფხაზ-ქართველთა დიდი სამეფოს შექმნა.

ბედისწერის ირონიაა. ძალზე დიდი და სახელოვანი იყო ტაოს მფლობელი დავითი, იმპერიის აღმოსავლეთის კურაპალატი მისი მამული ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთს წვდებოდა. აქ ჩაასახლა ორი ასეული ათასი ქართი. ფიქრობდა ამ მხარის ქართველთა და შემომტკიცებას. სომეხი ეთნოსი მას

1. რეგუენს – განმარტავენ, როგორც მოჯანყეს, დაუდგრომელს.



მცველად და მხსნელად მიიჩნევა. მან გადაარჩინა ბიზანტიის კეისარი ბარდა სკლიაროსის აჯანყებას. ეს მან მიავლინა ცნობილი თორნიკე ერისთავი და აჯანყებულები დაამარცხა. დავით კურაპალატს სახელი და პატივისცემა არ აკლდა აფხაზთა და ქართთა შორის. და მაინც უბედო იყო, რადგან საკუთარი ძე არა ჰყავდა და ნათესავების შვილს, ბაგრატს, პატრონობდა, როგორც საკუთარს. შესაბამისად მეფე გურგენი და დედოფალი გურანდუხტი, რომელიც მდ. მტკვრის მარცხენა მხარის შიდა ქართლს ფლობდა, ცენტრით უფლისციხეში, შვილის მამობილის, მადლიერები იყვნენ. მათი ბაგრატი დავით კურაპალატის შემდეგ ტაოს მხარესაც დაეუფლებოდა.

იდილიას პატარა ბაგრატის პაპა, ბაგრატ „რეგუენი“, არღვევდა. რატი ბაღვაშის ჩაგონებით იგი შვილსაც ექიშებოდა.¹ ამის და მიუხედავად ცხადი იყო, რომ „რეგუენი“ პაპის სამეფოს, ისევე, როგორც მამის, გურგენის სამეფოს, მომავალში ბაგრატი დაეუფლებოდა, მემკვიდრეობის ძალით. ამდენად, პერსპექტივაში ბაგრატს, მტკვრის მარჯვენა მხარის მამულებიდან დაწყებული, ამიერ და იმიერ ტაოთი დამთავრებული მემკვიდრეობით ეკუთვნოდა.

მტკვრის მარცხენა მხარის ქართლი და კახეთი დედის მხრივ პაპის გიორგი II სამფლობელო იყო.

დიდი იყო გიორგი აფხაზთა მეფე. მას დალაშქრული ჰყავდა ჩრდილოეთით ჯიქეთი და აღმოსავლეთით კახეთ-ჰერეთი. თეორიულად, მომავალში გიორგის მემკვიდრე ვაჟის მხრიდან, გახდებოდა ქალიშვილის მხრიდან მემკვიდრის მეზობელი და მოკავშირე.

ნათქვამია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა, გიორგი აფხა-

1. ბაღვაშები არგვეთის მხრიდან იყვნენ. როცა ლეონ II აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანა, ლიპარიტ ბაღვაში ქართლში გადავიდა და კლდეკარის ძლიერი საერისთავო შექმნა. ქართლის დიდ აზნაურებთან (ტბელი, ძამელი და სხვა.) ერთად, მუდმივად ქიშპს თესდა მამა-შვილს ბაგრატ „რეგუენსა“ და გურგენ მეფეს) შორის. ბაღვაშები, ისევე, როგორც ბაღაშები ლაზური წარმომავლობისანი არიან, გაფანტულები აფხაზეთ-მარგვეთის მიდამოებში.



ზთა მეფემ შვილებთან კონფლიქტი ვერ აიცილა. მას შემდეგ აფხაზეთში მისი უძღვები შვილი ლეონი (957-967წწ.) გამეფდა. 967 წ. იგი დემეტრემ შეცვალა. ვერც დემეტრე მეფემ აირიდა ოჯახური შური. მას ძმა თეოდოსი განუდგა. ბოლოს დემეტრემ მოჯანყე ძმა მოტყუებით შეირიგა, დაატყვევა და დააბრმავა. დემეტრე 975 წ. გარდაიცვალა ისე, რომ მემკვიდრე არა ჰყოლია. ტახტზე მისგან სინათლეგამოცლილი ძმა თეოდოსი დაჯდა. მართლა დაჯდა, რადგან უსინათლო ქვეყანას ვერ განაგებდა. აფხაზეთში არეულობა იყო მოსალოდნელი, რადგან თეოდოსიც უძეო იყო, არ გამოირიცხებოდა კვლავ შავლიანთა საგვარეულოს აღზევება. არც ბიზანტიის დაუნდობელი კეისრის, მხრიდან იყო მოხსნილი საფრთხე და არც ჩრდილოელი მეზობლებისაგან.

აფხაზეთის სამეფო რთული ვითარების წინაშე იდგა. არა და გიორგი II ჰყავდა ქალი მემკვიდრე, გურგენ მეფის მეუღლე გურანდუხტის სახით. გურანდუხტს თავის მხრივ ჰყავდა ბაგრატი, რომელიც ქართველთა სამეფოების ერთადერთი მემკვიდრე იყო. ვითარება ერის შვილებს ლოგიკურ გამოსავალს სთავაზობდა.

გამოსავალი იოანე მარუშისძემ დაასაბუთა. ოფიციალურად იგი აფხაზეთის სამეფოს უფლისციხის ერისთავ-გამგებელი გახლდათ. აფხაზეთის მეფის დიდმოხელე და თანამდგომი, ვინ იყო ტომობრივი წარმომავლობით, დაუდგენელია. არის აზრი მისი სვანური კუთვნილების შესახებ. არის აზრი ადგილობრივობის სასარგებლოდ. არ გამოირიცხება მისი სანიგობა და ა.შ. კამათი შეიძლება, მაგრამ თავისი აზროვნებით მარუშისძე არც ერთ გვარს და ტომს არ ეკუთვნის. ის ამ კატეგორიებზე მალლა დგას. მისი თვალსაწიერი ბევრს სწვდებოდა. მისი გული ბევრისთვის ცემდა.¹

იოანე მარუშისძის გეგმით, ბაგრატი ისევე იყო ქართი, როგორც აფხაზი და პირიქით. გიორგი II კანონიერი მემკვიდრე თუ აფხაზეთის სამეფო ტახტს დაიკავებდა, შეძლებდა აფხაზთა და ქართთა სამეფოს შექმნას, რადგან ქართუს სამეფოებს მის მეტი

1. ამ პიროვნებასთან დაკავშირებითაა ავტორის ნაშრომი „იოანე მარუშისძე“.



კანონიერი მემკვიდრე არა ჰყავდა. გეგმა დავით კურაპალატს გაანდეს და 978 წ. მისი ხელშეწყობით ბაგრატი აფხაზეთის მეფედ ეკურთხა. უსინათლო თეოდოსი კურაპალატმა დიდი პატივით ისტუმრა, ბაგრატის გამეფებიდან ორი წლის შემდეგ. ფიქრობენ მკვლევარები, რომ თეოდოსის ქუთათისიდან ოლთისში სტუმრობა. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის საკითხს ემსახურებოდა.

ბაგრატის (იგი ბაგრატ III, და საქართველოს პირველი გამაერთიანებელი მეფის სახელითაა ცნობილი), აფხაზეთში გამეფებით შიდა ქართლის დიდ აზნაურებმა მტარვალი დროებით მოიშორეს. დრო იხელთეს და ამოქმედდნენ, დიდ აზნაური ქავთარ ტბელის მეთაურობით: მათ ბაგრატის მეფობა არა ცნეს. არა ცხრებოდა რატი ბაღვაშიც. არის აზრი, რომ მათ მოახერხეს დავით კურაპალატსა და ბაგრატს (უკვე აფხაზეთის მეფეს) შორის უნდობლობის დათესვა, ისევე, როგორც შეძლეს ბაგრატ „რეგუენის“ და გურგენს, მამა-შვილს შორის დაპირისპირების გამოწვევა.

მდგომარეობა გართულდა. დავით კურაპალატი ჯარით და მოკავშირეებით ჯავახეთში გადავიდა და საომრად მოემზადა. იგი დაარწმუნეს, რომ ბაგრატს, შვილობილს მისი სიკვდილი აქვს ჩაფიქრებული. დავითს, გურგენის მამა, ბაგრატ „რეგუენი“ მიემხრო. გაგზავნეს ჯარი გურგენის წინააღმდეგ. მან ბრძოლას თავი აარიდა და ციხეში შეიკეტა. ბაგრატ აფხაზეთა მეფე ჯარით თრიალეთში მივიდა და დაიბანაკა. მას რა გეგმა ჰქონდა, ისტორიისათვის უცნობია. ცნობილი ისაა, რომ ვითარებიდან გამომდინარე, ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო. პაპასთან და მამობილთან შებრძოლებას თავი აარიდა. მორჩილების ნიშნად წელზე თოკობამული ეახლა მამობილს და განუცხადა, რომ მისი ჯარით თრიალეთში მისვლის მიზანი ურჩი ერისთავი რატი ბაღვაშის დასჯა იყო. დავით კურაპალატმა „ირწმუნა“ შვილობილის გულწრფელობა და შეირიგა. ამასთან რატი ბაღვაშის დასჯის უფლებაც მისცა. 988 წ. ასე მშვიდობიანად მოგვარდა კონფლიქტი, აფხაზეთის მეფე გიორგი II გამორიდებ-



ულმა ბაღვაშებმა, ქართლში მძლავრი საერისთაო შექმნეს. მათ მფლობელობაში იყო მდ. მტკვრის მარჯვენა მხარე მდ. ტანას ხეობიდან მოყოლებული მანგლისის ჩათვლით. საერისთაოს ცენტრი კლდეკარის ციხე-სიმაგრე, კარგად გამაგრებული, ფაქტიურად ორად ჰყოფდა მეფე გურენისა და მისი მეუღლის გურანდუხტის სამფლობელოებს, უფლისციხეში მყოფი დედოფალი ქმრის მამულში ბაღვაშების ნების გარეშე ვერ მოხვდებოდა. ბაგრატ აფხაზთა მეფეს ასევე არ შეეძლო უფლისციხეში დედასთან მისვლა ქართლის დიდაზნაურთა წინააღმდეგობის გამო და მამასთან, ბაღვაშთა თანხმობის გარეშე.

ბაგრატ აფხაზეთის მეფეს, პირველ რიგში, ეს ბარიერები უნდა გადაეღებინა. ამის აუცილებლობას დავით კურაპალატიც გრძნობდა და ამიტომაც „დაიჯერა“ შვილობილის მონანიება. მამობილის მხარდაჭერით გაძლიერებულმა მეფემ მიზანს მი-აღწია. დიდაზნაურნი აბაზას ძენი, ტბელნი, ძამელნი დაიმორჩილა, რატი ბაღვაშის მეშვეობით მძევლად მიიღო, თრიალეთი ჩამოართვა და აიძულა ძველ მამულს (არგვეთში) დაბრუნებოდა.

არ ცხრებოდა კახეთის ქორეპისკოპოსი. მართალია მან უფლისციხე ვერ წაგლიჯა აფხაზეთის მეფეს, მაგრამ მდ. ქსნამდე მამულის დაჩემებას მაინც ცდილობდა. მოწინააღმდეგენი, მეფეს, აფხაზეთის დიდებულებშიც ჰყავდა. ისინი თუმცა აღიარებდნენ გურანდუხტის აფხაზობას და ტახტზე კანონიერ უფლებას, მაგრამ მის ვაჟს არ მიიჩნევდნენ ლეონიდების დინასტიის წარმომადგენლად.¹

მშობელისა და შვილის სიყვარულის გარდა, პოლიტიკური

1. მნიშვნელოვანი ფაქტია, მკვლევარები თანხმდებიან, რომ ბაგრატი, აფხაზთა მეფე კანონიერად, დედის ხაზით გახდა. ამავე დროს იგი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მოთავეა. მიუხედავად იმისა, რომ ლეონიდებს და ბაგრატიონებს ბევრი შერეული სისხლი ჰქონდათ, ბაგრატი მაინც მამის გვარით იხსენიება ისტორიაში. ამავე დროს, იმავე მკვლევართა აზრით, როცა თამარ მეფეს დავით სოსლანისაგან ეყოლა მეშვეობით, მას მამისა კი არა, დედის გვარით, ბაგრატიონად მიიჩნევენ. უფრო მეტი, ბაგრატიონებად თვლიდნენ თავს თამარ დედოფლის ჩამომავალი მეფეები. არ არის ერთნაირი მიდგომა და საჭიროა ჭეშმარიტების დაზუსტება.



მოტივიც ამოძრავებდა აფხაზეთის მეფე ბაგრატს, როცა დედა უფლისციხიდან ქუთათისში წაიყვანა.

ბაგრატ მეფემ აუცილებელი რეფორმები გაატარა სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური ხაზით, მდგომარეობა განიმტკიცა და იწყო ზრუნვა პაპის, გიორგი II მიერ დაწყებული საქმის შესრულებისათვის. გიორგი აფხაზთა მეფე ძალუმად ცდილობდა კახეთისა და ჰერეთის დაუფლებას. ბაგრატს ეს მიზანი უნდა აღესრულებინა. ამავე დროს უნდა შემოემტკიცებინა მამის გურგენის და პაპის ბაგრატის სამეფოები, რაც მან მეფობის მანძილზე აღასრულა. იგი გახდა ყოფილი სამეფოებისა და სამთავროების გამაერთიანებელი და ახალი, დიდი სამეფოს შემქნელი. იყო მეფე აფხაზეთისა, დაიმატა ქართველთა, ჰერეთის (ანუ რანთა) და კახეთის. მისი მფლობელობის გარეშე რჩებოდა თბილისის საამირო და რაც მთავარია დავით კურაპალატის ტაოს სამეფო, როემლიც ბიზანტიის იმპერიამ მიიერთა.¹

დიდი დავით კურაპალატი 1001წ. გარდაიცვალა. არის აზრი, რომ იგი ბიზანტიის კეისრის მიგზავნილებმა მოწამელს. ამის შემდეგ ბასილ კეისარმა (იგი ბულგართმჟღეტის სახელითაა ცნობილი) მისი სამეფო მიიერთა. ბაგრატ აფხაზთა მეფემ, უკან დაიხია და კეისრისაგან კურაპალატის წოდების მინიჭე-

1. დავით კურაპალატი ძლიერი სახელმწიფო ერთეულის მეფე იყო. ამას გარდა, მან შეძლო დაექვემდებარებინა ვანის ტბის მიდამოები. მისი გავლენა ვრცელდებოდა სომხურ სამეფო-სამთავროებზე. უფრო მეტი, ბიზანტიის კეისრის კარი დიდი პატივით ეპყრობოდა და იმპერიის აღმოსავლეთის კურაპალატის წოდება ჰქონდა. როდესაც დომესტიკოსმა ბარდა სკლიარმა (სკლიაროსმა) კეისრის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო, მას სამხედრო არისტოკრატია მიემხრო. აჯანყებულებმა მცირე აზია დაიაკვეს და უკვე დედაქალაქის ასაღებად ემზადებოდნენ. კეისრის კარმა დახმარებისათვის მიმართა დომესტიკოს ბარდაფოკას. იგი დავით კურაპალატის მეგობარი იყო, იცოდა მისი შესაძლებლობანი და კეისარს ურჩია დახმარებისათვის დაივთა კურაპალატისათვის მიემართა. დავითმა საკეისრო გადაარჩინა. მეორედ, როცა თავად ბარდა ფოკა აჯანყდა, დავითმა მას მხარი დაუჭირა. კეისარმა ფოკა მოაწამლინა და გაიმარჯვა. შემდეგ მის მეგობარს დაემუქრა. დავითი იძულებული გახდა სამეფო. კეისრისთვის ეანდერძებინა და ამ გზით ქვეყანა დარბევისაგან ეხსნა. ესაა მიღებული ვერსია.



ბას დასჯერდა. მან ასევე მემკვიდრეობით მიიღო ქართველთა მეფის წოდებაც. როცა კახეთ-ჰერეთიც დაიმორჩილა 1010 წ. იგი უკვე აფხაზთა, ქართლელთა, რანთა და კახთა მეფე გახდა. რამდენადაც ჯერ აფხაზეთის მეფე იყო, ქვეყანასაც აფხაზთა სამეფო ეწოდა. გასაკვირი არაა, რომ აფხაზეთად უკვე ყოფილი ეგროსისისა და ქართლოსის სამეფოები იწოდებოდა.¹

ბაგრატიის აფხაზეთში გამეფებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, მაგრამ არც ვინმე მოწინააღმდეგე გამოსჩენია ტახტის ფლობის კანონიერების თვალსაზრისით. სხვანაირად იყო საქმე მამისა და პაპის ქართთა სამეფოების მიერთების დროს. ამიტომ აღნიშნავს მისტორიე, რომ ბაგრატი ქართველთა მეფე გახდა მოქიშპე ნათესავთა თავიდან მოცილების გზით. არ გამოირიცხება, რომ ქართთა სამეფოების „ხელმწიფეთათვის“ იგი აფხაზი და გაუცხოებული პიროვნება იყო. არც ის, რომ დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობის დაკარგვა არავის სიამოვნებს. დიდი სამეფოს შექმნას, დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. ძალამ გააერთიანა ეგროსელ-ქართები და მისი შენარჩუნებაც ძალასთან იყო დაკავშირებული.

გიორგი ბაგრატიის ძემ (1014-1027 წწ.) დიდი სამეფო ჩაიბარა მემკვიდრეობით და შეეცადა მის შენარჩუნება-გაფართოებას. კავკასიაში გარეშე ძლიერი მტერი არა ჩანდა. საფრთხეს ბიზანტიის იმპერია უქმნიდა.

გიორგი მეფემ, დავით კურაპალატის ტერიტორია დაიკავა. ბასილ კეისარმა ეს საბაზად გამოიყენა, და დიდი ჯარით 1021 წ. თავს დაესხა აფხაზ-ქართთა სამეფოს, დაამარცხა და ტაოსთან ერთად კლარჯეთის ტერიტორიაც დაიკავა. აფხაზეთის მეფის მცდელობა ქართული სამეფოების მთლიანად მიერთებისა, მარცხით დამთავრდა. გიორგიმ არათუ ახალი მამულების შექმნა

1. უპრიანი იქნებოდა ბოლომდე დარჩენილიყო სახელწოდება აფხაზეთი და დროთა ვითარებაში არ შეცვლილიყო საქართველოთი. მით უფრო, რომ სამეფო არ იყო გაჯერებული ქართული ეთნოსით. ეს ბევრად გვიან მოხდა. ამას გარდა არც კახელები, არც ჰერები და მით უფრო მდ. კელასურს ჩრდილოეთით მაცხოვრებელი ეგრები თავს ქართული სამეფოების შემაგენლობაში არ მოიაზრებდნენ.



ვერ შეძლო, მამის მიერ მოპოვებულიც ვერ შეინარჩუნა. ასეთივე მდგომარეობა გაგრძელდა გიორგის მემკვიდრე ბაგრატის (1027-1072წწ) დროს. ბიზანტიამ შეძლო, ბაგრატის წინააღმდეგ, მსხვილ ფეოდალთა ნაწილის ამხედრება, მიმხრობა და მათი მამულების იმპერიისათვის მიერთება. განსაკუთრებით აქტიურობდა ბალვაშთა საგვარეულო დინასტია. ლიპარიტ ბალვაშმა დაკარგული პოზიცია დაიბრუნა და ქართლის ერისთაობა მიიღო. ბაგრატის ნახევარძმა დემეტრემ, საერთო საქმეს უღალატა, სამართავად გადაცემული ანაკოფიის ცნობილი ციხე კეისარს გადასცა და ამით ფაქტობრივად აღადგინა მისი გავლენა აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილზე.¹

ბიზანტიისა და ადგილობრივ დიდ აზნაურთა მცდელობით, იკარგებოდა მიღწეული ერთიანობა. თბილისის საამირო ისედაც რჩებოდა დაუმორჩილებელი. მას სომხითი, ჰერეთი და კახეთი მოჰყვნენ. ქართლში ლიპარიტ ბალვაში, ბაგრატ მეფის მემკვიდრე, მცირეწლოვანი გიორგის აღმზრდელი და მფარველი, თავს ფაქტიურ გამგებლად მიიჩნევდა. ანაკოფიის იქით ტერიტორიებზე ბიზანტიის გავლენა ვრცელდებოდა. მეფე ბაგრატს რჩებოდა ლიხს დასავლეთი აფხაზეთის სამეფო ანაკოფიამდე.

სამეფოში მოქმედებდნენ როგორც გამთიშველი ძალები, ასევე ერთიანობის მომხრენი. იოანე მარუშისძე არ იყო ერთადერთი, ვინც აფხაზეთისა და ქართველთა სამეფოების გაერთიანებას ემხრობოდა. ამას გარდა, ერთობის პერიოდმა ბევრს დაანახვა გაერთიანებული, ცენტრალიზებული მმართველობის უპირატესობა. ძლიერი სახელმწიფო ზღუდავს თავგასულთა მოქმედებას და ხელს უწყობს ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებას. არის ცნობა, რომ დიდებულთა ნაწილმა სულა

1. ეგროსის მხარის მდ. კელასურის ჩრდილოეთი ნაწილი ეგრებს (აფხაზებს) ეკუთვნოდათ და იქ ბიზანტია დიდხანს ბატონობდა. მდ. კელასურის სამხრეთით მეგრები (მომავალი მეგრელები) სახლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ამიტომ აღნიშნავდა, რომ ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის) იქით აფხაზეთიაო.



კალმასხელის¹ მეთაურობით, შფოთის მოთავე ლიპარიტ ბაღვაში დატყვევეს და ბაგრატ მეფეს მიჰგვარეს. მეფემ აიძულა ლიპარიტი ბერად აღკვეცილიყო.

ჟამთა ამწერთა საერთო დასკვნით, ბაგრატ მეფე ენერგიული და მებრძოლი პიროვნება იყო. მან მართალია ვერ შეინარჩუნა, მაგრამ ორჯერ დაიკავა თბილისი, ასევე დაკავებული ჰქონდა სომხეთის დედაქალაქი ანისი. აფხაზეთის მეფეს, ყოფილი იბერიის სამეფოს მოსახლეობის დიდი ნაწილი განმათავისუფლებლად, თავისად და პატრონად მიიჩნევდა. სწორედ მათი თანადგომით შეძლო ბაგრატ მეფემ სომხეთის, ჰერეთის, კახეთის კვლავ დამორჩილება და ამირას ისე შევიწროება, რომ იგი ფეოდალის დონემდე დაიყვანა.

აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა სახელმწიფომ ვერ მოასწრო ბიზანტიის იმპერიისა და შინააშლილობით გამოწვეული დანაკარგების აღდგენა, გაძლიერება. ბაგრატის ხანგრძლივი მეფობის დასასრულისათვის, სამხრეთში ახალი აგრესიული ძალა გამოჩნდა თურქ-სელჯუკთა ტომების სახით.

შუა აზიაში მომთაბარე და გამრავლებული თურქული წარმომავლობის ტომებმა მდ. ვოლგა გადალახეს და კავკასიონის ჩრდილოეთს შეესივნენ. დარუბანდის (ყოფილი ალბანეთის) გზით შემოიჭრნენ სამხრეთში და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-განდევნას მიჰყვეს ხელი. მომთაბარე თურქებს ფართე, თავისუფალი ტერიტორია სჭირდებოდათ ზამთარ-ზაფხულ ჯოგების გამოსაკვებად. შესაბამისად მინათმოქმედი მოსახლეობა ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. თურქ-სელჯუკები ბალ-ვენახებს ანადგურებდნენ, მოსახლეობას ხოცდნენ ან აიძულებდნენ გაქცევას.

1071წ. ვანის ტბის მიდამოებში თურქებმა ბიზანტიის იმპერია დაამარცხეს და აღმოსავლეთი მხარე წაართვეს. საფრთხე უშუალოდ დაემუქრა აფხაზ-ქართველთა სამეფოს.

1. კალმასხლეტის გვარი (ახლა კალმასხელიძე) მდ. კალმახის ხეობის ერისთავები იყვნენ. თურქეთის ფარგლებში შემორჩენილია ერისთავთა ციხის და სალოცავის ნარჩენები.



ამ დროს სამეფო ტახტზე უკვე გიორგი ბაგრატიის ძე (1072-1089წწ) აღზევდა. მან ისარგებლა ბიზანტიელების მარცხით და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მოახერხა. საკუთრივ აფხაზეთი, კლარჯეთი, ჯავახეთი მან ბიზანტიელთაგან გამოიხსნა.

თურქები ბიზანტიის დამარცხებით და განდევნით არ დაკმაყოფილებულან. მათ ყოფილი იბერიის სამეფოს ტერიტორიების აკლება და დაკავება დაიწყეს. XII. ბოლო მეოთხედში მასობრივმა შემოსევებმა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება მოშალა და კულტურული განვითარების დაქვეითება განაპირობა. ამიტომაც არის ჟამთააღმწერელთა მიერ ეს პერიოდი დიდ თურქობის ზედწოდებით დახასიათებული.

გიორგი მეფე, პირადი მცდელობის მიუხედავად ვერ აღუდგა მომთაბარე თურქების შემოსევებს, ვერ შეძლო მათი ალაგმვა. ძალა აღმართს ხნავდა. თუ მძლავრმა ბიზანტიის იმპერიამ, ვერ გაუწია ჯეროვანი წიანაღმდეგობა, რა შეეძლო შედარებით სუსტ და დაუცველ აფხაზ-ქართველთა სამეფოს? მხოლოდ შეთანხმება ძლიერთან და მარჯვე დრონის ლოდინი.

მალე შეიცვალა ვითარება. ევროპელ რაინდთა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ახლო აღმოსავლეთში სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეცვალა. ჯვაროსნებმა, ქრისტიანებისათვის წმინდა ადგილებად აღიარებული ქალაქები დაიკავეს და თურქების ძლიერებას ზღვარი დაუდეს. ამავე დროს, საუკუნის ბოლოს, თვით თურქთა შორის დაიწყო არეულობა, ბრძოლა პირველობისათვის. ამით აფხაზეთ-ქართველთა მეფეს მიეცა საშუალება ქვეყანა თურქებისაგან გაეწმინდა, გაძლიერებულიყო და იქით შეტევაზე გადასულიყო.

მაგრამ აღარ იყო გიორგი მეფე. 1089 წ. იგი გადადგა და სამეფო ტახტი მისმა 16 წლის მემკვიდრე დავითმა დაიკავა.¹

1. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ გიორგი მეფე სასახლის კარის გადატრიალების შედეგად აიძულეს გადამდგარიყო და „ნებაყოფლობით“ დაეთმო გზა მხოლოდშობილი მემკვიდრისათვის. ცნობილი ისაა, რომ გიორგი მეფემ შვილს საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინი და დიდებული მომავლისათვის დალოცა.



16 წლის ჭაბუკი, ერთგულთა მცდელობით, გამეფდა და ქვეყნის წინსვლისათვის მათივე მხარდაჭერით უნდა ებრძოლა. ერთგულთა შორის გამოირჩეოდა გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც იმავდროულად მწიგნობართუხუცესიც იყო. იგი არა მხოლოდ აღმზრდელი იყო მემკვიდრისა, არამედ გზის გამკაფავიც, ისეთივე ერთგული და ბრძენი, როგორც იოანე მარუშისძე.

აფხაზეთისა და ქართველების მეფეთა შესახებ თუ რამე აღმატებული თქმულა, ეს დავით მეფეს შეეხება. მისი ცხოვრება, მოღვაწეობა, დამსახურება თაობებმა ერთა სიტყვით შეაფასეს – აღმაშენებელი.¹

დავით მეფემ პირველ რიგში ერთგულ თანამებრძოლთა გუნდი შექმნა. მცირერიცხოვანი, კარგად შეკრული გარემოცვა სახლემწიფოსათვის საჭირო ყველა მიმართულებით ეფექტურად მუშაობდა. შემცირებული სამეფოს ფარგლებში შიდა წესრიგი მოაგვარა. პატარა რაზმები ჩამოსალხლებულ თუქრებზე მიუშვა და იქით თუ შიშს თესდა, თავისიანებში თავდაჯერებულობა მატულობდა. შექმნა მსტოვართა და მზვერავთა ორგანიზაცია, რათა ყოველთვის სცოცდნოდა მოწინააღმდეგის გეგმები. მოწინააღმდეგე კი იყო ქვეყნის ორგული, თავგასული დიდებულის, სასულიერო-საეკლესიო მოღვაწეც და გარეშე (თურქული) ძალაც.

დავითმა ქვეყნის შიდა საქმეების მოგვარებით, მოალონიერა სოფელ-ქალაქი და განაპირობა სამეურნეო-ეკონომიკური აღმავლობა. მოლონიერებულ ქვეყანას კი შეეძლო საგარეო საკითხებისათვის მიეხედა.

დავითმა მარჯვე დრო მონახა და 1099 წ. თურქებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ამასთან, შინაომში ჩართულ თურქობას უომრად მოუწიათ ბედს შერიგება.

პარალელურად დაიწყო ლიხს აღმოსავლეთი სამეფო მიწების მომთაბარე თურქთაგან გათავისუფლება.

1. დავით გიორგის ძე ბაგრატიონის მეფობა, ქართველებისათვის ისტორიულად საამაყო პერიოდს მოიცავს და ამიტომ მკვლევართა მრავალ თაობას უოცნებია მასზე. მისი მოღვაწეობა ფართედაა გაშუქებული და დამატებას არ საჭიროებს. აქ მხოლოდ მცირე შესხენებაა მიცემული.



გამეფებისთანავე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა გამდგარ (მოლალატე) დიდგვაროვნებს. როგორც შეძლო, დააპატიმრა და შემდეგ ბიზანტიაში გადაასახლა ლიპარიტ ბაღვაში, რომელსაც მამამისის დაჩის ძველი დიდება ჰქონდა დაბრუნებული. ბოლოს კლდე-კარის საერისთაო გააუქმა და სამეფო მამულს შეუერთა. ბაღვაშებს, აბულეთის ძენი მიაყოლა და დიდებულთა თავაშეკებულობა ალაგმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1103-1104 წლებში სასულიერო დიდებულების აღვირახსნილობის მოთოკვას. არის ცნობები: არ არსებობდა სიბილწე, გადაგვარება, რასაც სამღვდელეობის დიდებულები არა ჩადიოდნენ. მოიწვიეს ე.წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, გამოიკვლიეს სამღვდელოების ეშმაკეული საქმენი და განმინდეს უწმინდურთაგან. ეკლესია სახელმწიფოს დაუმორჩილეს და მის სამსახურში ჩააყენეს.

დავითმა დიდი ძალისხმევა მოანდომა გამდგარი კახეთ-ჰერეთის საბოლოო შემოერთებას, ჯერი სამხრეთ ქართლზე ე.წ. სომხითზე მიდგა და ეს პრობლემაც წარმატებით გადაწყდა.

ეგროს-ქართლოსის, ახალ ვითარებაში აფხაზეთ-ქართველთა გაერთიანებული სამეფო დიდ ძალას წარმოადგენდა და დიდი პერსპექტივაც გააჩნდა. თურქთა სასულთნოებმა ნათლად იგრძნეს საფრთხე და მოინდომეს კიდევ მისი განეიტრალება. დავით მეფეც გრძნობდა თურქებთან გადამწყვეტი ბრძოლის გარდაუვალობას და თადარიგი დაიჭირა. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასახლა ყივჩაღთა დიდი რაოდენობა. არის ცნობა, რომ 40 ათასი მხოლოდ მეომარი იყო. ზოგი მკვლევარი 45 ათასს ასახელებს. ისიც ცნობილია, რომ 1121 წ. 12 აგვისტოს გადამწყვეტ ბრძოლაში ყივჩაღთა მხოლოდ 15 ათასი მეომარი მონაწილეობდა. რატომ?

დიდგორის ბრძოლის მოგება, თუქრული საფრთხის მოხსნის ტოლფასი იყო. ამის შემდეგ მეფეს შეეძლო და კიდევ აღასრულა დიდი ხნის ნატვრა. თბილისი გაათავისუფლა მტერთაგან და კვლავ სამეფოს დედაქალაქად აქცია. ამას მოჰყვა ქვემო ქართლის შემოერთება. 1124 წ. სომეხებმა დედაქალაქი ანისი შეაძლიეს



მეფეს. მათი ხელშეწყობით დავითმა შედარებით იოლად დაიკავა ანისი, მიმდებარე სომხური ტერიტორიებით. იმავე წელს იქნა დაკავებული შარვანი.

აღმაშენებელი ქვეყნის შენებაში დაილია და 1125 წ. 24 იანვარს, შეუერთდა დაუვინყართა რიგებს.

სამეფო ტახტი უფროსმა ძე დემეტრემ (1125-1156წწ) დაიკავა. ნებისმიერი დიდი თუ მცირე სახელმწიფოს ისტორიაში დგება ვითარება, როდესაც წყდება საგარეო აქტიურობა მამულის გაფართოების პროცესს, მოპოვებულის მოვლა-შენარჩუნების პროცესი ცვლის. აღმაშენებლის შემდეგ ასეთი ცვლილებას ჟამმა უწია დემეტრე დავითის ძის სამეფოს. ესაც დიდ ძალისხმევასთან და წარმატება-წარუმატებლობასთან იყო დაკავშირებული...

ისტორიის იმ პერიოდის მკვლევართა დასკვნით, აფხაზ-ქართველთა სამეფოს საგარეო პოლიტიკის ცვლილება, საშინაო მდგომარეობით იყო განპირობებული. დემეტრე მეფე თუმცა ენერგიული და მიზანმიმართული, მაინც მეტად დამოკიდებული იყო დიდ მოხელეებსა და დიდებულებზე. აღმაშენებლის დროს აღზევებული უგვანონი, „გვარიან-ჯიშიან“ დიდებულებს გზას უღობავდნენ და მათ შორის დაპირისპირებას გარდუვალს ხდიდნენ.

აღმაშენებლის შემდეგაც არ შეწყვეტილა ერთი მხრივ, სამეფოს განმტკიცებისა და მეორე მხრივ დიდებულთა განდგომის მცდელობა...

ძვ.წ.ა. IV საუკუნეში ფარნავაზმა სამეფოს სამხრეთი საზღვარი მდ. არაქსზე (ზემო წელზე) განამწესა. იგივე განმეორდა გორგასლის დროს. ახალ პირობებში აღმაშენებლის მემკვიდრეებმა ქალაქ დვინის ალების შემდეგ, მდ. არაქსი მიიჩნიეს სამხრეთის საზღვრად. აღმოსავლეთით სამეფო კასპიის (გურგენის) ზღვას მიეზღინა. ჩრდილოეთით, ეგროსის მინები ისედაც ანაპის კონცხს და მდ. ყუბანის მარცხენა მხარეს მოიცავდა. ძლიერების ხანაში სამეფოს ჩრდილოეთის ტომებზეც ჰქონდა გავლენა მოპოვებული.



თუ ერთი მხრივ, შეიძლება კავკასიონის მაცხოვრებელთა ერთიანობაზე მსჯელობა, მეორე მხრივ წინააღმდეგობა-აჯანყებებიც არ უნდა იქნას გამორიცხული, სხვანაირად ძნელი ასახსნელია რატომ მოუწევდათ მეფეებს ბრძოლა დარუბანდის მიმართულებით, ან გამდგარი ბასიანელების კვლავ დამორჩილება.¹ თავად სამეფოს ცენტრშიც არ იყო ერთსულოვნება. ცნობილია, რომ მეფე დემეტრეს, უფროსი ვაჟი დავითი, დაჟინებით ეცილებოდა ტახტს. ცხადია, დავითი დიდებულთა ნაწილის შეგონებით და თანადგომით იმოქმედებდა. ცნობილია, რომ **1155 წ.** მან აიძულა მამა ბერად აღკვეცილიყო და მეფედ აღზევდა.

დავით დემეტრეს ძემ რამდენიმე თვე იმეფა და ისტორიას მხოლოდ იმით დაამახსოვრა თავი, რომ მკაცრად გაუსწორდა მამის ერთგულ დიდებულებს. სავარაუდოდ თავადაც შეთქმულების მსხვერპლი გახდა. გადმოცემის თანახმად სიკვიდლის წინ მან მცირეწლოვანი ძე (დემეტრე, დემნა ბატონიშვილი) ძმას გიორგის შეავედრა და დააფიცა, რომ სრულასაკონების დროს სამეფო ტახტს კანონიერ მემკვიდრეს დაუთმოდა. ამავდროულად ში ალმაშენებლის მიერ გადმოსახლებული ყივჩაღების დიდი ნაწილი კვლავ კავკასიის ჩრდილოეთს დაუბრუნდა.²

ბრძული ნათქვამია: ძალაუფლება რყვნის ადამიანს, აბსოლუტური ძალაუფლება – აბსოლუტურად... **1156 წ.** აფხაზეთ-ქართველთა სამეფო ტახტი დავით მეფის უმცროსმა ძმამ გიორგიმ დაიკავა, იმ პირობით, რომ ძმის შვილის, კანონიერი მემკვიდრის დემნა ბატონიშვილის სრულწლოვანების მიღწევისთანავე, მეფობას დაუთმოდა.

1. იგულისხმება ჩრდილო კავკასიის ბასიანის მხარე და იქ მაცხოვრებელი ტომი, რომელიც თამარ მეფის მამას აუჯანყდა. ბასიანელები უნდა ყოფილიყვნენ ყოფილი ალანთა და ყივჩაღთა შერევის შედეგად ჩამოაყალიბებული ყარაჩაელთა ტომი? თუ კავკასიანთა ნაწილი? დასადგენია.

2. მომთაბარე ცხოვრებას მიჩვეული ყივჩაღებისათვის არ იქნებოდა ადვილი მკვიდრ ცხოვრებას შეგუება და მიწათმოქმედების დაწყება. ამასთან, მათი სიძე და მფარველი ალმაშენებელი აღარ იყო ცოცხალი, ხოლო მემკვიდრეებს შორის შური და ქიშპი ითესებოდა, რასაც ძველ დიდებულთა დასებად დაყოფა მოჰყვებოდა.



საღვთო ფიცის, პირობის, პატიოსნების დაცვა ყველას როდი სჩვევია. ამოდ ელოდა დემნა, როდის დაუთმობდა მამის ძმა მეფობას. იმედგაცრუებული მომხრეებთან ერთად აჯანყდა. ძალით მოინდომა კუთვნილის მიღება. გიორგი მეფემ აჯანყებულები დაამარცხა და დასაჯა. მათ შორის ძმისწულს ჯერ მზის სინათლე წაართვა და ბოლოს სიკვდილიც მიუსაჯა. გადმოცემის თანახმად, გიორგის ერთადერთი მემკვიდრე, თამარი წინააღმდეგი იყო ბიძისშვილის ასეთი დასჯისა. გიორგი კი, როგორც დიდი იყო მეფე, ასევე დიდი ცოდვილი.

დემნა ბატონიშვილის აჯანყებამ 1176 წ. ცხადი გახადა დიდგვაროვანთა ერთგულებისა და ნდობის ფასი. გამოვლინდა წინააღმდეგობა არა მხოლოდ დიდგვაროვნებსა და უგვარო-აღზევებულებს შორის, არამედ თითოეული დაჯგუფების შიგნითაც. თუმცა, სანამ გიორგი მტკიცედ ფლობდა ძალაუფლებას, ჯანყს ადგილი აღარა ჰქონია. მეფემ ისარგებლა მიტაცებული აბსოლუტური ძალაუფლებით და თანამეფედ ქალიშვილი თამარი დაამტკიცა. იყო 1178 წელი.

1184 წ. გიორგი მეფე მიიცვალა და ტახტზე მისი ქალიშვილი თამარი ავიდა. მასთანაა დაკავშირებული სამეფოში განხორციელებული გარდაქმნები.

აფხაზეთ-ქართთა სამეფოში აღმაშენებლიდან მოყოლებული წესად იყო წამყვან თანამდებობებზე ადამიანთა დამსხაურების მიხედვით დანიშნაობა. ცხადია დიდგვაროვნები, რომლებიც მემკვიდრეობით ლებულობდნენ თანამდებობებს, ვითარების ასეთ ცვლილებას მხოლოდ იძულების შემთხვევაში ეგუებოდნენ.

უგვართა ბოლო აღზევება თამარის მამის დროს მოხდა. გიორგი მეფემ გამდგარი დიდგვაროვანი ივანე ორბელის (ორბელიანის) ნაცვლად მთავარსარდლად (ამისპასალარად) ყივჩაღეთიდან გადმოსალხებული ყუბასარი დანიშნა. ასევე დანიშნა მანდატურთუხუცესად აფრიდონი. დიდგვაროვნებმა ეს „დამცირება“ ითმინეს და როდესაც სამეფო ტახტზე ახალგაზრდა ქალი იხილეს, ამოქმედდნენ. მათი მოთხოვნით თამარი ხელახლა აკურთხეს მეფედ. ამასთან, აფხაზეთის სამეფოში,



აფხაზი დიდებულები იყვნენ წამყვანი და მათი პატივი იყო მეფისთვის გვირგვინის თავზე დადგმა. ეს ვალდებულება აფხაზეთიდან (ლიხს დასავლეთი) გადმოსულმა საერო და საეკლესიო დიდებულებმა აღასრულეს. ამავე დროს უგვაროებს თანამდებობები ჩამოართვეს.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა დიდებულთა მეორე მოთხოვნას. ყუთლუ-არსლანის (მეჭურჭლეთუხუცესის) ხელმძღვანელობით წამოყენებული მოთხოვნა იყო, სათათბირო „კარავი“ დაეღვათ მეფის სამყოფელთან ახლოს, ისანის უბანში. „კარავში“ შეიკრიბებოდნენ მდიდრები და დიდებულები, გადანყვეტდნენ ძირეულ საკითხებს და მეფეს მათი „თანადგომით“ უნდა ემართა ქვეყანა. მკვლევარები თანხმდებიან, რომ ეს იყო პარლამენტის შემოღების მოთხოვნა. საკანონმდებლო – სასამართლო ფუნქციები მეფეს ერთმეოდა და რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი.

ცხადია, თამარ მეფე და მისი მხარდამჭერები ასეთ დათმობაზე, იოლად ვერ დათანხმდებოდნენ. შედგა მოლაპარაკება და შეთანხმდნენ, რომ მეფესთან იარსებებდა სათათბირო ორგანო, „დარბაზი“ და მისი თანადგომით მოხდებოდა ქვეყნის მართვა. მართალია ქვეყანა საპარლამენტო მმართველობაზე ვერ გადაიყვანეს, მაგრამ „აბსოლუტურ მონარქის“ (მეფის) უფლებები მაინც შეიზღუდა. შეთანხმების შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიეღო ქალაქ რუსთავში მჯდომს ჰერეთის ერისთავ შოთა კუპრს. შოთა კუპრი დიდი გავლენის მქონე უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ თანამდებობის გამო, არამედ განათლებულობის მიხედვითაც. ბევრი ფიქრობს, რომ შოთა კუპრი უნდა იყოს მეფესთან დაახლოებული შოთა რუსთაველი.¹

კიდევ ერთი პრინციპული მნიშვნელობის ცვლილება მოხდა

1. შოთა კუპრის ვინაობას და დამსახურებას მკვლევართა დიდი მცდელობა სჭირდება. არაა გამორიცხეული უცხოურ არქივებში მოიძებნებოდეს უფრო მეტი, ვიდრე ვიცით. ყოველ შემთხვევაში შოთა კუპრის მონაწილეობა 1247 წ. მონღოლების წინააღმდეგ შეთქმულებაში და იერუსალიმში მიკვლეული მოხუცის სურათი ბევრ საფიქრალს აღძრავს, ავტორს კი მასზე აზრი გამოთქმული აქვს ნაშრომში, „ცოტნე“.



თამარ დედოფლის დროს. მეფეთა ტიტულატურა არა მხოლოდ ფორმალურად იწყებოდა „მეფე აფხაზთა“ და ა.შ. ეს რეალურადაც ასე იყო. თუ გავიხსენებთ, რომ VIII ს. ბოლოდან მოყოლებული აფხაზეთად, მთელი ლიხს დასავლეთ მხარე იწოდებოდა, რომ აფხაზეთის სამეფომ დაიპყრო ქართლის ნაწილი და კახეთ-ჰერეთსაც გადაწვდა, მაშინ გასაკვირველი არ უნდა იყოს რომ სამეფოში წამყვანი წონა ამ, უკვე „ძირ-ძველი“ აფხაზეთიდან თბილისში გადმობრძანებულ დიდებულებს ეკუთვნოდათ.

თამარ მეფის დროს უკვე არა აფხაზი დიდებულები იკავებენ წამყვან თანმდებობებს. მათ შორისაა მხარგრძელების საგვარეულო.¹

აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა სამეფო ერთიანია, მაგრამ თავისი წონით, გავლენით უკვე ქართველობაა წამყვანი ამიტომაც უმეტესწილად ქვეყანას საქართველოთი მოიხსენიებენ.

ისტორიაში ფართედაა გაშუქებული თამარ მეფის ოჯახური ამბებიც და მათი აქ განმეორების საჭიროება არ არსებობს. მხოლოდ ერთი ფაქტი, როდესაც თამარი, რუსი მთავრის ბოგოლიუბსკის შვილს იურის გაეყარა და მან ამბოხი განიზრახა, მის ბანაკში აღმოჩნდნენ აფხაზი დიდებულები, მის გარშემო დაირაზმა ეგრეთ-მეგრეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და არგვეთი. ლიხს დასავლეთი მხარის დიდებულებმა, სამეფოს ხელმძღვანელობაში მომხდარი ძალთა თანაფარდობის ცვლილებით თავი დაჩაგრულად იგრძნეს და აჯანყდნენ.

უალრესად დიდი ინტერესის შემცველია თამარ მეფის მეორე

1. მხარგრძელები – გადმოცემის თანახმად წარმომავლობით ქურთებია, მონოფიზიტურ (ჩვენთან სომხურად ცნობილ) ქრისტიანობას ნაზიარები. დროთა ვითარებაში მხარგრძელები ქართველდებიან და საერთო აფხაზურ-ქართულ სამეფოს დიდმოხელეები ხდებიან. თამარ მეფის დროს მხარგრძელების აღზევება სხვადასხვანაირადაა გაგებული. სამეფო კარისათვის ისინი ერთგული და ენერგიული ქვეშევრდომები იყვნენ. ისტორიას მათი მოღალატეობაც ახსოვს. სხვა მიდგომა აქვთ სომხებს. იეზიდი ქურთების მონოფიზიტურ მრწამსზე მოქცევა, სომხებისათვის მათ გასომხებას ნიშნავს. ამიტომ განადიდებენ მხარგრძელებს და ლამის დამოუკიდებელი სომხეთის მეფეებადაც წარმოადგინონ.



ქმრის წარმომავლობის საკითხი. არის მტკიცება, რომ დავით სოსლანი, აფხაზეთიდან ოსეთში დედის მიერ გადაყვანილი ბაგრატიონების ერთი შტოს ჩამომავალია. ამაში გასაკვირი არაფერია. მით უფრო, რომ აფხაზთა და ქართველთა მეფეები, თითქმის უწყვეტად, ნათესაობით იყვნენ დაკავშირებული ოსთა მთავრების (მეფეების) ოჯახებს. და მაინც, როგორ უნდა იქნეს გაგებული. თამარის შვილები და მემკვიდრენი სოსლანებია თუ ბაგრატიონები? ხომ არ მოხდა თამარ მეფის შემდეგ დინასტიის ცვლა?¹

თამარი 1213 წლამდე მეფობდა. მის დროს ქვეყანა წინა და მცირე აზიის უძლიერეს სამეფოდ იქცა. იგი გამოდიოდა სპარსელთა და თუქრთაგან დაჩაგრული ეთნოსების განმათავისუფლებლად. ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა გავლენას ავრცელებდა კავკასიონის ირგვლივ მცხოვრებ ეთნოსებზე. მისი კავშირები ვრცელდებოდა ეგვიპტიდან მოყოლებული რუსეთამდე მან მოახერხა ყოფილი ბიზანტიის ტერიტორიაზე მცხოვრები იბერიელ-მესხურ-ლაზური მოსახლეობის ცალკე ტრაპეზუნის სამეფოს შექმნა და ხელი შეუწყო მის ძლიერებას.

ქვეყნის დიდებისათვის დაულალავად მოღვაწე თამარ მეფემ სისუსტე საკუთარი შვილების აღზრდაში გამოიჩინა. ნებიერად გაზრდილებმა პირადული ყველაფერზე მალლა დააყენეს და ამით ხელი შეუწყეს შინაგანი საქვეყნო წინააღმდეგობების გამწვავებას. მემკვიდრეთა ასეთმა ყოფამ გარეშე მტერს სამეფოს დამარცხება გაუადვილა. მხედველობაშია პირობების შექმნა. სხვაფრივ, მონღოლ-თათართა სიძლიერეს, ვერავინ დაუპირისპირდა და საამისო ძალა არც საქართველოს (აფხაზეთისა და ქართველთა გაერთიანებულ სამეფოს) შეეძლო.

ისტორიაში სხვადასხვანაირადაა დახასიათებული თამარის მემკვიდრე და მის შემდეგ გამეფებული ლაშა-გიორგი. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ უარყოფს, რომ ყმანვილი მემკვიდრე დაახლოებული იყო რინდებს და მათთან ურთიერთობისას

1. საკითხის ღრმა კვლევა აუცილებელია. პირველი და ზერელე დასკვნა შეიძლება დაუსაბუთებელი აღმოჩნდეს. ამ საკითხს ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდი უკავშირდება.



თვალის დაიზიანა.¹ სამეფოს გაბატონებულ ზედა ფენას, გაჯერებულს რელიგიით, ადათ-წესებით, ქცევის ნორმებით, ვერაფრით მოხიბლავდა ახალგაზრდა, რომელიც ამსხვრევდა დაკანონებულ, მამა-პაპათგან ნაანდერძევს. როგორი მოსათმენი იქნებოდა, როდესაც მემკვიდრემ ვილაც ველისციხელი აზნაურის ცოლი წამოიყვანა და მასთან შვილი იყოლია... თავის მხრივ, არც ახალგაზრდა მეფე ეგუებოდა, ქვეშევრდომთა და მაინც უფროსთა კარნახს.

ლაშა-გიორგის გამეფებისთანავე ყმადნაფიცი ქვეყნები განდგომის გზას დაადგნენ. პირველი განძის ათაბაგი იყო. საჭირო გახდა მისი ხელახლა დამორჩილება. ამ პირობებში ნათელი გახდა მეფისა და დიდებულების პოზიციების შეუთავსებლობა. მეფემ დათმო და პირობა დადო, რომ მათთან შეუთანხმებლად არ იმოქმედებდა.

არის ცნობა, რომ ლაშა-გიორგი ემზადებოდა ევროპელთა ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობისათვის. მკითხაობას დაემსგავსება ვარაუდი, რა და როგორ მოხდებოდა. ფაქტია, რომ იმ დროს გამოჩნდნენ სამეფოს საზღვრებთან მონღოლები.

მონღოლთა იმპერიის შექმნას, ბრძოლებს, თავად ჩინგის ხანის პიროვნებას ფართედ აშუქებენ, ცნობლია და აქ განმეორების საჭიროება არაა. მხოლოდ ერთი. სანამ დასავლეთისაკენ გაილაშქრებდნენ მონღოლებმა ჩინეთი დაიპყრეს და იქიდან ბევრი რამ ისწავლეს და წამოიღეს. სწორედ ამან შეუწყო ხელი მათ სწრაფ წარმატებას. იაპონიის წინააღმდეგ მათი ლაშქრობა სრული კრახით დასრულდა. უდაბნოს და ფართე ველებს შეჩვეულმა მონღოლებმა ზღვასთან ჭიდილში მარცხი განიცადეს. მათ იაპონიამდეც ვერ მიაღწიეს. დასავლეთს შეუტიეს. გზაზე ძლიერი ქვეყანა მუჰამედ ხორეზმის შაჰის სამეფო იყო. იგი გაანადგურეს.

ჩინგის ხანმა ორი ნოინის, ჯებე და სუბადაის, მეთაურობით ჯარი გააგზავნა, მომავალში დასაპყრობი ქვეყნების დასაზვერ-

1. რინდები – თავისუფალი ქცევის, ღვინისა და ქალების მოტრფიალნი იყვნენ. ნაკლებად რელიგიური, ისინი უფრო დიონისეს (ბახუსს) ეთაყვანებოდნენ. მათი იდეოლოგი ომარ ხაიამი (პოეტი და ფილოსოფოსი) ამბობდა: კაცი ღვინოს რომ ჰყუიღდის, იმ ფულით სხვა უკეთესი რა უნდა იყიდოსო და ა.შ.



შესამონმებლად. ეს ჯარი 1220 წ. მოადგა აფხაზეთ-ქართველთა სამეფოს. პირველსავე ბრძოლაში მონღოლებმა გაიმარჯვეს. იგივე განმეორდა მეორე წელს. 1223 წ. მონღოლებმა ჩრდილოეთში ასევე დაამარცხეს რუსებისა და ყივჩაღების გაერთიანებული ლაშქარი და კასპიის ზღვის ჩრდილოეთი მხრიდან მივიდნენ ჩინგიზ ხანის ბანაკში.¹ 1223 წ. ლაშა-გიორგი გარდაიცვალა. მას „კანონიერი“ მემკვიდრე არ დარჩენია. „მდაბიოსაგან“ ნაშობი დავითი, დიდებულებს ანგარიშში არც მიუღიათ. გადანყდა სამეფო ტახტზე მისი დის, რუსუდანის აყვანა.

რუსუდანზე არ ამბობენ „რინდი“ იყო, მაგრამ თავისი ქცევით, ალბათ ბევრს აჭარბებდა. დიდებულებიც, სამეფო კონტროლს მოკლებულები, ნაკლებად ირჯებოდნენ. ქვეყანა დინებას მინდობილი აღმოჩნდა. ამან განაპირობა მომავლი დიდი მარცხი.

პირველი მძიმე დარტყმა სამეფოს ხორეზმ შაჰის ჯარმა მიაყენა. მუჰამედის მემკვიდრე ჯალალ ედ-დინმა შეძლო ირანის დამორჩილება და მონღოლებს გამორიდებული კავკასიას შეესია 1225 წ. გარნისთან (სომხეთში) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ჟამთა ამწერლის ცნობით აფხაზ-ქართველთა რიგებში 60 ათასი მეომარი იყო. ჯარის მარჯვენა ფრთას ლიხს იქითები ანუ აფხაზები შეადგენენ, მარცხენა ფრთას ჰერ-კახნი... საერთო სარდლობა ივანე მხარგრძელს ებარა. მედგრად იბრძოდნენ მესხნი, შალვა და ივანე ახალციხელების სარდლობით. კრიტიკულ მომენტში ივანე მხარგრძელმა მათ დახმარება არ აღმოუჩინა და ამან განაპირობა მარცხი.²

1. საინტერესო უზუსტობაა, რასაც ყურადღებას არ აქცევენ. ცნობის თანახმად ნოინებს ჯებეს და სუბადის 30 ათასი მეომარი ჰყავდათ. ამ ჯარმა სამი წელი იომა ირანის, კავკასიის, ყივჩაღ-რუსების წინააღმდეგ, აიკლო ეს მხარეები. მხოლოდ ერთ ბრძოლაში ლაშა-გიორგის 30 ათასი მეომარი მოუკლა და თავად არაფერი დააკლდა? მონაცემთა დაზუსტებაა საჭირო.

2. არის მოსაზრება, რომ მხარგრძელმა ახალციხელების პირადი შურის გამო არ მიახმარა სათადარიგო ჯარი. არის მეორეც, საკუთარ მომავალზე ზრუნავდა. ისაც ითქვა, რომ მხარგრძელი მიხვდა, რომ ბრძოლა მაინც წაგებული იყო და ვერას უშველიდა. სადაა სიმართლე?



გარნისთან გამარჯვების შემდეგ ჯალალ ედ-დინმა სამეფოს დიდი ნაწილი დაიკავა და ააოხრა. თბილისში კი მოქალაქეთა მასობრივი სასაკლაო მოაწყო. ფაქტია, რომ ერთი პერიოდი უძლეველი სამეფო დაეცა და განადგურდა. ამით საფუძველი მომზადდა და იგი მონღოლებმა შედარებით იოლად დაიკავეს.

სანამ ჯალალ ედ-დინი კავკასია-სირიის მხარეს არბევდა, მის სამშობლო ხორეზმს მონღოლები შეესივნენ ჩარმალან ნოინის სარდლობით.

ჯალალ ედ-დინის ამაოხრებელი ლაშქრობების შემდეგ, უკვე რუმის თურქთა სასულთნომ მოინდომა სამეფოს დამორჩილება. რუსუდან დედოფალმა ომს სამარცხვინო ზავი არჩია. 1232 წ. იგი შეუთანხმდა ხარკიც ეძლია და ქალიშვილი თამარიც რძლად მიეცა, სულთანის მემკვიდრისათვის.

1235 წ. სამეფოს საზღვრებთან მონღოლები გამოჩნდნენ, ამჯერად ისინი ქვეყნის დასაპყრობად მოვიდნენ და არა დასაზვერად. რუსუდან დედოფალმა, საომრად მომზადებასა და წინააღმდეგობას, გაცლა ამჯობინა. სამეფო კარი ქუთათისში „გადაბრძანდა“ და ქვეყანა მტრის საჯიჯგნად განირა. დიდმოხელე დიდებულები, ერთიან ხელმძღვანელობას მოკლებულები, სიტუაციის კარნახით მოქმედებდნენ, უფრო თავის გადარჩენაზე ზრუნავდნენ, ვიდრე ქვეყნის დაცვაზე. ერთი მეორის მიყოლებით დიდებულები, მამულის შენარჩუნების პირობით, ნებდებოდნენ მონღოლებს. პირველთაგანი ამირსპას-ალარი (მთავარსარდალი) ავაგ ივანეს ძე მხარგრძელი მიენდო მონღოლებს და სხვებს მაგალთი მისცა.

ერთი იმედი ისლა რჩებოდა, რომ მთა-ტყიანი ლიხს დასავლეთი მონღოლებს არ დაუკავებიათ. აქაც შეიძლება მკითხაობა – რატომ? ფაქტია, რომ რუსუდანის სამეფო კარი მტერთაგან დაცული დარჩა. ამიტომ ამბობს ჟამთა ამწერელი, რუსუდან მეფეს მშობლიური აფხაზეთი დაურბეველი ჰქონდაო და არც დიდებული-ჩვეული განცხრომა მოუკლია.

დღევანდელი გადასახედიდან რთულიცაა და ადვილიც ბევრი მოვლენის შეფასება. აზრი ბევრ რამეს ებრძვის, ამიტომ ობიექტური შეფასება მომავალ კვლევებს უნდა მიენდოს.



რუსუდან დედოფლის მთავრობამ მონღოლებთან საზავო მოლაპარაკება გამართა. ზავის პირობების შეთანხმება მხარგრძელებს და ჰერეთის ერისთავ შოთა კუპრს ევალეობდათ...

1243 წ. ზავის თანახმად დაკმაყოფილდა რუსუდანის მოთხოვნა, ხელისუფლების შენარჩუნებისა და ტახტზე მისი ვაჟის, დავითის დამტკიცების შესახებ დანარჩენი მძიმე პირობები, მეფისათვის მეორეხარისხოვანი იყო.

იმავე პერიოდში, რუსუდან დედოფალმა, ძმისწული დავითი ლაშა-გიორგის ძე, სიძეს, სულთან ყიას ად-დინს ასტუმრა. შვილს, დავითს, ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ძმისწული ჩამოაცილა. საკუთარი შვილი მონღოლების ბანაკში გაგზავნა მეფედ დასამტკიცებლად. სიძეს კი შეუთვალა, „სტუმრად“ მყოფი დავითი მოეკლა. სულთანმა სიდედრის თხოვნა არ შეასრულა.

1245 წ. რუსუდანი გარდაიცვალა. მისი ძე დავითი, მონღოლებთან გაგზავნილი, არა ჩანდა. სამეფო უმეთაუროდ დარჩა. რა ექნათ აფხაზ-ქართველ დიდებულებს?

აფხაზეთ-ქართველთა სამეფო მონღოლებმა თავის ყაიდაზე, ათი ათასებად (დუმანებად) დაყვეს. ლიხს ამერი (აქეთი) ქვეყანა 7 დუმანად დაიყო. ლიხს იმერი (იქითა) 2 დუმანად. ხარკის გარდა, ყოველ დუმანს, მოთხოვნის შემთხვევაში 10 ათასი მეომარი უნდა გამოეყვანა.

ხელისუფლების კრიზისმა, დიდებულები, დუმანის თავები, ქვეყნის ბედზე დააფიქრა. კობტას თავს შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს ერთიანი ძალით აჯანყებულიყვნენ. შეთქმულთა შორის იყვნენ ეგარსლან ბაკურციხელი, გრიგოლ სურამელი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, შოთა კუპრი, ცოტნე დადიანი, შანშე მხარგრძელი, გამრეკელ-თორელი, რაჭის ერისთავი, თორლაი პანკელი და სხვა. დათქვეს დანიშნულ დროს ჯარებით შერკებილიყვნენ და მონღოლებზე გაელაშქრათ.

მონღოლებმა გაიგეს შეთქმულების ამბავი, დააპატიმრეს დიდებულები, ჩაიყვანეს ქალაქ ანისში, წელს ზევით გააშიშვლეს და მოედანზე შეკრულები დაყარეს.



დათქმულ დროს, ცოტნე დადიანი, რომელიც ეგრებს და მეგრებს (ნამდვილ აფხაზებს) ედგა სათავეში, ჯარით გამოცხადდა შეკრების ადგილას. იქ გაიგო დანარჩენთა შეპყრობის შესახებ. ჯარი გაუშვა, თავად ანისში ჩავიდა და დანარჩენ შეთქმულებს შეუერთდა. გოცებულმა მონღოლებმა საქმე გამოიკითხეს, პასუხი იყო: ჩვენ კობტასთავს შევიკრიბეთ, რათა ხარკის გადახდის საკითხზე მოგვეთათბირა, თუ ამისთვის სხვები ისჯებიან, მეც მათთან ვიყავი და მათსავით უნდა დავისაჯოო. მონღოლ ნოინებს ისე მოეწონათ ცოტნეს ქცევა, რომ „დაიჯერეს“ შეთქმულთა სიმართლე და ყველა გაათავისუფლეს.¹

1247 წ. კობტასთავის შეთქმულებას შედეგი არ მოჰყოლია. რუსუდანის ძე დავითი, მონღოლებთან მეფედ დასამტკიცებლად წარგზავნილი, არა ბრუნდებოდა შეიძლება აღარც იყო ცოცხალი. გამოსავლის ძიებისას, დაადგინეს ლაშა-გიორგის ძე დავითი (თუ ცოცხალი იყო), რუმის სასულთნოდან ჩამოეყვანათ და მეფედ დაესვათ. აღმოჩნდა, რომ მამიდის მიერ განწირული დავითი, მტერმა, სულთანმა დაინდო და არ მოკლა, ჩამოიყვანეს და მეფედ დასამტკიცებლად მონღოლებთან გააგზავნეს.

მონღოლებმა ორივე დავითი, თავიანთი წესით, დაამტკიცეს მეფედ. ლაშა-გიორგის ძეს, ასაკით უფროსს უწოდეს ულუ, უმცროსს, რუსუდანის ძეს, ნარინი.

ერთი პეიროდი ორივე დავითი თბილისში სახლობდა და აქედან „განაგებდა“ მონღოლების მიერ მიწოდებულ საქმეს. მალე მეფეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. დავით რუსუდანის ძემ დაიწყო აჯანყებისათვის სამზადისი. მონღოლებმა გაუგეს და შეთქმულები დაიჭირეს. დავითმა გაქცევა მოახერხა, გადავიდა ლიხს იმერში და ფაქტობრივად სამეფო ორ ნაწილად გაიყო: ყოფილი ლეონიდების მიერ დაარსებული აფხაზეთისა და ასევე ყოფილი ქართველთა სამეფოებად.²

1. აფხაზ-ქართულ დიდებულთა შეთქმულების და ცოტნეს თავდადების შესახებ იხილე ავტორის „ცოტნე“ თბ. 2009წ.

2. ისტორიული ბედის ირონიაა. თამარ მეფის შვილები ლაშა-გიორგი და რუსუდანი რომ ბაგრატიონობდნენ და არა სოსლანობდნენ, ძნელად, მაგრამ



აფხაზეთისა და ქართველთა სამეფოები, 978 წ. გაერთიანებული ბაგრატი გურგენის ძის სახით ორად გაიყო და ამით სათავე დაედო ქვეყნის გახლეჩა-დაქუცმაცებას. მართალია არც ერთი დავითი არა ფიქრობდა, რომ გაყოფა საბედისწერო შედეგს მოიტანდა, ამგრამ ისტორიამ ასე იწინა.

ამერიის სამეფო, მონღოლთა ბატონობის პირობებშიც ინარჩუნებდა ერთობას. მას მხოლოდ მუსულმანი ყმადნაფიცი ქვეყნები ჩამოაცილეს. სომხური ტერიტორიები, როგორც ქრისტიანული, ქართველებს დაუტოვეს. ერთობის საფუძველს მესხ, ქართ, კახელთა ენობრივ-რელიგიური ერთგვაროვნება ქმნიდა...

ამ დროისათვის მთის ტომები ე.წ. მთის იბერები, უკვე გაქართველები იყვნენ. გამოანკლისს შეიძლება შეადგენენ დვალები, ბასიანელები, დიდგორელები, რომლებიც, ცენტრს მონყვეტილები, ისედაც საკუთარ დიალექტზე (ენაზე) მეტყველებდნენ. საურმაგ მეფის დროს დურძუკების ჩასახლება, მეტყველების შერევამ, ეს თავისთავადობა კიდევაც განამტკიცა.

აქვე უნდა მიეთითოს, რომ ამერთა შორის, მონღოლების მფარველობით და ხელშეწყობით გამოჩნდა აგრესიული ელემენტი ოსების სახით. ქართველებს შეიძლება დავინყებულები ჰქონდათ ის ფაქტი, რომ ოსები ზოგჯერ მაინც მოსდევდნენ ხოლმე ჩრდილოეთიდან შემოჭრილ მათხრებელ ძალას და ცდილობდნენ ქვეყნის ძარცვას. მონღოლები ამერ მხარეში გაბატონების შემდეგ ოსებს სანატრელი დრო დაუდგათ. მათ იწყეს აკლება და აოხრება ქართი მოსახლეობისა და ბოლოს დასახლებებიც შექმნეს. როგორც ისტორია გვამცნობს, ამ გზით მათ დმანისსაც უწიეს.

როგორი იყო ვითარება იმერში?

ლიხს დასავლეთი მხარე, ჟამთა ამწერის თქმით, მეფეთა მშობლიური აფხაზეთი, დავით ნარინის დროს ეთნიკურ-ტომო-

მანც მისალება. თუ დავით სოსლანი არ იყო ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, შვილებს დედის გვარით მანც მოიხსენიებდნენ. ლაშა-გიორგის ძე დავითი რატომ უნდა იყოს უკანონო შვილი და რუსუდანის შვილი კანონიერი? მით უფრო რომ მისი მამის რაობაც კი საეჭვოა?



ბრივი თვალსაზრისით არ შეცვლილა. მონღოლებს ეს მხარე არ დაუპყრიათ და შესაბამისად, მიგრაციული პროცესებისათვის პირობები არ შეუქმნიათ.¹

თუ ისტორიული წარსული იქნება მხედველობაში, ითქმება, რომ სამეფოს იმერი მხარე, ეგროსელთა ქვეყანა, ყოველთვის გამოირჩეოდა ტომთა სიმრავლით. გადმოგვცემენ, რომ დიოსკურიაში 70 ტომის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს სავაჭროდ. სხვადასხვა დროს ტომთა რაოდენობა და სახელწოდება იცვლებოდა და ესაც არაა გასაკვირი. სტრაბონი, რომელიც თუ წარმომართობით არა, დაბადება-აღზრდით მაინც იყო ლაზთა (ხალიბთა) მხრიდან, როცა ტომებზე წერს, ამბობს, რომ ეგროსის მხარის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში (მითრიდატეს ომების აღმწერთა მტკიცებით) სახლობენ აქელები, აქელების სამხრეთით ზიგები (ჯიქები), შემდეგ ჰენიოხები, კერკეტები, მოსხები და კოლხები. მთებში კი ფთიროფაგები და სოანები (სვანები).²

ახალი წელთა აღრიცხვის საწყის საუკუნეებში, ტომთა ცვლილება-გაერთიანების შედეგად უკვე ყალიბდება ხუთი მსხვილი ერთეული. ჩრდილო-დასავლეთით სანიგეთი, მის ქვევით აბაზგეთი, უფრო სამხრეთით აფშილეთი და მისიმილიანეთი.

1. საკუთრივ აფხაზეთის სამეფო (ლიხს დასავლეთი ქვეყნის ანუ ეგიროსის კუთვნილი მხარის სახით) მონღოლთა თარეშს გადაურჩა, აქ ძველებურად ცხოვრობდა ეგროსელობა და არავითარი აუცილებლობა იმისა, რომ საკუთრივ აფხაზეთად წოდებული მოსახლეობა გაყოფილიყო და ნაწილს ჩრდილოეთში მომთაბარე ცხოვრება დაეწყო, არ არსებობდა. თანამედროვე რუსი და აფხაზი მკვლევარების ცდა, დაამტკიცონ აფხაზთა ჩრდილოეთში მიგრირება და შემდეგ მათი ადილევლობა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

2. შავი ზღვის პირეთში აქელების (ახელების) არსებობას მკვლევარები საბერძნეთიდან გადმოსახლებულთა კოლონიის დაარსებით ხსნიან. ზიგები (ჯიქები) უნდა იყვნენ კავკასიანური მოდგმისანი. კავსაკოსის მხარის აორსების და სირაკების საკრომატიული ტომთა გაერთიანების მიერ დარბევანგანდვენის შემდეგ, ისინი „ჩაჯდნენ“ აფხაზეთის ბოლოს. აზრთა გაორებას იწვევენ „კერკეტები“, იყვნენ ისინი ეგროსული წარმომავლობისა თუ კავკასოსის? ყოველ შემთხვევაში ტერმინი კერკეტი, კირკეტი თუბალურია.



მათგან სამხრეთით დიდ ტერიტორიას იკავებენ ლაზები და ქმნიან კიდეც ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს. სამეფო არსებობას წყვეტს გუბაზ-წათეს მეფობის შემდეგ და ასპარეზზე პატრიკიოსი გამოდის.

ძვ.წ.ა. IV ს. მოყოლებული ეგროსის მხარის სამხრეთი ნაწილი იბერიის სამეფოს შემადგენლობაში ექცევა და მიმდინარეობს ნაწილობრივი ქართიზაცია.

ასევე ცნობილია, რომ გარკვეულ მოვლენათა გამო, ტომები, რომელნიც აფხაზთა უშუალო წინაპრებად ითვლებიან, ჩრდილოეთით ინაცვლებენ. ისტორიული ცნობის თანახმად, აფშილეთი უშუალოდ ემეზობლებოდა და ექვემდებარებოდა კიდეც ლაზთა მეფეებს. აბაზგები (მათი ორი მთავარი) პირიქით, ლაზიკის სამეფოს საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდნენ. სწორედ ამ გაორებული პოლიტიკის გამო ბიზანტიამ (აღმოსავლეთ რომის იმპერიამ) ორჯერ დედა-ბუდიანად განწყვიტა აბაზგები. მათი ადგილი აფშილებმა და შეიძლება სანიგებმაც დაიკავეს. ამის გამო, როცა ლეონიდებმა ჯერ ერთიანი აფხაზეთის სამთავრო შექმნეს და შემდეგ სამეფო, მის ძირითად აფხაზ მოსახლეობას, სავარაუდოთ აფშილები წარმოადგენდნენ. აფშილების სამეცხველო ენა უნდა გამხდარიყო სამთავროს და შემდეგ სამეფოს ოფიციალური ენა. ეს ენა ერთიანი იყო, მიუხედავად მისი გაყოფისა მდ. კელასურს ჩრდილო-სამხრეთ ნაწილებად ე.ი. უნდა ყოფილიყო ეგრულ-მეგრული. სწორედ ეს გაადვილებდა აფხაზების ურთიერთობას ერთი მხირვ სვანურ მოსახლეობასთან და მეორე მხრივ ქართვებთან. ამიტომ ვერ ჩათვლიდნენ ქართვები (ქართლის სამეფოები) აფხაზებს უცხო დამყრობლებად და არც ჰქონია ადგილი მათ წინააღმდეგ აჯანყება-ბრძოლებს.

დავით ნარინის დაფუძნებით ლიხს დასავლეთით, აფხაზ-ქართველთა სამეფო დაზარალდა. მონღოლები გადასახადებს ძველებურად ლებულობნენ და ამდენად მათ კიდევაც აწყობდათ დახარკულთა დაყოფა-დასუსტება.

სწორედ იმ დროს, მონღოლებმა, დიდი ყაენის მანგუს ძმა ჰულაგუს სარდლობით, დიდი ლაშქრობა წამოიწყეს მაჰმადიანთა



წინააღმდეგ. ისტორიულად ცნობილი ასასინების რელიგიური ორდენი. მათ ძლიერებას არა ცნობდა და ტერორის გზით ცდილობდა გათავისუფლებას. ჰულაგუს ლაშქარში აფხაზ-ქართველებიც მონაწილეობდნენ. საერთო ძალით ჰულაგუმ მოახერხა ორდენის დამარცხება, შემდეგ ბაღდადის დაპყრობაც და 13 ს. 60-იან წლებში, ამ ტერიტორიებზე ილხანთა მონღოლური სახელმწიფო შეიქმნა.

ჰულაგუ ყაენმა ურჩი ქვეშევრდომების დასჯა, მოსახლეობის აღწერა და გადასახადების მონესრიგება გადამწყვიტა. ურჩთა შორის დავით ნარინი მიიჩნეოდა. მის წინააღმდეგ ლაშქრობა 1259 წ. მარცხიანი გამოდგა.

დავით ნარინის წარმატებამ დავით ულუსაც უბიძგა ურჩობისაკენ. იგი მონღოლებს აღარ დაემორჩილა და აჯანყდა, შემდეგ გაერიდა ძლიერ მტერს და ისიც იმიერ ქვეყანაში გადავიდა.

სწორედ იმ პერიოდში გამწვავდა ურთიერთობა კავკასიონის ჩრდილოეთით გაბატონებულ ოქროს ურდოსა და ილხანების საყაენოს შორის. რამდენადაც დავით ულუს ჯარით მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ჰულაგუ ყაენმა იგი შეირიგა. დავით ულუ, სარგის ჯაყელთან ერთად ეახლა მონღოლებს და ოქროს ურდოს წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაება... 1262-1265 წწ. ულუ გამუდმებით საომარი მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებს.

1270 წ. დავით ულუ გარდაიცვალა. დარჩა 12 წლის დემეტრე, რომელიც ყაენის კარზე იზრდებოდა. ჰულაგუს მემკვიდრე აბალა ყაენმა, მცირეწლოვანი დემეტრე აფხაზეთისა და ქართველების მეფეთა-მეფედ დაამტკიცა. მხოლოდ ეგაა, სარგის ჯაყელის სამფლობელო ჩამოართვა და თავისად დაიქვემდებარა, არც ის გამოორჩენია აბალა ყაენს, რომ თავისი კაცი მიეჩინა ახალი მეფისათვის.

იმ დროს ყაენის კარზე წარმატებული კარიერისტი სადუნ მაკნაბერდელი მოღვაწეობდა. გასომხებული ქურთი და გაქართველებული სომეხი სადუნი დროების შვილი იყო. დემეტრე მეფე აიძულეს სადუნისათვის ათაბაგობა მიეცა და ასე გამოისტუმრეს „სამეფოდ“, როცა სადუნი მიიცვალა, მისი მემკვიდრე



ხუტლუ-ბულა ამირსპასალარი გახდა და მონღოლების ერთგული სამსახური ასე განაგრძო.

1273 წ. მონღოლებმა, გადასახადების უკეთ დარეგულირების მიზნით მოსახლეობის აღწერა-შეფასება მოახდინეს. დადასტურდა ქართველთა სამეფოს უკიდურესი დაცემა. ამას დიდი მიწისძვრაც დაერთო და ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. გაჭირვება არ დასტყობია, მხოლოდ საერო და საეკლესიო დიდებულთა ერთ ნაწილს. გაუტანლობა და გამხედვარობა ფეხს იკიდებდა.

დემეტრე მეფე კარგი ორგანიზატორი და პოლიტიკოსი გამოდგა. მან შეძლო წარმატებით ემოღვანა ილხანთა სამეფო ინტრიგების ვითარებაში. ერთად-ერთი, რისთვისაც დემეტრე ცოდვილად მიაჩნდათ, ეს მრავალცოლიანობა იყო, რასაც ბუნებრივად ახლდა მრავალშვილიანობა. არსებითი კი ის იყო, რომ დემეტრე დაუმოყვრდა ბექა სარგისის ძე ჯაყელს და ეს მხარე კვლავ სამეფოს შემოუერთდა. ბექა ჯაყელმა მეფისაგან მანდატურთუხუცესის თანამდებობა მიიღო და ქვეყნის სამსახურში ჩადგა. თუ იმიერ (აფხაზურ) ნაწილს სამეფოსი არ მივიღებთ მხედველობაში, თუ ყოფილ მუსულმანურ ყმადნაფიცებს გამოვრიცხავთ, ქვეყანა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ერთიანობას.

არღუნ ყაენის კარზე მედროვეთა შეჯიბრი იყო. ვინ მოიპოვებდა ყაენის კეთილგანწყობას, ვინ ვის დაღუპავდა და ა.შ. **1288 წ.** ყაენის სანინაალმდეგო შეთქმულება გამოაშკარავდა. მას სათავეში დემეტრე მეფის ახლობელი ბულა ედგა. როცა შეთქმულები დასაჯეს, ქართველთა მეფეც გაიხსენეს და დაიბარეს. სამეფო დარბაზმა მეფეს ურჩია ხიფათს გარიდებოდა და აფხაზეთისათვის შეეფარებინა თავი. დემეტრე მეფემ, ქვეყნის აოხრებას, თავის განირვა არჩია. **1289 წ. 12 მარტს** მონღოლებმა მეფეს თავი მოჰკვეთეს. ერმა მაღლიერება იმით გამოხატა, რომ ერთადერთს მეფეთა შორის თავდადებული უწოდა.

არღუნ ყაენმა დემეტრეს შემდეგ ამერ-იმერთა მეფედ დავით ნარინის უფროსი ვაჟი ვახტანგი დაამტკიცა. ამით ყაენმა ლიხს იქითი, გამდგარი ქვეყანა, ფორმალურად მაინც, დაიქვემდებ-



ბარა. თავის მხრივ აფხაზ-ქართველებმაც მოიგეს იმით, რომ სამეფოს ერთიანობა აღსდგა.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1292 წ. ვახტანგ მეფე მოულოდნელად დაავადდა და გარდაიცვალა. ქუთაისში მეფედ ვახტანგის ძმა კონსტანტინე აკურთხეს. მას უმცროსი მიქაელი არ დაემორჩილა და დაიწყო შინა შუღლი ძალაუფლებისათვის.

ამერში მეფობის კანდიდატი დემეტრეს უფროსი ძე დავითი იყო. მაგრამ მას მონღოლები არ ენდობოდნენ. დავითს დასჭირდა მონღოლთა ომებში აქტიური მონაწილეობა, რომ ნდობა მოეპოვებინა.

ამერში გამეფებულ დავითს მძიმე ვითარება დახვდა. მონღოლთა მხარდაჭერით გათამამებული ოსები უწყნალოდ სდევნიდნენ და ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მათი ალაგმვა კი მონღოლთა გამო მეფეს არ შეეძლო. ყაენის კარზე შეთქმულება და გადატრიალება ერთი-მეორეს ცვლიდა. ასეთ დროს მეფეს საგარეო მდგომარეობაც გართულებული ჰქონდა.

1297 წ. მეფე აღარ დაემორჩილა ყაენის ბრძანებას და აჯანყდა. ყაენმა 1298 წ. მის მაგიერ მეფედ ვახტანგ დემეტრეს ძე დაამტკიცა. დავითმა ძმა დააპატიმრა და ამერში ერთმეფობა აღადგინა. მაშინ მონღოლებმა დიდი ჯარით გაილაშქრეს დავითის დასჯის მიზნით. ამავე დროს, ყაენმა ამერის მეფედ გიორგი დემეტრეს ძე დაამტკიცა. გიორგი თავის მხრივ ბექას ქალიშვილის, ნათელას შვილი იყო. ცხადია ბექა ჯაყელი დიდი ძალისა და გავლენის პატრონი გიორგის მხარში დაუდგა.

ქვეყანის სამეფოებად დანაწილება უკვე ტრადიციული ხდებოდა. ჯერ ამერი და იმერი, შემდეგ ჯაყელებმა შეძლეს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. ახლა დანარჩენი ამერი ქვეყანა გაიყო დავითისა და უმცროს გიორგის შორის. თუმცა ორივე დემეტრე თავდადებულის შვილი იყო, მაგრამ სხვადასხვა ცოლებისაგან. გამოდიოდა, რომ გამეფების მონღოლური წესი თანდათან ფეხს იკიდებდა.

რაც მთავარია მონღოლთა სადამსჯელო ლაშქრობებს და



ძმათა ქიშპს უამრავი ადამიანი ეწირებოდა. იმავე პერიოდში მონღოლების დიდმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო და ახლა უფვე რელიგიური ნიშნით ჩაგვარაც დაემატა პოლიტიკურ-სამხედრო-ეკონომიკურს.

მონღოლებმა 1302წ. მეფედ კვლავ ვახტანგ დემეტრეს ძე დაამტკიცეს. ვახტანგი ჯარით მუდმივად მონაწილეობდა ლაშქრობებში. 1308 წ. ლაშქრობაში ყოფნისას იგი გარდაიცვალა. მძიმედ დაავადდა დავით დემეტრეს ძეც და პრაქტიკულად შეწყვიტა წინააღმდეგობა.

როცა გიორგი დემეტრეს ძე სრულწლოვანი გახდა, პაპამ, ბექა ჯაყელმა იგი, მეგობარ ვაზირს ჩობანს გაუგზავნა, ყაენთან მეფედ, განმეორებით, დასამტკიცებლად. როგორც მძიმე არ უნდა ყოფილიყო მეფის ტვირთი, მსურველთა რაოდენობა არა მცირედებოდა. გიორგისაც მოუწია 1316 წლამდე ყაენის კარზე ყოფნა და ილხანთა სასარგებლოდ ომებში მონაწილეობა. გიორგი ეტყობა ჩობან ვეზირს დაუახლოვდა, ამ ნიადაგზე, როცა 1317 წ. ყაენი გარდაიცვალა, მისი მცირეწლოვანი მემკვიდრის დროს, ჩობანი ქვეყნის ფაქტიური მმართველი გახდა. ჩობანიმ ხელი შეუწყო იმას, რომ გიორგი ამერიის მთავარ მეფედ დაამტკიცეს და მასვე დაუმორჩილეს ჯაყელები.

გიორგი დემეტრეს ძის მეფობა რთულ და სახიფათო პერიოდში მიმდინარეობდა. მან შეძლო ერთიანი სამეფოს აღდგენა-გაძლიერება. ქვეყნის შიგნით საკანონმდებლო წესრიგის დამყარება. ოსთა თარეშის არა მხოლოდ აღკვეთა, არამედ აგრესორებისათვის მტკიცე ზღუდე შექმნა. დვალეთის ჩრდილო მხარეს ციხე-სიმაგრეთა სისტემა განამტკიცა. ჩაკეტა ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელები. შემოიმტკიცა მთა და შეუდგინა კანონთა კრებული. კვლავ დაიმორჩილა და მოხარკე ყვა მეზობელი სახანოები. განამტკიცა სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა და აღგავა ურჩნი. მისი მოღვაწეობა ეგვიპტემდე და საფრანგეთამდე სწვდებოდა. მან ქართული ქრისტიანული სინამდევები დაიცვა ხელყოფისაგან. სახელოვან წინაპართა რიგებს 1346 წ. მიემატა. მადლიერმა ერმა მას ერთადერთს უწოდა – ბრწყინვალე. ამით ბევრია ნათქვამი.



გეორგი ბრწყინვალეს შემდეგ სამეფო ტახტი მისმა ძე დავითმა დაიკავა და მეფობდა 1360 წლამდე. მძიმე პერიოდი იყო. მთელ ევროპას, აფრიკისა და აზიის ნაწილს შავი ჭირის ეპიდემია ანადგურებდა. დავითის სამეფომაც ვერ აიცილა ეს უბედურება, რასაც მოსახლეობის მკვეთრი შემცირება ახლდა. ამის და მიუხედავად დავითი ენერგიული და სამართლიანი მეფის სახელითაა ცნობილი.

1360 წ. სამეფო ტახტი დაიკავა ბაგრატ დავითის ძემ. ისტორიული ცნობების თანახმად იგი ძლევამოსილი პიროვნება ყოფილა. მიუხედავად შავი ჭირის დამლუპველი ზემოქმედებისა, მის დროს ქვეყანა წარმატებით ვითარდებოდა. მისი მეფობის პირველ წლებში აჯანყდა ვარდანისძე სვანთა ერისთავი. ბაგრატმა იგი დაამარცხა, შეცვალა და ამ მხარის გამგებრად გელოვანი დანიშნა. წარმატებით იქნა მოგერიებული თუქრთა მცდელობა ქვეყნის რბევისა. სამეფო ინარჩუნებდა ტერიტორიულ მთლიანობას და სამხედრო-პოლიტიკურ სიძლიერეს თემურ-ლენგის შემოსევებამდე. ცნობილია, რომ თემურ-ლენგმა „მოღვაწეობა“ ყაჩაღობით და ქარავენების ძარცვით დაიწყო და ბოლოს უდიდესი იმპერია შექმნა. სახელმწიფოს დედაქალაქად სამარყანდი გამოაცხადა, ნაძარცვისა და ტყვეთა დახმარებით იქაურობა ააყვავა.

თემურ-ლენგმა, ჩინგის ხანის მონღოლური იმპერიის აღდგენა მოინდომა და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა. ამბობენ მის ლექსიკონში სიტყვები: შენდობა, დანდობა, შეცოდება, არარსებობდა. დასახასიათებლად საკმარისია თქმა, რომ თავის ქალებისაგან კოშკი ააგებინა.

აფხაზთა და ქართველთა სამეფოს იგი 1386 წ. დაესხა თავს და თბილისის აღების შემდეგ ბაგრატ მეფე ოჯახით ტყვედ აიყვანა. მეორე წელს ლენგი მეორედ შემოიჭრა დიდი ჯარით და დიდი ზარალიც მიაყენა ქვეყანას. 1394 წ. უკვე არაგვის ხეობის ხელში ჩაგდება და იქიდან ჩრდილოეთში ოქროს ურდოს წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო. ამასობაში, ოქროს ურდოს ჯარები, დარუბანდის გზით, შარვანში შეიჭრნენ, თემურ-



ლენგმა მთიდან უკან დაიხია და დერბენტის გზით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა.

1395 წ. თერგის მახლობლად მოხდა ოქროს ურდოსა და თემურ-ლენგის ჯარების გადამწყვეტი შეჯახება. ლენგმა გაიმარჯვა და სხვებთან ერთად ჩრდილო კავკასიის ეთნოსებს დაერია, იძულებით მიაღებინა მაჰმადიანობა, მოსპო რაც შეიძლებოდა, ტყვედ წაიყვანა ვინც ღირდა, წაიღო ყველაფერი ღირებული და ორი წლის მერე სამარყანდში დაბრუნდა, რათა ახლა ინდოეთის წინააღმდეგ საომრად მომზადებულიყო.

1399 წ. ინდოეთიდან დაბრუნებული თემურ-ლენგი კვლავ კავკასიისაკენ გამოემართა. წლის ბოლოს მისი ჯარი კახეთ-ჰერეთში შეიჭრა. ერთი წლის შემდეგ სევანის ტბასთან მოხდა მთავარი შერკინება. დიდი ზარალის მიუხედავად რიცხვმრავალმა მტერმა აჯობა და ასე ბრძოლებით თბილისიც დაიკავა, გორიც და ლიხის მთასთან შეჩერდა. თემურ-ლენგი, ისევე, როგორც საერთოდ მონღოლები იმერ მხარეში არ გადასულა.

ამის შემდეგ თემურ-ლენგმა კიდევ ორჯერ მოაწყო დამაქცევარი ლაშქრობა. მისი შემოსევების დროს აფხაზთა და ქართველთა მეფე უკვე გიორგი ბაგრატიის ძე იყო (**1393-1407წწ.**).

თემურ ლენგის რვა ლაშქრობამ წელში გატეხა სამეფო. ამხელა ზარალი მონღოლთა ასწლიან ბატონობას არ მოჰყოლია. ამის მიუხედავად გიორგი მეფემ სიცოცხლის ბოლოს მოახერხა ქვეყნის განმენდა მომდურებისაგან და აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება. სამწუხაროდ მას არ დასცალდა აღედგინა სამეფოს ძლიერება. სამხრეთიდან წამოსული თურქული ჯარის წინააღმდეგ ბრძლისას დაიღუპა. მისი დაწყებული საქმე მისმა ძმამ კონსტანტინე მეფემ განაგრძო, სანამ ტყვედ არ ჩავარდა ბრძოლისას და იქ არ დაასრულა სიცოცხლე.

1412 წ. სამეფო ტახტი ალექსანდრემ დაიკავა. ქვეყანაში სიმშვიდე არა სუფევდა. ერთი მხრივ, თურქთა მუდმივი საფრთხე და მეორე მხრივ შიგნით, დიდგვაროვანთა თავგასულობა, მეფისაგან სწრაფ და მოზომილ მოქმედებას მოითხოვდა. ახალ ისტორიულ რეალობას ახლებური გააზრება სჭირდებოდა.

Kaukasus-Region
Anfang 1405 n. Chr.


Vasall Tamerlans

**Vasall des
Schamchalats**


bedeutende Stadt

○ heutige Grenzen

Die Topografie entspricht der heutigen.



- 1 AGULIER
- 2 KURA
- 3 TABASSARAN
- 4 RUTUL
- 5 ZACHUR



საქართველო და კავკასია თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ



პორველ ყოვლისა, განდგომის საფრთხე, სამხრეთიდან არსებობდა. ჯაყელების მიერ ჩაგდებული მოლაღატური თესლი მოქმედებდა. თუმცა ალექსანდრე მეფე არ იყო მკაცრი, რადიკალური ღონისძიებების მომხრე, მაგრამ მაინც იძულებული გახდა 1415 წ. შეებოდა თავის ათაბაგს. გამარჯვებით ალექსანდრემ ვერ თუ არ ისარგებლა. ათაბაგი დაამარცხა და შეირიგა. ასევე შეირიგა და ამავე დროს შეარიგა დადიანი და შარვაშიძე.¹ ოდიშის მთავარმა დალაშქრა აფხაზეთის სამთავრო. მოსალოდნელი იყო დიდგვაროვნებს შორის ხანგრძლივი კონფლიქტის დაწყება. მეფე ალექსანდრე გადავიდა ოდიშში და დაპირისპირებულები შეარიგა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც საგარეო ურთიერთობების მხრივ მოხდა, იყო ლორე-ახტალის მიდამოების შემომტკიცება. ეს მხარე სამხრეთის კარს ქმნიდა და მისი გამაგრების გარეშე გაძნელებოდა საფრთხის აღკვეთა.

ყველაზე უარესი, რაც საშინაო ურთიერთობებს ახლდა, იყო სამეფოს კუთხეების სამართავად გადაცემა ოჯახის წევრებისათვის. მეფის ოჯახის წევრი, ეუფლებოდა რა სამეფოს ამა თუ იმ ნაწილს, თავს იქ პატარა მეფედ გრძნობდა, მიღებულით არა კმაყოფილდებოდა და სხვათა ხარჯზე გაძლიერებას ლამობდა.

ალექსანდრე მეფე იყო და საგარეო ურთიერთობებს ასე თუ ისე უძღვებოდა. სხვანაირად განვითარდა საშინაო ვითარება. თუმცა ალექსანდრეს, ისტორია დიდს უწოდებს, მაგრამ საშინაო საქმეებს ვერ მოერიდა და 1442 წ., ჯერ კიდევ ქმედითუნარიანი, მმართველობას ჩამოცილდა. ფიქრობენ, რომ ნებაყოფლობით შედგა ბერად და სულიერ მეუფეს მიუძღვნა დარჩენილი დღეები.

1. ალექსანდრე, ისევე, როგორც სხვა მეფეები, კვლავ ატარებდა ტიტულს, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა“... და ა.შ. რეალურად იმ პერიოდისათვის არა მხოლოდ მთლიანად სამეფოს, არამედ ლიხს დასავლეთ იმერის ნაწილსაც, აღარ მიიჩნევდნენ აფხაზეთად. დიდგვაროვანთა შიდა ჭიდილს პროცესში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო, შარვაშიძეთა საგვარეულო დინასტიის მეთაურობით. ადრე ერთიანი ეგრისელები, დაიყვნენ ჯერ ეგრებად და მეგრებად და შემდეგ მათ შესაბამისად ეწოდათ აფხაზები და მეგრელები, აფხაზეთის სამთავრო და ოდიშის სადადიანო.



ალექსანდრეს გადადგომით ისარგებლეს ოჯახის წევრებმა. იმავე წელს გამეფდა უფროსი ძე ვახტანგი. ხანმოკლე იყო მისი მეფობა. 1446 წ. გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმა გიორგი ავიდა.

გიორგი კი იყო მეფე, მაგრამ არა „ბრწყინვალე“ მან თავიდან ვერ აირიდა დიდგვაროვანთა აშლილობა. მის დროს სამცხე, გურია, ოდიში, აფხაზეთი ფაქტობრივად დამოუკიდებლები იყვნენ. მეფეს თუ ემორჩილებოდნენ, მხოლოდ ფორმალურად. მეფე გიორგიმ ერთხელ გამოაჩინა ძალაუფლება, როდესაც სამცხეში ძმები, ალბულა და ყვარყვარე ათაბაგობისათვის წაეკიდნენ. მეფემ, უფროსი ძმის ალბულას მხარე დაიჭირა და ათაბაგობა შეუნარჩუნა, იყო 1447 წელი, ოთხი წლის შემდეგ ალბულა გარდაიცვალა და ათაბაგობა უკე ყვარყვარეს ერგო. სწორედ ყვარყვარე აკეთებდა ყველაფერს, რათა მეფის გავლენისაგან გათავისუფლებულიყო.

ქვეყნის მძიმე საშინაო მდგომარეობას, საგარეო პირობების მკვეთრი გაუარესება დაემატა. 1453 წ. მაისის დასასრულს თურქებმა მოახერხეს კონსტანტინეპოლის აღება. გადაიჭრა ქრისტიანულ, ცივილიზებულ ევროპასთან დამაკავშირებელი გზა. თურქეთმა ამის შემდეგ ევროპას შეუტია. მეფე გიორგი მარტო რჩებოდა საშინაო და საგარეო მტრებთან ბრძოლაში.

ქვეყნის დაცემა-დაქუცმაცების მოთავე კვლავ ყვარყვარე ჯაყელი იყო. ბუნებრივია, იგი მარტო არ მოქმედებდა. დიდებულთა გარკვეული ნაწილი ზურგს უმაგრებდა. ყვარყვარემ მოახერხა ქვეყნის მოლალატეთა გაერთიანება, დაიხმარა საგარეო მტრები, მეფეს აუჯანყდა და 1462 წ. დაამარცხა კიდეც. სამცხე, დედა სამშობლოს, ამ პრიოდის მოყოლებული, ფაქტობრივად ჩამოცილდა.

ყვარყვარეში გადამდები სენი აღმოჩნდა. მეფით უკმაყოფილო დიდგვაროვნები, უკვე აღარ მაღავენდნენ განდგომის სურვილს. 1463 წ. ქუთაისის მმართველმა ბაგრატიმ მოინდომა განდგომა. მას ყვარყვარე დაემატა და ბრძოლისას მეფე ტყვედაც კი ჩავარდა. ამით ბაგრატი ერისთავმა ისარგებლა, ამერში გადავიდა, თბილისი დაიჭირა და თავი მეფედ გამოაცხადა.



ყვარყვარემ იგრძნო საფრთხე ენერგიულ ბაგრატის მხრივ და საპირისპიროდ გიორგი მეფე ტყვეობიდან გაათავისუფლა. გიორგიმ მეფობა ვერ დაიბრუნა, გადავიდა კახეთში და კახეთის ცალკე სამეფოს ჩამოყალიბებას დაუდო სათავე.

ამრიგად, 1466 წლისათვის ერთიანი სამეფო გაიყო სამ ნაწილად. ბაგრატი ითვლებოდა ერთიანი ქვეყნის მეფედ. სინამდვილეში, მას ხელი არ მიუწვდებოდა სამცხე-საათაბაგოზე და ცალკე გასულ კახეთზე. უფრო მეტი. ბაგრატს მხოლოდ ფორმალურად ექემდებარებოდა საბედიანო. საბედიანო თავის მხრივ აერთიანებდა აფხაზეთს, ოდიშს (სამეგრელოს) და გურიას. ზღვის პირეთი ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა.

გამოვიდა, რომ თურქეთისა და ირანის (სპარსეთის) გაძლიერების პარალელურად, აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფო დაიყო, დანაწილდა და შინა წინააღმდეგობებში ჩაეფლო. კარს მომდგარ მტრებს, ქვეყნის მეფე-მმართველებმა, საუკეთესო პირობების გაუმზადეს.



ქართველთა სამეფოები

XV ს. მეორე ნახევარი საბედისწერო გამოდგა ძველი კოლხებისა და იბერთათვის. დაასრულა არსებობა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და ა.შ. ერთიანმა სამეფომ.

პირველი ბზარი ერთიანობაში დავით ულუს და დავით ნარინის „მეფურმა“ ქცევამ შეიტანა.¹ ამის შემდეგ არაერთგზის იყო ქვეყნის დაქვევის მცდელობა, განა ჯაყელები, ბაღვაშებზე ნაკლებ საფრთხეს უქმნიდნენ სამეფოს? მაგრამ არ იყო აღმაშენებელი, და აღარც გიორგი ბრწყინვალე... ხომ დიდს ეძახდნენ ალექსანდრეს. დიდადაც ავნო ქვეყანას, როცა სამეფო, ოჯახის წევრებს დაუნაწილა სამართავად.

მეფე (ქვეყნის მეთაური), როცა პირადულს (ოჯახურს) ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დააყენებს, უკვე დამარცხებულია.

XV ს. ბოლოს ერთიანი სამეფოს რღვევა შეუქცევადი გახდა... აღარ იყო აფხაზეთად წოდებული სამეფო და აღარ იყო საქართველოდ წოდებულიც. სანაცვლოდ გაჩნდა კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები. იყო სამცხე-საათაბაგო, გურიის, ოდიშის, აფხაზეთის სამთავროები. ამას ემატებოდა ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები, რომელთა თავისებურება, განსაკუთრებულობა ყოველთვის თვალში საცემი იყო: სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, დვალეთი, ხევი (ძველი წანარეთი), ხევსურეთი, თუშეთი.

სამშობლოს ისტორიის მოყვარულის წინაშე ისმის კითხვა? დაყოფის პირობებში ერთიანი ისტორია, როგორ უნდა დაინეროს? ისეთი საკითხიც კი, როგორიცაა მეფეთა ჩამოთვლა, როგორ უნდა მოხდეს?

გასაგებია, რომ ადრეულ პერიოდებში ქართვები ცალკე

1. ეგებ ბზარი მაშინ გაჩნდა, როცა გიორგი მეფემ ძმის დავითის ანდერძს უღალატა და ტახტის კანონიერი მემკვიდრე დემნა ბატონიშვილი მოაკვლევინა? ეგებ მაშინ, როცა რუსუდან დედოფალმა ძმის, ლაშა-გიორგის ანდერძს უღალატა და ძმისშვილი მოსაკლავად თურქების სულთანს (სიძეს) გაუგზავნა? როდის იმძლავრა ლალატის ჭიამ?



ქმნიდნენ სამეფოს, ჰერები და ეგროსელები ცალკე და მათი ისტორიაც ასე გადაიცემა, მათი მეფეებიც ცალკე ჩამოითვლებიან. მაგრამ, როცა შეიქმნა აფხაზეთის სამეფო, როცა მეფე გიორგიმ ქართლის ნაწილიც დაიმორჩილა, კახეთიც და ჰერეთიც, განა ეს სამი ერთეულის გაერთიანება არ იყო? რატომ მივიჩნით გაერთიანებული ქვეყნის პირველ მეფედ ბაგრატი და არა მისი პაპა გიორგი? და რატომ მოსდევს ბაგრატს გიორგი I და არა მესამე? და თუ გაერთიანებული სამეფო ბაგრატიდან იწყება, რატომ არის იგი მესამე და არა პირველი?

ბევრ რაიმეს უნდა ახლებურად გააზრება და დიდ ძალისხმევასაც საჭიროებს.

აქ კი, რადგან თავდაპირველად სამცხე-საათაბაგო ჩამოცილდა დედა სამშობლოს, ჯაყელების მისამართით უნდა ითქვას: საგვარეულოს ბევრი გამოჩენილი მამულიშვილი ჰყავდა, ბევრიც იღვანეს მამულისათვის, მაგრამ საბოლოოდ ზიანი მეტი მიაყენეს.

ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა ხელს უწყობდა და განაპირობებდა დიდ ცვლილებებს. მეფის ძალაუფლების შესუსტებამ დააჩქარა ბატონყმური ურთიერთობის ცვლილებები. აზნაურთა შორის მოხდა დაყოფა, გამოიკვეთა თავადთა ნაწილი და ბოლოს ცალკე სოციალურ-პოლიტიკურ კლასად ჩამოყალიბდა. აზნაურთა დანარჩენი ნაწილი ასევე დაიყო მეფის, თავადთა და ეკლესიის კუთვნილ ჯგუფებად. მათ შორის საერთოს გარდა, განმასხვავებელი მდგომარეობაც გამოიკვეთა. დაქსაქსული აზნაურობა უკვე აღარ წარმოადგენდა მეფის დასაყრდენს. ქვეყნის ცენტრალური მმართველობა ძალაუვნებურად თავადთა ძალას ემყარებოდა და უწევდა ანგარიშს. თავადები კი მამულში პატარა მეფეებად გრძნობდნენ თავს, აძლიერებდნენ გლეხთა ჩაგვრას და სასურველ შემთხვევაში მეფესაც ლაღატობდნენ. საერო თავადებს ხშირად საეკლესიო თავადებიც მხარს უზამდნენ.

დიდებულთა ლაღატმა განაპირობა მეფე გიორგის მარცხი ამერ-იმერის გაერთიანების საქმეში. და ბოლოს, მეფე, ყვარყვარე ჯაყელმა დაატყვევა.



ყვარყვარემ მალე იგრძნო, რომ საწადელს ვერ მიიღწია. ლმობიერი გიორგის ნაცვლად, ენერგიული ბაგრატი მმართველობდა და არც გიორგის ძმისწული, კონსტანტინე, აკლებდა მცდელობას ქართლში გამეფებულიყო. ყვარყვარემ გიორგი გაათავისუფლა. მან ქართლში ფეხი ვერ მოიკიდა, გადავიდა კახეთში და იქ დამოუკიდებელ სამეფოს დაუდო საფუძველი.

ქართლში მეფობისათვის უკვე ბაგრატი და კონსტანტინე ეცილებოდნენ. 1470-1472 წწ. ისინი ცვალებადი წარმატებით ცდილობდნენ გამეფებას. მათ გიორგი, უკვე კახთა მეფისათვის, არ ეცალათ... გიორგიმ ამით ისარგებლა, კახ-ჰერი დიდებულიები დაამარცხა და რეფორმები გაატარა. ქვეყანა დაჰყო წვრილი სამოურავეობად. თვითეულს ერთგული თავადი ჩაუყენა სათავეში. სამხედრო ხაზით ასევე შექმნა ოთხი სადროშო, რომელსაც სასულიერო პირი, ეპისკოპოსი მეთაურობდა. როგორც მოურავები, ასევე სადროშოს გამგებელი ეპისკოპოსები, მეფის ქვემდებარე წარჩინებულ მოხელეებს წარმადგენდნენ, მაგრამ არა ისეთი ძლიერი ერთეულის მეთაურებს, რომ მეფის წინააღმდეგობა შეძლებოდათ.

სანამ ამერ-იმერთ ძალები ხელისუფლებას ინაწილებდნენ, სამხრეთით თურქეთისა და ირანის იმპერიები პირველობათვის პერიოდულ ბრძოლებს განაგრძობდნენ და არც ქართული მხარის დარბევაზე ამბობდნენ უარს.

ორმხრივ საომარ საფრთხეს ყველაზე უკეთ კახეთის ჯერ გიორგი მეფემ, შემდეგ კი მისმა ძე ალექსანდრემ გაართვეს თავი. მათ ირანის უზენაესობა აღიარეს. ამით, დროებით მაინც, გარეშე საფრთხე აირიდეს, ხელისუფლება განიმტკიცეს და ქვეყნის აღმშენებლობისათვის მოიცალეს.

სხვანაირად განვითარდა მოვლენები ქართლსა და იმერეთში (უკვე იმერეთში). 1478 წ. ბაგრატი მეფე მიიცვალა. კონსტანტინემ ამით ისარგებლა და იმერთ მხარე დაიკავა. ბაგრატის ძე ალექსანდრე რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა და იქიდან განაგრძო მცდელობა სამეფო ტახტის დაუფლებისათვის.

თავის მხრივ კონსტანტინე მეფე ყვარყვარე ჯაყელს დაუპ-



ირისპირდა და დამარცხდა. ამით ალექსანდრე ბაგრატიის ძემ ისარგებლა და ქუთაისი აიღო. ასე ცვალებადი წარმატებით ეომებოდნენ ერთმანეთს კონსტანტინე, ალექსანდრე და ყვარყვარე. ამასობაში კი სამხრეთიდან მტერი მიიწვედა, ქვეყანას არბევდა, ძარცვავდა და იმორჩილებდა. მერე რა, მთავარია, რომ ქართველები ერთი მეორეს არ ინდობდნენ, მეფე-მთავრობისათვის ქვეყანასაც სწირავდნენ და მოსახლეობასაც. ამ „ბრძნული“ გზით და „გმირული“ მცდელობით მიაღწიეს ერთ დროს წინა აზიის უძლიერესი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას და გადაგვარებას.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ 1490 წლისათვის ქვეყნის სამეფოებად და სამთავროებად დანაწილება შეუქცევადი გახდა. ერთ დროს აყვავებულ მხარე მომთაბარე თურქმენტა სათარეშო ასპარეზად იქცა.

დათითობული მეფე-მთავრები, გაერთიანების ნაცვლად, უცხო ქვეყნების ხელისუფალთა მოიმედე-მათხოვრებად ყალიბდებოდნენ... ვის არა თხოვდნენ დახმარებას: ესპანეთს, საფრანგეთს, რომის პაპს და ბოლოს რუსეთსაც მიაპყრეს ყურადღება.

ევროპას კავკასიისათვის არ ეცალა. ესპანეთი არაბების ბატონობისაგან თავისუფლდებოდა და ძლიერების გზას ადგებოდა. შორეული იბერია მის უშუალო ინტერესებში ვერ მოხვდებოდა. არც საფრანგეთში ყო მდგომარეობა დალხინებული, ერთი მხრივ შიდა სამეფო გართულებები და მეორე მხრივ, ინგლისიდან მომდინარე საფრთხე, ხელისუფლებას სხვათა დასახმარებლად ვერ განაწყობდა. რომის პაპი აქეთ ცდილობდა კავკასიელების გამოყენება-გაკათოლიკებას, სხვაფრივ რაში უნდა დაეხარჯა ძალისხმევა? ამას გარდა, თურქეთის იმპერია მტკიცედ იცავდა ევროპიდან კავკასიისაკენ მიმავალ გზას, იქით უტევდა ევროპის ქვეყნებს, დიდი ომები ჰქოძნა ბალკანეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მიწების გამო. სად ეცალათ ევროპელებს კავკასიის პატარა ნაწილისათვის. რომც მოენდომებინათ, საიდან ჩააღწევდნენ კავკასიაში? შავი და აზოვის ზღვები თურქეთის იმპერიის შიდა წყლებს წარმოადგენდა...

რჩებოდა რუსეთი.



რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა?

აფხაზთა, ქართველთა, რანთა და ა.შ. მეფეებს გარკვეული კავშირები ჰქონდათ კიევის რუსეთთან (მომავალ უკრაინასთან). რუსეთიდან ჩამოიყვანეს თამარ მეფის პირველი საქმრო. იგი რელიგიური ერთობის ნიშნით უფრო იქნა შერჩეული და არა დიდი ქვეყნის, დიდი მეფის შვილობით. ცოტა რამ იყო ცნობილი რუსეთის შესახებ. უფრო მეტი სახელი და გავლენა პირიქით აღინიშნებოდა.

მონღოლთა ბატონობა, აფხაზთა და ქართველთა სამეფოს ნაწილზე, თითქმის ორი საუკუნე გრძელდებოდა რუსეთის ტერიტორიაზე კი ოთხი საუკუნე. თანაც, თუ განვითარებული, კულტურული კავკასიისათვის მონღოლური ცხოვრების წესი, შიშველი ძალადობის ნიმუში და მიუღებელი იყო, იგივე არ ითქმის რუსეთზე. იქ მონღოლურ-თათრული ცხოვრების წესი პეტრე დიდის გამეფებამდე მტკიცედ ბატონობდა. რუსეთი მოწყვეტილი იყო ევროპას. იშვიათად ვაჭრები ახერხებდნენ იქ ჩასვლას და ამბების ჩატანას. დასავლეთიდან რუსეთს მტკიცედ კეტავდნენ პოლონეთი, ლიტვა, შვედეთი და ევროპული მიწნეკების გადაღების საშუალებას არ აძლევდნენ. სამხრეთით თურქეთი და მისი მოკავშირე ყირიმის სახანო მუდმივი საფრთხის ქვეშ ამყოფებდნენ. უკრაინის სამხრეთი, კავკასიის ჩრდილოეთი, კასპიის ზღვისა და ვოლგისპირეთი თათრების მიერ იყო ათვისებული. მონღოლების სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც, მთელი ეს მხარე თათრებს ეკუთვნოდათ და იქ არავის შეშვებას არ აპირებდნენ.

ქართული სამეფო-სამთავროები მაჰმადიანური ეთნოსების მიერ იყვნენ გარშემორტყმული. სომხეთი მათ კარგა ხნის ათვისებული ჰქონდათ. ამას გარდა, თავისი აგრესიული ბუნებისა და რელიგიური ექსტრემიზმის გამო, მონოფიზიტ-სომხური ძალა, მაჰმადიანურზე მეტ საფრთხეს უქმნიდა დიოფიზიტური (მართლმადიდებლური) მრწამსის ქართულ სამეფოებს. ამის მიუხედავად, მაინც ხერხდებოდა სუსტი კავშირების შენარჩუნება გარე სამყაროსთან. კიდევ უფრო დიდი იყო მათი სახელი და გავლენა ძველი დიდების ფონზე.



ასეთ ვითარებაში, 1480 წ. კახეთის სამეფოს წარმომადგენლობის ჩასვლა მოსკოვში, ორმხრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლება ამ კავშირის განმტკიცების შემთხვევაში, იძენდა მოკავშირეს და საშუალებას, ივერიის (კახეთის) სამეფოს მეშვეობით გზა გაეკაფა ცივილიზებული სამყაროსაკენ. რუსეთ-კახეთის სამეფოების კავშირი ორმხრივი ინტერესის საგანი იყო. ამიტომ ორივე მონაწილე ცდილობდა სამომავლო კავშირების დამკვიდრებას.

ქართველთა სამეფოები ძირითადად საშინაო-სამეზობლო ურთიერთობის გარკვევით იყვნენ დაკავებულნი. ყოველი მეფის მოღვაწეობა ორნაირად შეიძლება დახასიათდეს. თუ რომელიმე მათგანი მეორეს დაამარცხებდა და მის ტერიტორიას დროებით მაინც დაიკავებდა, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც რიგითი რბევა და ასევე, როგორც ძველი სამეფოს ტერიტორიული და პოლიტიკურ-სამხედრო ძლიერების აღდგენის სურვილი. მკვლევარებს აქვთ კიდევ ასეთი დახასიათება. მთავარია, რომ ამ ურთიერთობებს საერთო დაცემა-დასუსტება ახლდა.

სხვა რა უნდა ეწოდოს XVI ს. დასაწყისშივე განვითარებულ პროცესებს? 1505 წ. ქართლში დავით კონსტანტინეს ძე გამეფდა. ამას ცვლილება არ მოჰყოლია იმერეთის სამეფოსთან ურთიერთობაში. 1509 წ. ქართლს თავს დაესხა ალექსანდრე ბაგრატიის ძე იმერთა ჯარით. იმერებმა, ამერების დასავლეთი ტერიტორია დაიკავეს, გორის ციხის ჩათვლით, მაგრამ მიღწეული ვერ შეინარჩუნეს, კვლავ ლიხს იქით გადავიდნენ და ქართლის მეფე დავითმა წართმეული დაიბრუნა. დამთავრებული არ იყო კონფლიქტი, რომ ახლა კახეთის ჯარი მეფე გიორგი¹ ალექსანდრეს ძის მეთაურობით შეიჭრა ქართლში. მის საომარ წარმატებებს მხოლოდ თარეში და ყაჩაღობა შეიძლება ეწოდოს.

ქართლის სამეფოს სისუსტე, სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობის, ჩამორჩენილობამაც განაპირობა. საჭირო გახდა ჯარის მოწყობის რეორგანიზაცია. ამ საქმეს მეფის ძმა ბაგრატიმ

1. გიორგი მეფე – ცნობილია „ავ-გიორგის“ სახელით. ერმა სხვა უფრო მწარე ზედსახელი ვერ უწოდა მამის მკვლელს და ქვეყნის მოღალატეს.



უთავა. მან საგამგებლოდ მიიღო მუხრანის ველი და სათავე დაუდო ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს. ქართლის სამეფო კახეთის მსგავსად ოთხ სადროშოდ დაიყო, იმ სხვაობით, რომ სადროშოს სარდლად მეფის უახლოესი საერო პირები ინიშნებოდნენ.

ერთი შემოსევის დროს ქართველებმა კახთა მეფე „ავგიორგი“ დაატყვევეს და ამ სოფელს მოაშორეს. ახლა უკვე ქათლის მეფე დავითმა მოინდომა კახეთის დაკავება. კახელებმა „ავგიორგის“ მცირეწლოვანი მემკვიდრე ლევანი გადამალეს და ქართლებს კახეთის მიერთების საშუალება არ მისცეს. საბოლოოდ კი „საუკუნო“ შეთანხმება მოხდა კახეთისა და ქართლის სამეფოებს შორის.

თუ ქართველთა მეფეები არ ინდობდნენ ერთი-მეორეს, რა გასაკვირია, რომ ირანისა და თურქეთის იმპერიები უფრო მეტი მონდომებით შეეცდებოდნენ მათ დაპყრობას. სწორედ იმ პერიოდში, 1520 წ., შაჰ ისმაილი შეეცადა ქართლის სამეფოს საბოლოო დამორჩილებას. მოლაღატეთა წყალობით, შაჰმა თბილისიც კი აიღო, მაგრამ ქვეყნის და მისი მეფის ხელში ჩაგდება ვერ შეძლო. ოთხი წლის შემდეგ შაჰი გარდაიცვალა, ქვეყანა შიდა არეულობამ მოიცვა და ქართველებმა შედარებით ადვილად შეძლეს ირანელების განდევნა. მკვლევარები აღნიშნავენ დავითის მემკვიდრე ლუარსაბის ენერგიულ და გამოზომილ საქმიანობას ქვეყნის დაცვის საქმეში.

ერთი წლის შემდეგ ქართლში ხდება ისტორიისათვის ბოლომდე გაურკვეველი მოვლენა. 1525 წ. დავით მეფე ბერად აღიკვეცა და ტახტი მისმა ძმა გიორგიმ დაიკავა. არის ვერსია, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალების გზით განხორციელდა. ქმედებას უკუქმედება მოჰყვა. ცნობილია, რომ გიორგის 1527 წ. უკვე დავითის კანონიერი მემკვიდრე ლუარსაბი ცვლის.

უკეთესი მდგომარეობა არც იმერთა მხარეში იყო. თურქეთი მეთოდურად უტევდა სამცხე-საათაბაგოსა და იმერეთის სამეფოს. გურიის, ოდიშის მთავრები სიტუაციის მიხედვით გვერდში



ედგნენ მეფე ბაგრატს, მასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ ან სულაც უარს ამბობდნენ მტერთან შერკინებაზე.¹

ბაგრატ იმერთა მეფემ მთავრებთან კავშირით ბევრს მიაღწია. პირველ ყოვლისა, გაამაგრა სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი. კავკასიონის ჩრდილოეთით თურქეთი ბატონობდა და იმერთა მოქმედება მათი ინგერესების ხელყოფასაც მოასწავებდა. ამიტომ, საჭირო გახდა სამხრეთის საზღვრების გამაგრებაც.

იმ დროს ირანსა და თურქეთს შორის, თითქმის ტრადიციად ქცეული, ომი მიმდინარეობდა. ბაგრატ მეფე ირანის შაჰთან კავშირში მოქმედებდა. იმერთა ჯარმა 1535 წ. დაამარცხა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე, დაატყვევა და საათაბაგო დაიკავა. ტაო-კლარჯეთის იმერეთის სამეფოსთან მიერთება, ადგილობრივ თავადთა და თურქეთის ინტერესების მარცხი იყო. ამიტომ, თავადთა მოლაღატე ნაწილმა ოთარ შალიკაშვილის თაოსნობით, სულთანს მიმართა დახმარების თხოვნით. მესხი თავადები, იმერთაგან დაცვას, თურქებს ეხვეწებოდნენ. ცხადია, თურქთა სულთანმა დაჩაგრული მესხები „დაიფარა“. მისი ბრძანებით დიდი ჯარი დაიძრა საათაბაგოს მტერთაგან გასათავისუფლებლად.

თურქებთან ბრძოლაზე დადიანმა უარი განაცხადა. ამ ომში

1. ისტორიული ცნობის თანახმად, 1533 წ. ბაგრატ მეფემ მამია გურიელთან და მამია დადიანთან ერთად მოანყო ლაშქრობა ჯიქეთზე. ნიშანდობლივია, რომ ჯიქები-ძიგები (როგორც მათ უწოდებდნენ), ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის ჩრდილოეთში ლაშქრობის დროს აფხაზების მოსაზღვრედ სახლობდნენ, მაგრამ არა მათ არეალში. ბევრად გვიან, როცა თურქებმა აოტნეს პოჭანიკები, ჯიქები მკვიდრდებიან აფხაზეთის ბოლოს ე.ი. სადღაც მდ. ყუბანის მიდამოებში. XV ს. ბოლოს, თურქეთმა დაიმორჩილა ყირიმის ნახევარკუნძული და კავკასიონის ჩრდილოეთი. მონღოლების წასვლის შემდეგ, ამ მხარეებში თათრული მოსახლეობა დარჩა. ჯიქები თათრები არ იყვნენ. თათრები მონღოლებთან ერთად გამოჩნდნენ ამ მხარეში. ამიტომ იყო, რომ აღნიშნული ლაშქრობის დროს იმერი მხარის ჯარი ჯიქებზე თარეშობს და არა ადიღეველებზე. რუსი, ძველი ავტორების ცნობით კი ადიღეველები თათრებია, მოსულნი აზოვის ზღვის ჩრდილოეთიდან. მონღოლთა სამშობლოში დაბრუნების კვალობაზე თათრები რჩებიან ყირიმის ნახევარკუნძულის, კავკასიის ჩრდილოეთის და ვოლგისპირეთის მფლობელებად.



გამარჯვებით გურიამ აჭარის მხარე დაიბრუნა, იმერეთმა ტოკლარჯეთი. დადიანს კი რა ხეირი? ის ხომ ცოტნე დადიანი არაა არის სხვაობა?

თურქებ-ქართველთა საომარი ჭიდილი წლები გაგრძელდა, იმერთ მეფეს, ამერთა მეფე ლუარსაბიც მიეხმარა. დიდი ეროვნული პრობლემა იყო გადასაწყვეტი. წარმატებაც ცვალებადი ხასიათისა. ბოლოს თურქთა საჭარბემ ერთი მხრივ, და მესხთა ნაწილის ღალატმა მეორესი, ომის ბედი შეატრიალა. 1550 წ. თურქეთმა მტკიცედ დაიკავა სამცხე-საათაბაგო. ამის შემდეგ ეს მხარე ქართველთათვის დაიკარგა.

იმერთა მარცხი ამით არ შემოფარგლულა. ბაგრატ მეფემ მოინდომა ქვეყნის რეფორმირება და მოლაღატეთა დასჯა. მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო, მამია გურიელი და ლევან დადიანი. სამეფოს გაძლიერება მათი პირადი ინტერესების შელახვა იყო და მთავრები ამას ვერ აიტანდნენ. სხვა გზა „არ ჰქონდათ“ და ისინი თურქეთის სულთანს მიუვიდნენ დახმარების თხოვნით. აბა რა ექნათ? ბაგრატ მეფემ ხომ ქვეყნის გაძლიერება, მათი დამორჩილება, საერო და სასულიერო მოლაღატე პირების თავიდან მოცილება განიზრახა? იქამდე მივიდა, რომ ისეთი სარფიანი საქმე, როგორც ტყვეთა თურქებზე გაყიდვა იყო, აკრძალა. რა ექნათ ღალატს დაჩვეულებს? მეფისთვის არ ეღალატათ?

არა ნაკლებ მძიმე იყო, ქართლის სამეფოს თავკაცის, ლუარსაბის (1527-1556წწ.) ბედი... თუ იმერთ მხარე ბაგრატ მეფის მეთაურობით თურქებს ეომებოდა, ქართლის მეფე ლუარსაბს ირანთან უწევდა დაუღალავ-დაუმთავრებელი ბრძოლა. 1541 წ. შაჰ თამაზი კავკასიისაკენ დაიძრა. კახეთის მეფე ლევანმა შაჰს მორჩილება გამოუცხადა და ქვეყნის რბევა აიცილა. ლუარსაბი დამორჩილებას არ აპირებდა. მოხდა ისე, რომ მეფე თბილისს არ იმყოფებოდა, მოლაღატეებმა კი ქალაქი შემოჭრილ მტერს ჩააბარეს. ლუარსაბ მეფემ პარტიზანული თავდასხმებით ირანელებს ქვეყნის დაკავების საშუალება არ მისცა.

ლუარსაბ მეფის და ქართლელთა შეუპოვარი ბრძოლა



წლობით გაგრძელდა. შაჰ თამაზიმ ოთხი ლაშქრობა მოაწყო და ქვეყანა მაინც ვერ დაიმორჩილა. ბოლო შერკინება 1556 წ. მოხდა. ქართლებს ლუარსაბის ვაჟი სიმონი მეთაურობდა. თავად მოხუცი ლუარსაბი შორიდან ადევნებდა თვალს. როცა ბრძოლა მისჭირდა, ველარ მოითმინა და მტერს შეუტია. ბრძოლისას მეფე გმირულად დაიღუპა... ქართველებმა გაიმარჯვეს და მოხუცმა მეფემ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

მანამდე, 1555 წ. თურქეთსა და ირანს შორის ქ. ამასიაში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, ორმა იმპერიამ – ჯერ კიდევ დაუპყრობ-დაუპყრობილებელი მხარე შუაზე გაიყვეს. ირანს ერგო ლიხის გამყოფი მთის აღმოსავლეთი (ამერი მხარე), თურქეთს ლიხის მთის დასავლეთი (იმერი) მხარე უნდა დაეპყრა და დაესაკუთრებინა. ცხადია, იმპერიებს არ უკითხავთ ამერი-იმერები თანახმანი იყვნენ თუ არა.

1556 წ. ლუარსაბის ძე სიმონი გამეფდა ქართლში. თან კახეთის მეფე ლევანის ასული შეირთო ცოლად და აღმოსავლეთი მხარე მოყვრობით გაამაგრა. შეეცადა სამეფო ირანელებისაგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ვერ შეძლო და 1569 წ. ბრძოლისას ტყვედ ჩავარდა. შაჰმა ქართლის გამგებლად მეფის მოლაღატე ძმა დაუთხანი (დავითი) დანიშნა.

სიმონ მეფემ ათი წელი გაატარა შაჰის ტყვეობაში. ამავე დროს, თურქებთან მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა ირანი. შაჰმა ქართლელთა მიმხრობა სცადა და სიმონ მეფე ტყვეობიდან გაათავისუფლა. მეფე მაშინვე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო. სიმონ მეფემ სამცხის ათაბაგის მანუჩარ ჯაყელის მიმხრობაც შეძლო. ქალიშვილი მიათხოვა ათაბაგს და პოლიტიკური კავშირი ნათესაურით განამტკიცა. საერთო ძალებით და ირანთან კავშირში, სიმონ მეფემ შეძლო თურქების დამარცხება. 1588 წ. მან იმერეთიც დაიკავა, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა.

სიმონ მეფის ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ წლობით გაგრძელდა. ბოლოს იგი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში გარდაიცვალა. თურქეთმა დიდ წარმატებას მიაღწია. მისი ბატონობა



ფაქტობრივად მთელ კავკასიაზე ვრცელდებოდა. ცხადია ქართლის სამეფო დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. სამცხე-საათაბაგო კი უკვე საბოლოოდ მონყვიტა ქართველთა სამყაროს.

XVII ს. დასაწყისში ირანი ძლიერდება. შაჰ-აბასმა, ალავერდი ხანი (უნდილაძე) მეთაურობით ჯარის რეფორმა გაატარა, გაძლიერდა და კავკასიიდან თურქების განდევნას შეუდგა. თურქეთის წინააღმდეგ ომში მან კახეთის მეფე ალექსანდრე და ქართლის მეფე გიორგი მიიწვია. საერთო ძალებით შაჰმა აჯობა. ამავე დროს, „მოკავშირეებს“ ტერიტორიის ნაწილი გამოსძალა, კახეთს კაკ-ენისელის მხარე ჩამოართვეს და მცირე სასულთნო შექმნა, რომელსაც შემდეგ საინგილო ეწოდა. ქართლს ასევე ჩამოაჭრა ლორე-ალავერდის მხარე და მდ. დებედის ხეობა, სადაც ბორჩაღუს ტომი ჩაასახლა.

შაჰ-აბასმა ესეც არ იკმარა, მეფე ალექსანდრე გამაჰმადიანებულ შვილს, კონსტანტინეს მოაკვლევინა. განზრახვა ბოლომდე ვერ შეასრულა. კახელებმა მამის მკვლეელი მეფედ არ ინდომეს, აჯანყდნენ და ირანელებთან ერთად კონსტანტინეც მოკლეს. შაჰმა დათმო, და 1606 წ. კახეთის მეფედ თეიმურაზი დაამტკიცა.

ქართლ-კახეთის სამეფოებზე ირანის გავლენა აღსდგა, სამცხე-საათაბაგო კი თურქებს დარჩათ.

თურქეთი პოზიციების დათმობას არ აპირებდა. მისი ვასალი, ყირიმის თათართა სახანო, შავი ზღვის ჩრდილოეთ მხარეს, აზოვის ზღვის ირგვლივ ტერიტორიასა და კავკასიის ჩრდილეთს აკონტროლებდა. საჭიროების შემთხვევაში ყირიმელი თათრები ქართულ სამეფოებსაც არბევდნენ და ავიწროებდნენ.

მონღოლთა ლაშქრობების დროს, თათრებმა მტკიცედ დაიკავეს ვოლგისპირეთი, კასპიისა და აზოვის ზღვების შორის ტერიტორია. 14 საუკუნეში მონღოლებმა მიატოვეს ოსებისათვის წართმეული ადგილები. იქ თათრები ჩაუსახლდნენ და ახალი ეთნოსი – ყაზარდო შექმნეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული ადიღეური წარმომავლობის ტომებს (ადიღებს, ყაზარდოელებს,



აბაზინებს) ჩერქეზები ენოდათ.¹ ისინი თურქეთთან შეთანხმებით და ყირიმის ხანთან კავშირში მოქმედებდნენ.

მართალია თათრულმა სახანოებმა გაძლიერების გზაზე მდგარ რუსეთთან გარკვეული მარცხი განიცადეს, მაგრამ ამით თურქეთის გავლენა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

ევროპის ცივილიზაციას მონყვეტილმა რუსეთმა 16 საუკუნის მანძილზე შეძლო ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დამორჩილება. გაიზადა მისი გავლენა კავკასიის ჩრდილოეთში. 1557 წ. ყაზარდო რუსეთის მფარველობაში მოექცა. რუსეთი ასევე შეეცადა კახეთის (ივერიის) სამეფოს მეშვეობით, თურქულ-ევროპული ალყის გარღვევას და ცივილიზებულ სამყაროსთან კავშირების დამყარებას.

რუსეთს ძალზე საჭიროდ ესახებოდა სამხრეთით სავაჭრო-კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების შექმნა. დასავლეთით ევროპისკენ გზა მტკიცედ იყო ჩაკეტილი, ერთადერთი საშუალებას მხოლოდ არხანგელსკის სასაზღვარო ნავსადგური წარმოადგენდა, როელიც წელიწადში მხოლოდ 3-4 თვე ფუნქციონირებდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთმა ბალტიის ზღვაზე გასასვლელი ვერ მოიპოვა. 1558-1583 წწ. წარმოებული ლივონის ომი მარცხით დამთავრდა. ქვეყნის შიგნითაც დიდი არეულობა სუფევდა. გამეფდა ბორის გოდუნოვი, შემდეგ ვასილ შუისკი. პოლონელებმა სამჯერ მოახვიეს თავს რუსებს ცრუ დიმიტრის მეფობა.

ამავე დროს ყირიმის ხანმა დევლეთ გირეიმ 1571 წ. მაისის ბოლოს მოსკოვი დალაშქრა, გადაწვა და რუსებს ყაზანისა და ასტრახანის უკან დაბრუნება მოსთხოვა.

რუსეთის სამეფომ, მხოლოდ იმავე პერიოდში, მოახერხა სმოლენსკის, ბრიანსკის და სხვა ახლობელი ქალაქ-მხარეების მიერთება.

1. ადრეული პერიოდის რუსი მკვლევარები ადილეური წარმომავლობის ტომებს თათრებს უწოდებდნენ. 20 საუკუნეში, განსაკუთრებით ნ. სრუშჩოვის მმართველობის დროს და შემდეგ, გარკვეული მოსაზრებებით, ადილეულებს აფხაზური წარმოშობისად თვლიან. აქედან გამომდინარე, მათთვის აფხაზები ადილეულებია, არაფერი საერთო ევროსელობასთან არა აქვთ და მათი ბრძოლა ქართველების წინააღმდეგ კანონზომიერია.



ასეთ ვითარებაში რუსეთს სასურველ წარმატებად მიაჩნდა კახეთის (ივერიის) სამეფოსთან დაახლოება. არც ირანი, რომელიც ქართლ-კახეთს თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა და არც თურქეთი, რომელიც მთლიან კავკასიას თავისად თვლიდა, ამ მხარეში რუსეთის ინტერესების გაძლიერებას არ დაუშვებდნენ.

1609 წ. სამცხის ათაბაგის კარმა ქართლის დახმარებით, ახალციხე თურქებს გამოგლიჯა. თურქეთმა საპასუხოდ ყირიმელი თათრების 15 ათასიანი ჯარი შეუსია ქართლს.

თურქების მხრიდან შემოსულმა ლაშქარმა იცოდა, რომ ქართლის ახალგაზრედა მეფე ლუარსაბ გიორგის ძე ცხირეთის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა და მოინდომა მისი დატყვევება. გზად, სოფელ კველთაში ადგილობრივი მღვდელი თევდორე დაატყვევეს და უბრძანეს ცხირეთისაკენ მეგზურად გაჰყოლოდა. მღვდელმა მტერს გზა აუბნია და საპირისპირო მიმართულებით წაიყვანა. გვიან, მაგრამ გაუგეს ტყუილი და მძევალი სიკვდილით დასაჯეს. რაც მთავარია მღვდელმა თევდორემ ქვეყნის მესვეურებს საშუალება მისცა დრო მოეგოთ.

ცხირეთში მეფესთან თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და გამოცდილი მხედართმთავარი ზაზა ციციშვილი იმყოფებოდნენ. ამ ორმა ნიჭირება მამულიშვილმა შეძლო, მცირე ძალებით, ჯერ სხერტის ქალაში დაემარცხებინა მტერი, შემდეგ კი სოფ. ტაშისკართან საბოლოოდ მოისპო.

ქართველებმა ეს გამარჯვება შაჰ-აბასს ახარეს, როგორც საერთო მტრის დამარცხება და თან გიორგი სააკაძის რჩევით, თბილისიდან ირანული გარნიზონის გაყვანა სთხოვეს. შაჰმა თხოვნა შეუსრულა.

მაღე ირანსა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის ერთობა დაირღვა.

1612 წ. ქართლის დიდ თავადებმა მეფე ლუარსაბი გადაიბირეს და უკვე ქართლის მოურავი გიორგი სააკაძის მკვლელობაზე დაითანხმეს. ისე მოხდა, რომ შეთქმულებს მოურავი გადაურჩა და იძულებული გახდა ირანში გადახვეწილიყო. ქართლის სამეფო ფაქტიურად დაუცველი დარჩა.



შაჰ-აბასმა, იმავე წელს, თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეთა მეფეები თეიმურაზი (კახეთის) და ლუარსაბი (ქართლის) თავისთან დაიბარა. თეიმურაზი ახლოს იცნობდა შაჰსაც, მის პოლიტიკასაც. არ ენდო, არ შეხვდა შაჰს, მხოლოდ მძევლებად შვილები და დედა გაუგზავნა. ლუარსაბი ენდო თეიმურაზის გონიერებასა და აღმზრდელის, შადიმან ბარათაშვილის ერთგულებას. შაჰთან, რომელიც იმ დროს სიძეც იყო და მფარველიც, გამოცხადების ნაცვლად, ლუარსაბი თეიმურაზთან ერთად იმერეთის სამეფოში ემიგრანტად გაემგზავრა. ორივე სამეფო უმეთაუროდ დარჩა.

1614 წ. შაჰ-აბასმა, კახეთისა და ქართლის სამეფოების საბოლოო მოსპობის მიზნით, ლაშქრობა წამოიწყო. პირველ რიგში კახეთი ააოხრა, მოსახლეობის ნაწილი ტყვედ წაასხა. ქართლის სამეფო იმით გადარჩა, რომ შადიმან ბარათაშვილმა მოტყუებით, მეფე ლუარსაბი შაჰს მიჰგვარა.

შაჰის სისასტიკით გამწარებული კახელები **1615 წ.** აჯანყდნენ. ნოდარ ჯორჯაძისა და დავით ჯანდიერის მეთაურობით. აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა. თეიმურაზ მეფე გათავისუფლებულ სამეფოს დაუბრუნდა. ამასთან, დაიწყო დაღესტნელებთან მოლაპარაკება, საერთო ბრძოლის თაობაზე. ირანელებმა გაუგეს და მისი ალყაში მოქცევა მოინომეს. მეფე თეიმურაზმა წინასწარ გაიგო ირანელთა ზრახვა და გაბედული მოქმედებით გამარჯვებასაც მიაღწია.

შაჰ-აბასი (ირანელებისათვის ბრწყინვალედ წოდებული), ბედს არ შერიგებია. **1616 წელს** იგი კვლავ შემოესია კახეთს. თეიმურაზ მეფემ კვლავ იმერეთს შეაფარა თავი. ქვეყანა ირანელებმა საფუძვლიანად მოაოხრეს. მოსახლეობის ნახევარზე მეტი მოსპეს, ნაწილი ირანში გადაასახლეს და სანაცვლოდ თურქმენების ჩამოსახლება დაიწყეს. კახეთი ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. მდ. იორის დასავლეთი ნაწილი ქართლის მმართველ ბაგრატ დაუთხანის ძეს ჩააბარეს, აღმოსავლეთი კი განჯის სახანოს მმართველ ფეიქარ ხანს.

იმერეთში გაქცეული თეიმურაზი შეეცადა თურქეთის



დახმარებით დაბრუნებლიყო, მაგრამ უშედეგოდ... მან ასევე ვერ მოახერხა რუსეთიდან დახმარების მიღება. სანაცვლოდ, რუსეთის მოიმედე მეფეს შაჰ-აბასმა შვილები და დედა წამებით დაუხოცა. ასევე წამებით მოკლეს ქართლის მეფე ლუარსაბი.

ქართლ-კახელებისათვის ცხადი გახდა შაჰ-აბასის გეგმა, ერთიანად გაენწყვიტა მოსახლეობა და მათ ადგილას მაჰმადიანური სახანოები დაეარსებინა... ამ მიზნის განხორციელება შაჰმა, გამაჰმადიანებულ სომეხ სიძეს, ყორჩიხა-ხანს დაავალა. თან მრჩევლად გიორგი სააკაძე აახლა.

ყორჩიხა-ხანმა პირველ რიგში კახელი დიდებულები მიიწვია მუხრანის ველზე და მოინდომა მათი ერთიანად ამოხოცვა. მიზანი ვერ შესრულდა. მიწვეულთა დიდმა ნაწილმა ალყა გაარღვია და კახეთს დაბრუნდა, უკვე შურისძიებით ანთებული.

კახელებთან ერთად ქართლებმაც დაიწყეს აჯანყებისათვის სამზადისი. ფარულ მოძრაობას, ირანელთა სამხედრო ბანაკში მყოფი გიორგი სააკაძე მეთაურობდა, გარეთ კი მისი ცოლის ძმა ზურაბ არაგველთა ერისთავი. 1625 წ. 25 მარტს დაიწყო აჯანყება, რომელიც გამარჯვებით დასრულდა. ირანელთა დევნისას ქართველებმა განჯა-ყარაბაღიც მოარბიეს.

შაჰ-აბასი მარცხს არ შეირიგებია. უკვე ივნისის ბოლოს, მისი ჯარი ალგეთის ხეობაში შევიდა.

ამ დროისათვის სააკაძის მიწვევით, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს, გაქცეული თეიმურაზი დაუბრუნდა. სწორედ მან იტვირთა მარაბდის ველზე ბრძოლის სარდლობა, ბრძოლა დიდი მარცხით დასრულდა. დამარცხებულები პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. გიორგი სააკაძე ამავდროულად ირანის მომხრე ძალებს დაერია. დაღესტანში ილაშქრა და გაიმარჯვა. ასევე სძლია აჯანყებულ დვალეებს. დალაშქრა ლორეს და განჯის მხარეები.

ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზი ითვლებოდა, ქვეყანას კი გიორგი სააკაძე განაგებდა. ამ ნიადაგზე მომწიფდა წინააღმდეგობა მათ შორის, რომელიც იმავე წლის შემოდგომაზე ბა-



ზალეთის ომში გადაიზარდა.¹ ბრძოლის დაწყებამდე გიორგი სააკაძემ მიატოვა ქვეყანა და თურქეთში გადაიხვეწა, სადაც 1629 წ. იქნა ლალატი მოკლული.

თეიმურაზის მეფობა გაერთიანებულ ქართლ-კახეთში ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, სანამ სიძე, ზურაბ ერისთავი, ქალიშვილ დარეჯანის დახმარებით არ მოაკვლევინა. შემდეგ დარეჯანი ალექსანდრე იმერთა მეფეს მიათხოვა, თურქეთს დაუკავშირდა, მისი მეშვეობით ირანთან ომი წამოიწყო. ირანის შაჰმა იგი მეფობიდან გადააყენა და დამარცხებული კვლავ იმერეთს შეეფარა.

ქართლ-კახეთის მმართველად (მეფედ) ირანმა გამაჰმადიანებული როსტომი დაამტკიცა. როსტომმა ცოლად ლევან დადიანის და მარიამი მოიყვანა და მდგომარეობა განიმტკიცა. უშვილო როსტომმა მემკვიდრედ, მუხრან ბატონების წარმომადგენელი, ვახტანგი აღიარა. 1657 წლიდან ვახტანგი (შაჰ-ნავაზი) განაგებდა სამეფოს.

ირანის შაჰმა გაერთიანებული ქართლ-კახეთი კვლავ გაჰყო. კახეთი განჯის სახანოს მფლობელ სელიმ ხანს დაუქვემდებარა და იქ თურქმენულ ტომების ჩასახლება დაავალა. ქართლი, როსტომის შემდეგ შაჰ-ნავაზის (ვახტანგის) სამეფო გახდა...

სელიმ ხანმა კახეთში თურქმენების ჩასახლება დაიწყო. მომთაბარე თურქმენები ბალ-ვენახებს ჩეხდნენ და საძოვრებად აქცევდნენ. მათთვის ადგილობრივები მეორეხარისხოვან მოსახლეობას წარმოადგენდნენ. მათ შორის მუდმივი წინააღმდეგობა იყო, რაც ბოლოს შეჯახებაში გადაიზარდა. კახელებს ქართლებმაც მხარი აუბეს. 1659 წ. მოხდა სახალხო აჯანყება. კახეთი თურქმენ ჩასახლებულებისაგან განმინდეს, შაჰი იძულებით შეურიგდა ბედს. ის კი შეძლო, რომ აჯანყების ხელმძღვანელები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი სიკვდილით იქნენ დასჯილნი. აჯანყების საერთო ხელმძღვანელი ზაალ არაგვის ერისთავი, ვახტანგ მეფის (შაჰ ნავაზის) დასტურით იქნა მოკლული...

1. 1626 წ. შექმნილი ვითარების, თეიმურაზ მეფისა და სააკაძე მოურავის ურთიერთობის, ბაზალეთის ომის შესახება ავტორის „ბაზალეთი“.



ამ პერიოდში იმძლავრა ლეკების კაკ-ელსენში ჩასახლების პროცესმა, რაც საბოლოოდ ჭარ-ბელაქნის მხარეში ე.წ. საინგილოს ჩამოყალიბებით და მისი კახეთისაგან მოწყვეტით დასრულდა. დღეს ეს მხარე აზერბაიჯანის ბელაქანი-ზაქათალაკახის რაიონებს შეადგენს.

ქართლის გამგებელმა ვახტანგ მეფემ (შაჰ ნავაზმა) შეძლო ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის ხელის შეწყობა. ერთი პერიოდი მან იმერეთის სამეფოც დაიკავა და იქ ძე არჩილი გაამეფა. ვახტანგ მეფეს მორჩილება გამოუცხადეს აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის მთავრებმა. რომ არა თურქეთის აგრესიული ჩარევა, ერთიანი აფხაზეთა, ქართველთა, კახთა და რანთა სამეფოს აღდგენა შესაძლებელი ხდებოდა.¹

დღევანდელი გადასახედიდან ადვილია ამა თუ იმ თვალსაზრისის გამჟღავნება. განსაკუთრებით მათთვის, ვინც იმ ვითარებას ზერელედ შეხედავს. ძნელია წარმოდგინო ქვეყნის მდგომარეობა, მოსახლეობის განწყობა, როცა მეფე უსინათლოა, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის მთავრები ურთიერთშორის დაპირისპირებულნი და მეფის ურჩები არიან. ქვეყნის რა მმართველობაზე, განვითარებაზე შეიძლება მსჯელობა როცა 1661 წლიდან ოცი წლის მანძილზე მეფე-მთავრები ერთი-მეორეს ქალის გამო ებრძოდნენ, როცა საერო და სახულიერო პირები ერთნაირი წარმატებით ჰყიდდნენ თანამომემებს თურქეთში მონებად.

რა თქმა უნდა იყვნენ პატრიოტებიც, მამულიშვილებიც, მაგრამ ლიხს დასავლეთი წარყვნილ-გაუბედურებული რჩებოდა.

ლიხს აღმოსავლეთი ქვეყანაც არ იყო დამშვიდებული, ირანის მესვეურთა გეგმები დაპყრობილი და დამორჩილებული ეთნოსების მიმართ დიდად არ განსხვავდებოდა თურქეთის მმართველთა მიზნებისაგან. სხვაობა მდგომარეობას ვერ ცვლიდა.

1703 წ. ქართლის სამეფოს გამგებლად დაინიშნა ირანში განკვეული და ავღანეთის მმართველად გამწესებული გიორგი

1. იმ პერიოდის მოვლენები, სამეფო-სამთავროთა ურთიერთობა აღწერილია ავტორის მცირე ზომის ნაშრომში „ეძიე ქალი“.



მეფის ძმის წული ვახტანგი. მისი გამგებლობა მრავალმხრივი სამართლებრივი, კულტურულ, სამეურნელო საქმიანობით გამოირჩეოდა. მართალია მან ვერ შეძლო ირანულ-თურქული გარემოცვის გარღვევა, მაგრამ ქვეყნის აღმავლობას მაინც მნიშვნელოვანი კვალი დაატყო.

ვახტანგის მმართველობის დროს, მოხდა რუსეთის იმპერატორ პეტრე I პოზიციების დაახლოება. პეტრე იმპერატორი თავს ივერიის მეფეთა მემკვიდრედ მიიჩნევდა და ცდილობდა ირანის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის დაწყებას. ვახტანგ მეფის მიზნებს რუსეთის მეფის ამგვარი გეგმები სრულიად შეესაბამებოდა და ამ ნიადაგზე 1722 წ. ლაშქრობაც წამოიწყო. მოხდა ისე, რომ რუსეთმა ვერ შეძლო დასახული მიზნის შესრულება. პეტრე მეფემ ლაშქრობა შეაჩერა, გადადო და მალე მისი გარდაცვალების გამო, საერთოდ შეწყდა.¹

ირანის ახალგაზრდა, ენერგიულმა შაჰ-თამაზიმ ვახტანგ ჯანიშინს² განდგომა არ აპატია და სადამსჯელო ღონისძიებები გაატარა. ვახტანგის დანდობა აღარც თურქეთის მმართველებს აწყობდათ. ამხედრდნენ განჯისა და ერევნის სახანოებიც. ბოლოს თურქეთმა იმძლავრა და ქართლის სამეფოს დაეუფლა. რუსეთის მოიმედე ვახტანგი, მისი ძე ბაქარი და დიდებულ საერო და სასულიერო პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთში გაიხიზნა. ქვეყანა უმეთაუროდ დარჩა.

შექმნილი მდგომარეობით პირველ რიგში დიდებულებმა ისარგებლეს. ამას დაემატა თურქეთისა თუ ირანის მომხრეთა შუღლი. თურქეთის საერთო გავლენით გაძლიერდა მთის ეთნოსთა, ლეკების, ოსების, ადიღეველების ჩამოსახლება. ლეკებმა ჭარ-ბელაქანი გაითავისეს და კახეთ-ქართლის ქურდულ დარბევას მოუხშირეს. დავიწყებას მიეცა გიორგი სააკაძის მიერ განხორციელებული სადამსჯელო ლაშქრობა. ოსებმა, ადიღეველების (ყაზარდო-ჩერქეზები) მიერ ტერიტორია წართ-

1. რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველის ქართველებთან დამოკიდებულების შესახებ იხილე ავტორის „პეტრე პირველი ქართული გენი“.

2. ჯანიშინი მოადგილეს, შემცვლელს ნიშნავდა სპარსულად.



მეუღლებმა დვალეთის დაკავებას მიჰყვეს ხელი. მოიშალა გიორგი სააკაძის მიერ გამაგრებული დვალეთ-ოსეთის გამყოფი ხაზი. ქართლის სამეფო, თავად გაპარტახებული, დვალეთს ველარ პატრონობდა. დაიწყო დვალეების გაქცევის ან გაოსების პროცესი. დვალეთი, რომელიც ტერიტორიულად და კომუნიკაციებით ჩრდილოეთთან უფრო ახლო იყო, ადვილად ოსდებოდა.

არც იმერეთის (ეგროსის) მხარეს ადგა უკეთესი დღე. ერთ დროს ჩრდილოეთში ფართედ გაშლილი სვანურ-რაჭული სანახები ჩერქეზ-ყაზარდოელთა მომძლავრებით მნიშვნელოვნად მცირედებოდა. გახშირდა ეგროსელთა გამუსულმანება, ყარაჩაელებთან შერწყმის შემთხვევები, უკეთესი მდგომარეობა არც აფხაზეთის სამთავროს ჰქონდა. აფხაზეთს სამხრეთიდან ოდიშის (სამეგრელოს, მეგრების) მთავრები, დადიანები უტყვევნენ, ჩრდილოეთიდან კი ადიღეები.

დადიანებს ცოტნეობის გრძნობა დავიწყებული ჰქონდათ. მთავარი პირადი გამორჩენა გახდა. ამ ნიადაგზე წინააღმდეგობა ჰქონდათ სხვა მთავრებთან და არც იმერეთის მეფეს ეპუებოდნენ. დიდს უწოდებენ ლევან II დადიანს. რის გამო უწოდეს დიდი? იმის გამო ხომ არა, რომ იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდა? ან იმის გამო, რომ აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეებთან დაუსრულებელი შუღლი წამოიწყო? შეიძლება იმის გამო, რომ ეგრებს (აფხაზებს) და მეგრებს (სამეგრელოს) შორის არსებული ისტორიული კვლასურის (კორახის) გასწვრივ კედელი აღადგინა?¹

XVIII ს. მიძიმე შედეგებით აღინიშნა. ვახტანგის რუსეთში წასვლის შემდეგ ქვეყანას თურქები დაეპატრონენ. უმეთაუროდ დარჩენილ ქართლ-კახეთში, რეალურ პრეტენდენტს მეფობისა ვახტანგის სიძე (თამარის მეუღლე) თეიმურაზი (კახეთის მეფეთა ჩამომავალი) წარმოადგენდა. 1732 წ. თუქებმა თეიმურაზი კახეთის გამგებლად დანიშნეს.

1. აქ არ ითქმება ლევან II დადიანის პირად ცხოვრებაზე. მის მიერ ცოლის (აფხაზეთის მთავრის ქალიშვილის) და მისგან ნაშობი ორი ვაჟის დედის დამახინჯება, ბიძისათვის ცოლის წართმევა, ალბათ ლევანს დიდს ვერ გახდიდა. იგი დიდი ცოდვილი უფროა.



ისტორია აღნიშნავს თეიმურაზის მეუღლის, ვახტანგ ჯანიშინის ქალიშვილის, თამარის განსაკუთრებულ როლს ქართლ-კახეთის მტრებისგან თანდათანობით გათავისუფლების საქმეში. თეიმურაზის და თამარის აღმშენებლობით პოლიტიკას შექმნილმა ვითარებამაც ხელი შეუწყო.

იმ პერიოდში ირანი აღმავლობის გზაზე იდგა. 1732 წ. სარდალმა ნადირმა თავი შაჰად გამოაცხადა. სამი წლის შემდეგ კი ქართლ-კახეთზე პოლიტიკური და სამხედრო გავლენა დაიბრუნა.

თავის მხრივ კასეთ-ქართლის დიდებულთა ნაწილი კვლავ რუსეთიდან დახმარების მიღების მოიმედებდნენ და ირანის გავლენას არ ემორჩილებოდა. ამ პროცესში თეიმურაზი, ჩანს აქტიურად არ მონაწილეობდა. ამის გამო იგი ირანისათვის მისაღები პირი გახდა.

1737 წ. ნადირ შაჰმა თეიმურაზი კახეთის მეფედ დაამტკიცა, მძევლებად კი მისი შვილები მიიღო. ქალიშვილი, ნადირ შაჰმა, ძმისწულს მიათხოვა, ვაჟი კი ინდოეთის მხარეს ლაშქრობაში თან გაიყოლია. მისი ხელმძღვანელობით, ვაჟი 15 წ. ერეკლე კარგ პოლიტიკოსად და სარდლად ყალიბდებოდა.

1739 წ. ერეკლე, უკვე სახელიანი და შაჰის მიერ დასაჩუქრებული დაუბრუნდა კახეთს. იქ, თამარ დედოფლის გავლენით, უკვე მოქმედებას იწყებდა ქართლის შემოერთების გეგმა.

1742 წ. თეიმურაზ კახთა მეფემ არაგვის საერისთაო დაიკავა. შემდეგ კი ქსნის საერისთაო დაიმორჩილა და ქართლის შესაერთებლად ნიადაგი მოამზადა. იმავე პერიოდში ბაქარ ვახტანგის ძემ უარი განაცხადა ქართლის მეფობაზე და რუსეთში დარჩენა არჩია. ქართლის ტახტის პრეტენდენტი, დედოფალი თამარი რჩებოდა. დედოფალმა სამეფო ტახტი დაიკავა და ქმარს გადასცა. ნადირ-შაჰმა, შესაბამისად, ქართლს მეფობა თეიმურაზს დაუმტკიცა, კახეთისა კი ერეკლეს. მამა-შვილის გამეფებით ქართლ-კახეთის გაერთიანება რეალობად იქცა. ძლიერი ქართლ-კახეთი კი მთლიანი სამეფოს აღდგენის საფუძველი ხდებოდა.



1747 წ. ნადირ-შაჰი გარდაიცვალა. იმპერია არეულობამ მოიცვა. სასურველი კანდიდატის ტახტზე დასმის რთულ-საომარ პროცესში ქართლ-კახეთის სამეფო ჩაება. ერეკლემ 1749 წ. ერევნის სახანო დაიქვემდებარა, მას მოჰყვა ნახიჭევანისა და განჯის სახანოებიც. შუშის (ყარაბაღის) გაძლიერებულ ხანთან წარმატებული ბრძოლის შემდეგ კავკასიის სახანოებმა მისი პირველობა აღიარეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შაჰობის რეალურ პრეტენდენტ აზატ ხანზე გამარჯვებას. ერეკლემ ოთხი ათასიანი ჯარით მტრის 18 ათასიანი ჯარი გაანადგურა. ევროპა უკვე მოელოდა, რომ ირანის ახალი შაჰი ერეკლე გახდებოდა.

კახთა მეფე ერეკლეს შაჰობა შეეძლო, მაგრამ არც უფიქრია. მის მორიგ საზრუნავს, ჭარ-ბელაქნის (საინგილოს) პრობლემის მოგვარება შეადგენდა. პრობლემა კი რთული გადასაწყვეტი გამოდგა. დაღესტნელებს და სახანოებს სათავეში შაქი-შირვანის ხანი აჯი-ჩალაბი ჩაუდგა. მან ორჯერ დაამარცხა ერეკლეს ჯარი. საბოლოოდ ქართლ-კახეთის ლაშქარმა აჯი-ჩალაბი და მის მხარეს გადასული ხანები ერთიანად გაჟლიტა.

გაძლიერებულმა ქართლ-კახეთის სამეფომ, სამომავლოდ მოკავშირის ძიება დაიწყო. მთავარი საფრთხე თურქეთიდან მოდიოდა. ამიტომ მოკავშირეც თურქეთის მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო. ევროპის ქვეყნები, თუმცა ინტერესდებოდნენ კავკასიაში შექმნილი ვითარებით, რეალურ სამოკავშირეო ნაბიჯებს ვერ დგამდნენ. თვით რუსეთმა, უკან დაიხია, ერეკლეთეიმურაზის 1752 წ. ელჩობის შეთავაზების მიღებაზე. იმ პერიოდში, რუსეთი უფრო სხვა პრობლემებით ინტერესდებოდა.

ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო უმოკავშირეოდ დარჩენილი, მტრულ გარემოცვაში მყოფი, საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა. არა და, თურქეთმა აამოქმედა დაღესტნელთა ყაჩაღური რაზმები. ლეკთა დიდი ჯარი 1754 წ. შემოიჭრა არაგვის საერისთაოს ფარგლებში. ერეკლე მეფის სარდლობით, სოფ. მჭადიჯვართან, ლეკთა ჯარი განადგურებული იქნა. ქვეყანა ამ ჭრილობის მოშუშებას ვერ მოესწრო და დაღესტნელთა



20 ათასიანი ლაშქარი ყვარლის ციხეს მიადგა. ხანგრძლივი და მოხერხებული ბრძოლების წყალობით, ეს შემოსევაც მოგერიებული იქნა. ნურსალ ბეგის მეთაურობით განხორციელებული ეს ორი შემოსევა, მეფე ერეკლეს სამხედრო ცოდნა-გამოცდილების წყალობით, უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ მომხდურთა ბელადობა კობტა ბეგის ხელში გადავიდა. 1757 წ. დაღესტნელთა ახალი ლაშქარი ლიახვის ხეობაში გამოჩნდა. დროული და მოფიქრებული მოქმედების წყალობით ეს შემოსევაც მოგერიებული იქნა. ქვეყანას და მეფესაც ეს გამარჯვებები ძვირი უჯდებოდა. ცნობილია, რომ მეფე ერეკლე როგორც რიგითი, წინ მიუძღოდა მეომრებს, მათსავით იბრძოდა, ისვენებდა და წვალბოდა. სამეფო მოკავშირეთა გარეშე დიდი საფრთხის წინაშე რჩებოდა.

ქართლ-კახეთის ერთადერთი ბუნებრივი მოკავშირე, იმერეთის სამეფოც, ბედად აღმავლობის გზას ადგა. მის სათავეში ახალგაზრდა, ენერგიული სოლომონ ალექსანდრეს ძე ჩაუდგა 1751 წ.

მძიმე იყო იმერეთის სამეფოსა და 17 წლის სოლომონის მდგომარეობა. ქვეყანა ურთიერთმოქიშპე სამთავრო-სათავადოებად დაყოფილი, თურქეთის მორჩილ-მოხარკე მხარედ ქცეულიყო. უსინათლო ბაგრატი ქვეყანას ვერ უვლიდა. ვახტანგ მეფის მცდელობა, იმერეთის სამეფო ქართლისთვის მიეერთებინა უშედეგოდ დამთავრა. დიდი ლევან დადიანის დროს დაიწყო აფხაზეთისა და სადადიანოს შეურიგებელი წინააღმდეგობა. აფხაზეთის მთავრებმა გამოსავალი იმით ჰპოვეს, რომ ლიხნის სასახლის ირგვლივ (გუდაუთის რაიონი) ადიღეველების ჩასახლება დაიწყეს და სამხედრო ძალა გაზარდეს. ბოლოს მათ კორახის (კელასურის) ისტორიული კედელი გადალახეს და ოდიშელებს (უკვე სამეგრელოს) შეუტყეს. ამ დაპყრობითი ბრძოლების დროს იქნა დაფუძნებული მურზაყან შარვაშიძის მიერ ე.წ. სამურზაყანო (გალის რ-ნი).

დადიანები, გურულებთან და მეფესთან წინააღმდეგობაში ჩაბმულები, უკვე საკუთარსაც ველარ იცავდნენ. ყველას ერთად კი თურქეთი მართავდა, ახალციხის ფაშას მეშვეობით. განსა-



კუთრებით აუტანელი იყო თურქების მიერ დამკვიდრებული ტყვის სყიდვის მოვლენა. ამ საქმეში კი ერთიმეორეს ტოლს არ უდებდნენ საერო და სასულიერო პირები, მეფე-მთავრები და თავადები. ეს სენი გლეხობაშიც ფეხს იკიდებდა.

ამ საერთო უბედურების დროს იმერეთში, **1751 წ.** გამეფდა სოლომონ ალექსანდრეს ძე. მან ქვეყნის აღმავლობა ტყვის სყიდვის აკრძალვით დაიწყო. თურქეთის ჯარებისაგან ქვეყნის გათავისუფლების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა **1757 წ.** ხრესილის ომს. თურქეთმა ორჯერ სცადა მდგომარეობის აღდგენა, მაგრამ სოლომონის მიერ გატარებული ღონისძიებების წყალობით, ორივე ცდა მარცხით დამთავრდა. იმერეთის სამეფო ძალას იკრებდა და ფეხზე დგებოდა. ბუნებრივად იკვეთებოდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების მოკავშირეობისა და შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

XVIII. მეორე ნახევარში, კავკასიაზე ზეგავლენისათვის მებრძოლ ირანის და თურქეთის იმპერიებს, რუსეთის იმპერია დაემატა. კავკასიური ყოველი პოლიტიკური ერთეული იძულებული იყო რომელიმე მათგანის გავლენას დამორჩილებოდა და მფარველი მოეპოვებინა. იმერეთის მოკავშირეობის იმედად ქართველ-კახეთის სამეფო ვერ დარჩებოდა. მით უფრო, რომ იმერეთზე თურქეთის გავლენა ვრცელდებოდა, ქართლ-კახეთზე კი ირანისა. მხედველობაში ბევრი რამ იყო მისაღები, მათ შორის რელიგიური ფაქტორი.

ყოველივედან გამომდინარე ქართლის მეფედ მყოფმა თეიმურაზმა, შვილთან, კახეთის მეფე ერეკლესთან შეთანხმებით, რუსეთის იმპერიასთან დასაახლოებელი ნაბიჯი გადადგა. **1760 წ.** თეიმურაზ მეფე დელეგაციის ხელმძღვანელად რუსეთში გაემგზავრა. თეიმურაზ მეფის ხანგრძლივი მცდელობა, რუსეთის საიმპერატორო კარი დაეინტერესებინა, პრაქტიკულად უშედეგოდ დასრულდა. თავად თეიმურაზი, **1762 წ.** იანვარში, რუსეთში გარდაიცვალა და ასტრახანში იქნა დაკრძალული.

ერეკლემ, მამის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფოები საბოლოოდ გააერთიანა. მისი სამეფო კავკასიის



ერთეულებს შორის უდაოდ უძლიერესი და იმპერიათა მხრივ ანგარიშგასაწევი იყო. მეფემ გაატარა რიგი სამხედრო და სამეურნეო რეფორმებისა და მოინდომა ქვეყანა ევროპულ ყაიდაზე მოეწყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ახტალა-ალავერდის მხარეში მეტალურგიული წარმოების დაწყებას ჰქონდა. საზარბაზნე სანარმოს შექმნის მიზნით მიიწვია ბერძენი და სომეხი ოსტატები. ჯარის გადაიარაღება საშური საქმე ხდებოდა. რიცხოვნობით ჭარბ თურქ და ირანელ მომხდურებს, ხმლით და გულადობით ყოველთვის ვერ მოიგერიებდა.

1774 წ. მეფემ მორიგი (რეგულარული) ჯარის ნაწილების შექმნა დაიწყო. პროცესს ლევან ბატონიშვილი ჩაუყენა სათავეში.

მცირე განმარტება. ერეკლე მეფეს, პირველი მეუღლე ანა ზაალის ასულ აბაშიძისგან, ჰყავდა გიორგი და თამარი. გიორგი **1746 წ.** დაბადებული წესით მემკვიდრე და მომავალი მეფე იყო. ამის გამო მას მტრობდა ერეკლეს მეორე მეუღლე დარეჯანი. მან მრავალი შვილი გაუჩინა მეფეს და მუდმივად ცდილობდა გერების თავიდან მოცილებას. ერეკლე, მუდმივად საომარი საკითხებით დაკავებული, შვილების ავ-კარგს ნაკლებად ეცნობოდა. გიორგი ბატონიშვილი, გრძნობდა რა დეიდნაცვლის დამოკიდებულებას, ცდილობდა უმეტესი დრო, სამართავ მამულში, ყაზახის (ამჟამად აზერბაიჯანის ქ. ყაზახი) სასახლეში გაეტარებინა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცნაურად შეიცვალა. ტანმალალი, მხარბეჭიანი, ტანწვრილი, **1781 წ.** შემდეგ დაავადდა. (არის ვერსია, რომ მისი მოწამვლა უნდოდათ, მოხდა ისე, რომ იგი გადარჩა და დაავადდა, მისი ძმა ლევანი კი გარდაიცვალა). გიორგი ცოტას ჭამდა, მაგრამ მაინც სისქეში მიდიოდა. დედინაცვალი სხვა ჭორებთან ერთად, მის გაუმადლობაზე მიუთითებდა. დედინაცვალთან ერთად, ნახევარძმებიც (ლევანის გამოკლებით) შურობდნენ გიორგის. ისინი ერთიმეორესაც არ ინდობდნენ. დარეჯანი არ ცხრებოდა და ბოლოს სასურველსაც მიაღწია. ქართლ-კახეთის სამეფო სამართავად დაუყო შვილებს და მეფედ გახდომის წესიც შეაცვლევინა... მან ასევე იაქტიურა, რათა არ დაეშვა იმერეთის სამეფოს შემო-



ერთება. მაგრამ ეს უკვე 1790 წ. მანამდე, ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეები ცდილობდნენ თურქეთის საფრთხის აცლილების მიზნით რუსეთთან დაახლოებას.

1768 წ. დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. რუსეთის ინიციატივით ომში სოლომონიც ჩაერთო და ერეკლეს. რუსეთის ჯარს გენერალი ტოტლებენი მეთაურობდა. მან ყველაფერი ილონა, რათა იმერეთიც და ქართლ-კახეთიც ჩაბმული ყოფილიყვნენ თურქეთთან ომში, მაგრამ სანაცვლოდ არაფერი მიეღოთ. 1770 წ. ერეკლესთან ერთად ახალციხისაკენ გაილაშქრა. ომის დაწყების წინ მოკავშირე ქართველები მიატოვა და სანამ ერეკლე ომიდან დაბრუნდებოდა, სამეფოს დაკავება დაიწყო. ერეკლემ აწყურის ციხესთან თურქები დაამარცხა, მაგრამ გამარჯვებით ვერ ისარგებლა. სამცხე-საათაბაგოს დაკავების ნაცვლად, იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო და რუსების ღალატის შედეგი აღეკვეთა. ტოტლებენი იმერეთის სამეფოში გადავიდა, მაგრამ ვერც იქ ისახელა თავი. იმერ-ამერი ქართველებისთვის ნათელი გახდა რუსეთის იმპერიული ზრახვები. ამის შემდეგ ურთიერთობა რუსეთთან გაფუჭდა და პრაქტიკულად ფარულ მტრობამდე დავიდა.

ერეკლე მეფე კვლავაც რჩებოდა კავკასიაში უძლიერეს ბატონად. ამიტომ თურქეთსაც და ირანსაც აწყობდათ მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა. ეს მათ შორის ტრადიციად ქცეულ დაპირისპირებას არ გამოორიცხავდა.

თურქეთის ხელმძღვანელობამ სწორედ შეაფასა კავკასიაში შექმნილი ვითარება. რუსეთი უკვე მომდგარი იყო შავ ზღვაზე. ბატონობას იმერეთის სანაპიროს დაკავებით განამტკიცებდა. თუ მას ქართლ-კახეთი დაემატებოდა, ცხადია თურქეთს სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა. მისთვისაც არ იყო საიდუმლო პეტრე დიდის ანდერძი, რუსეთის თბილ ოკეანეში გასვლის აუცილებლობის შესახებ. ამიტომ თურქეთის მმართველები თანდათან იხრებოდნენ გაერთიანებული იმერ-ამერის სამეფოს სახით ბუფერული ზონის შექმნის სასარგებლოდ. არის ცნობა, რომ თურქეთი ერეკლეს სთავაზობდა შეთანხმებას: 1.



ალაგმავდა ლეკთა თარეშს; 2. დათანხმდებოდა მშვიდობიანი გაერთიანებული სამეფოს შექმნას; 3. აძლევდა შეღავათიან კრედიტს, სანაცვლოდ მოითხოვდა, რომ რუსები არ შემოეშვათ.

რუსეთთან ურთიერთობის გაუცხოების კვალობაზე, ქართული საზოგადოება ამ გეგმისაკენ იხრებოდა. სანაცვლოდ დედოფალი დარეჯანის მომხრენი იყვნენ წინააღმდეგნი. იმერის შემოერთების შემთხვევაში, მისი მშობლიური სამეგრელო საზიზლარი გერის, გიორგის ქვეშევრდომი ხდებოდა.

ამ ფაქტორს სხვა ცემატებოდა: სოლომონ იმერთა მეფე ჭკვიანი და ძლიერი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მან შეძლო ალექსანდრე ბაქარის ძესთან დაკავშირება, შემდეგ ლეკთა ბელადის ფათალი ხანის მიმხრობა და ერეკლეს საწინააღმდეგო კავშირის შექმნა... რუსეთმა იგრძნო კავკასიის დაკარგვის საფრთხე და დაიწყო ერეკლეს დაყოლების აქტიური ძიება. მით უფრო, რომ ყირიმის შეერთების შემთხვევაში, კავკასიის საკითხი სიმძაფრეს იძენდა.

ერეკლე მეფემ ტახტის მემკვიდრის დაავადებით და მორიგი ჯარის ხელმძღვანელი ლევან ბატონიშვილის დაღუპვით, დიდი დარტყმა მიიღო, საერთო ზემოქმედების შემდეგ მეფე მოტყდა. იძულებული გახდა თურქეთისათვის ზურგი შეექცია და რუსეთის მფარველობა ეთხოვა. შედეგად 1783 წ. დაიდო ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“. იგი ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ავტონომიის უფლებებით, რუსეთის მფარველობაში შესვლას. მეფობა შენარჩუნებული იქნებოდა.

რუსეთთან ხელშეკრულებამ მაჰმადიანური სამყარო მოქმედების გზაზე დააყენა. ამოძრავდნენ დაღესტნელები, სახანოები და ერეკლესაც გაუჭირდა. რუსების გამოგზავნილი ორი ბატალიონი სამეფოს დაცვას ვერ უზრუნველყოფდა.

1785 წ. სამეფოს ომარ ხანი დაემუქრა. მან ბრძოლებით დალაშქრა ბორჩაღუს სოფლები, ალავერდი – ახტალას მიდამოები და ახალციხეში გადავიდა ჯაყელთან. მეორე წელს კი უკან დაღესტანში გამარჯვებული დაბრუნდა. რუსეთმა დახმარების ნაცვლად, თურქეთთან ომის საბაბით, ის ორი ბატალიონიც უკან გაიწვია.



კიდევ ერთხელ გამოჩნდა რუსეთის იმპერიის მეგობრობის ფასი.

იმავე პერიოდში, უძეოდ დარჩენილმა სოლომონ იმერთა მეფემ ტახტის მემკვიდრედ ძმის შვილი, დავით არჩილის ძე აღიარა, დავითი ამავე დროს ერეკლეს (ამერის მეფის) შვილიშვილი იყო. თუ იმერთა მეფედ დავითი იქნებოდა არჩეული, ამით ამერისა და იმერის გაერთიანება შესაძლებელი გახდებოდა. ამ მიზნით სოლომონმა ძმისწული ქუთაისში მიიწვია.

მოხდა მოულოდნელობა. 1784 წლის აპრილში სოლომონ მეფე გარდაიცვალა. იმერმა თავადებმა ტახტზე მემკვიდრედ აღიარებული დავით არჩილის ძე კი არ აიყვანეს, არამედ ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. თავადებმა ჩაშალეს გაერთიანების საქმე.

წლობით გაგრძელდა გაურკვევლობა იმერეთში. 1786 წ. დაპირისპირებას დადიანისა და მეფის ბრძოლა მოჰყვა. თავადები მეფეს გადაუდგნენ და დავით არჩილის ძის გამეფება მოინდომეს. 1790 წ. იმერ თავადთა დელეგაცია ჩამოვიდა თბილისში და სამეფოების გაერთიანების საკითხი დასვა. მეფე ერეკლემ ეს წინადადება არ მიიღო. სანაცვლოდ დავით არჩილის ძის გამეფებას დაუჭირა მხარი.¹

ამ ცოდვას სხვა მოჰყვა. 1791 წ. ერეკლემ სამეფო შვილებს გაუნაწილა სამართავად. მისი ვაჟები ისედაც დაძაბულ ურთიერთობაში იყვნენ. ახლა, თავი საგამგებლო მამულში მეფედ წარმოიდგინეს და მეფე-მამასაც კი აღარ ეპუებოდნენ. ამავე დროს შეიცვალა ტახტის დაკავების წესი და იგი უფროს შვილს კი არ გადაეცემოდა, არამედ ოჯახში უფროსს. ამ წესის მიხედვით ერეკლეს ვაჟებს უნდა ეცადათ, როდის დაიხოცებოდნენ უფროსები და მოვიდოდა მათი ჯერი. ეს კიდევ უფრო დაზავდა სიტუაციას. უმცროს ძმა ფარნავაზს, სურამის მიდამოები მისცეს

1. იმერ თავადთა დელეგაციის თბილისში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ, იხილე ავტორის „დიდი ცოდვა“, მკვლევართა მიერ გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი. გასაკვირი არაა, რომ ყველას თავისი აზრი აქვს. მთავარია, რომ ამერ-იმერის გაერთიანების საქმე ჩაიშალა.



სამართავად. უბრძანა ქვეშევრდომებს მისთვის მეფე ეწოდებინათ. აბა სად ველოდო ძმების სიკვდილსო.

ერეკლე მეფის ასეთმა რეფორმებმა ქვეყანა დაქსაქსა, დაასუსტა და როცა 1795 წ. რუსეთიდან შეთანხმებით ირანის ახალმა შაჰმა ალა მაჰმად ხანმა თავდასხმა მოაწყო, მტერს წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. შვილებიც კი არ მიეხმარნენ მოხუც მამას. აქცენტს უფროს, გიორგი ბატონიშვილზე აკეთებდნენ. გიორგის სამართავად ყაზახის მხარე ჰქონდა ჩაბარებული. მტერი იმ მხრიდან შემოვიდა და ცხადია, პირველ რიგში ის მხარე დაიკავა. გიორგის მამის მიხმარება არ შეეძლო... ის თავად ორი ათასი კაცით კახეთს იცავდა. მისი შვილები პაპის გვერდით იყვნენ. მეფეს 50 ათასი მეომრის შეკრება შეეძლო რეალურად, მხოლოდ 5 ათასი ჰყავდა. ცხადია ომის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

მკვლევარები აღნიშნავენ სომეხთა და მაჰმადიანთა ნაწილის მოლაღატურ როლს. რაც შეეხება რუსეთს, მან მიიღო ის რაც სურდა: დაქცეული ქართლ-კახეთის სამეფო. რა უნდა ეწოდოს მოკავშირეს, რომლის ორი ბატონი, დარიალის ხეობის გამოვლას თითქმის ოთხი თვე მოუწდა. რუსეთის იმპერიამ შეძლო ორივე მხარის დასუსტება.

1798 წ. მეფე ერეკლე გარდაიცვალა. მისი ადგილი დაავადებულმა გიორგიმ დაიკავა.

რთული ვითარება შეიქმნა. დარეჯან დედოფალი და მისი ჩამომავლები (იმერეთის მეფე დავით არჩილის ძის ჩათვლით) გიორგის საწინააღმდეგოდ ამოქმედდნენ. გიორგის კი არა, ისინი ერთი მეორესაც არ ინდობდნენ. ამ ნიადაგზე ალექსანდრე ბატონიშვილი ირანის შაჰ ბაბა ხანს მიუვიდა სამშობლოს წინააღმდეგ ომის დაწყების თხოვნით.

რუსეთის ხელმძღვანელობამ კავკასიაში შექმნილი ვითარება კარგად გაიაზრა და სწრაფად ამოქმედდა. მათთვის ქართლ-კახეთის სამეფოს მიერთების საკითხი აუცილებელი გადასაწყვეტი იყო და ჯერ კიდევ მეფე გიორგის სიცოცხლეში მიიღეს შესაბამისი დადგენილება. 1801 წ. გიორგი გარდა-



იცვალა და სამეფოს დამოუკიდებლობის საკითხსაც წერტილი დაესვა. 12 სექტემბერს იმპერატორ ალესანდრეს მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთის ტერიტორიად გამოაცხადეს.

ამ აქტით დაიწყო სამეფოს გაუქმების, მეფის ოჯახის წევრების რუსეთში გადასახლების, ქვეყანაში რუსული კანონების, ერის გარუსების გრძელი პროცესი.

ყოველ ძალადობრივ ქმედებას, უკუქმედება ახლავს, 1802 წ. აპრილში გამოუცხადეს მოსახლეობას, სიონის ეკლესიაში, რუსეთის მეფის მანიფესტის შესახებ და მაშინვე დაიწყო ანტი-რუსული მოძრაობა. 1804 წ. აჯანყდა მთიულეთი, 1812 წ. კახეთი. არ იყო ორგანიზება, ერთიანობა და ყოველი ჯანყი მარცხისათვის იყო განწირული. ამასობაში რუსეთი კავკასიის დაპყრობას განაგრძობდა. 1810 წ. იმერეთი დაიკავა, 1811 წ. გააუქმეს ეკლესიის დამოუკიდებლობა, ქვეყნის სამეურნეო-კულტურული ცხოვრება რუსულ წეს-ჩვეულებებს დაექვემდებარა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მომწიფდა საზოგადოებრივი პროტესტი. 1832 წ. შეთქმულებაში საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეთქმულებს სხვადასხვანაირი მიდგომა ჰქონდათ გადასაწყვეტი საკითხების მიმართ, მაგრამ ერთი ყველასთვის ნათელი იყო: ასეთ პირობებში ყოფნა დამღუპველია, საჭიროა მოქმედება.

მართალია შეთქმულებამ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ იმპერიის ხელმძღვანელობა დაარწმუნა გარკვეული ცვლილებების აუცილებლობაში. პირველ ყოვლისა ცვლილებები პრივილეგიებულ ფენას შეეხო. ამან რუსეთის ბატონობა, რუსიფიკაციის პოლიტიკა გარეგნულად შეარბილა და თავად-აზნაურთათვის უფრო მისაღები გახადა.

თურქეთისა და ირანის მხრივ აგრესიის საფრთხის მოხსნამ დადებითი გავლენა იქონია ეთნოსის დემოგრაფიულ განვითარებაზე. გამოცოცხლდა ეკონომიკა. თავადური კარჩაკეტილობის მოსპობამ ერთიანი შიდა ბაზრის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

რუსეთის ხელისუფლებამ ქვეყანა ორ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაჰყო. თბილისის გუბერნიაში მართალია



არ გააერთიანეს ერევნისა და განჯის სახანოები, რომლებიც ერეკლე მეფის ყმადნაფიც ერთეულებს წარმოადგენდნენ, თვით გიორგი მეფის ყაზახის მამულიც კი ჩამოაშორეს, მაგრამ საინგილო, ლორე-ახტალის მხარე დაუტოვეს. ქუთაისის გუბერნიას ასევე ჩამოაჭრეს აფხაზეთის, სვანეთის, ჩრდილოეთის მიწები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის მთაგრეხილის ჩრდილოეთ მხარეს. ამიტომ რუსეთი მუდმივად ცდილობდა ჩრდილოკავკასელების მთებზე მიჯაჭვას და მათ ნაყოფიერ ადგილებზე რუსების დამაგრებას. ასე მიიტაცეს დვალეთი, მდ. ფსოუს იქითა მხარე. ცნობილია, რომ აფხაზეთის მთავრები ბოლომდე აკონტროლებდნენ ჩრდილოეთის მხარეს, 1864 წ. კი რუსეთმა ეს ერთეული გააუქმა.

რუსეთის ხელისუფლება კავკასიაში სანდო ეთნოსებად ოსებსა და სომხებს მიიჩნევდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ დამკვიდრებას აფხაზებისა და ქართველებისაგან გამოთავისუფლებულ ადგილებში.

1801 წლისათვის ოსების რაოდენობა ქართლ-კახეთის მიდამოებში 29 ათასს აღწევდა. ამასთან, მათი უმრავლესობა გაოსებული დვალი იყო. სომხების ან გასომხებულთა რაოდენობა 47 ათასს არ აღემატებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ ოს ხიზნებს შეღავათები დაუწესა და ქართველებსაც გაოსების სტიმული მისცა. კიდევ უფრო არსებითი იყო სომხებისადმი დახმარება, თურქეთიდან გადმოსახლებულ სომხებს სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიები დაურიგეს. ქართველი მუსულმანები კი თურქეთში გაასახლეს. ქართული ეკლესიის განადგურებამ, მოსახლეობა აიძულა სომეხი ტერტერების მომსახურებით ესარგებლათ, რაც მათ სომხურად მონათვლას და გასომხებას უწყობდა ხელს. XIX ს. მანძილზე ქართველობა თითქმის გასომხდა. თბილისი სომხურ ქალაქად იქცა.

როცა რუსეთმა კავკასიის დაპყრობა დაასრულა, ევროპა უკვე კაპიტალისტური გზით მიდიოდა... დაქირავებულთა შრომის სისტემა ფეხს რუსეთის შიგნითაც იკიდებდა. ამ გზას ვერც კავკასიის სამხრეთი აცდა. შესაბამისად, იმპერიაში იქმნებოდა



თეორიები, განვითარების მისაღები გზების შესახებ. რუსეთში ფართე გავრცელება ჰპოვა ხალხოსნურმა (ნაროდნიკულმა) მოძრაობამ. აღმოცენდა მისი რამდენიმე მიმდინარეობა. შეიქმნა პოლიტიკური პარტიები. რუსეთში და ევროპაში განათლება მიღებულმა ქართველებმა, თავის მხრივ, ჩამოაყალიბეს ქვეყნის განვითარების კონცეფციის მოდელები. დაიწყო საზოგადოებრივი აზრის დაყოფა და ბრძოლა გავლენისათვის. ამ პროცესში არ დაინდეს ისეთი ავტორიტეტიც კი, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო.

რუსეთის იმპერიაში გავრცელება დაიწყო სოციალისტურმა და კომუნისტურმა თვალსაზრისმა. ამასთან, ძირითადი აქცენტი პოლიტიკური ბრძოლის ცალკეულ დებულებებს ეხებოდა. ძირითადი თეორიული კონცეფცია კი უცნობი რჩებოდა.

რამდენადაც ქვეყნის განვითარების მთელი საუკუნე ამ იდეებს უკავშირდება, აუცილებელი ხდება მისი მოკლე, სქემატური წარმოჩინება, რათა ნებისმიერმა გაიაზროს, როგორი იყო საბჭოთა წყობილება, იქიდან რა შეიცვალა და რა პერსპექტივით.



კალა იდეისა

თანასწორობის, ერთობის, ძმობის გრძნობა ყოველთვის იყო ადამიანებში და არც ცდა დაუკლიათ მისი განხორციელებისა. ასე იყო უძველესი დროიდან და რჩება დღემდე. დროთა განმავლობაში მან სოციალისტური თეორიის ფორმა მიიღო.

სოციალიზმის შესახებ მეცნიერული მოძღვრების შექმნა, კ. მარქსის და ფ. ენგელსის დამსახურებაა.¹ მათი მტკიცება ასეთია: კაპიტალისტური წყობილება თავის განვითარებაში გაივლის ექვს საფეხურს, პირველი სამი შეადგენს თავისუფალი კონკურენციის ფაზას. ესაა: მარტივი კოოპერაციის, მანუფაქტურული და მანქანური წარმოების საფეხურები. კაპიტალისტური წყობილების მეორე ფაზა ასევე სამ საფეხურიანია: მონოპოლისტური, სახელმწიფო-მონოპოლისტური და სახელმწიფო კაპიტალიზმი. გაივლის რა ყველა საფეხურს, ეკონომიკური კულტურული და სოციალ-პოლიტიკური განვითარების ძალით გადადის ახალ, სოციალისტურ (კომუნისტურ) წყობილებაზე. მათი მტკიცებით, კაპიტალიზმმა უნდა ამონუროს თავისი შესაძლებლობები და ბუნებრივად გადავიდეს ახალ ურთიერთობებზე... კაპიტალისტური განვითარების ადრეული საფეხურებიდან სოციალიზმში გადასვლა გამორიცხულია.

ამ თეორიის მიხედვით, რუსეთის იმპერიაში მწიფდებოდა ბურჟუაზიული რევოლუცია და ფეოდალური წყობილებიდან კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლა უნდა მომხდარიყო. რუსეთში ბატონყმობა 1861 წ. გააუქმეს. კოლონიებში უფრო გვიან, 1899 წ. ვ. ლენინმა დაწერა ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, სადაც ასაბუთებდა, რომ კაპიტალიზმი უკვე ვითარდება.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება დაწყებული იყო, მაგრამ რიგი თავისებურებებით ამიტომ ვ. ლენინმა სოციალიზმის თეორია გადააკეთა და არსებულ მდგომარებას მოარგო. ძირითა-

1. სოციალიზმისა და კომუნისმის შესახებ მარქს-ენგელსის თვალსაზრისი მოცემულია ავტორის ნაშრომში „პოლიტოლოგიის საფუძვლები“.



დია: 1. მარქსიზმის მიხედვით, სოციალიზმის დამკვიდრება მხოლოდ მუშათა კლასს შეეძლო. გლეხობა გამოირიცხებოდა. ლენინის მიხედვით რუსი გლეხობა ბუნებით სოციალისტური იყო. სოფლად გლეხობა მიწაზე თემურ საკუთრებას ეფუძნებოდა. ამდენად რუსეთში მუშათა კლასს გლეხობასთან კავშირში უნდა აეშენებინა სოციალიზმი. მსოფლიო ომის წინა პერიოდში, რუსეთის 165 მლ. მოსახლიდან 10 მლნ. იყო დაქირავებული, მათ შორის სოციალისტური ბუნების მატარებელი 1,4 მლნ. მოსახლეობის 1% უნდა გარდაექმნა ჩამორჩენილი, გაუნათლებელი, უკულტურო ქვეყანა; 2. მარქსიზმის მიხედვით, წყობილება არ შეიძლება იმაზე მეტი (განსხვავებული) იყოს, ვიდრე არის ეკონომიკა და კულტურა ხალხისა. ვ.ლენინი სოციალიზმის აშენებას ფიქრობდა ქვეყანაში, სადაც არც ეკონომიკა იყო და არც კულტურა; 3. მარქსიზმის მიხედვით, კაპიტალისტური განვითარების შედეგად საზოგადოება დაიყოფოდა ორ ნაწილად: ა) ადამიანთა ის კლასი, რომლის ბედი ხელფასზე დამოკიდებული. (ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკები). ბ) ადამიანთა შედარებით მცირერიცხოვანი კლასი, ვისი ბედიც ხელფასზე არაა დამოკიდებული (მაღალი თანამდებობის და დიდი სიმდიდრის მქონე ადამიანები). ასეთი გზით საზოგადოება დაიყოფოდა ერთიან მუშათა და ერთიან კაპიტალისტთა კლასებად. მათ შორის ბრძოლა ძალაუფლებისათვის გარდაუვალს გახდიდა სოციალისტური რევოლუციის მოხდენას. ამიტომ, მშრომელებს, რევოლუციის მოსახდენად დასჭირდებოდათ პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც გამარჯვებისთანავე დაიშლებოდა. ვ.ლენინის მტკიცებით არა ჰქონდა მნიშვნელობა არც ეკონომიკას, არც კულტურას. მთავარი იყო შეექმნათ პარტია, რომელიც მოსპობდა კალსობრივ მონინალმდეგებს, დაამყარებდა დიქტატურას და იძულებით დაამკვიდრებდა სოციალიზმს. მან შექმნა კიდევ ასეთი პარტია ბოლშევიკებისა, რომელსაც შემდეგ კომინისტური უწოდეს. (ბოლშევიკური პარტიის გამოცდილებით ისარგებელს ფაშისტებმა იტალიაში და ნაციონალ-სოციალისტებმა გერმანიაში).




რუსეთის იმპერიაში გავრცელება დაიწყო არა მხოლოდ ხალხოსნურმა (ნაროდნიკულმა) და სოციალისტურმა იდეებმა... მყარად იყო დამკვიდრებული იმპერიულ-დამპყრობლური იდეები.

XIX ს. დასაწყისისათვის, კავკასიაში, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ; ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები... დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 15 სახანო არსებობდა, რომელნიც ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდნენ. აქედან განჯის და ნახიჭევანის სახანოები ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს ექვემდებარებოდნენ. სომხეთში სახელმწიფო ერთეულს ერვანის სახანო წარმოადგენდა, რომელიც იმავე ერეკლე მეფის მოხარკე-ყმადნაფიცი იყო. აქედან გამომდინარე, რუსეთის იმპერიის მონინააღმდეგეს და სამიზნეს ქართლ-კახეთი და იმერეთი წარმოადგენდა. იმპერიული იდეოლოგიაც ამიტომ იყო მიმართული მათ წინააღმდეგ.

იდეები მოქმედებაში დიდი ძალაა... რუსეთმა ამიტომ მიმართა იდეურ მეთოდებს. პრივილეგიები მისცეს ხიზნებს. მუდმივად ამტკიცებდნენ: ქართველი სხვაა, მეგრელი, სვანი, თუში და ა.შ. სხვა. მათ უნდა იბრძოლონ თვითმყოფადობისათვის... ქართველებისა ნუ შეეშინდებათ. ჰუმანური რუსი დაიცავს მათ ინტერესებს. განსაკუთრებული ვითარება სამცხე-ჯავახეთში შეიქმნა. გამუსულმანებული მესხები თურქებად გამოაცხადეს, აიძულეს თურქეთში გახიზნულიყვნენ. მათი მხარე ერთგულ სომხებს გადასცეს.

აფხაზობა დასაწყისში დამნაშავე ეთნოსად მონათლეს, აიძულეს მოსახლეობის უმრავლესობა თურქეთში გადასახლებულიყო. აფხაზებს უარი უთხრეს შეენარჩუნებინათ ისტორიული ერთობა ქართველებთან. შემდეგ პოლიტიკა შეიცვალა. აფხაზეთში ჩასახლებულ აბაზინებს აფხაზები უწოდეს და ქართვერლებს დაუპირისპირეს.¹ იმპერატორმა ნიკოლოზ II,

1. აფხაზთა წარსულის შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. მათ შორის ავტორის: „კავკასიონთა ეთნოგენეზი“, „ქართველთა ეთნოგენეზი“, „რევოლუციური ანექსია“.



თბილისი XIX საუკუნის მეორე ნახევარში



მოუხსნა აფხაზებს დამამცირებელი იარლიყო. იმპერატორმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დააყენა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე.

იმპერიისათვის, კავკასიაში ერთგულ სატელიტად ოსები და სომხები ითვლებოდნენ. ამიტომ მათ სასარგებლოდ წყდებოდა ტერიტორიული, ეროვნული და სამართლებრივი საკითხები.

ოსებმა ადრე დაკარგეს სანატრელი ტერიტორიები. ჯერ მონღოლების, შემდეგ ადიღების (ყაზარდოელების) ზეწოლით კავკასიონის მთებში შეიხიზნენ და დვალეთში ჩასახლება დაიწყეს. ქართველებისაგან მიტოვებულმა დვალეებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. დვალეები ან გაიფანტნენ, ან გაოსდნენ. მეფის ხელისუფლებამ ეს მდგომარეობა გამოყენა. თბილისის გუბერნიას (ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოს) ჩამოაშორა დვალეთი და ვლადიკავკაზს დაუქვემდებარა. ოსები ახლა უკვე, ქსნის საერისთაოს მთიან მხარეში იწყებენ დასახლებას. ქართველობას არც რამე ჰკითხეს რუსებმა.

უფრო ფართე და ძლიერი იყო სომხების შემოსევა. ჯერ კიდევ სტრაბონი მიუთითებდა სომხების აგრესიულ ბუნებაზე. იმპერიამ წარმატებით გამოიყენა მათი ეს თვისება... 1829 წლიდან დაიწყო სომხების მასობრივი ჩასახლება ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე, იმდენად წარმატებული იყო ჩასახლებისა და ადგილობრივთა გასომხების პროცესი, რომ 1918 წლამდე თბილისი სომხურ ქალაქად ითვლებოდა, ქართლი და კახეთი სომხდებოდა.¹ იმპერიისათვის ეს კერკეტი ხალხის გატეხას, დამონებას აადვილებდა. სომეხი ეთნოსისათვის კი ახალი სამშობლოს შეძენას ნიშნავდა.² ამასთან, უბრძოლველად და მყარად.

ქართლ-კახეთთან ერთად მძიმე ასიმილაციური წნეხის ქვეშ

1. სომხების შესახებ ავტორის „თუბალ-მეშხი. სომეხთა ეთნოგენეზის საკითხები“.

2. ქსენოფონტეს ცნობის თანახმად არმენები (სომხები ქართულად) ევფრატის სათავეებში ჩამოყალიბდნენ. ქართული ისტორიულ ცნობით სადღაც ტულ-გარიმის მიდამოებში, ჰვლისა და ამრის სამეფოს ბაზაზე.



აფხაზეთი და აჭარა აღმოჩნდნენ. იმპერია აიძულებდა მუსულმან აჭარლებს და აფხაზებს თავი თურქებად ეგრძნოთ და გადასახლებულიყვნენ თურქეთში. მათ მამულებში მასობრივად აფუძნებდა რუს, სომეხ, ბერძენ კოლონისტებს. ამ პროცესს ბევრი ადგილობრივი მოხელე-დიდებული ამართლებდა და ხელსაც უწყობდა. რუსეთის მეორე თურქეთის ომში დამარცხება, ქართლის დაკარგული მიწების დაკავება, აღიქმებოდა ქართველების მხარდაჭერად, მათზე ზრუნვად. ამიტომ იყო, რომ ათი ათასობით ქართველი თავდადებულად იბრძოდა რუსეთის მხარეზე.

იმპერია ფიზიკურად დაკავებული, დამორჩილებული ეთნოსის სულიერ დამონებას, სრულ ასიმილაციას ესწრაფვოდა. დამონებული ეთნოსი თავის მხრივ იმუშავებდა ბრძოლის ახალ მეთოდებს. იდეური ბრძოლა გრძელდებოდა. იქმნებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები: პირველი, მეორე, მესამე დასი, პარტიები. გამოიცემოდა გაზეთები. იყო რუსეთის პარტიების შემადგენელი ორგანიზაციები, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები ლიტერატურა, ხელოვნება ერის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს ასახავდნენ.

არ იყო მხოლოდ ერთობა. როგორ, რა გზებით, რა მეთოდებით უდნა წასულიყო განვითარება. რუსეთთან ერთად თუ მის გარეშე. ყოველი ჯგუფი თავს ქეშმარიტების მცველად სახავდა და არც სხვათა კილვას ერიდებოდა.



იდეები მოქმედებაში

იმპერიათა ხელისუფლების ნაცადი ხერხია: ჩაგვრასთან ერთად, ჩაგრულებს წახალისებაც სჭირდებათ. ამ მიზნით მეთოდურად ირჯებოდნენ მეფისნაცვლები კავკასიაში. გარდა იმისა, რომ თავად-აზნაურებს უფლებები გაუზარდეს, საზოგადოებების შექმნის უფლება მისცეს, გარკვეულ საგანმანათლებო-კულტურულ ღონისძიებებსაც ნებას რთავდნენ. პრესა, თეატრი, ორგანიზების შესაძლებლობა, ეროვნულობის გრძნობებსაც გარეგნულად აკმაყოფილებდა. ასე მაგალითად: ქართველებს დიდი სურვილი, ჰქონოდათ უმაღლესი განათლების კერა, მეფის მონყალე დასტური მოჰყვა. დაარსდა კადეტთა სასწავლებელი. მართალია ცენტრი ვლადიკავკაზში იყო, მაგრამ ამით ხომ ქართველთა თხოვნა დაკმაყოფილდა? მართალია ქართული ეკლესია ფაქტიურად გაუქმდა, მაგრამ სანაცვლოდ რუსული სასულიერო სემინარია დაარსდა. რაც შეეხება აფხაზებს, რუსული ახალი ათონის მონასტერი აუშენეს და რუსული ზიარების გზას გაუყენეს. იქამდე მივიდა მეფის ღმობიერება, რომ 1912 წ. აფხაზებს „დამნაშავე ხალხის“ დადგენილება გაუუქმა. ამას მოჰყვა აფხაზების რუსიფიკაციის დაჩქარება. დაიწყო მათი ქართველებთან დაპირისპირების ღონისძიებების გატარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, 1842 წლიდან, ქართლში ოსებისათვის ეროვნული პოლიტიკური ერთეულის შექმნას. სამხრეთ ოსეთის შექმნის მიზნით ბევრი ინვალეს რუსებმა და შრომაც დაუფასდათ.

მეფის ხელისუფლება ადგილობრივი სიმდიდრის ათვისებას, ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ცდილობდა. ხელმძღვანელობა და საქმის წარმოება კი რუსული იყო. ამ პროცესს ორი მხარე ჰქონდა: ადგილობრივები სამუშაოს შოულობდნენ და მატერიალურად ასე თუ ისე კმაყოფილდებოდნენ. სიმდიდრე მეფის ხელისუფლებას რჩებოდა. გარეგნულად ჩანდა, რომ მხარე ვითარდებოდა, კაპიტალიზმი მყარდებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა 1872 წ. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანას



ჰქონდა. ეს თავის მხრივ მომსახურე მუშების რაოდენობრივ ზრდას უწყობდა ხელს. ბათუმი რკინიგზით ბაქოს დაუკავშირეს და დაიწყო ნავთობის ექსპორტი. ამას, ჭიათურის მარგანეცის საბადოების ათვისება მოჰყვა. გაიხსნა მანუფაქტურები. დაიწყო მუშათა კლასის ჩამოყალიბება.

იმპერიაში კაპიტალიზმი განვითარებას იწყებდა. იქ რომ მანუფაქტურები არსებობდა ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შტატებში, კაპიტალიზმის მეორე მონოპოლისტური ფაზა ძალას იკრებდა. რუსეთშიც შექმნეს ევროპელმა კაპიტალისტებმა ასეთი რამდენიმე გაერთიანება, მხოლოდ ეს სავაჭრო სფეროში. წარმოების მხრივ, ხუთი ცენტრი ჩამოყალიბდა: პეტერბურგში, მოსკოვში, ურალში, დონბასში და ბაქოში. ეს იყო კაპიტალისტური განვითარების მესამე საფეხურის შესაბამისი ცენტრები. დანარჩენი ქვეყანა ნახევრად ფეოდალურ მდგომარეობაში რჩებოდა. შესაბამისად, მნიფდებოდა ბურჟუაზიული რევოლუცია. სოციალურ კლასებს და მათი ინტერესების გამოხატველ პარტიებს ურთიერთსაპირისპირო პოზიციები ეკავათ; ფეოდალთა კლასი არსებული ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. კაპიტალისტთა კლასი ფეოდალური მარნუხებისაგან განთავისუფლებას. გლეხთა კლასი გაყოფილი იყო კაპიტალისტთა და მუშათა კლასის მომხრეებად. მუშათა კლასი (პროლეტარიატი), ფეოდალურთან ერთად, კაპიტალისტური ბორკილების მსხვერველსაც მიესწრაფოდა.

რუსეთში და შესაბამისად კავკასიაში (მათ შორის საქართველოში, როგორც ადრე არსებულ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს უწოდეს) მრავლად იყვნენ პოლიტიკური პარტიები. ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, მათ ჰქონდათ საერთო: – არ მოითხოვდნენ იმპერიისაგან გამოყოფას. ეროვნულ საკითხს იმპერიის ფარგლებში განიხილავდნენ.

იმპერიაში, სოციალისტური და პროლეტარული იდეოლოგიის მქონე, სოციალ-დემოკრატიული პარტია დაარსდა გ. პლეხანოვისა, გ. მარტოვისა და ვ. ლენინის ხელმძღვანელობით. 1903 წ. პარტია ორ ნაწილად გაიყო: ბოლშევიკები და მენშევიკები. მომდევნო წლებმა აჩვენა, რომ მენშევიკები შედარებით



ზომიერი პროგრამით გამოდიოდნენ, ბოლშევიკები რადიკალური ღონისძიებების მომხრენი იყვნენ. ქართველი რევოლუციონერებიც შესაბამისად იყვნენ დაყოფილნი და ურთიერთ დაპირისპირებულნი.

იმპერიაში 1905 წ. დაიწყო ბურჟუაზიული რევოლუცია, დაქსაქსულობის გამო მან მიზანს ვერ მიაღწია. ქვეყანა ფეოდალური მარნუხებისაგან ვერ გათავისუფლდა. ვ. ლენინი, მოგვიანებით ახასიათებდა რა ამ რევოლუციას, წერდა, რომ მან ფეოდალიზმი მოსპო ქალაქად, მაგრამ სოფლად მარცხი განიცადა. შესაბამისად, რევოლუციის გაგრძელება გარდაუვალი იყო.

1914 წ. დაიწყო მსოფლიო ომი. მან გარკვეული პერიოდით შეაფერხა რევოლუციური მოძრაობა, მაგრამ შემდეგ კიდევ დააჩქარა და მეფის ხელისუფლების დამხობა განაპირობა.

მეფის ხელისუფლება ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან შეთანხმების შესაბამისად, ომში გამარჯვების შემდეგ მიიღებდა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლის უფლებას. მასვე დარჩებოდა სომხებითა და მესხ-ქართველებით დასახლებული ისტორიული მხარეები. აღსრულდებოდა პეტრე დიდის ანდერძი: რუსეთი თბილ ოკეანეში გასასვლელს მიიღებდა. ეს მიზანი საქართველოს მოსახლეობის ოცნების აღსრულებაც იყო. ამიტომ იბრძოდნენ თავგამოდებით ქართველები. საერთოდ კი: საკუთრივ რუსეთში სოციალური ჯანყი მნიფდებოდა, კოლონიებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი.

კვლავ მცირე თეორია. მარქსისტული მეცნიერული დასკვნის თანახმად, თავისუფალი ვერ იქნება ერი რომელიც სხვას ჩაგვრავს. თავისუფალი ხალხი სხვა ეროვნებათა ჩაგვრას არ მოინდომებს. რათა გათავისუფლდეს, დაჩაგრული ერის შვილებმა ხელი უნდა შეუწყონ მჩაგვრული ერის ჩაგრულ ნაწილს თავისუფლების მიღწევაში.

ევროპის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა აღიარებდა, რომ გარდაუვალია იმპერიათა რღვევა და აუცილებელი ეროვნული თვითგამორკვევის მიღწევა.



ვ. ლენინი, ბოლშევიკები, ევროპელთა გავლენით, აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, იმ პირობით თუ ჩაგრული ერების წარმომადგენლები, პირიქით, ერთიან რუსეთში დარჩენას მოითხოვდნენ.

ვ. ლენინს, ბოლშევიკებს, როგორც ბევრი სხვა საკითხი, მაქსიზმის დასკვნა ეროვნულ პრობლემებზე თავისებურად (უკუურმა, რუსული შოვინიზმის პოზიციებიდან) ესმოდათ.¹ ვ. ლენინის აზრით, უნდა განხორციელებულიყო მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია. რუსეთი დაიწყებდა, გერმანია, საფრანგეთი და სხვები გააგრძელებდნენ, შეიქმნებოდა მსოფლიო სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. რუსეთი თავისი კოლონიებით შევიდოდა, როგორც ცენტრალიზებული ერთეული. რუსეთის შეგნით კი მოხდებოდა სხვადასხვა ეთნოსთა „დაფქვა, ასიმილაცია და რუსებთან შერწყმა“. აღარ იქნებოდნენ ქართველები, აფხაზები, სომხები და სხვ. თავისი საზღვრებით, ენით და ა.შ. ყველაფერი გახდებოდა საერთო, ყველაფერი რუსული.

ვ. ლენინი, ბოლშევიკები თავის ნააზრევს მშრომელთა ინტერნაციონალური ერთობის რევოლუციური ფრაზეოლოგიით ფუთავდნენ. ისე ოსტატურად, რომ დღემდე იგი გაურკვეველი რჩება. ამის და მიუხედავად, დაპყრობილ ერებში ბოლშევიკების, მენშევიკების და სხვათა აზრებს ნაკლებად იზიარებდნენ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები ბევრად გასაგები და მისაღები იყო ჩაგრული ერებისათვის. საქართველოში ილია ჭავჭავაძის და მის მომხრეთა გავლენა ბევრად სჭარბობდა. სოციალ-დემოკრატებისას (ბოლშევიკები-მენშევიკები). ერთნაირი იყო ბოლშევიკ-მენშევიკთა დამოკიდებულება ილიასადმი. ამიტომ დატრიალდა წინამურის ტრაგედია 1907 წ. 30 აგვისტოს.

ილიას მკვლელობამ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ვერაფერი შემატა. ან რა შეიძლებოდა მოემოქმედა პარტიას, რომლის მძლავრი ნაწილი, მსოფლიო ომის წინ, 85 კაცისაგან

1. ამ საკითხებზე და რუსეთში განხორციელებულ პრაქტიკაზე ავტორის „რევოლუციური ანექსია“, ნაშრომი დაინერა 1986 წ. და მიენოდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს.



შედეგობდა. რა პროლეტარულ რევოლუციაზე შეიძლებოდა ფიქრი კოლონიაში, სადაც კაპიტალიზმი ფეხს იდგამდა, სადაც არ იყო პროლეტარიატი. არ იყო სოციალიზმის ეკონომიკური საფუძველი, არ იყო ხალხის, არა მხოლოდ სოციალისტური, არამედ კაპიტალისტური წარმოების კულტურაც, ამ მხრივ საქართველო იმპერიაში შექმნილ ვითარებას სრულად იმეორებდა.

რუსეთის იმპერიას ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. ქვეყანა სამხედრო და სოციალ-ეკონომიკური კატასტროფის წინასე აღმოჩნდა. რევოლუციური სიტუაცია მნიშვნელოვანად შეიცვალა.


პარიზის 1871 წ. კომუნის გამოცდილების მაგალითზე ფ. ენგელსმა შეიმუშავა რევოლუციური სიტუაციისა და აჯანყების წარმატების პრინციპები. მოგვიანებით ვ. ლენინმა გაიმეორა ეს პრინციპები. მას მიენერა კონცეფციის შემქმნელის პატივი.

1916 წ. ბოლოს, რუსი დიდებულების სალონებში, უკვე ქალები არკვევდნენ, მეფე ნიკოლოზ II გადადგომის აუცილებლობის საკითხს. სწორედ იმ დღეებში ვ. ლენინი წერდა, რომ იგი და უფროსი თაობა რევოლუციას ვერ მოესწრება. უფრო მეტი. 1917 წ. 24 თებერვალს პოლიტიკური პარტიების ლიდერები შეიკრიბნენ, რათა განეხილათ მეფის გადადგომის შემდეგ მთავრობის შექმნის საკითხი. განხილვაში ბოლშევიკებმა მონაწილეობა არ მიიღეს იმ მოტივით, რომ არავითარი გადადგომა და ცვლილებები მოსალოდნელი არ არისო. ბოლშევიკები აზრზე არ იყვნენ, მეორე დღეს მეფე გადადგა. მოგვიანებით, ეს ცვლილება, ბოლშევიკებმა თავის დამსახურებად მიიწერეს.

მეფის გადადგომას დროებითი მთავრობის შექმნა მოჰყვა. ბოლშევიკების ნაწილი მის მუშაობაში მონაწილეობას გეგმავდა. მათ შორის ი. სტალინი, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა და იმავე დღეს გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში აირჩიეს. მარტის თვე ცვლილებების პერიოდი იყო. რუსეთში იქმნებოდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. საბჭოები ძალას იკრებდნენ. დროებითი მთავრობა მერყევ პოლიტიკას ადგა. ასეთ დროს, 3 აპრილს რუსეთში ბოლშევიკების ლიდერი ვ. ლენინი ჩავიდა. იგი გერმანიის მთავრობსთან შეთანხმების მომხრე იყო. ამტ-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

ერთა ლიგის მიერ აღიარებულ საზღვრებში



შავი ზღვა

ლეგენდა

- ერთა ლიგის მიერ დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები
- რუსეთ-საქართველოს საზღვარი 1921 წლიდან
- საქართველოს დედაქალაქი
- სხვა დასახლებები

ერთ ზურეში

- 1 გადავას რესტორის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას
- 2 ადვოკატის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას
- 3 ადვოკატის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას
- 4 გადავას თურქეთის რესპუბლიკას

ერთა ლიგის მიერ დამტკიცებული საერთო საზღვრები
 ამჟამად სხვა პოლიტიკური წარმომავლის შემადგენლობაში:

- 1 ვლადიკავკაზი
- 2 ბუღაჯანი
- 3 დედოფლისწყარო
- 4 რუტული



კიცებენ, რომ მან გერმანიის მთავრობისაგან ფულადი დახმარება მიიღო და რუსეთის ომიდან გამოსვლის პირობა მისცა. დრეობითი მთავრობა ომის შეწყვეტას არ ფიქრობდა. მაშინ ვ. ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი: მთელი ძალაუფლება საბჭოებს. ვ. ლენინის ამ პოზიციამ აღიარება მას შემდეგ მიიღო, რაც შეთანხმება მოხდა ი. სტალინთან. ამის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის იდეური ხელმძღვანელი იყო ვ. ლენინი, პრაქტიკული ხელმძღვანელი ი. სტალინი.

დროებითმა მთავრობამ კავკასიაში მეფის ნაცვლის თანამდებობა გააუქმა. დაარსდა სპეციალური კომიტეტი, რომელიც სუსტი მმართველი ორგანო გამოდგა... ქართველებმა ისარგებლეს არეულობით და 12 მარტს აღადგინეს ეკლესიის ავტოკეფალია. ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები-მენშევიკები) კი რუსეთიდან გამოყოფას არა ფიქრობდნენ.

იმპერიაში და საქართველოშიც სოციალ-დემოკრატები მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოხდენას ელოდნენ. ამ ნიადაგზე მოხდა ლ. ტროცკის გაერთიანება ბოლშევიკებთან. მაისში ტროცკი პეტროგრადის საბჭოს თავჯდომარე გახდა და მისი ავტორიტეტი ლენინისას გაუტოლდა. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო უკვე მთავრობის ღონისძიებებს აკონტროლებდა. შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. მთავრობამ მოინდომა საბჭოეთის ნეიტრალიზება.

ივლისში მთავრობა შეტევაზე გადავიდა. დაიწყო ბოლშევიკთა ლიდერების დაპატიმრება. ვ. ლენინი გერმანიის აგენტად გამოაცხადეს და იძულებული გახადეს დამალულიყო. პარტია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. ახალი ამოცანების განსაზღვრის მიზნით შეიკრიბა პარტიის VI ყრილობა, რომლის მუშაობას მთლიანად ი. სტალინი წარმართავდა. პარტიამ აიღო კურში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მიზნით.

იმ პერიოდში დაიწყო დაპირისპირება სტალინსა და ტროცკის შორის. ტროცკიმ, როგორც პეტროგრადის საბჭოს და



საერთოდ საბჭოების ლიდერმა, 25 ოქტომბრისათვის მიიწვია II ყრილობა. განზრახული იყო, რომ ყრილობას გახსნიდა ტროცკი და საბჭოების მიერ ძალაუფლების აღებას გამოაცხადებდა.

დადგა კრიზისული მომენტი, თუ არაფერი მოხდებოდა, ტროცკი გამოაცხადებდა ძალაუფლების აღებას და ის გახდებოდა რევოლუციის ბელადი. ლენინი, სტალინი და ა.შ. კარგავდნენ თავის გავლენას. ამიტომ გადაწყდა აჯანყების დაწყება 24 ოქტომბერს საღამოთი, გამარჯვების შემთხვევაში ბელადი ხდებოდა ვ. ლენინი, წარუმატებლობის შემთხვევაში, მეორე დილით, საბჭოები მაინც აიღებდნენ ძალაუფლებას. მთავრობის სასახლის აღება აჯანყებულებმა მოახერხეს. დროებითი მთავრობა დაემხო. მეორე დილით ტროცკიმ გახსნა საბჭოს ყრილობა და ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღება გამოაცხადა. რამდენადაც აჯანყების გზით დაემხოთ ძველი ხელისუფლება, ვ. ლენინმა ბელადობა შეინარჩუნა. მისმა მომხრეებმა ძალაუფლება გაინაწილეს.

1917 წ. 25 ოქტომბერს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია უწოდეს. გამარჯვებულებს არ სჯიან.

დროებითი მთავრობის დამხობა კავკასიაში ცენტრალური ხელისუფლების მოშლას ნიშნავდა, კავკასიის სამხრეთში ქართველებმა, სომხებმა, თურქებმა აზერბაიჯანიდან მართვის ახალი ორგანო სეიმი შექმნეს. ეს ორგანო უდღეური აღმოჩნდა. იქ ყოველი თავისთვის იღწვოდა. საბჭოთა მთავრობას კი კავკასიისათვის არ ეცალა. იქ დიდი პოლიტიკური კრიზისი სახეზე იყო... ვ. ლენინი მოითხოვდა გერმანიასთან სეპარატისტული ზავის დადებას. ნ. ბუხარინის მომხრეები ამას მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ლალატად აღიქვამდნენ. ისინი ბოლომდე ბრძოლის გაგრძელებას მოითხოვნენ. ზავი იმპერიალისტურ გერმანიასთან მათთვის რევოლუციის მიზნების ლალატი იყო. მესამე მიმდინარეობა ტროცკის ემხრობოდა. ტროცკის აზრით გერმანიასთან ზავი არ უნდა დაედოთ, მაგრამ არც ომი უნდა ეწარმოებინათ. იყო საშიშროება, რომ ლენინი ამ ბრძოლაში დამარცხდებოდა. არც ის



იყო გამორიცხული, რომ გერმანიის მთავრობა მასთან შეთანხმებას გაასაჯაროებდა. სიტუაცია ი. სტალინმა იხსნა. მან მოახერხა ბაუხარინის და ტროცკის დათანხმება ლენინის წინადადებაზე. **1918 წ. 3 მარტს** საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან ბრესტლიტოვსკში ზავი გააფორმა. ზავის ძალით თურქეთს უბრუნდებოდა ომის დროს დაკავებული ტერიტორიები.

თურქეთმა ისარგებლა ლენინის დამთმობლობით, რუსის ჯარის დაშლით და მესხეთი, ჯავახეთი, აჭარა დაიკავა. საფრთხე თბილისს დაემუქრა.

ქართველმა ლიდერებმა, მდგომარეობით იძულებულებმა, **1918 წ. 26 მაისს** გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. კურსი ნეიტრალიტეტის დაცვას გულისხმობდა. ხელისუფლების სათავეში მოექცნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წარმომადგენლები, რომლებიც ბოლომდე რუსეთის შემადგენლობაში დარჩენის მომხრენი იყვნენ. შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც მალე პარლამენტად გარდაიქმნა.

საქართველოს პირველმა დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ, საერთო კრიზისისა და გარედან აგრესიის საფრთხის ვითარებაში ვერ მიაღწია სტაბილურობას. ქვეყნის შიგნით ადგილი ჰქონდა სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობების გამწვავებას. ისლამისტებისა და ბოლშევიკების გავლენით, მუდმივი შფოთი იყო აფხაზეთში. თავი იჩინა სეპარატისტთა გამოსვლებმა, რუსულ პროპაგანდას უკვალოდ არ ჩაუვლია. თავის მხრივ ბოლშევიკებისადმი კეთილად განწყობილები ცდილობდნენ ხალხის აჯანყებას. სომხეთმა მოინდომა საქართველოს ტერიტორიების მიტაცება. ადგილი ჰქონდა დამშუელი ხალხის გამოსვლებს... რაიმე გარდაქმნებისათვის, სტაბილიზაციისათვის დრო არ რჩებოდა. **1920 წ.** გაზაფხულიდან გამოიკვეთა ბოლშევიკური რუსეთის მხრივ საფრთხე.

საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ სამი წლის არსებობის მანძილზე ორი საგარეო ომი აწარმოა. **1918 წ.** დეკემბერში სომხეთმა განახორციელა აგრესია, სომხებით დასახლებული, ტერიტორიების მიტაცების მიზნით. ომში



აგრესორი დამარცხდა. არავინ უწყის ელოდა თუ არა მას ერევანის სახანოს ბედი, როცა ერეკლე მეფეს ემორჩილებოდა. საქმეში ინგლისი ჩაერია და მოხდა შეთანხმება: ორ სახელმწიფოს შორის, ლორე-ალავერდი-ახტალა-სანოინოს (სანაინო) მიდამოებში, ოცი კოლომეტრის სიგანის ნეიტრალური ზონა შეიქმნა. მოგვიანებით, 1920 წ. სომხეთმა ეს ტერიტორია საქართველოს კუთვნილებად აღიარა. დროებით. საბჭოთა წყობილების დროს, სომხებმა მოსკოვის ხელშეწყობით ეს ტერიტორია მიისაკუთრეს. მეორე ომი რუსეთთან მოხდა. 1919 წ. დენიკინის ჯარებმა, სანამ საბჭოთა წყობილებას შეუტევდნენ, ზურგის გამაგრების მიზნით, საქართველოს ჩამოაჭრეს ჩრდილოეთ აფხაზეთის მხარე და საზღვარი მდ. ფსოუს გასწვრივ დაადგინეს. საქართველოს რესპუბლიკა, მანამდე ფლობდა ტერიტორიებს ქ. ტუაფსემდე.

1920 წ. გაზაფხულზე დამთავრდა სამოქალაქო ომი და უცხო ქვეყნების ინტერვენცია რუსეთში. ბოლშევიკებმა მტკიცედ იპყრეს ძალაუფლება და მაშინვე კოლონიების ხელახლა დაპყრობა დაიწყეს. აპრილში უკვე აზერბაიჯანი დაიკავეს. ს. ორჯონიკიძე ამაყად აცხადებდა, რომ რუსეთის არმიამ ერთ დღეში მოამწიფა და გაამარჯვებინა სოციალისტურ რევოლუციას აზერბაიჯანში. იგი ითხოვდა ლენინის თანხმობას, რათა ასეთივე წარმატებით გაესაბჭოებინათ საქართველო. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სწორედ შეაფასა სიტუაცია და 7 მაისს მძიმე ზავი დაიდო რუსეთთან.

ხელშეკრულებამ საქართველო რევოლუციური ანექსიისაგან ვერ დაიფარა. ვ. ლენინმა პირადად შეიმუშავა საქართველოს დაპყრობის სამი ვარიანტი. საბოლოოდ, რუსული ჯარების მეშვეობით, საქართველოს არ არსებული პროლეტარიატის შეუპოვარი ბრძოლით, მოხდა საბჭოთა წყობილების დამყარება. არ არსებულმა საბჭოებმა აიღეს ძალაუფლება. ამის შემდეგ უნდა შექმნილიყო პროლეტარიატი და მას ჩამოეყალიბებინა საბჭოები. ვის სჭირდებოდა სიმართლე. მთავარი იყო ძალა. ამ მხრივ კი, მსოფლიოს 14 ქვეყანამ ერთად ვერ დააჩოქა რუსეთი და რას შეძლებდა საქართველო?




1921 წ. 25 თებრევალს საქართველოში სოციალისტური რევოლუცია გამარჯვებულად გამოცხადდა. დაიწყო მისი რუსული ნიშნის მიხედვით გარდაქმნა.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაიწყო საბჭოებისა და სახალხო კომისართა საბჭოს ჩამოყალიბება. ადგილებზე რევოლუციური კომიტეტები აამოქმედეს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთბაშად რუსული და თურქული საჯარისო შენაერთები ეომებოდნენ. არა ნაკლები იყო საფრთხე სომხეთის მხრიდან. ცხადია, მცირერიცხოვანი ქართული ჯარი მარცხისათვის იყო განწირული. ყველას რუსეთმა აჯობა. 1921 წ. დაიდო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, თურქეთის მფლობელობაში გადავიდა ძირძველი ქართული ტერიტორიები არტაანის, სპერი-ოლთისის, თორთომის, კალმახის ჩათვლით. რუსეთმა ჯარები გამოსაკვებად და წინააღმდეგობის გადასალახად თბილისში დატოვა. საქართველოს ეროვნული ბანკი ამიერკავკასიის ბანკად გადანათლა. ხელში აიღო ჭიათურის მარგანეცის კონცესიები, რომელიც უცხოურ კაპიტალს იზიდავდა... სომხეთმა, მოსკოვის დახმარებით მიისაკუთრა ლორე-ალავერდის მხარე და ახალქალაქ-ახალციხის დაკავებაც მოინდომა. აზერბაიჯანს ასევე გადაეცა ზაქათალა, ბელაქანი, კახის რაიონები... საზღვარმა დასავლეთით გადმოინია და ყაზახის მხარე, რომელიც უკანასკნელი მეფის გიორგის კუთვნილი იყო, აზერბაიჯანს დარჩა.

საქართველოში რუსებისადმი დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა რომ მოსკოვი იძულებული გახდა შეეზღუდა რუსების ჩამოსვლა.

მცირე თეორიიდან: ვ. ლენინი მიიჩნევდა რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად შეიქმნებოდა ხალხმრავალ ეთნოსთა ფედერაციულ რესპუბლიკა. რუსეთი, თავისი სამჭოური კოლონიებით ამ ფედერაციის წევრი გახდებოდა. რუსეთში, არარუს ეთნოსებს საოლქო ავტონომიის უფლება ექნებოდათ. მათ შორის საზღვრები წაიშლებოდა, სახელმწიფო ენა იქნებოდა რუსული. მოსკოვი განსაზღვრავდა ყველაფერს.



R S F S R

Black Sea

Azerbaijan

Armenia

Turkey

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის საბჭოთა რუსეთის მიერ
 1921 წლის თებერვალ-მარტში



ვ. ლენინი ბრძნულად მოძღვრავდა კავკასიის ეთნოსთა საქმეების წარმმართველ ს. კიროვს და ს. ორჯონიკიძეს: მცირე რიცხოვან ეთნოსებს შეპირდით ყველაფერს, ოღონდ მათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იბრძოლონ. აფხაზები და ოსები აჰყვნენ ბოლშევიკებს პრპაგანდას. იბრძოლეს და ბრძოლა დაუფასდათ.

1921 წ. მაისში მონვეულ იქნა აფხაზთა ყრილობა. მან აფხაზეთს დამოუკიდებლობა აღიარა და მიუთითა, რომ აუცილებელია საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ყრილობის შემდგომ პერიოდში, მოსკოვის დასტურით, 16 დეკემბერს, აფხაზეთსა და საქართველოს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც რიგი, წამყვანი კომისარიატების (სამინისტროების) გაერთიანებას ითვალისწინებდა.

1921 წ. ივლისში დაფუძნდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა... ერთი წლის შემდეგ ჩამოაყალიბეს ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც ქართული სოფლები გადასცეს, ცენტრით სოფ. ცხინვალში. მართალია იქ ოსები უმცირესობას წარმოადგენდნენ (ოსებშიც, ძირითადი გაოსებული დვალეები იყვნენ), მაგრამ მათ ეს დაიმსახურეს ქართველების წინააღმდეგ ბრძოლით. ოსები მუდამ ცდილობდნენ ძლიერი დამპყობის ხელშეწყობით რაიმე წაეგლიჯათ ქართველებისათვის.

1922 წ. დასაწყისიდან, ვ. ლენინის ინიციატივით დაიწყო საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროცესი. იმდენად აშკარა ძალდატანებას ჰქონდა ადგილი, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა იმედგაცრუება ვერ დამალეს. მათ ნანილს ადრე სწამდა ვ. ლენინის დაპირებების, ისიც ეგონა, რომ ბოლშევიკური რუსეთი, ბოლშევიკურ საქართველოს, წაგლეჯილ ტერიტორებს დაუბრუნებდა (სოჭი-ტუაფსეს მხარე). ფ. მახარაძე აღიარებდა: მოგვატყუეს.

1922 წ. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობამ შექმნა სპეციალური კომისია ი. სტალინის მეთაურობით. კომისიამ, ვ. ლენინის უშუალო მითითებებით, შეიმუშავა პრინციპები, რომელზეც აიგებოდა საბჭოთა რესპუბლიკების მომავალი



გაერთიანება. ვ. ლენინი მოითხოვდა რესპუბლიკების შესვლას რუსეთის შემადგენლობაში საოლქო ავტონომიის უფლებით.

კომისიამ ვ. ლენინის მიერ შემუშავებული პროექტი რესპუბლიკებს დაუგზავნა. საქართველოს კომინისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პროექტი დაინუნა. სხვა რესპუბლიკებმა მოიწონეს.

ვ. ლენინი იძულებული გახდა ნაწილობრივ შეეცვალა პროექტი. რესპუბლიკების რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შესვლის ნაცვლად, ჩაინერა რუსეთთან გაერთიანება. სანაცვლოდ დატოვეს პრინციპული საკითხი: ამიერკავკასიის რესპუბლიკები უნდა გაერთიანებულიყვნენ და ერთი ერთეულის სახით დაედოთ კავშირი რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის რესპუბლიკებთან. მოგვიანებით ს. კიროვი საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა: ჩვენთვის, რუსებისათვის უფრო მისაღებია საქმე ვიქონიოთ ამიერკავკასიის გაერთიანებულ ერთეულთან, ბაქო-ბათუმის ხაზი ერთი ორგანოდან უნდა იმართებოდეს. ვ. ლენინი უკმაყოფილებას ვერ მალავდა ქართველი ბოლშევიკების პოზიციის გამო და მათ „ნაციონალ-უკლონიზმი“ ეჭვმიტანილებად აცხადებდა.

ვ. ლენინმა შეიმუშავა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების გეგმა. იგი შესანიშნავად გრძნობდა, რომ ფაქტიურად ამ გაერთიანებით ისპობოდა რესპუბლიკათა ყოველგვარი უფლება, რესპუბლიკები კოლონიების მდგომარეობას უბრუნდებოდნენ. იგი თან იწონებდა 1922წ. 30 დეკემბერს საბჭოს ყრილობაზე საბჭოთა კავშირის შექმნას, თან ეჭვს გამოთქვამდა მის მიზანშეწონილობაზე. ეს იყო ავადმყოფი დესპოტის მცირე სისუსტე.¹ ავადმყოფი ბელადი ისტორიის წინაშე თავის მართლებას ცდილობს. უშედეგოდ. ყველა ნაკლი და უბედურება ი. სტალინს დაბრალდა. მაგრამ როდესაც 1923 წ. თებერვალში ი. სტალინმა საბჭოთა კავშირს, ფედერაციული გაერთიანება უწოდა, ისეთი საყვედური მიიღო, რომ მეორედ აღარ უხსენებია. ვ. ლენინს ფედერაცია საგმობ სიტყვად მიაჩნდა.

1. ვინც გაეცნობა ვ. ლენინის სტატიას „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“, გაორებული გრძნობა დარჩება.



საქართველოს იარაღის ძალით გასაბჭოებას, უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ადგილი ჰქონდა ფარულ და აშკარა გამოსვლებს, აჯანყება სვანეთში, კახეთში, გურიაში. შექმნეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კომიტეტი. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახჩო თავისუფლებისათვის მებრძოლები. რუსეთის სამხედრო მანქანასთან ქართველები უძღურები აღმოჩნდნენ.

1924 წ. აჯანყების დამარცხების შემდეგ, აშკარა ბრძლის ტაქტიკა შეიცვალა. ამავე დროს ამოქმედდა ე.წ. „ნეპის“ პოლიტიკა, რაც კერძო მესაკუთრული ტენდენციების გაძლიერებას უწყობდა ხელს.

თეორიის თანახმად: არ შეიძლება სოციალიზმის დამყარება, სანამ ურთიერთობანი ფულად-სასაქონლო პრინციპებზეა აგებული. ფული და სოციალიზმი ურთიერთი გამომრიცხავი ცნებებია. ვ.ლენინი ფიქრობდა, რომ ფულად-სასაქონლო ურთიერთობები დროებით იქნებოდა დაშუვეებული. შეცდა. ამიტომ წერდა: ჩამორჩენილ, ბნელ რუსეთში „რუბლი“ (ფული), ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდაო. „ნეპი“-ს პოლიტიკამ გამოაცოცხლა მრეწველობა და გააძლიერა სოფლის შეძლებული ნაწილი...

პარალელურად გამძაფრდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ლ. ტროცკი თვით ლენინსაც არ უდებდა ტოლს. ვ. ლენინის სიკვილის შემდეგ (1924 წ) გამწვავდა ურთიერთობა პარტიულ ბობოლებს შორის. პირველ რიგში ტროცკის დაჯგუფება იყო მოსაშორებელი. ამ საქმეში ერთად იყვნენ დანარჩენი ბელადები. ლ. ტროცკის გ. ზინოვიევი მიჰყვა. შემდეგ, მათი ბედი, ი. სტალინის ძველმა თანამებრძოლმა, ლ. კამენევმა გაიზიარა. განსაკუთრებული იყო ნ. ბუხარინის წვლილი ამ ოპოზიციონერთა იდეური დასამარების საქმეში. თეორიულად ძლიერი ნ. ბუხარინი, პრაქტიკულად ძლიერ ი. სტალინთან ერთად დაუმარცხებელ ძალას წარმოადგენდა. ჩამოიცილეს რა კონკურენტები, 1929 წ. უკვე ნ. ბუხარინი და ი. სტალინი დაუპირისპირდნენ ერთიმეორეს, ი. სტალინმა თეორიული ცოდნითაც აჯობა მეტოქეს და საბოლოო გამარჯვება მას დარჩა.



საბჭოთა ქვეყნის წარმატებები დანარჩენ მსოფლიოს უყურადღებოდ არ დაუტოვებია... 1926 წ. გერმანიაში უკვე იყო ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ამბოხი. ჰიტლერის ფაშისტური პარტია ხელისუფლების აღებას ლამობდა და მოახერხა კიდევ 1933 წელს. 1927 წ. ინგლისი ომით დაემუქარა საბჭოთა კავშირს. საჭირო ხდებოდა განსაკუთრებული ზომების გატარება. გამოსავალი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში მოიძებნა. დაიწყო მდიდარი გლეხების ძარცვა, ე.წ. გაკულაკება. შექმნეს ლარიბთა კოლექტური მეურნეობები. მიღებული ფინანსებით მოინდომეს მძიმე მრეწველობის სამჯერ დაჩქრებული ტემპით განვითარება. სამხედრო მრეწველობა კი სამჯერ უფრო სწრაფად უნდა განვითარებულიყო ვიდრე მძიმე მრეწველობა. საზღვარგარეთ იძენდნენ ქარხნებს და იქ სამხედრო აღჭურვილობას ამზადებდნენ. ტექნიკის განვითარებამ მცოდნე ლიდერების აღზრდა მოითხოვა. ასე ბუნებრივად ჩამოყალიბდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა: ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციასა და ე.წ. კულტურულ რევოლუციას.

ქვეყნად დამყარდა სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემა (ყველაფერი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა).¹ მარქსიზმის მიხედვით სახელმწიფო კაპიტალიზმი, წყობილების ეკონომიკური განვითარების ბოლო, მუქავს საფეხურია. საბჭოთა კავშირში კაპიტალისტური განვითარების მესამე, მანქანური წარმოება იწერებოდა. თავიდანვე იყო შეუსაბამობა (წინააღმდეგობა) საწარმოო ძალების განვითარების დონესა და წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს შორის. ფორმა არ შეესაბამებოდა შინარსს. ვ. ლენინი, ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ შიდა ტერორის გზით მოახერხებდნენ ასეთი მდგომარეობის შენარჩუნებას მანამ, სანამ საწარმოო ძალთა განვითარებას არ მიაღწევდნენ. ამიტომ იყო ტერორი, იყო ძალადობა.

1. საბჭოთა კავშირში დამყარებული სისტემის შესახებ და მისი ბუნების თეორიული გააზრება ფ. ენგელსის მიერ, იხილე ავტორის ნაშრომში: „Ф. Энгельс о характере от государства“. თბილისის უნივერსიტეტის სახელგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, თბ. 1974წ.



1936 წლისთვის შეძლეს გარდატეხის მოხდენა. კლასობრივი მოწინააღმდეგე მოსპეს; დაამყარეს შეუზღუდავი დიქტატურა, ამას სოციალიზმის გამარჯვება უწოდეს და შესაბამისი ცვლილებები კონსტიტუციაში ასახეს.

ცვლილებები მართლაც თვალსაჩინო ჩანდა. აღარ იყო კერძო-ინდივიდუალური საკუთრება ქვეყნად. მაგრამ იყო კერძო სახელმწიფო საკუთრება, შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობანი. ქვეყნის მოსახლეობა დაიყო ერთიან თანამდებობის ბურჟუაზიად და დაქირავებულ მონათა კლასებად რაკი აღარ იყვნენ კერძო-ინდივიდუალური მესაკუთრენი. ამავე დროს ცდილობდნენ სოციალისტური იდეების დანერგვას. იძულებითი ენთუზიამში კი, დიდხანს ვერ იბოგინებდა.

საბჭოთა კავშირში ყველაფერი ემსახურებოდა სამხედრო ძლიერების ზრდას. ცხადი იყო დიდი ომის გარდაუვალობა. როცა სპეციალისტები ადარებენ 1937 წლისათვის გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო შესაძლებლობებს, უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებენ. ამის შემდეგ გერმანიამ მთელი ევროპა (ინგლისის გამოკლებით) დაიმორჩილა და შესაძლებლობები გააორმაგა. მიიღო რა აშკარა უპირატესობა, ჰიტლერმა შესაძლებლად ჩათვალა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის, კულტურული რევოლუციის მტკივნეული, რთული პროცესები, ცხადია საქართველოს და მასში შემავალ ერთეულებსაც შეეხო. შესაბამისად, აქაც ჰქონდა ადგილი მოწინააღმდეგე ძალების რეპრესირებას (დახვრეტები, გადასახლებები), იძულებით გარდაქმნებს, ეთნოსების რუსებთან შერწყმას. რამდენადაც რესპუბლიკებს ჰქონდათ რუსეთის საოლქო ადმინისტრაციების ოდენი უფლება, ცხადია საქართველოში, ხშირად ქართველების ხელით კეთდებოდა ის, რასაც მოსკოვი მოითხოვდა. მოსკოვში კი ყველაფერი ახალი იმპერიის ძლიერებას ემსახურებოდა.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნები საქართველოში ასახვას ჰპოვებდა. სამრეწველო, სასოფლო სამეურნეო, სული-



ერ-კულტურული ცხოვრებაში. ქვეყნის განვითარება მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ განვითარებაზე აისახებოდა.

საბჭოთა კავშირმა მემკვიდრეობით მიიღო რუსეთის იმპერიული პრინციპი: ერთი მთავრობა, ერთი ენა, ერთი რელიგია. შეიცვალა მხოლოდ რელიგია. მისი ადგილი ფსევდო სოციალისტურმა იდეოლოგიამ დაიკავა.

პრინციპის მოთხოვნიდან გამომდინარე, მოხდა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ძირითადი იყო არა ისტორიული საზღვრები, არა ეთნოსთა გეოგრაფიული საზღვრები, არამედ ის, რომ ყოველ ერთეულში რაც შეიძლება მეტი ეთნიკური სიჭრელე ყოფილიყო, საქართველოსთან მიმართებაში აქცენტი აღებული იყო რუსეთის ერთგული სატელიტების ოსებისა და სომხების დემოგრაფიულ მატებაზე. სლავიანურ მოსახლეობაზე მსჯელობა ზედმეტია.

„სოციალისტური“ გარდაქმნების პერიოდში ოსებს მიეცათ საქართველოში „რევოლუციური“ გამრავლების შესაძლებლობა. 1939 წლისათვის მათი რაოდენობა 148,6 ათასამდე გაიზარდა. სომხების რაოდენობამ 414,2 ათასს მიაღწია. დემოგრაფიული ზრდის სისწრაფით ისინი რუსებს მაინც ვერ გაუტოლდნენ. 1926 წ. აღწერით რუსები საქართველოში სულ 38 ათასს შეადგენდა. 1939 წ. მათი რაოდენობა 307,8 ათასამდე გაიზარდა. ეს იყო საქართველოს გასაბჭოებისა და იქ „სოციალისტური სამოთხის“ მშენებლობის ნათელი გამოხატულება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსებისა და სომხების აფხაზეთში ჩასახლების სტრატეგიას. თავად სომხებისათვის კი შედარებით პრიორიტეტული ბათუმის დაკავება რჩებოდა. (დღესაც არაა მნიშვნელობა დაკარგული ახალქალქი-ახალციხე-ბათუმის გზის დაკავების იდეა).

რთული გარდაქმნების შედეგად „სოციალიზმმა“ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც. 1936 წ. 5 დეკემბერს საბჭოთა კავშირში მიიღეს გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია. შესაბამისი კონსტიტუციები მიიღეს საბჭოთა კოლონიებმა. მათ შრის საქართველომ 1937 წ. თებერვალში.



1929-1933 წლებში მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა ღრმა საერთო კრიზისს განიცდიდა. განსაკუთრებით მძიმე იყო მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგი. მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი კეინსის ეკონომიკური თეორიას განხორციელებით მოხერხდა. კეინსი მარქსისტი არ იყო, მაგრამ მისი თვალსაზრისი ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლის ზრდის აუცილებლობის შესახებ, ამ მოძღვრების მოთხოვნებს შეესაბამებოდა.

მსოფლიო კრიზისიდან შედარებით სწრაფად გამოვიდნენ იაპონია და გერმანია. მათ გამაღებული შეიარაღების წყალობით სამრეწველო პოტენციალი შეინარჩუნეს. კრიზისი არ შეხებია საბჭოთა კავშირს. 1927 წლიდან დაწყებულმა გარდაქმნებმა, ეკონომიკური განვითარება დააჩქარეს. ეს ქვეყნის სოციალისტური ბუნებით ახსნეს. ცხადია, ამ ფაქტორმა (კრიზისის თავიდან აცილებამ) გარკვეული იდეოლოგიური ზმოქმედება მოახდინა მსოფლიო და საბჭოთა კავშირის მოსახლეობაზე. აქედან გამომდინარე, გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება, ორი იდეოლოგიის ბრძოლად გამოცხადდა.

პოლიტიკა არ ცნობს მუდმივ მტრებს ან მეგობრებს. პოლიტიკა მოგების ხელოვნებაა. 1933 წლიდან მოყოლებული გერმანია იარაღდებოდა, იძენდა მოკავშირეებს (იტალია, იაპონია, თურქეთი, უნგრეთი, რუმინეთი) და ევროპას აშანტაუებდა. მონინავე ქვეყნები საფრანგეთი, ინგლისი (მათთან აშშ) ფიქრობდნენ, რომ ამ ძალებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართავდნენ და ამიტომ დათმობების პოლიტიკას ატარებდნენ. ნაკლებად გაითვალისწინეს ი. სტალინის ფაქტორი. იგი არა მხოლოდ უდიდესი ქვეყნის დიქტატორი, არამედ აღმოსავლური (აზიური) პოლიტიკის მცოდნეც იყო.

გერმანიამ სიძლიერე იგრძნო და 1938 წლიდან შეტევაზე გადავიდა. პირველი მსოფლიო ომის დროს დამარცხებული და დამცირებული ქვეყანა წარსულს ჩაბარდა. უპირველესად, ადოლფ ჰიტლერმა თავისი მშობლიური ავსტრია შეუერთა მეორე სამშობლოს და დიდი გერმანული სახელმწიფო შექმნა.



ამას მოჰყვა ჩეხოსლოვაკიის დაკავება. იყო მოლოდინი, რომ შემდეგი მსხვერპლი საბჭოთა კავშირი გახდებოდა.

საბჭოთა კავშირმა მოახერხა გერმანიასთან შეთანხმება (მოლოტოვ-რიბენტროის 1939წ. აგვისტოს პაქტი), ომის დაწყება გადაავადა და ბუფერული ზონის შექმნაც შეძლო. როცა 1939 წ. 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ინგლის-საფრანგეთი, ადრე დადებული ხელშეკრულების ძალით, იძულებულნი გახდნენ აგრესორისათვის ომი გამოეცხადებინათ. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. საბჭოთა კავშირმა ამ მდგომარეობით ისარგებლა, დაიკავა დასავლეთ უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი და ფინეთთან საზღვარი დასავეთით გადასწია.

გერმანიამ მთელი შუა და დასავლეთი ევროპა დაიპყრო. მოაწყო ინგლისის ბლოკადა. ევროპის სამრეწველო პოტენციალი მის სამსახურში ჩადგა, რჩებოდა საბჭოთა კავშირი, რომელიც ბევრად მცირე შეიარაღებას ფლობდა. ა. ჰიტლერის გაანგარიშებით, საჭირო იყო მისი დამორჩილება, სანამ გაძლიერებას მოასწრებდა.

1941 წ. 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ცხადია, ეს კავშირში შემავალ საქართველოსაც შეეხებოდა. დაიწყო ხანგრძლივი, სასტიკი ომი. ბევრმა ფაქტორმა განაპირობა ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება და პირველ რიგში სახელმწიფოს სათავეში ი. სტალინის ყოფნამ.¹

დადასტურებულია, რომ 1801 წ. საქართველო (ქართლ-კახეთის, მოგვიანებით იმერეთის სამეფოები ნებაყოფლობით კი არ შეუერთდა რუსეთის იმპერიას, არამედ მოხდა მისი დაპყრობა. 1921 წ. უკვე საბჭოთა იმპერიამ კვლავ დაპყრო სამი წლით ადრე მონობისაგან თავდასხნილი ქვეყანა. ცნობილია, რომ 1801 წლიდან მოყოლებული, არ წყდებოდა ქართველების ამა თუ იმ ფორმით ბრძოლა თავისუფლებისათვის. არც ისაა გასაკვირი, რომ ზოგი გერმანიის გამარჯვებაში ხედავდა გამოსავალს და

1. დღემდე არ წყდება დისკუსიები ი. სტალინის ფენომენის და როლის შესახებ. ზღვა ლიტერატურა დაგროვდა. კამათი გაგრძელდება. მათ შორის ქართველებშიც.



ხელსაც უწყობდა ამ საქმეში. 1924 წ. თბილისის უნივერსიტეტში დააპატიმრეს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჯგუფის წევრები. არც ომის დამთავრების შემდეგ შეწყვეტილა მსგავსი არალეგალური მუშაობა.

1945 წ. 9 მაისს გერმანიასთან ომის წარმატებით დამთავრებამ განამტკიცა საბჭოთა კავშირის პოზიციები. ზარალის ანაზღაურების საბაბით ევროპიდან წამოღებულმა ფაბრიკა-ქარხნებმა, ტექნიკამ საშუალება მისცა სამ ნელინადში აღედგინა დაკარგულ-დანგრეული, გამარჯვებით გამოწვეულმა ენთუზიაზმმა დროებით გადაფარა არსებული სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობა. 1947 წლიდან მოყოლებული ფასების კლების პრაქტიკამ განამტკიცა უკეთესი მომავლის რწმენა.

უზომოდ ამაღლდა ი. სტალინის ავტორიტეტი. მის სახელს უკავშირებდნენ ყველა წარმატებას. აგრესიული ბუნების მქონე რუსებს ეამაყებოდათ ახალ ტერიტორიების დაპყრობა, ბერლინიდან აღმოსავლეთი გერმანიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების დამორჩილება. ქართველებსა და სომხებს თურქეთის მიერ მიტაცებული ისტორიული მიწების და აქ მაცხოვრებელ თანამოქმეთა დაბრუნების იმედი მიეცათ. მით უფრო, რომ თურქეთი ომის დროს გერმანიის მოკავშირედ ითვლებოდა და მზად იყო საბჭოთა კავშირთან ომისათვის. ბოლოს კავკასიელთა იმედები არ გამართლდა.

1945 წ. დააფუძნეს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაცია (გაერო), მსოფლიო პრობლემების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით. ამავე დროს დაიწყო ქვეყნების დაჯგუფება სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებების ნიშნით. დასველთ ევროპის ქვეყნებმა იგრძნეს საფრთხე საბჭოთა კავშირის მხრიდან და თავდაცვის მიზნით შექმნეს ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ნატო). საპასუხოდ შეიქმნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების კავშირი საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ნატო-ს მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ.), ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს კი ჩინეთი, სადაც 1949 წ. 1 ოქტომბერს გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ.

თანდათან დაიყო მსოფლიო ორ მძლავრ სამხედრო-პოლი-



ტიკურ ბანაკად: ეგრეთ წოდებული, დემოკრატიული ქვეყნებად და ტოტალიტარული მმართველობის ქვეყნებად. მათ შორის იყო დაუფარავი არა სამხედრო (ე.წ. ცივი ომი) მსოფლიოში ძალაუფლების გავრცელებისათვის.

საქართველო (ვინ ჰკითხავდა საქართველოს), საბჭოთა კავშირის ნაწილი, აქტიურად იყო ჩართული ცივი ომის პროცესებში. ქართველები (ი. სტალინი, ლ. ბერია) ედგნენ სათავეში ე.წ. სოციალისტური ქვეყნების ბანაკს და წარმართავდნენ მისი განვითარების გეზს. ლ. ბერიამ შეძლო ატომური იარაღის, შექმნის ორგანიზება და ამერიკის უპირატესობის დაძლევა.

1953 წ. მარტში ი. სტალინი გარდაიცვალა.¹ იმპერიის პოტენციური მმართველი ლ. ბერია თანამოაზრეებმა განირეს და მოკლეს. ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ავანტიურისტმა ნ. ხრუშჩოვმა აიღო. 1956 წ. პარტიის XX ყრილობაზე მან ფარდა ახადა წყობილების ზოგიერთ მანკიერებას და დააჩქარა მისი რღვევა. ამასთან, ქვეყნად არსებულ ყველა უბედურებაში ი. სტალინი დაადანაშაულა.

ცოცხალი ი. სტალინის ეროვნულ წარმომავლობას ბევრი ეთნოსი ისაკუთრებდა. მკვდარს კი მხოლოდ ქართველები გამოესარჩლნენ. 1956 წ. 5 მარტიდან მოყოლებული თბილისში, სანაპიროზე, მშრალ ხიდთან დაიწყო პერმანენტული მიტინგი, რომელიც ფარული ეროვნული მოტივით იყო გაჯერებული. დაულაგებელი დიქტატორი ნ. ხრუშჩოვის მითითებით მიტინგი ჯარის გამოყენებით დაშალეს. 9 მარტის ხოცვა-ჟლეტა იყო ხრუშჩოვის შურისძიება ქართველებზე.² შესაბამისად,

1. ი. სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ჭეშმარიტების დადგენას კრემლის არქივის შესწავლა სჭირდება. ის, რაც არაპირდაპირი მასალის ლოგიკური დასკვნაა, იხილე ავტორის „შეთქმულება“.

2. ნ. ხრუშჩოვი, რომელიც ნადეჟდა ალილუევას (ი. სტალინის ცოლის) დაუინებელი თხოვნით იყო დანიშნურებული, გაუნათლებელი, ეშმაკი, დაუნდობელი კარიერისტი გამოდგა. კრემლში იგი მეფის მასხარის როლს ასრულებდა. ორჯერ ღალატისათვის სასჯელს ლ. ბერიამ გადაარჩინა, მანვე აარჩევინა პარტიის ხელმძღვანელად. ხრუშჩოვმა ორივე ქართველს „დაუ“



რეპრესიებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება გამოიწვია საბოლოო შედეგად.

ნ. ხრუშჩოვის დამსახურება დიდია საბჭოთა დიქტატორული სისტემის რღვევის საქმეში. მისმა ვოლუნტარისტულმა გადაწყვეტილებებმა დაასამარეს ის იდეალები, რასაც ათობით წლების მანძილზე უნერგავდნენ საბჭოთა ადამიანებს. მან ბიძგი მისცა ტირანულ მმართველობას მიჩვეული რუსი ეთნოსის გამოფხიზლებას, აამოძრავა ადამიანთა დიდი მასა, სათავე დაუდო წინააღმდეგობის ე.წ. დისიდენტურ გამოსვლებს.

ნ. ხრუშჩოვის ავანტიურამ სახელმწიფოს დადებითი (აღმშენებლობითი) შედეგი ვერ მიუტანა. ამის მიუხედავად, 1961 წელს პარტიას მიაღებინა კომუნიზმის ოც წელში აშენების პროგრამა. ქვეყანა, ამერკასთან ბირთვული ომის დანყების ზღვრამდე მიიყვანა. დაიწყო ეკონომიკური კრიზისი. ქვეყნის ხელმძღვანელობამ გამოსავალი კრემლის მასშტაბის გადატრიალებაში ნახა. ხრუშჩოვი გადააყენეს. დაიწყო ლ. ბრეჟნევის მმართველობის პერიოდი.

ახალმა ხელმძღვანელობამ მეურნეობის გაძლიერების ახალი ფორმების დანერგვა მოინდომა. არ სურდათ რა გაეგოთ საბჭოთა წყობილების ნამდვილი ბუნება და გაეტარებინათ რეფორმები, რომლებიც წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს, მწარმოებლურ (საწარმოო) ძალთა მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოიყვანდა, სინამდვილეში ზედაპირული ცვლილებები განახორციელებს. შედეგიც დროებითი და მოჩვენებითი იყო. სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში, თავისუფალი კონკურენციის აუცილებლობა, კერძო ინიციატივა იზღუდებოდა და მეურნეობა სასურველ ეფექტს არ იძლეოდა. მართალი იყო ფ. ენგელსი როცა გამორიცხავდა კაპიტალისტურად განუვითარებელ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობას. ვინ ჰკითხავდა ენგელსს?

საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც გაბატონებული იყო მოჩვენებითი წარმატებებით ტრაბახის პრაქტიკა, ამას ემსახ-



ურებოდა არა მხოლოდ პროპაგანდისტული აპარატი, არამედ ე.წ. აკადემიური მეცნიერებაც.¹

საქართველოში, ვ. მუჟაჟანაძის მმართველობის პირობებში (1953-1971 წწ.) გადაიდგა სუსტი ნაბიჯი ეკონომიკური განვითარების მოთხოვნათა შესაბამისად. შედეგი დამაიმედებელი იყო. ახალმა მმართველმა ე. შევარდნაძემ, მეურნეობის ხაზით დაშვებული სიახლეები, კაპიტალისტურ გადახრად მონათლა კომუნისტური მშენებლობის დროს ნეგატიურ მოვლენებად მიიჩნია და ძლიერი ღონისძიებები გაატარა კერძო მესაკუთრული ტენდენციების აღმოფხვრის მიზნით. მისი შემართება ორ წელს გაგრძელდა და ჩვეულ საბჭოთა მიწერების, მონაცემთა გაყალბების პრაქტიკას დაუბრუნდა. ამ გზით შეძლო მან „სოციალისტური შრომის გმირად“ გახდომა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის კეთილი დამოკიდებულების მოპოვება. რასაც მოჰყვა მისი მოსკოვში გადაყვანა და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნაობა.

ნ. ხრუშჩოვის პოლიტიკის შედეგად საბჭოთა კავშირში გამწვავდა სოციალური და ეროვნული ხასიათის წინააღმდეგობანი. საქართველო ეროვნებითშორის ურთიერთობათა გარკვევის ობიექტად იქცა. განსაკუთრებულად გამწვავდა აფხაზ-ქართველთა ელიტარული წრეების ურთიერთობა.

1956 წ. 9 მარტის რეპრესიებმა ქართველებს უბიძგა ეროვნული თვითმყობადობის გააქტიურებისაკენ. სანაცვლოდ იმპერიის ხელმძღვანელობამ აამოქმედა პრინციპი: თუ გასურს იბატონო, ქვეშევრდომები გათიშე. შედეგად, აფხაზეთში დაიწყო საქართველოსაგან გამოყოფისა და უშაულოდ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მოთხოვნათა სერია. იმპერიას ქართველების შეშინება-დამონება სურდა

1. ვერც ერთი მკვლევარი ვერ შეძლებდა თუნდაც პატარა სტატიის გამოქვეყნებას, თუ იქ ხარკი არ იყო გაღებული არსებული წყობილებისა და ხელმძღვანელობის ქების სახით. ცენზურა ყველას ატერორედა. სხვებთან ერთად ავტორსაც უწევდა ფარული, შემოვლითი ფორმებით თქმა სიმართლისა. მხოლოდ **1989 წ.** საბჭოების ყრილობაზე შეძლო გ. პოპოვმა ეთქვა ნაწილი სიმართლისა. ეს სიმართლეც კი ბევრისათვის გაუგებარი დარჩა.



და არა აჯანყება. აფხაზეთის ჩამოცილების შემთხვევაში კი ეს გარდაუვალი იქნებოდა. ამავე დროს სხვა რესპუბლიკებშიც გავრცელდებოდა მსგავსი მოვლენა. ამიტომ მოსკოვი დაკმაყოფილდა იმით, რომ ქართველი საჯარისო შენაერთები დაშალა, რესპუბლიკას ჩამოაჭრა ტერიტორია (ქლუხორის რაიონი), ხელმძღვანელობაში მეორე პირად რუსი დაადგინა. აფხაზებს პრივილეგიები გაუდიდა და კონფლიქტი დააკონსერვა დროებით.

აფხაზების მოთავეები ცენტრის ბრძანებას დაემორჩილნენ, მაგრამ გასარკვევია, ვინ იყვნენ ეს აფხაზები?

ადრე ითქვა, რომ დღევანდელი აფხაზეთი, დასავლეთ საქართველო და რუსეთის საკუთრებაში გადასული დიდი ტერიტორია, მდ. ყუბანის მარცხენა მხარის მიწები ეგროსის სამემკვიდრეო იყო ძველი წელთა აღრიცხვის III ათასწლეულიდან მოყოლებული. აქ იყო ძველი ეგროსის სამეფო, აიეტის კოლხეთის სამეფო, ახალი ეგროსის სამეფო, ლაზიკა, აფხაზეთის სამეფო, იმერეთის სამეფო. დღესაც შემორჩენილია იქ ტოპონიმები, ჰიდრონიმები. რუსეთის კრანსოდარის მხარეშია მზიმთა, სოჭი, იმერეთის უბე (ბუხტა რუსულად), იმერეთის დაბლობი და ა.შ. ამ დიდ მხარეში მოხდა ეგროსელების დაყოფა. ჯერ ეგროსელებს სანიგ-სვანები გამოეყვნენ, შემდეგ დაიყვნენ ეგრებ-მეგრებად: ეგრებს შორის იმძლავრა აბაზგთა ტომმა და ეგრებს ბოლოს აფხაზები ეწოდათ. აფხაზები ეწოდათ შემდეგ მეგრებსაც და ლიხს იქითა მთლიან მოსახლეობასაც, საინტერესოა, რა ენაზე მეტყველებდნენ თავიდან ეგორსელები? სანიგ-სვანთა ენობრივი გამოყოფის შემდეგ, რა ენაზე მეტყველებდნენ ეგრები? ეგრები დაიყვნენ შემდეგ, მდ. კელასურს (ძველი კორახი) ჩრდილოეთით ბერძნებს მიმხრობილ აფხაზებად (ეგრები) და სამხრეთით ფარნავაზს მიმხრობილ აფხაზებად (მეგრები). მოხდა მათი ენობრივ გაუტყობება? აფხაზეთის სამეფოში გაერთიანებული ეგრები და მეგრები რა ენაზე მეტყველებდნენ? როდიდან დაიწყო ადიღეური მეტყველების



გავრცელება აფხაზებს შორის? სეტემონ შარვაშიძემ როდიდან დაიწყო ადიღთა ჩამოსახლება სოფ. ლიხნის (გუდაუთის რაიონი) მიდამოებში? რატომ იყო ადიღური (აფსუური) მეტყველება გავრცელებული მხოლოდ გუდაუთელ აფხაზთა შორის? რატომაა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ჩასახლებული ადიღები აფხაზებად მონათლა და დღეს მათ ენას იძულების წესით ავრცელებს ძირძველ აფხაზთა შორის? რატომ ამტკიცებდა თურქი მოგზაური ეგლია ჩელები: აფხაზეთში მეგრული (ძირძველი ეგრების) ენა ყველამ იცისო? ბევრი რატომაა გასარკვევი. უმთავრესია: ლევან II დადიანი თავის გავლენას მთლიან აფხაზეთზე ავცელებდა. როდესაც სეტემონთან შუღლი დაიწყო, ცნობილი კელასურის (კორახის) კედელი აღადგინა, რათა ადიღი მეკობრეებისაგან დაეცვა მოსახლეობა. თუ ეს მოსახლეობა თავიდანვე ადიღები იყვნენ და ადიღურად მეტყველებდნენ, მაშინ გამოდის, რომ დადიანი ადიღებს (ქრისტიანებს) ადიღებისაგან (წარმართ მუსულმანებისაგან) იცავდა? სადაა ლოგიკა? ადიღობის მოტრფიალე „მეცნიერებმა“ რატომ ვერ მოძებნეს პასუხი?

ხრუშჩოვის შემწეობით, ახალი აფხაზების (ადიღ-აფხაზების) ლიდერებმა, ირწმუნეს ძალა. მოსკოვის მხარდაჭერით მათ კიდევ ბევრის მიღწევა შეეძლოთ. ასეც მოხდა. ყოველი ათი წლის ბოლოს ისინი ჯანყდებოდნენ და მორიგ პრივილეგიებს ლეზულობდნენ. ამასთან, ყოველი ახალი ეტაპი უფრო ფართე პოლიტიკურ მოთხოვნებს შეიცავდა.

ხრუშჩოვის ავანტიურისტულმა პოლიტიკამ დაასამარა მოსახლეობის რწმენა უკეთესი მომავლისადმი. მასებმა დაინახეს, რომ სინამდვილეში არავითარი თანასწორობა, სამართლიანობა, სოციალიზმი არ არსებობს. ქვეყანა დაყოფილია სოციალური და ეროვნული უთანასწორობის პრინციპით. დაიწყო ე.წ. დისიდენტური (წინააღმდეგობის) მოძრაობა. იქმნებოდა უკმაყოფილოთა ჯგუფები. არარუსულ რესპუბლიკებში სოციალურთან ერთად ეროვნული საკითხიც მწვავედებოდა. საქართველო ამ მხრივ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან



ერთად, ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხს წინა პლანზე აყენებდა.¹

ეპოქა მოითხოვდა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ შესაბამისი პოლიტიკის გამტარებელი პიროვნებები. საერთოდ, ეპოქა ქმნის პიროვნებას. პიროვნება, თუ მოქმედებს მოთხოვნათა შესაბამისად აჩქარებს განვითარებას, სხვა შემთხვევაში შეიძლება შეაფერხოს ან სულაც უკან დასწიოს.

ოთმხოციანი წლების დასაწყისმა მოითხოვა საბჭოთა კავშირში რადიკალური ცვლილებები. ლ. ბრეჟნევი 1982 წ. ნოემბერში გარდაიცვალა. მისმა შემცვლელმა ი. ანდროპოვმა სცადა ძველი ლენინურ-ჩეკისტური მეთოდებით საქმის წარმართვა. პიროვნებაზე და მეთოდზე მარცხი იწვინეს. აშკარა გახდა, რომ რეპრესიული ღონისძიებები აღარ იმუშავებდა. ქვეყანა ღრმა კრიზისში მოიცვა. ვითარებამ მოითხოვა და იმპერიის სათავეში მოვიდა ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნების პიროვნება რაისა მაქსიმოვნა (კომინისტური პარტიის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის მეუღლე, რეალური ხელმძღვანელი).

ლიბერალური გარდაქმნის (პერესტროიკის) იდეოლოგი და ინიციატორი ალექსანდრე იაკოვლევი, საბჭოთა კავშირის ახალი იმპერატორის გორბაჩოვის, დამაკავშირებელი იყო ე.წ. დასავლეთის სამყაროსთან. ახალმა ვითარებამ ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი მოითხოვა და შესაბამისად ახალი ადამიანი. ამ კურსის გამტარებლად ე. შევარდნაძე იქნა მიჩნეული. 1985 წ. ივნისის პლენუმზე იგი მმართველი პარტიის პოლიტიბიუროს წევრად აირჩიეს და საგარეო საქმეთა მინისტრობა

1. საქართველოში მოქმედი არალეგალური ჯგუფების ისტორია შესასწავლია. თბილისის უნივერსიტეტის 1966 წ. შეიქმნა ჯგუფი გურამ (კობა) ჩაგელიშვილის მეთაურობით. ეს ჯგუფი ზვიად გამსახურდიასაც კი არა სანდოდ მოიჩნევდა... მოქმედებდა 1974 წლამდე. ვინმემ თუ იცის მისი ისტორია? და ასე რამდენი?



დაავალეს.¹

1987 წლიდან უკვე აშკარა გახდა საბჭოთა იმპერიის კრახის გარდაუვალობა. სოციალურ-ეკონომიკურ კრახს დაემატა საომარი კრახი. დიდმპყრობელური სულისკვთების ეთნოსისათვის ეს სრულ კატასტროფას მოასწავებდა. 1989 წ. იმპერია იძულებული გახდა ომი შეენწყვიტა. ამავე დროს, იმპერიამ დათმო პოზიციები ევროპაში. ყოფილმა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა მას ზურგი შეაქციეს. მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, როცა ორად გახლენილი გერმანია და ბერლინი გაერთიანდნენ. იქიდან მიღებულმა ფინანსებმა რუსეთს უკვე ვერ უშველეს. დაიწყო რუსი მუშათა კლასის აშკარა ბრძოლა საკუთარი თანამდებობის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მწიფდებოდა სიტუაცია, როცა ჩაგრულ ერებს შეეძლოთ შედარებით უმტკივნეულოდ გათავისუფლება.²

1987 წლიდან მოყოლებული იქმენებოდა და იშლებოდა პარტიები. იწყებოდა ბრძოლა პირველობისათვის, მოძრაობის ტაქტიკის გააზრებისათვის. მასების დარაზმვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი 1988 წ. ნოემბრის აქციებმა შეასრულეს. მართალია დემონსტრაციებმა გამარჯვება ვერ მოუტანეს ხალხს, მაგრამ მოახლოეს. 1989 წ. მარტში მიმართვა საკავშირო კომუნისტური

1. ე.შეგარდნაძის დანიანურებამ დროებით შეაჩერა აფხაზი სეპარატისტების მოძრაობა) რესპუბლიკის მასშტაბით არსებული ეგროსულ-ტიპონიმ-ჰიდრონიმები ადიღურად გადაენათლათ, მოსკოვში დაგეგმილი ეს მოძრაობა მოსკოვიდან ბრძანებით შეჩერდა. იმავე პერიოდში ცნობილმა ქართველთ მოძულე გ. ტრაპეზნიკოვმა შეადგინა წერილი კომპარტიის, ხელმძღვანელობისადმი ეს წერილი 1989 წ. „ლიხნის მიმართვის“ სახელით გაიგზავნა მოსკოვში.

2. 1968 წ. დეკემბრეში და მეორე წლის იანვარში შეხვედრების დროს ზვიად გამსახურდიას აუხსნეს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის მარქსისტული დებულების, „არაა თავისუფალი ერი, რომელიც სხვას ჩაგრაავს“, არსი. არსი კი შემდეგშია: თუ რუსეთი ჩაგრაავს ქართველობას, ნიშნავს რომ თვით რუსი ხალხია ჩაგრული ხელისუფლებს მიერ. ქართველებს, თუ სურთ თავისუფლება, ხელი უნდა შეუწყონ რუსი მშრომელების დარაზმვას მთავრობის წინააღმდეგ. როცა რუსი მშრომელები აჯანყდებიან, დგება თავის დახსნის მომენტი, ზ. გამსახურდიამ ასეთი ახსნა არ ირწმუნა. იგი რადიკალურ მებრძოლად დარჩა. რადიკალიზში კი ყოველთვის მომგებიანი არაა.



პარტიიდან გამოსვლის და საქართველოს დამოუკიდებელი პარტიის შექმნის მოთხოვნით გაეგზავნა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას... მიმართვის მიზანი იყო: რესპუბლიკის კომპარტიის ორგანიზაცია ნახევარ მილიონამდე წევრს აერთიანებდა. რაც მთავარია მაცხოვრებელი ყველა ეთნოსის აქტიურ ნაწილს. დამოუკიდებელი კომპარტიის არსებობა ამ ეთნოსთა ერთიანობას უზრუნველყოფდა... წერილი უყურადღებოდ იქნა დატოვებული...

18 მარტს აფხაზეთის სოფელ ლიხნში მიწვეული იქნა ეროვნული სახალხო კრება. კრებამ მიიღო 1985 წ. გ. ტრაპეზნიკოვის (აფხაზი მარხოლიას მონაწილეობით) მიერ შედგენილი მიმართვა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი, მოითხოვდნენ აფხაზეთის გამოსვლას საქართველოს შემადგენლობიდან და რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. თითქოს ყველა რესპუბლიკა რეალურად რუსეთის ქვეშევრდომი არ იყო... წერილის ავტორად უკვე ახალ აფხაზად (იანგარიშე ადიღეველად) გადანათლული მარისუბა (ყოფილი მარხოლი) ცხადდებოდა. გ. ტრაპეზნიკოვის სხენება საჭიროდ არ ჩათვალეს.

ლიხნის მიმართვა საიდუმლოდ ვერ დარჩებოდა. ქართველმა რადიკალებმა თბილისში, მთავრობის სახლის წინ დაიწყეს საპასუხო ხანგრძლივი მიტინგი. იგი, ბოლოს, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის მოთხოვნაში გადაიზარდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ პასიური პოზიცია დაიკავა, რამაც სიტუაცია უმართავი გახადა... 9 აპრილს ღამით რუსის ჯარმა მიტინგი ძალის გამოყენებით დაშალა. თბილისში დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიას მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა.

იმპერიის ცენტრი შეეცადა მომხდარი ადიგლობრივი ხელმძღვანელობისათვის გადაებრალებინა... მოახდინეს ნაწილობრივი საკადრო ცვლილებები და შექმნეს ტრაგედიის საგამოძიებო კომისია ა. სობჩაკის ხელმძღვანელობით. პარალელურად, შეეცადნენ დაპირებებისა და წვრილი რეფორმების გზით დაძებულობის განმუხტვას.

საქართველოში ეროვნულ მოძრაობის ხელმძღვანელობა რადიკალი ლიდერების ხელში აღმოჩნდა. მ. გორბაჩოვის



დაპირება, რომ ქართველებს ყველა მისწრაფების მიღწევაში დაეხმარებოდა, მათ აღარ აკმაყოფილებდათ. საბჭოთა კავშირის მმართველის დაპირების აღსრულება, პირადად მათ ჩრდილში დარჩენას უქადდა, რადგან კომპარტიის ხელმძღვანელობა კვლავ განაგებდა რეალურ ცხოვრებას. იმ დროს კიდევ ერთხელ იქნა წამოყენებული წინადადება საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით. პარტიის ხელმძღვანელობა, იმპერიის ცენტრის ერთგულებას ინარჩუნებდა და სალი მონო-დება კვლავ უპასუხოდ დატოვა. ამასობაში დაიწყო კომპარტიის დემორალიზაცია და მისი რიგებიდან გამოსვლა.

თავის მხრივ ეროვნული მოძრაობის შიგნითაც გაჩნდა ბზარი... რადიკალურმა ფრთის ლიდერად ზ. გამსახურდიას ჩამოყალიბებამ გამოიწვია შედარებით ზომიერთა პოზიციებთან დაშორება. კიდევ უფრო აშკარა გახდა ლიბერალურ ნაწილთან შეუთანხმებლობა.

თავად რადიკალთა შორისაც არ იყო თანხმობა. ზ. გამსახურ-დია, გ. ჭანურია თუ ი. წერეთელი? გარეგნული ერთობის შიგნით სამი მიმართულება იკვეთებოდა. განსაკუთრებული როლი მერაბ კოსტავას შეეძლო შეესრულებინა, მის ავტორიტეტს ვერც ერთი ლიდერი ვერ შეებედავდა. თავად კოსტავა კი ზომიერ, გონივრულ მოქმედებას უჭერდა მხარს. ამ წინადაგზე მოხდა მისი დაახლოება ზომიერთა ლიდერ ზურაბ ჭავჭავაძესთან. ისინი არა მხოლოდ კომპარტიას, არამედ სხვა რადიკალებსაც ეწინააღმდეგებოდნენ. არავინ იცის, რომელმა მოწინააღმდეგემ მოიშორა ისინი თავი-დან. ასეთი საქმეების ობიექტური გამოძიება არა ხდება.

ამ ორი ლიდერის ჩამოცილებამ განსაკუთრებით გაზარდა ზ. გამსახურდიას ავტორიტეტი. მას თვით რესპუბლიკის მმართველი გ. გუმბარიძე უწოდებდა დიქტატორს, ასეთი „აღიარება“ კი უაღრესად აძლიერებდა ზ. გამსახურდიას ისედაც დიქტა-ტორულ მიდრეკილებას.¹

1. ვინც ახლოს იცნობდა და ვინც სპეციალურად უკვირდებოდა მის ქცევას, აეზვირებინა მოძრაობა და კრიტიკულ მომენტში მიმალულიყო, ის ბევრ ფაქტზე დაფიქრდება.



1989 წ. დეკემბერში მომნიფდა საქრთველოს დამოუკიდებლობის საკითხი. საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანო საქართველოში შემქნილ ვითარებას და 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზებს იხილავდა. ამ დროისათვის ევროპის ე.წ. სოციალისტური ქვეყნები აცხადებდნენ მოსკოვისაგან სრულ დამოუკიდებლობას, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ღიად მოითხოვდნენ კავშირის შემაღგენლობიდან გასვლას. თავად რუსეთში უხელფასო, დამშეული მუშები მასობრივ გაფიცვებს აწყობდნენ. საქართველოს ჰქონდა რეალური შანსი გადაედგა ნაბიჯი თავისუფლებისაკენ. საკმარისი იყო მოეთხოვათ კომპარტიის დამოუკიდებელ ორგანიზაციად აღიარება. რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობამ ეს ვერ გაბედა. გაუბედაობა ეტყობოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც.

გამოსავლის ძიებაში, გადანყდა, 1990 წლის 25 მარტს ჩაეტარებინათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნების იდეამ კიდევ უფრო ნათელი გახადა მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის უთანხმოება.

სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობამ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და თანხმობა განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე... რადიკლებმა, არჩევნებამდე 10 დღით ადრე შექმნეს ეროვნული ფორუმი და გადანყვიტეს არჩევნების ბოიკოტირება.

მოხდა საოცრება. ფარულად თუ აშკარად გაეთიანდნენ კომპარტიის და რადიკალთა ხელმძღვანელები. მათ იგრძნეს, რომ არჩევნებში სახალხო ფრონტი უეჭველად გაიმარჯვებდა. ეს კი არც ერთ მხარეს არ აწყობდა. საერთო ძალით მათ არჩევნები ჩაშალეს. კომპარტიამ ბატონობა გაიხანგრძლივა, რადიკალები დამარცხებას გადარჩნენ, ქვეყანა ვერ გათავისუფლდა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დაადგინა, უმაღლესი საბჭოს არჩევნები 28 ოქტომბერს ჩატარებულყო. ეროვნული მოძრაობის ლიდერთა პოზიციები აშკარად გაიყო. ზ. გამსახურდიას ჯგუფმა სწორად შეაფასა ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია და არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. ამ ნაბიჯით,



ერთი მხირვ რადიკალთა ჯგუფს (გ. ჭანტურია, ი. წერეთელი და სხვა). გაემიჯნა, მეორე მხრივ სახალხო ფრონტს (ნ. ნათაძე) წაართვა ერთპიროვნული ლიდერობის საშუალება. (ალარ იყო მ. კოსტავა, რომელიც მის ნაბიჯებს გააკონტროლებდა).

მოსდა ერთი ფარული უცნაურობა. 28 ოქტომბრის არჩევნების წინა დღეებში, კომუნისტური პარტიის წევრმა დეპუტატობის კანდიდატებმა მასობრივად უარი განაცხადეს დეპუტატად ეყარათ კენჭი. ფარულად, მაგრამ მიზანმიმართულად, კომპარტიამ ზ. გამსახურდიას მომხრეთ გზა გახსნა – ხელისუფლებისაკენ.

ახლად არჩეულ უმაღლეს (უზენაეს) საბჭოში უმრავლესობა ზ. გამსახურდიას მომხრენი იყვნენ. მთავრობაც მათ შეადგინეს.

რადიკალთა მეორე ნაწილმა თავის მხრივ ჩაატარა არჩევნები და შექმნა ეროვნული კონგრესი.

ეროვნული მოძრაობის გახლეჩამ, ლიდერთა დაპირისპირებამ არა მხოლოდ პიროვნული, არამედ ორგანიზაციული და რაც მთავარია თეორიული გათვლების უსუსურობა ცხადყო. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს აფხაზთა და ოსთა სეპარატისტული მოძრაობის ლიდერებმა. ოსი სეპარატისტები მოსკოვსა და ჩრდილოკავკასიელი მოძმეების ხელშეწყობით რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლას შეეცადნენ. ცხადია ამას მოჰყვა იდეურ-სამართლებლივი და შეიარაღებული კონფლიქტი. მოსკოვმა ბრძნული „შემრიგებლური“ პოზიცია დაიკავა, რაც საბოლოოდ მოპირისპირე ძალებს შორის რუსული ჯარის ჩაყენებით დამთავრდა.

ყოველ სოციალურ თუ ეროვნულ რევოლუციებს აქვს თავისი განსაკუთრებული გზა, მაგრამ საერთო კანონზომიერებას ემორჩილება. პირველ ეტაპზე ხელმძღვანელობას ახორციელებენ რადიკალები. ისინი ძველის მგრეველები არიან. თავადაც ამ ბრძოლას ეწირებიან ან მალე უფერულდებიან და ადგილს ე.წ. „ჟირონდისტებს“ (საფრანგეთის 1789წ. რევოლუციის მიხედვით) უთმობენ. ეს ახლებად გარდაქმნილი ძველი კადრები კი ნახევრად კონტრრევოლუციური ფუნქციის მატარებელი არიან.



ზ. გამსახურდია რადიკალი აგიტატორი ბელადი იყო. მან და მისმა მთავრობამ, ძალა, ძველი სისტემის მსხვერველს შეაღიეს. ყოველი ღონისძიება, რომელსაც საბჭოთა კავშირის აღიარებული პოლიტიკურ-სამართლებრივი, სისტემის წინააღმდეგ ახორციელებდნენ, იყო რადიკალური. ამასთან, არ იცოდნენ, ძველი კადრებით, ახალი საქმე როგორ ეწარმოებინათ. (საკმარისია მიეთითოს, რომ საბჭოთა კავშირის გამონრთობილი კადრები ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ სააკაშვილისა და ივანიშვილის რეჟიმის პირობებშიც.)

ხელმძღვანელები ვერ აცნობიერებდნენ, რომ მინისტრების ცვლა არაფერს ნიშნავს, მთავარია სისტემური ცვლილებები. მინისტრი უნდა განსაზღვრავდეს პოლიტიკას. კანცელარია ბევრად განაპირობებს მინისტრის ქმედებას. აქედან შედეგი.

ზ. გამსახურდიას მთავრობამ ბევრი მოინდომა. კადრები კი არა ჰყავდა. ამიტომ გარდაქმნა დაიწყო ძველზე დაყრდნობით. რა იყო შედეგი?

კიდევ ერთი მახასიათებელი. ლიდერები სამ კატეგორიად იყოფიან: თეორეტიკოსი, პრაქტიკოსი, აგიტატორი. საქართველოს ახალი ხელისუფლება აგიტატორებით დაკომპლექტდა.

შედეგი მალე დადგა. დამოუკიდებლობის გამოცხადების ეიფორია დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ქვეყანაში, ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებასთან ერთად, სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა იჩინა თავი. დაიძაბა დაპირისპირება ხელისუფლების გარეთ დარჩენილ რადიკალებთან. მათ კი „მხედრიონი“ უჭერდა მხარს. თავის მხრივ „მხედრიონში“ ჰპოვეს თავისი ადგილი კრიმინალური ჩვევის წევრებმა. ე.წ. „საძმოები“ გახდა მათი თავმოყრის და თავაშვებულობის ორგანიზაციული ფორმა.

ზ. გამსახურდია სიტყვით იმპერიის ცენტრისაგან დამოუკიდებელი და პრაქტიკულად დამოკიდებული გახდა. ეს ნათლად გამოჩნდა ე.წ. „გკჩ“-პესთან ურთიერთობაში.¹ ამ ურთიერთობამ აშკარა გახდა მთავრობის შიგნით არსებული და-

1. მოსკოვში, 1991 წ. 19-21 აგვისტოს, იყო სახელმწიფო გადატრიალების ცდა. საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობა. შეთქმულთა მოთხოვნებს ზ. გამსახურდია დაეთანხმა.



პირისპირება. ყოფილი პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა ჯერ კიდევ 1991 წ. გაზაფხულზე დაუკავშირდა გვარდიის „სარდალ“ თ. კიტოვანს და ე. შევარდნაძის კარნახით აჯანყდნენ მთავრობის დამხობის მიზნით. 2 სექტემბრიდან მოყოლებული იყო გაუთავებელი მიტინგები, შეხლა-შემოხლა და ა.შ. ამასთან ორივე მხარე მოპირისპირეს კრემლის და კვბ-ს აგენტობაში სდებდა ბრალს. სამწუხაროდ ორივე სამართლიანად.

დეკემბრის თვეში სამიტინგო დაპირისპირება საომარში გადაიზარდა. შედეგად, უკვე 1992 წ. 6 იანვარს ხელისუფლება დაემხო. ზ. გამსახურდია გაიქცა ჯერ სომხეთში, შემდეგ კი ჩეჩნეთში ჯოხარ დუდაევიანს.

აჯანყებულებმა შექმნეს „სამხედრო საბჭო“, ორი გამორჩეული „სარდლის“ თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის სახით. მათ დაითხოვეს პარლამენტი, დააფუძნეს დროებით მთავრობა თ. სიგუას მეთაურობით.

მალე გახდა ნათელი ვინ იდგა მთელი ამ პროცესების უკან. ე. შევარდნაძის რჩევით მოხდა კომუნისტური პარტიის მიერ რადიკალი აგიტატორი ზ. გამსახურდიასათვის ხელისუფლების გადაბარება. მისი რჩევით შეიქმნა შეთქმულთა ჯგუფი, მოხდა სამხედრო გადატრიალება, ჩამოყალიბდა „სამხედრო საბჭო“. საბჭოს თხოვნით 1992 წ. 6 მარტს ე. შევარდნაძე დაბრუნდა საქართველოში. მისი მეთაურობით შეიქმნა „სახელმწიფო საბჭო“. უნდა დაწყებულიყო ქვეყნის აღმშენებლობის პროცესი. საქართველოს დამოუკიდებლობა მრავალმა ქვეყანამ ცნო და 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) 179-ე წევრად მიიღეს.

ე. შევარდნაძის პირველი ნაბიჯი იყო ცხინვალის რეგიონიდან ქართული შეიარაღების გამოყვანა, რაც ოსს სეპარატისტთა აღიარებასა და გაძლიერებას მოასწავებდა.

თავის მხრივ ზ. გამსახურდიამ მომხრეთ მოუწოდა დაუმორჩილებლობისაკენ. მას მეგრელების და სვანების განსაკუთრებული იმედი ჰქონდა. სამართლიანად. ეს კუთხეები სახელმწიფო საბჭოს არ დაემორჩილნენ. საბჭომ წესრიგის აღდგენის საბაბით „მხედრონი“ მიაკვლინა.



„მხედრიონი“ ქვეყანური ჩანაფიქირ იყო. მხოლოდ ეგაა, რომ ბევრი საეჭვო რეპუტაციის მონაწილე გაერთიანდა. ჯერ კიდევ თბილისში და შემოგარენში დაიწყეს შავზნელი ოპერაციების შესრულება. ამას მოჰყვა ცხინვალის რეგიონი, შემდეგ სამეგრელო. ბევრი იყო ძალადობა და მოროდორობა.

ქართველთა ურთიერთდაპირისპირებამ, რომელთა შორის აფხაზეთის მოსახლეობის 46% ითვლებოდა, შეაგულიანა სეპარატისტული მოძრაობა. მოსკოვის (რუსეთის ხელისუფლების) მიერ შეგულიანებული სეპარატისტები ატერორებდნენ საკუთარ მოსახლეობას. ქართველებს ისინი უკვე 1978 წლიდან მოყოლებული ანგარიშს არ უწევდნენ. მოსახლეობის 17% წარმომადგენლები ბატონობდნენ აფხაზეთზე, ქათველებზე, ესტონელებზე, სომხებზე. იოლად გაიხსენეს ის ხელობა, რისთვისაც სეტემონ შარვაშიძემ მოაწყო მათი წინაპრების აფხაზეთში ჩასახლება.

სახელმწიფო საბჭომ, აფხაზეთში, გამავალი სარკინიგზო მიმოსვლის დაცვის საბაბით, 1992 წ. 14 აგვისტოს შეიარაღებული ძალები შეიყვანა. იმპერიის მიერ შეგულიანებულმა სეპარატისტებმა სროლით უპასუხეს. დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, რომელიც მალე რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა.

თავისი დამლუპველი როლი ზ. გამსახურდიას წარმატებით შეასრულებინეს. რუსეთიდან იგი ჩავიდა სამეგრელოში და დაიწყო სამოქალაქო ომის გადამწყვეტი ფაზა... დიდი „მხედარმთავრის“ ლოთი ქობალიას სარდლობით, ქართულ ჯარს ზურგი მოუშალეს და რუს-აფხაზ-ჩეჩენ-სომეხ დაქირავებულ თურეგულარულ ნაწილებს აპსარეზი გაუთავისუფლეს. შედეგად. 1993 წ. 27 სექტემბრეს სოხუმი დაეცა, ომი წაგებული იქნა, აფხაზეთში მაცხოვრებელი ქართველები ლტოლვილებად იქცნენ.

რუსეთის მთავრობამ ამ შემთხვევაშიც ბრძნული გადამწყვეტილება მიიღო. ერთი მხრივ წააქეზა, შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტები, დაახმარა ჯარი, ქართველობის გენოციდი მოაწყო, აფხაზეთი დაიკავა, დაისაკუთრა, მეორე მხრივ ე. შევარდნაძეს გაუწია დახმარება ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ომით ყველაზე მეტი რუსეთმა ისარგებლა.



თავის მხრივ ე. შვეარდნაძემ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაკარგვის ფასად ძალაუფლება შეინარჩუნა. ქვეყანა რუსეთის ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში ჩააყენა (ე.წ. დსთ-ში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გააერთიანა). ზურგი გაიმაგრა და ოქტომბერში, საზეიმოდ ჩაატარა სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები. 25 ნოემბერს გაიმართა პარლამენტის სხდომა, რომელმაც დაადასტურა ე. შვეარდნაძის „მიღწევები“ და გზა გაუხსნა ახალ გარდაქმნებს.¹

დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შენარჩუნება. ფაბრიკა-ქარხნები, სოფლად მეურნეობები დაშალეს, გაყიდეს, ჯართად აქციეს. დიდმა „გარდაქმნებმა“ დიდი მსხვერპლი მოითხოვა. სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, რითაც საქართველო მუდამ ამყობდა, იძულებულნი საზღვარგარეთ გაიხიზნენ. ქვეყანა გაღარიბდა. მოსახლეობა მკვეთრად დაიყოფილა ათასი მაქინაციით გამდიდრებულ ბურჟუაზიად და პაუპერიზმის დონეზე დასულ მოსახლეობად.

ე. შვეარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა ძველი პარტიული ბიუროკრატის (პარტიაშვილების), ახალ, იარაღიან (ნახევრად მძარცველებად ქცეულ) ბობოლებთან შერწყმას ნიშნავდა. დაიწყო კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი, რომელიც ადრე მითვისებულის გადანაწილებასაც გულისხმობდა. ამავე დროს მიმდინარეობდა შიდა კლანური ჭიდილი, გამოცდილ ბიუროკრატებსა და იარაღიან ბიუროკრატებს შორის.

გამოცდილებამ აჯობა. 1995 წ. 25 აგვისტოს მიიღეს ახალი კონსტიტუცია. იგი საპრეზიდენტო მმართველობას გულისხმობდა. პრეზიდენტად არჩეული ე. შვეარდნაძე, იძულებული გახდა, გზიდან ჩამოეშორებინა მედროვე თანამებრძოლები... ამ ჭიდილში იგი ყოფილ პარტიულ ბიუროკრატებს დაეყრდნო. თავის მხრივ, ეს ჩინოვნიკები, უკვე მსხვილ კაპიტალისტებად იქცნენ. იარაღიანი ყაჩაღების ჩამოშორების შემდეგ, უკვე მათ შორის დაიწყო დაუ-

1. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილე ავტორის „მოლაღატი“.



ფარავი კონკურენცია. საერთო ჭიდილმა დამშეულ, დაჩაგრული მოსახლეობის მასობრივი პროტესტი გამოიწვია. პროტესტს სათავეში ახალგაზრდა, ენერგიული რეფორმატორები ჩაუდგნენ. შედეგად, 2003 წ. ნოემბერში მოხდა ხელისუფლების უსისხლო ცვლა. მას „ვარდების“ რევოლუცია უწოდეს.

ახალმა ხელმძღვანელობამ ბევრი სასიკეთო ცვლილება განახორციელა. ბევრი იყო შეცდომაც. განსაკუთრებული როლი შეიძინა ახალგაზრდა პრეზიდენტ მ. სააკაშვილის დიქტატორულმა ამბიციებმა. თავი იჩინა ოპოზიციონერთა წინააღმდეგ ძალადობრივმა ქმედებამ. იმატა ძალოვანი სტრუქტურების დაუსჯელობის გრძნობამ. თანდათან დაიძაბა ურთიერთობა. ხელისუფლებამ აშკარად ძალისმიერი მეთოდების გამოყენება დაიწყო.

2008 წ. აგვისტოში, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო, რუსეთის მიერ გათამაშებული ოსური მუხანათობის, მშვიდობიანი დარეგულირება. გამოცდილმა რუსულმა დიპლომატიამ აჯობა, მ. სააკაშვილის აჩქარებულ, დაულაგებელ პოლიტიკას. რამდენიმე დღიანი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად საქართველოს ჩამოაცილეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. რუსეთმა ამ ტერიტორიებზე შექმნა მორჩილი ბუფერული ზონა.

პრეზიდენტის დიქტატორულმა ქცევამ, გაუაზრებელმა პოლიტიკამ, მისი ახლო წრის თავნებობამ, მძარცველურმა ქმედებებმა, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამით ისარგებლეს ოპოზიციურმა პარტიებმა და 2009 წ. აპრილში დაიწყო მასობრივი ხანგრძლივი საპროტესტო გამოსვლები. სამი თვე პარალიზებული იყო ქვეყანა.¹ მიტინგებს, დემონსტრაციებს სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. პრეზიდენტმა ირწმუნა ძალა, დაუსჯელობა და ქვეყნის ვოლენარისტული მართვა გააგრძელა.

ერთი კანონზომიერება მოქმედებს. ადამიანმა თუ სიმდიდრე დააგროვა, ის პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ მიილტვის. თუ ძალაუფლება მოიპოვა, მას სიმდიდრისკენ ლტოლვა მოსდევს. იმიტომ, რომ პოლიტიკა არ არსებობს ეკონომიკის გარეშე და

1. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორის „ცხელი ზაფხული, 2009“.



ეკონომიკა პოლიტიკის გარეშე. ეს ადამიანური ცხოვრების ორი მხარეა.

ის, ვინც აცხადებს, რომ პოლიტიკისგან შორსაა, – ცრუობს. ის ვინც ამბობს, რომ მხოლოდ პოლიტიკოსობს, ორმაგად ცრუობს.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დიდი ქონების პატრონი 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების დაუფლებას შეეცადა და შეძლო.

შუა საუკუნეებში მოაზროვნენი ფიქრობდნენ: ესა თუ ის ადამიანი მდიდარია რადგან მას აქვს მიწა, ტყე და ა.შ. მოვიდა დრო და დაამტკიცეს: თავისთავად მიწა, ტყე და ა.შ. სიმდიდრის წყარო ვერ იქნება თუ ის არ დაამუშავე, არ გამოიყენე. სიმდიდრის წყაროა შრომა. შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას. დღეს დაწინებულმა კ. მარქსმა დიდი შრომა გასწია, რათა დაემტკიცებინა: სიმდიდრის ანუ ზედმეტი ღირებულების წყაროა სხვისი შრომა. საკუთარი შრომით შეიძლება იარსებო, მაგრამ გამდიდრება მხოლოდ სხვისი შრომის ნაყოფის მითვისებით შეიძლება.

საქართველოში (ისევე, როგორც მსოფლიოში) ვინც გამდიდრდა, სხვისი შრომის მითვისებით.

რა იქნება ხვალ?

საზოგადოება განვითარებას ვერ შეაჩერებს. ვერც ქართველობა. რა გზით მიიღწევა სასურველი თანასწორობა, ერთობა?

ქვეყნის ხელმძღვანელობა, იურისტები, ეკონომისტები ფიქრობენ: საპრეზიდენტო მმართველობის, საპარლამენტო მმართველობად, გარდაქმნის გზით. ცდებიან. ეს უფრო საკუთარ მომავალზე ზრუნვაა და არა ქვეყნის. ეს ფორმის შეცვლაა და არა არსის. სანამ სახელმწიფო ორგანიზმი ბიუროკრატიულ პრინციპზეა აგებული, სამართლიანობა ვერ გაიმარჯვებს.

საზოგადოებაში, სადაც თანმდებობა, დეპუტატობა პოლიტიკური ბატონობისა და ეკონომიკური გამდიდრების წყაროა, ასეთი გარდაქმნები გამორიცხებულია.

საზოგადოებამ არჩევანი უნდა გააკეთოს არსებულ ბიუროკრატიულ და სანატელ დემოკრატიულ პრინციპებს შორის.



ღღეს

ჩვენი საზოგადოება გლობალიზაციის პროცესშია ჩათრეული და მსოფლიო მათხოვრის მდგომარეობით კმაყოფილი.

საერთაშორისო სამრეწველო და ფინანსური კორპორაციები იყოფენ მსოფლიო ბაზარს, იბრძვიან მონოპოლიზაციისათვის და ისეთ დანამატს, როგორც ჩვენი ქვეყანაა დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას არ აძლევენ. ასეთ ვითარებაში ხელისუფლება თავს წარმატებულად მიიჩნევს თუ ზედმეტი რამდენიმე მილიონი გამოსტყუა მსოფლიო სავალუტო ფონდს ან მოძებნა სასურველი ინვესტორი.

მიღებული მაძლარი ცხოვრების სანაცვლოდ, ხელისუფლება ყოველგვარ დათმობებზე მიდის.

მოსახლეობა?

მოსახლეობა ხელისუფლებას სათვალავით როდი ჰყავს ჩაბრებული, რომ ყველაზე იზრუნოს. საყოველთაო კეთილდღეობაზე სიტყვიერად აცხადებენ, პრაქტიკულად კი საკუთარზე ზრუნავენ.

რატომ? არ იციან, არ უნდათ თუ არ შეუძლიათ? კითხვა უბრალო ინტერესის შემცველი როდია. ახსნაც არაა იოლი.

ღღეს საქვეყნო მეურნეობა ორი ნაწილისაგან შედგება: კერძო და სახელმწიფო (საერთო) სექტორი. იყო პერიოდი, როდესაც სახელმწიფო სექტორი დომინირებდა. კერძო, ფარული მეთოდებით ფუნქციონირებდა. სახელმწიფო გეგმავდა და წარმართავდა საერთო სექტორს. ღღეს სახელმწიფომ საზრუნავი კერძოს გადააბარა, ზრუნვისაგან გათავისუფლდა, დაიტოვა მხოლოდ გადასახადების მოკრეფისა და ურჩთა დასჯის ფუნქცია. ამას ცინიკურად თავისუფალი მენარმეობის სისტემა უწოდა. სინამდვილეში თავისუფალ გასაქანს აძლევს გარკვეული კატეგორიას, დანარჩენი საზოგადოება დათრგუნვილი ჰყავს. სხვანაირად არც დასჭირდებოდა ამ რაოდენობით ძალოვანი და სადამსჯელო სტრუქტურები.

ასეთი „ბრძნული“ ხელმძღვანელობის შედეგად საზოგადოე-



ბა დაყოფილია მცირერიცხოვან მდიდართა და უმრავლესობა ლატაკთა კლასებად. ერთიან მდიდართა კლასში შედიან სახელმწიფო სისტემის დიდმოხელეები და კერძო კაპიტალის მფლობელები... მიტმასნილ მაამებელთა კატეგორია მოლოდინშია, მაგრამ ცალკე კლასად ვერ ჩაითვლება. მეორე მხარეს არიან გალატაკებულები და გამათხოვრებულები. ისინიც ერთიან კლასს ქმნიან. მდიდართა კლასი ყოველთვის ორგანიზებულია, რათა დაიცვას მოპოვებული. ლატაკთა კლასი ძირითადად არა-ორგანიზებულია, დაქსაქსულია და დაუცველი.

რატომ არი ასე?

დიდი სიბრძნე არა სჭირდება იმის ცოდნას, რომ ფულად-სასაქონლო სისტემა სხვანაირ შედეგს მხოლოდ საზოგადოების სხვა პრინციპით აგების შემთხვევაში მოგვცემს.

ჯერ ფულად-სასაქონლო ურთიერთობაზე. საზოგადოებრივი ცხოვრება, სადაც ფული ბატონობს, სამართლიანი ვერ იქნება. ფულს მრავალი დანიშნულება გააჩნია: ფული ღირებულების საზომია; ფასწარმოქმნის მექანიზმია; გაცვლის, დაგროვების, გადახდის საშუალებაა მსოფლიო მასშტაბით. არაა აუცილებელი ფინანსისტ-ეკონომისტობა, რომ ფულის მრავალმხრივი შესაძლებლობები იგრძნო. და არის კიდევ რალაცა მნიშვნელოვანი, რაზეც სპეციალისტებიც არა მსჯელობენ. ფული საყოველთაო გარყვნილების, დეგრადაციის, გადაგვარების საშუალებაცაა.

საზოგადოებაში, სადაც ფულად-სასაქონლო სისტემაა, უფულო ადამიანი უფულობის გამო განიცდის გადაგვარებას, ფულიანი კი ფულის ქონის გამო. ამასთან, უფულობა თუ ცოტად რყვნის ადამიანს, დიდი ფული – დიდად.

ამავე დროს, სანამ საზოგადოებრივი ურთიერთობა აიგება ფულის მეშვეობით, ფული ბატონობს, უარყოფითი შედეგები ვერ აღმოიფხვრება. მაგრამ ურთიერთობა შეიძლება უფრო ჰუმანური, სამართლიანი გახდეს. ეს დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კულტურაზე. მხედველობაშია არა ცეკვა-თამაშის კულტურა, არამედ წარმოების და წარმო-



ბით ურთიერთობათა კულტურა. ამის მიხედვითაა თანამედროვე ქვეყნების დაყოფა, შედარებით სამართლიან ან უსამართლო ნაწილებად.

როგორია ჩვენთან მდგომარეობა?

ჩვენი საზოგადოება „ამაოების ბაზარს“ ემსგავსება. დაყოფილია 222 პოლიტიკურ პარტიად და არანაკლები არასამთავრობო ორგანიზაციის წევრად. გვყავს თავზე საყრელი ეკონომისტ-იურისტები. წყობილების ბუნება კი ვერ გაგვირკვევია.

უნებლიედ გასახსენებელია ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი რენტგენი. უყვარდა თავისი ლაბორატორია და ღამითაც ხშირად მიდიოდა. ერთი ახალგაზრდა მეცნიერი ყოველთვის სამუშაოზე ხვდებოდა. აიღო და მოხსნა სამსახურიდან. როცა ახალგაზრდამ უსაყვედურა, დღე და ღამ ვმუშაობ და რატომ მაგდებთო, აუხსნა: შენ 24 საათიან რეჟიმში მუშაობ და ფიქრისთვის, ანალიზისათვის დრო არ გრჩებაო.

ჩვენი ხელისუფლებაც 24ს. რეჟიმით მუშაობს და ამიტომ ვერ გაურკვევია, საით მიჰყავს ქვეყანა.

ასეთი მდგომარეობა ადრევე დაიწყო.

გუშინ

გუშინდელ ცხოვრებას ზიზლით სოციალიზმს უწოდებენ. არ მოსწონდათ ე.წ. სოციალიზმი, დაამარცხეს და თავისუფალი მენარმეობა დაამკვიდრეს.

ასეა?

ვინც ფიქრობს, რომ გუშინ (საბჭოთა კავშირში) სოციალიზმი იყო, მან საერთოდ არ იცის რას ნიშნავს სოციალიზმი და რა კავშირი აქვს ფულად-სასაქონლო ურთიერთობებთან. არა აქვს მნიშვნელობა შემფასებელი ვინ იქნება.

გუშინ ჩვენთან იყო სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემა. ბევრმა იცოდა ეს და ამიტომ იქმნებოდა კონვერგენციის თეორიები. ამიტომ მსჯელობდნენ შვედურ, დანიურ, ფრანგულ სოციალიზმზე.



ვინც იცის თეორია, დაეთანხმება, რომ რუსეთის იმპერიაში კი არა დღევანდელ ინდუსტრიულ ქვეყნებშიც არაა სოციალიზმი შესაძლებელი. საბჭოთა კავშირში იყო სახელმწიფო კაპიტალიზმი, რუსული ხალხოსნური იდეოლოგია, განუვითარებელი ინდუსტრია, დაბალი კულტურა. ძირითად წინააღმდეგობას ქმნიდა შეუსაბამობა მაღალი დონის წყობილებასა და დაბალი დონის შესაძლებლობებს შორის. განვითარების ინტერესები მოითხოვდა სახელმწიფო მონოპოლიის სისტემიდან თავისუფალი კონკურენციის სისტემაზე გადასვლას. სხვანაირად, წარმოებით ურთიერთობის დაყვანას საწარმოო ძალების მოთხოვნათა დონეზე. რაც მოხდა კიდევ.

ჩვენთან გარდაქმნა ეროვნული საკითხის გამწვავების ფონზე წარიმართა. შესაბამისად პროცესის სათავეში ეროვნული იაკობინელები აღმოჩნდნენ. ვინც ახლო იცოდა მთავარი ბელადის თეორიული დონე, მიხვდება, რომ ისინი მოწოდებით ძველის მგრეველები იყვნენ.

რევოლუციის კანონზომიერების თანახმად, იაკობინელები ბრძოლაში ილუპებიან ან უკეთეს შემთხვევაში უფერულდებიან. პროცესების სათავეში ჟირონდისტები (პრაგმატიკოსები) მოდიან.

ჩვენთან, ე.შევარდნაძის ხელისუფლებაში დაბრუნებას, ძველი თანამდებობის ბურჟუაზიის დაბრუნება ახლდა. ამავე დროს, ისინი უნდა დაპირისპირებოდნენ ან შერწყმოდნენ იარაღის ბურჟუებს. მეორე გზა ირჩიეს.

დაიწყო კაპიტალის თავდაპირველი განაწილების პროცესი. საზოგადოებისათვის ეს მტკივნეულია. პატიოსანი შრომით არავინ გამდიდრებულა.

ამით ბევრია ნათქვამი.

2003წ. ხელისუფლება ახალმა ძალამ გადაიბარა. მოინდომეს კაპიტალის გადანაწილება. ესეც არ გამოდგა უმტკივნეულო.

ძალადობისა და უსამართლობის ტალღამ დაბადა პარტია „ქართული ოცნება“.

როგორც კი გაცხადდა გადანყვეტილება, ქართული ოცნების აღსრულებისთვის ებრძოლა, უამრავი მედროვე მიანყდებოდა.



ისიც ცნობილია, რომ თანამებრძოლებს დღისით სანთელანთე-ბული ძებნას ვერავინ დაუნყებდა. უნდა შეერჩიათ გარშემო მყოფთაგან. ეს კი ბევრ ხარვეზთან იყო დაკავშირებული.

ლიდერს დიდ ცოდვად ვერ ჩაეთვლება თუ ყველა დარგში და ყველა საკითხში საფუძვლიანად ვერ ერკვევა. იგი იძულებული იყო პარტიის პროგრამის შექმნის მიზნით შეედგინა სპეციალისტთა ჯგუფები. როგორი სახელოვანი სპეციალისტებიც ეხვივნენ გარს, ისეთი პროგრამაც შეიმუშავეს.

ერთი პატარა გადახვევა. საბჭოთა საქართველოში ადამიანთა ნაწილი, თავისი მოწოდებით თუ სხვათა გავლენით ესწრაფოდა კარგ ცხოვრებას. მათ უნდა გაეცლოთ პიონერული, კომკავშირული და პარტიული აღზრდა, შეექმნათ თანამოაზრეთა წრე, ებრძოლათ კარგი თანამდებობისათვის. ჭეშმარიტი ცოდნის დასაუფლებლად დრო არ რჩებოდათ. ისინი აღწევდნენ მაღალ მდგომარეობას, ხდებოდნენ ცნობილნი, მაგრამ რჩებოდნენ დილექტანტებად. მეორე ნაწილი, თუ ცოდნას მიეძალეებოდა, თანამდებობის სიკეთეს ვერ ეზიარებოდა.

პარტიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს პირველი ჯგუფი ავსებდა. მეორე ჯგუფიდან შეიძლება ერთეულები გამოეყენებინათ კონსულტანტებად.

ამ პატარა კანონზომიერებამ განსაზღვრა, რომ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში, ბიუროკრატიული წნეხის გავლილები აღმოჩნდნენ. ვერც ერთი ხელისუფლება ამ თავისებურებას ვერ აცდა. ვერც ქართული ოცნება.

დღეს ბევრს მსჯელობენ ქართული ოცნების მიერ მასების მოტყუებაზე, შეუსრულებელ დაპირებებზე და ა.შ. გვერდს უვლიან რანაირ საზოგადოებაში მიმდინარეობდა პროცესები და ვინ ალასრულებდა ყოველივეს. არა და, იმიტომ მივიღეთ, რაც მივიღეთ.

ჩვენთან, ოფიციალურად ამხანაგობისა და თანასწორობის ურთიერთობა, სინამდვილეში ქურდობისა და თაღლითური რეკეტის სისტემა იყო. ძალზე ბევრი ეცადა 2003წ. მოსული ხელისუფლება, დაემსხვრია ძველ ცხოვრების წესი, ბევრსაც მიაღწია, სანამ თავად არ ჩაეჭდო ქაობში.



ცხოვრებამ აიძულა მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი, ჭაობს გაერიდა და საზღვრებს გარეთ ჰპოვა თავშესაფარი.

ერთ დროს იმასხარავეს, როგორ შეიძლება ადამიანს სამშობლო არ ჰქონდეს, როცა ჩიტსაც კი თავისი ბუდე აქვსო. უვიცები. სანყალ კაცს სამშობლო არა აქვს. ვინმემ თუ მოთვალა რამდენმა დაკარგა სამშობლო – საქართველო? ნასულთა ხვედრი შესაზარია.

აქ თავმოყვარე და დაფასებული, იქ სულიერად განძარცული ხდება. უმეტეს ქალთა ხვედრი სხვათა მოვლა და პროსტიტუციაა. მამაკაცები, თუ სამსახურს ვერ შოულობენ, კრიმინალთა რიგებს ავსებენ.

ამ დროს, ჩვენი ხელისუფლება ეკონომიკურ წარმატებებზე და დემოკრატიის აყვავებაზე აპელირებს. იციან რა არის დემოკრატია?

ღღეს

დღევანდელიობა გუშინიდან მოდის და თავის მხრივ განაპირობებს ხვალის საკეთებელს. ყოველი ეტაპის დახასიათება ვრცელი მსჯელობის საგანია. აქ მხოლოდ ის ითქვა, რომ გუშინ, ჩვენთან, იყო სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომლის წარმოებითი ურთიერთობაში, მინიმუმ ორი ეტაპით უსწრებდნენ საწარმოო ძალთა მოთხოვნებს. ამ წინააღმდეგობამ განაპირობა საბჭოთა წყობილების გარდაქმნა, რომელსაც ეროვნული საკითხის გააქტიურება მოჰყვა. ჩვენთან ეროვნულმა გადაფარა სოციალური.

ეროვნული ვერ გადაიჭრა საფუძვლიანად, რომ კვლავ სოციალურმა იჩინა თავი. ამით ისარგებლეს ე.წ. ინდუსტრიულმა ქვეყნებმა და ჩვენგან (ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან) მოხდა საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის გადინება.

დღეს საქართველო მნიშვნელოვანწილად პენსიონრებისა და მათხოვრების ქვეყანაა, სადაც მუდამ ელიან საზღვარგარეთიდან დახმარებას. აქ დარჩენილებს ევროპაზე ცუდი სიზმრის ნახვაც აშინებთ, ღმერთი არ გაუწყრეთ და ჩვენი მარჩენალი ემიგრანტები არ გამოყარონ.



ორასი წელი ბატონობდა რუსეთი და ქართველობამ ენაც შეინარჩუნა, კულტურაც, მეობაც. ოცი წელია ბატონობს დასავლეთი და ნახეთ რამდენ დანესებულებას ამშვენებს ქართული წარწერა და სახელი. ნახეთ თუ მიიღებენ ვინმეს სამსახურში ინგლისურის ცოდნის გარეშე. აქ ნასწავლები წაიყვანეს ევროპა-ამერიკაში. იქ ნასწავლნი ქმნიან ჩვენ ხელისუფლებას. და რას მივალნიეთ? ამდენი დამცირების, ხვეწნა-მუდარის შემდეგ იქ უვიზოდ შეშვებას გვპირდებიან. მიღწევაა? ვისაც შეეძლო, ისედაც კარგად მოგზაურობდა დასავლეთში. რას აძლევს რიგით ადამიანს ვიზიან-უვიზობა? რა, უფრო სარფიანად, მოენყობიან ჩვენები იქ მომვლელებად და მოსამსახურედ? თუ ფიქრობს ხელისუფლება რა ადამიანური პრინციპების საზოგადოება იყო და რა პრინციპებს წერგავენ დღეს.

სადღაა კდემამოსილება, სიმართლის მოყვარეობა, თანადგომა, სიამაყე, ეროვნულობა. ყოველივე ეწირება გლობალიზაციას. ერი არასოდეს ყოფილა და არც უნდა იყოს სხვისი იმედით, სხვის გზაზე მოსიარულე, სხვის ხელში შემყურე. სხვის ტაშ-ფანდურზე მოცეკვავე გადაჯიშებას ვერ აიცილებს.

ომში დამარცხებული და დაპყრობილი, არ წყვეტდა ცდას გადარჩენისა, არ კარგავდა იმედს, ინარჩუნებდა ეროვნულ ხასიათს, სიამაყეს, კულტურას, ენას. არა ყიდდა მამულ-დედულს, როგორც არა ყიდდა მამა-დედას. არა მღეროდა არაბულ-მონღოლურად, თურქულ-რუსულად. დღეს?

თუ გაანიავე შენი დოვლათი, დაეცი ეკონომიკა, ჯართად გაყიდე მრეწველობა, გაჩეხე ხე-ტყე და ბალ-ვენახი, თუ უცხოს ეხვეწები, მიმიღე, მიმსახურე, უფლება მომეცი და ა.შ., მაშინ ვინ ხარ? როგორ ხარ? რატომ ხარ?

რა, არ ვიცოდით, რომ ერი, რომელიც თავის მატერიალურ, ინტელექტუალურ, სულიერ პოტენციალს გაანიავენს, პაუპერიზმის – მსოფლიო მათხოვრის გზას ადგება?

რა, არ ვიცოდით, რომ მატერიალური მდგომარეობა განაპირობებს დემოგრაფიულ თუ სულიერ განვითარებას?

რა, ვერ ვხვდებოდით, რომ სხვათა, თუნდაც სახელიანი, ავანტიურისტი, დემაგოგი, გნებავთ მდიდარი ძიას იმედით ყოფნა შეცდომაა?



დღეს კაპიტალის დაგროვების პირველი ეტაპის დასასრულია. ძალას იკრებს მოპოვებულის გამართლების და უკვე კანონიერი განვითარების ეტაპი. არა აქვს მნიშვნელობა რა გზით იქნა მოპოვებული, მთავარი ხდება მისი მართებული გამოყენება. არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ადამიანური ურთიერთობის დარეგულირებას. სხვა-ნაირად სოციალური წინააღმდეგობის გამწვავებამ შეიძლება ანტაგონიზმამდე მიგვიყვანოს.

სპალ

ზოგადი მონოდებებით, შეგონებებით, საზოგადოება უფრო სამართლიანი, მორალური, დამჯერე, მიზანმიმართული ვერ გახდება. საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნა ინდივიდთა გარდაქმნის საწინდარია. შესაბამისად, საჭიროა ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა ისეთი მოდერნიზაცია, რაც უფრო სამართლიანს, ადამიანურს გახდის ცხოვრებას.

წინა კაცი, უკანას ხიდიაო. წინ წასული, ჩვენი ზომის, დონის, შესაძლებლობის ქვეყნის თუ ეთნოსის გამოცდილება უნდა იყოს ჩვენი ხიდი.

დიდ ქვეყნებს თავი ვანებოთ. როცა ამერიკულ, ინგლისურ, ფრანგულ გამოცდილებაზე აპელირებენ და ბაძავენ, უხერხულობას ვერა გრძნობენ? რატომ არ სურთ მაგალითად მიიღონ ავსტრიის, ბელგიის, დანიის, ფინეთის გამოცდილება?

თვით ისეთ მძლავრ ქვეყანაში, როგორც გერმანიაა, წარმოების ნახევარი (45–47%) სახელმწიფო საკუთრებაა და კერძო სექტორს არა მხოლოდ კონკურენციას უწევს, არამედ განვითარების მიმართულებასაც კარნახობს. ვთქვათ, ჩვენთვის მისაბამ ავსტრიაში წარმოების 53-55% მოდის სახელმწიფო სექტორზე. გავყიდეთ და ვყიდით ყველაფერს. რას ვიზამთ როცა გასაყიდი არაფერი დარჩება?

ერთ დროს ავსტრია-უნგრეთის იმპერია ევროპის წამყვანი სახელმწიფო იყო და თამამად მონაწილეობდა მსოფლიოს განაწილებაში. დღეს ავსტრია ნეიტრალიტეტს იცავს. როცა



ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა, ჩვენთანაც ძირითადი აზრი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ემხობოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში შემოაგდეს ნატო—ში განევრინანების იდეა. ე.შევარდნაძემ, დიდი ავტორიტეტით გადასწონა და „ობიექტური ნეიტრალიტეტის“ დებულება გააჟღერა. ბოლოს დათმო და ნატო—ელთა პოზიციაზე გადავიდა. რა მოიგო და რა წააგო ქვეყანამ ნატოს ძახილით, ნათელია. რას შევინარჩუნებდით ნეიტრალიტეტით ესაც ცხადია. და საერთოდ, ვის წინააღმდეგ იყო და არი ქვეყანა განწყობილი, რომელ მეზობელს რას ვედავებით. თუ ავღანეთში ან აფრიკაში ვაპირებთ რაიმეს მოპოვებას? დიდმა მეზობლებმა (რუსეთ—თურქეთმა), რომ მოინდომონ ჩვენი ჩაყლაპვა, რა ყელში გავეჩხირებით? რას მოგვცემს ნატო თუ რუსეთი მოინდომებს დაპყრობას? რას მოგვცემს რუსეთი თუ ქვეყანა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას დაადგება? ყოველივეს კარგი გათვლა უნდა.

მხოლოდ პირად ამბიციებს აყოლილი ან სულელი განაცხადებს, ნატოზე უარის თქმა ქვეყნის ღალატიაო. ზოგიერთი თუ კარგად სარგებლობს ნატო—თი, ქვეყანასაც შეხედონ. ნატო—ს წინააღმდეგ არავინაა, მაგრამ ქვეყანას თავისი გზა სჭირდება.

ქვეყანას, ქართველებს გასააზრებელი აქვთ არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის კურსი, არამედ საშინაო მონყობაც. ერთი პერიოდი, მიიღეს სიგნალი რა პირობით, ნებაყოფლობით, დაუბრუნდებოდა დედა სამშობლოს დღეს წართმეული ტერიტორიები. გახდა ეს ცნობა მსჯელობის საგანი? არა. რა მოვიგეთ ამით? მყვირალა დემაგოგთა ამბიციებს ბევრი რამ ემსხვერპლა. ვინძლო, ახლა მაინც მოვეგოთ გონს.

მოაზროვნე ადამიანი როგორ შეიძლება ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობას, უვიზო მისვლა—მოსვლას, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს არ მიესალმოს. მაგრამ არც აზია უნდა იქნეს დავინწყებული... სანამ ვიტყვით: ქართველი ვარ, ნიშნავს ევროპელი ვარ, სარკეშიც ჩავიხედოთ და ისტორიაშიც. არც იმის დავინწყება ივარგებს, რომ აზიამ მისცა ევროპას დამწერლობაც, მათემატიკაც და კულტურაც. ისიც გასახსენებელია,



რომ ჰეროდოტეს ცნობით ევროპა-აზიის საზღვარი გადიოდა მდინარეებზე რიონი (ფაზისი), ყვირილა, მტკვარი (კორო). „ჩვენ კი ოდითგან სამხრეთითაც გვინევდა ცხოვრება. ზოგს თუ ევროპელობა ეამაყება, ზოგი შეიძლება აზიელობით ინონებოდეს თავს. რა დაუშლი?

ადრე იყო ნათქვამი: ჩვენთან ვერ ნახავ პოლიტიკოსს, რომელიც თავს დემოკრატად არ მიიჩნევდეს. და ვერ ნახავ ქართველს, რომელიც პოლიტიკოსი არაა. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანის მთელი ცხოვრება პოლიტიკაა. იმის თქმაც კი, რომ პოლიტიკა არ აინტერესებს, პოლიტიკაა.

ადრე მრენველობაში და სოფლის მეურნეობაში ჩაბმულები, ფიზიკური თუ გონებრივი შრომით დაკავებულები, საკუთარ პოლიტიკოსობაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. დღეს, არა გვაქვს მრენველობა, მოშლილია სოფლის მეურნეობა და გაიხსენეს თავისი პოლიტიკოსობა. ოფიციალურად 222 პოლიტიკური პარტია და ამდენივე არა სამთავრობო ორგანიზაცია შექმნეს. რას წარმოადგენენ ეს პარტიები და რა მიზანი ამოძრავებთ?

პარტია არის ორგანიზებული ბანდა ხელისუფლების მოპოვების მიზნით. პრინციპი: ვისაც აქვს ძალა-უფლება, მას აქვს კარგი ცხოვრება. არ არსებობს პოლიტიკური ბატონობა, ეკონომიკური პრივილეგიების გარეშე და არ არსებობს მდიდარი, პოლიტიკური ამბიციების გარეშე. ესაა ერთი მედალის ორი მხარე.

ისმის კითხვა: გადასახადების გადამხდელებმა რატომ უნდა დააფინანსონ პარტიები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან? პარტია ხომ ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. სახელმწიფომ რატომ უნდა აძლიოს ფული? თანაც ზოგს აძლევს, ზოგს არა.

სამართლიანია? ვინ იცის?

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა რელიგიებთან დაკავშირებით. რა ისეთი მდიდარი ქვეყანა ვართ, რომ სხვა ეთნოსების რელიგიურ ორგანიზაციებს ბიუჯეტიდან ვაფინანსებდეთ? დაფიქრებაა საჭირო.

ბოლოს, სახელმწიფო წყობილების, სახელმწიფო ორგანიზ-



მის აგებულების პრინციპის შესახებ. რა პრინციპზეა აგებული ჩვენი ქვეყნის მმართველობა?

ყველაზე მთავარი და ყველაზე არსებითი ეს პრობლემაა. თუ პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა, მაშინ პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციულ პრინციპზე უნდა ვიფიქროთ. ბევრ რაიმეზე, ბევრი რამ წაგიკითხიათ და მოგისმენიათ. სახელმწიფო ორგანიზაციის აგების პრინციპზე თუ გსმენიათ?

დღემდე მანაც კაცობრიობამ ორი პრინციპი გამოიმუშავა: ბიუროკრატიული და დემოკრატიული. არის მათი მოდიფიცირების შემთხვევებიც. დღეს ყველგან ბიუროკრატიული პრინციპია.

რას ნიშნავს ეს?

ორგანიზაციის პრინციპი ბიუროკრატიულია თუ: 1. ხელისუფლების ინსტიტუტები (სტრუქტურები) დაყოფილია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ნაწილებად; 2. საკანონმდებლო ნაწილში: არჩევნების კომედია თამაშდება მტკიცედ დადგენილ ვადებში; არჩეულ პირს ენიშნება მაღალი ხელფასი და სარგებლობს პრივილეგიებით; 3. აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილში: არჩევნები თანამდებობაზე არ ტარდება; თანამდებობაზე ინიშნებიან ზევიდან ქვევით; რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მეტია ხელფასი; სარგებლობენ სახელმწიფო მომსახურებით და პრივილეგიებით.

სახელმწიფო ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპი ნიშნავს: არ არსებობს თანამდებობა, რომელიც არჩევითი არაა; არ არსებობს თანამდებობის პირი, რომელსაც პასუხს ვერ მოსთხოვ რიგითი სასამართლოს მეშვეობით; სახელმწიფო ორგანიზაციის ინსტიტუტებში ხელფასების თანაფარდობა უმაღლეს და უმდაბლეს თანამდებობებს შორის არის 5:1. უმაღლესი თანამდებობის პირი ღებულობს კვალიფიციური მუშაკის ხელფასს ე.ი. საშუალოს; ლიკვიდირებულია ყოველგვარი პრივილეგიები.

კერძო სექტორში შეზღუდვები არაა. გასაგებია, რომ არც ერთი კერძო მენარმე სპეციალისტს დაუმსახურებელ ხელფასს და პრივილეგიას არ დაუწესებს.



ძნელად წარმოსადგენია, ვინ გადადებდა თავს, ვინ მოინდომებდა პარტიის შექმნას, ბრძოლას დეპუტატობისათვის, მაღალი თანამდებობისათვის, მაღალი ხელფასი, ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიები რომ მოისპოს ე.ი. წყობილება დემოკრატიულ პრინციპზე რომ აიგოს. განა ცხადი არ არის, რომ უზომოდ მაღალი ხელფასები, ხელფასების დანამატები, პრემიები, არის ის მიზანი, რის გულისთვისაც ებრძვიან ერთიმეორეს. წარმოიდგინეთ მხოლოდ მანქანით, თანამდებობის პირის, მომსახურება რა უჯდება გადასახადის გადამხდელებს. ამიტომაც გრძელდება დავა არჩევნების სისტემის გარშემო.

ამ საკითხს დემაგოგი პოლიტიკოსები მაღალფარდოვანი ფრაზებით ფუთავენ. არსი კი ერთია: მოისპოს მაჟორიტარული არჩევნების წესი.

რატომ?

სიმართლე ისაა, რომ თითქმის არც ერთ პარტიას არა ჰყავს საკმარის რაოდენობის მხარდამჭერი რაიონებში. ასეთ დროს მათი შანსი რაიონებში გამარჯვებისა, ნულის ტოლია. სხვა ამბავია, პარტიის შტაბში შეადგენენ დეპუტატობის სასურველ კანდიდატთა სიას, გასწევენ საარჩევნო პროპაგანდას, გასცემენ მსუქან დაპირებებს და იზრდება მათი შანსი. დიდი ამბავი თუ მოხვევთა, ხევსურების, თუშების, ფშავების და ა.შ. წარმომადგენლები პარლამენტში ვერ მოხვდებიან. მთავარია, რომ მათი შანსი ორმაგდება. სამართლიანია?

სამართლიანობა ის იქნებოდა პროპორციული წესით, პარტიული სიებით, არჩევნები რომ გაუქმებულიყო. წასულიყვნენ ეს ვითომ პარტიები და ადგილებზე ცდილიყვნენ გამარჯვებას, მაჟორიტარ დეპუტატად თავთისი რჩეულის არჩევას.

ასე საკითხი არც წამოჭრილა, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიები ატეხავდნენ ხმაურს და არც საზღვრებს გარეთ ჩვილს მოერიდებოდნენ. აბა რა, ისინი ხომ „ევროპელი დემოკრატები“ არიან და არც ამერიკელობას აკლებენ ხელს. ერისთვის კი მთავარია ეროვნულობა, მისი მეობა, ხვალინდელი დღე.

